



შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდი



კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

გრაგნილი ხელნაწერების ინტერდისციპლინური კვლევა

გრაგნილი ხელნაწერები შეისწავლეს, კატალოგი და ლექსიკონი შეადგინეს,
ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს
შორენა თავაძემ, ლელა შათირიშვილმა, ნესტან ჩხიკვაძემ
მანუჩარ გუნცაძის მონაწილეობით

თბილისი
2025

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

INTERDISCIPLINARY STUDY OF SCROLLS

The scrolls were studied, a catalog and a dictionary were compiled,
and the texts were prepared for publication

By **Nestan Chkhikvadze, Lela Shatirishvili, Shorena Tavadze**
with collaborations by **Manuchar Guntsadze**

Tbilisi
2025

უცხოელი კონსულტანტი: პროფესორი ერის რენჰარტი, გრაცის უნივერსიტეტი, სპეციალური კოლექციების დეპარტამენტი და VESTIGIA - ხელნაწერი, გრაცის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრი

Consultant: Professor Erich Renhart, PhD, Karl-Franzens-University of Graz, Department of Manuscripts – Special Collection& VESTIGIA – Manuscript Research Centre, Austria

მონოგრაფია „გრავნილი ხელნაწერების ინტერდისციპლინური კვლევა“ განხორციელდა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტის ფარგლებში (FR-21-695, 2022–2025) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

Monograph „Interdisciplinary Study of Scrolls“ was implemented under the project (FR-21-695,2022–2025) of Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts with financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. The views and ideas expressed in the present publication belongs to the authors and may not represent the views of the Shota Rustaveli National Science Foundation.

პროექტის მონაწილეები: ლელა შათირიშვილი (ხელმძღვანელი), შორენა თავაძე (კოორდინატორი), ნესტან ჩხიკვაძე, მანუჩარ გუნცაძე

Project participants: Lela Shatirishvili (head of the project), Shorena Tavadze (coordinator), Nestan Chkhikvadze, Manuchar Guntsadze

მონოგრაფიაში გამოქვეყნებული ფოტომასალისა და თითოეული მონაკვეთის რაიმე ფორმით (ელექტრონული, ბეჭდური) გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

The photos published in the monograph in each section in any form (electronic, printed) may be used only with the written permission of the copyright holder.

პროექტი თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის საქართველოს ეროვნული არქივისა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექციას მათ ფონდებში დაცულ გრავნილებზე მუშაობის ხელშეწყობისა და ციფრული ასლების გადმოცემისათვის; ასევე შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიას

The project thanks the management of National Archives of Georgia and Kutaisi State Historical Museum for their cooperation in facilitating the work on the scrolls preserved in the in collections and providing digital copies; Also, Irakli Parjiani State Laboratory for Expert Research on Works of Art based at Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts

რედაქტორი: ლელა შათირიშვილი
რეცენზენტი: ნინო მეგენეიშვილი
Editor: Lela Shatirishvili
Reviewer: Nino Megeneishvili
ბაზა: მანუჩარ გუნცაძე
Database: Manuchar Guntsadze
მთარგმნელი: თამარ ბალამნარაშვილი
Translator: Tamar Balamtsarashvili
დიზაინი: დიანა დანელიანი
Design: Diana Danelyan
ISBN 978-9941-8-8138-1

@ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
@ შორენა თავაძე, ლელა შათირიშვილი, ნესტან ჩხიკვაძე, მანუჩარ გუნცაძე
@ Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts
@ Chkhikvadze Nestan, Lela Shatirishvili, ShorenaTavadze, Manuchar Guncadze

სარჩევი

ლელა შათირიშვილი

შესავალი.....	9
მრონის შემზადების წესი	11
ტერმინი გრაგნილი და მასთან დაკავშირებული სემანტიკური ერთეულები.....	23
სულთა მატინეები, საგვარეულო ქრონიკები, ქრონიკალური ცნობები	29
ნესტან ჩხიკვაძე	
იოანე ოქროპირის ჟამისწირვა	30
აპოკრიფების შემცველი გრაგნილები.....	55
შორენა თავაძე	
ხელნაწერი გრაგნილების არქეოგრაფია და კონსერვაცია.....	66
ტექნიკური ტერმინოლოგია.....	93
კატალოგი	97
დანართი (ტექსტები).....	177
იოანე ოქროპირის ჟამისწირვა (გამოსაცემად მოამზადა ნ.ჩხიკვაძემ).....	180
„საკვირაო“ (გამოსაცემად მოამზადა ნ.ჩხიკვაძემ).....	203
მრონის შემზადებისა და კურთხევის წესი (გამოსაცემად მოამზადა ლ.შათირიშვილმა)...	214
ლექსიკონი (შეადგინეს ლ.შათირიშვილმა და ნ.ჩხიკვაძემ).....	225
გამოყენებული ლიტერატურა	238

Table of contents

Lela Shatirishvili

Introduction.....	105
The rule of preparation of myrrh	107
The term “Gragnili“ (Scroll) and related semantic units	118
Chronicle of Souls, Genealogical Chronicles, Chronicle Records.....	123

Nestan Chkhikvadze

Scrolls of the Divine Liturgy of Saint John Chrysostom.....	124
ScrollApocrypha	142

Shorena Tavadze

Archaeography and Conservation of Manuscript Scrolls.....	152
---	-----

The Catalogue

170

Apendices. Texts (in georgian)	177
The Divine Liturgy of Saint John Chrysostom (prepared by Nestan Chkhikvadze).....	180
Carta Dominica (prepared by Nestan Chkhikvadze)	203
The preparation of myrrh (prepared by Lela Shatirishvili)	214
Dictionary (compiled by Lela Shatirishvili and Nestan Chkhikvadze).....	225
Bibliography.....	238

შესავალი

გრაგნილი წერილობითი ტექსტების/წყაროების - ხელნაწერი ნიგნების, ისტორიული დოკუმენტების-უძველესი ფორმაა, რომლის ჩამოყალიბება განაპირობა მოქნილმა საწერმა მასალამ, თავდაპირველად ქილმა, ანუ პაპირუსმა, მოგვიანებით - ეტრატმა და ქალაღმა. დიდი ხნის განმავლობაში საწერ მასალად გამოიყენებოდა პაპირუსი (ჭილი), მოგვიანებით - პერგამენტი (ეტრატი), თუმცა, საქმის წარმოებაში უპირატესობა ენიჭებოდა პაპირუსის გრაგნილებს და არა ეტრატს. ჩვენი წელთაღრიცხვის IV-V სს-ში გრაგნილის ფორმის საწერი მასალა - პაპირუსი - თანდათან შეცვალეს ეტრატზე შესრულებულმა კოდექსის ფორმის ნიგნებმა, რომელთა მეშვეობითაც გავრცელდა როგორც ქრისტიანული მწერლობის უმთავრესი ტექსტები, მოციქულთა აქტები, წმინდა წერილი, ასევე ისტორიული და სამეცნიერო თხზულებები. რამდენიმე ასწლეული ამ ფორმას მეტოქე არ გამოსჩენია.

ქართულ ენაზე შემონახული ადრეული ქრისტიანული წერილობითი ნიმუშებიც V საუკუნიდან ეტრატზე შესრულებული კოდექსის ფორმითაა მოღწეული. XII-XIII სს.-დან კი პრაქტიკაში ხელახლა დაბრუნდა გრაგნილის ფორმის ხელნაწერები, რომლებზეც, გარდა ისტორიული დოკუმენტებისა, იწერებოდა მოკლე ლიტერატურული ტექსტები.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში მიღისებრ დახვეული ფორმის მასალაზე, ანუ გრაგნილზე, გადწერილი ლიტერატურული ტექსტები, ისტორიული დოკუმენტებისაგან განსხვავებით (მათი რიცხვი რამდენიმე ათასეულს შეადგენს), არცთუ ბევრია; მათი რაოდენობა 74 ერთეულს არ სცდება. ისინი თავმოყრილია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 4 ფონდში. ესენია: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექცია (S კოლექცია); საეკლესიო მუზეუმის კოლექცია (A კოლექცია); საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექცია (H კოლექცია) და ახალი Q ფონდი; ამას გარდა, 40 ნიმუშია დაცული საქართველოს სიძველეთსაცავებსა (საქართველოს ეროვნულ არქივში (8), გორის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (1), ზუგდიდი დადიანების სასახლის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში (1), მესტიაში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (3), ქობულეთის მუზეუმში (1), ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (7), ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (1)) და საზღვარგარეთის ცენტრებში (სინის წმიდა ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავში (7), ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში (6), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში(5)). დღესდღეობით ცნობილია გრაგნილის ფორმის ლიტერატურული ტექსტის შემცველი 114 ხელნაწერი.

XIX-XX სს.-ების მიჯნაზე გრაგნილის ფორმის ხელნაწერების შესახებ მწირი ცოდნა არსებობდა. იმ პერიოდის ქართულ სიძველეთსაცავებში დაცულ გრაგნილებს, განურჩევლად იმისა, ისტორიული დოკუმენტი იყო თუ ლიტერატურული ტექსტი, უწოდებდნენ გუჯარს ან ილიტარიონს (K. Кекелидзе 1908: 167-174; 214).

დახვეული ფორმის ხელნაწერების აღსანიშნავად ტერმინ „გრაგნილის“ გაცოცხლებას და გავრცელებას საქართველოში ხელი შეუწყო ივანე ჯავახიშვილის 1926 წელს გამოქვეყნებულმა სამეცნიერო ნაშრომმა „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია“, რომელშიც წყაროების მითითებით და შესაბამისი ამონარიდებით არაერთ პალეოგრაფიულ ტერმინთან ერთად განხილულია გრაგნილი და მასთან დაკავშირებული სემანტიკური ერთეულები. მოგვიანებით ეს ცოდნა კიდევ უფრო სრულყვეს მ. ბერძენიშვილის, მ. სურგულაძის, ზ. სარჯველაძის, კ. დანელიას, ა. ხარანაულის ნაშრომებმა; ცნობილია პ. ინგოროყვას, თ. ენუქიძის, ს. მარგიანის, ვ. სილოგვას პუბლიკაციები გრაგნილებზე შემონახული წყაროების შესახებ სვანეთიდან. გრაგნილ ხელნაწერებზე დაცული ჟამისწირვის ზოგიერთი ტექსტი გამოაქვეყნეს მიხ. თარნიშვილმა, ნ. ქაჯაიამ, შ. გუგუშვილმა, გრაგნილის ფორმის ჟამისწირვათა მხატვრულად გაფორმების საკითხები კი შეისწავლეს ზ. სხირტლაძემ, ლ. ოსეფაიშვილმა, ე. ედიშერაშვილმა. გრაგნილ ხელნაწერთა შესახებ დაიბეჭდა შ. თავაძის, ნ. მეგენიშვილის, ლ. შათირიშვილის, ნ. ჩხიკვაძის პუბლიკაციები.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ნაშრომებში გაფანტულია გრაგნილი ხელნაწერების შესახებ არსებული ცოდნის ამსახველი მასალა, დღემდე არ არსებობდა ამ საკითხის შესახებ ინტერდისციპლინური კვლევა; ამასთან ერთად არ არსებობდა სისტემატიზებული ერთიანი მონაცემთა ბაზა, ანოტირებული კატალოგები და სხვ.

გრაგნილი ხელნაწერებით მოღწეული ტექსტები ქმნის რამდენიმე ჯგუფს, ესენია: ლიტურგიკული თხზულებები: ჟამისწირვათა და მირონის შემზადებისა და კურთხევის ტექსტები; აპოკრიფები; სულთა მათიანეები, საგვარეულო-საეკლესიო მოსახსენებლები, საგვარეულო ქრონიკები. ამ წერილობითი ნიმუშების ქრონოლოგიური საზღვრები მოიცავს XII-XIX საუკუნეებს.

აღსანიშნავია, რომ იგივე ტექსტები გვხვდება კოდექსის ფორმის ხელნაწერებშიც. ორივე ფორმის არსებობას განაპირობებს სხვადასხვა მიზეზი: ერთი მხრივ, დაიწყო მსხვილი ლიტურგიკული კრებულებიდან საკითხავების გამოყოფა და გრაგნილზე გადანაცვლება, ან ახალი ლიტურგიკული თხზულების გრაგნილზე გადანერით იმის ხაზგასმა, რომ კონკრეტული ტექსტი წარმოადგენს წესს, დოკუმენტს, რომელსაც განუხრელი დაცვა სჭირდება; მეორე მხრივ, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცების ნიადაგზე ქვეყნის რეგიონებს შორის შესუსტებულმა ან განწყვეტილმა პოლიტიკურმა თუ საწარმოებრივმა კავშირებმა, ეკონომიკურმა სირთულეებმა გავლენა იქონიეს წერილობითი ნიმუშების ფორმასა და შინაარსზე.

XII-XVII სს.-ში გრაგნილები გადანერილია ეტრატზე, რომელთაგან ბევრი დაზიანებულია, მომჩვარული, მსხვრევადი, აქვს ჩახევეები და ნახეთქები, კეფები ერთმანეთსაა დაცილებული ან მორღვეული გადაბმით მოსულა დღემდე. XVIII-XIX სს.-ში ერთადერთი საწერი მასალა ქალაქია. ორივე საწერ მასალაზე დაცული ნიმუშების დაზიანება მიუთითებს როგორც საწერი მასალის ვარგისიანობაზე, ასევე მათ ინტენსიურ გამოყენებაზე.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ გრაგნილი ხელნაწერების შესწავლა წამოჭრის არაერთ საკითხს, რომელთა ანალიზი მნიშვნელოვანია. პუბლიკაცია მიზნად ისახავს აღნიშნული მემკვიდრეობის სისტემატიზაცია-კატალოგიზაციას, ინტერდისციპლინური კვლევის შედეგების წარმოჩენას, მის პოპულარიზაციას. გამოკვლევაში წარმოდგენილია როგორც კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საქართველოს ეროვნულ არქივსა და ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მასალის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები, ასევე გათვალისწინებულია ინფორმაცია საზღვარგარეთ დაცული ქართული გრაგნილი წერილობითი ნიმუშების შესახებ.

წინამდებარე ნაშრომი სამი ნაწილისგან შედგება.

პირველ ნაწილში მოცემულია გრაგნილ ხელნაწერებზე დადასტურებული ტექსტების ფილოლოგიური მიმოხილვა, მათი კოდიკოლოგიური ანალიზი, ტექსტოლოგიური კვლევა ქვეყნის პოლიტიკურ-საწარმოებრივი საკითხების გათვალისწინებით, წარმოჩენილია წერილობითი ერთეულის შექმნის თანადროული საზოგადოების, მმართველი წრეებისა თუ სხვადასხვა სოციალური ფენების მიზნები, საჭიროებები თუ მოთხოვნილებები.

მეორე ნაწილში წარმოდგენილია თბილისისა (ხეცი-სა და სეა-ს) და ქუთაისის (ისტორიული მუზეუმი) სიძველეთსაცავებში დაცული თითოეული შესწავლილი გრაგნილი ხელნაწერის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის, მდგომარეობა, დაცულობის ხარისხი, დიაგნოსტიკა, შესაბამისად, გაცემული რეკომენდაციები მათი კონსერვაციისა და რესტავრაციისათვის; ასევე გრაგნილების საწერ მასალად გამოყენებული ეტრატის ლაბორატორიული კვლევით მიღებული მნიშვნელოვანი შედეგები.

მესამე ნაწილი არის გრაგნილ ხელნაწერთა მოკლე კატალოგი, რომელშიც მოცემულია ქრონოლოგიურ და დაცულობის მონაცემთა მიხედვით ხელნაწერების არქეოგრაფიული აღწერილობა: შიფრი, გადანერის ზომები, საწერი მასალა, ავტორი/მთარგმნელი, გადამწერი, ერთეულის დეკორი, ბიბლიოგრაფია.

დანართში მოცემულია ძველი ქართული სასულიერო მწერლობის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიმუში, რომლებიც გვხვდება გრაგნილ ხელნაწერებზე. ტექსტები ქვეყნდება პირველად.

გამოცემას ერთვის გრაგნილ ხელნაწერთან დაკავშირებული ტერმინთა სია, ტექსტების საფუძველზე შექმნილი ლექსიკონი, ძირითადი ბიბლიოგრაფია.

ვფიქრობთ, გამოცემა გააფართოებს ცოდნას გრაგნილი ხელნაწერების შესახებ და მისანვდომს გახდის აღნიშნულ მასალას როგორც სამეცნიერო წრეებისათვის, ისე ამ საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

მრონის შემზადების წესი

ქართული გრაგნილი ხელნაწერების შესწავლისას მნიშვნელოვანია წერილობითი ნიმუშის ფორმისა და მასზე გადწერილი ტექსტის შინაარსის საკითხის განხილვა, რაც გამოავლენს ერთი და იმავე ტექსტების შემცველი ნიგნის ორივე ფორმით შექმნის მიზეზებს. გრაგნილზე შესრულებული ლიტურგურული ტექსტების შესწავლა არის საშუალება, რომ ერთმანეთს დაუკავშირდეს ხელნაწერის როგორც ფორმა და შინაარსი, ასევე სახელმწიფოში მიმდინარე მნიშვნელოვანი სარწმუნოებრივ-პოლიტიკური პროცესი, მიზნები მმართველი საერო და სასულიერო ფენების, ზოგადად, ადამიანთა საერთო ინტერესების მქონე ჯგუფების, ოჯახებისა, რომელთა დაკვეთითაც დამზადდა ესა თუ ის ხელნაწერი.

ლიტურგიკული ხასიათის ტექსტთაგან, რომლებიც კოდექსის ფორმის ხელნაწერებითაც გვხვდება და გრაგნილებზეცაა შესრულებული, სხვა თხზულებებთან ერთად დასტურდება მრონის კურთხევის შემცველი საკითხავები. ისინი ერთგვაროვანი არ არის, გვხვდება სხვადასხვა სათაურით და განსხვავებული მოცულობისა და შინაარსის ტექსტებით, ამიტომაც მნიშვნელოვანია გაირკვეს, როდის ჩნდება ეს საკითხავები ლიტურგიკულ კრებულებში, რა განაპირობებს მათ შორის მსგავსება-განსხვავებას ან რატომ იჩენს თავს ეს ტექსტები კოდექსის ფორმის ხელნაწერებშიცა და გრაგნილებზეც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მრონი არის სურნელოვანი მცენარეული ზეთი, რომელიც გამოიყენება ღვთისმსახურების დროს. მას ათასწლოვანი ისტორია აქვს. მრონი მოიხსენიება ძველსა და ახალ აღთქმებში. ძველი აღთქმის მიხედვით, მრონის შემზადებას საფუძველი ჩაეყარა ღვთის მითითებით (გამოსვლ. 30: 20-25). მოსე წინასწარმეტყველმა დაამზადა მრონი და, ღვთის სიტყვის თანახმად, ჯერ თავის ძმას, აარონს, სცხო მრონი და აიყვანა იგი ისრაელის მღვდელმთავრის ხარისხში, შემდეგ წინასწარმეტყველმა სამუელმა იგივე მოქმედება შეასრულა საულისა და დავითის მიმართ და მათაც სცხო მრონი. მღვდელმთავრებმა, მეფეებმა და წინასწარმეტყველებმა, ღვთის „საგანგებო ბრძანებით“ მიიღეს ეს იდუმალი ცხება სხვა წინასწარმეტყველებისა თუ მღვდელმთავრებისაგან, როგორც მათზე გადმოსული ღვთიური ნიშანი, რათა შეესრულებინათ წმინდა მსახურება.

ახალი აღთქმით ცნობილია, რომ წმიდა მოციქულებმა სულიწმიდის მაღლი ზეციდან სასწაულებრივად გადმოსული ცეცხლით მიიღეს ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, სულთმოფენისას. თავდაპირველად სულიწმინდის მაღლი მორწმუნეებზე გადადიოდა წმიდა მოციქულებისაგან ხელის დადებით (საქმენი 8, 16-17), რომელიც მალევე შეცვალა მრონის ცხებამ.

ქრისტიანულ რელიგიაში მრონი გამოიყენება ნათლობისა და მრონცხების, სამღვდელმსახურო ხელდასხმისა და საეპისკოპოსო კურთხევის აღსასრულებლად, ეკლესიების, საკურთხევლების კურთხევისათვის. მრონის დამზადება და კურთხევა ეკლესიის ავტოკეფალიურობის დასტურია. მრონი საქართველოში იხარშებოდა და იკურთხებოდა მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, მაგრამ რომელი საუკუნიდან დაიწყო ხარშვა, ამ საკითხზე არაერთგვაროვანი პასუხი არსებობს (სურგულაძე 2016:169). ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა V საუკუნის II ნახევარში, ვახტანგ გორგასლის დროს¹, მიიღო, მაგრამ საბოლოოდ მსოფლიოს VI საეკლესიო კრებამ (ჩატარდა 681 წ.-ს) მიანიჭა მცხეთის კათალიკოსს მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელი პატრიარქების ბადალი პატივი და ღირსება. ამავე დროს მცხეთაში დაიწყო წმიდა მრონის კურთხევა და გარკვეული დროის შემდეგ იგი აღმოსავლეთში მართლმადიდებელთა ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი გახდა (ტყეშელაშვილი 2012: 74). გიორგი მერჩულის აგიოგრაფიულ თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (X ს., 951 წ.) არის ცნობა მრონის კურთხევის შესახებ. ტექსტში ვკითხულობთ: „...პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალემით მოჰყვანდა. ხოლო ეფრემ ქრისტესმიერთა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევა ქართლს განანესა იერუსალემისა პატრიარქისა განწესებითა“. ეს ცნობა ქართველ მეცნიერებს აძლევდა ვარაუდის საშუალებას, რომ მრონის

¹ ამ საკითხზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები აქვს შესრულებული არაერთ მკვლევარს. ესენი არიან: ზ. ალექსიძე, ნ. ბერძენიშვილი, ე. ბუბულაშვილი, ვ. გოილაძე, კ. კეკელიძე, ნ. ლომოური მ. ლორთქიფანიძე, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ან. ჯაფარიძე და სხვ.

კურთხევა ქართლში დაწესდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფის, ეფრემ ანყურის ეპისკოპოსის (843-885 წწ.), ძალისხმევითა და იერუსალიმის სერგი პატრიარქის თანხმობით, 843-856 წლებს შორის (ჯავახიშვილი 1983: 120). მანამდე ქართლი მირონს იღებდა ანტიოქიიდან და მხოლოდ ეფრემ მანყვერელმა მოაგვარა მირონის საკითხი ქართლში². ანუ ტექსტში ხაზგასმულია, რომ მირონის კურთხევა განეწესა ქართლს, რომელიც მოიცავდა ტაო-კლარჯეთსაცა და ჯავახეთსაც (ბერძენიშვილი 1966: 50).

ისტორიული წყაროებისა და ზემოხსენებული აგიოგრაფიული თხზულების, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, ცნობილია, რომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები ვითარდებოდა VIII-IX სს.-ში დასავლეთ საქართველოშიც, ანუ აფხაზთა სამეფოშიც. VIII ს.-ში აფხაზთა მთავარმა, ლეონ აფხაზთა ერისთავმა, გააერთიანა ეგრის-აფხაზეთი, ბიზანტიის ვასალობისაგან დაიხსნა თავი და „სამეფოდ ჩამოაყალიბა“ (ლორთქიფანიძე 1973: 418). რამდენიმე ათეული წლის შემდეგ აფხაზეთის ტახტი დაიკავა დემეტრე II-მ (826-851წწ), რომელსაც ბრძოლა უწევდა ბიზანტიასთან დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, ამასთან დიდად უწყობდა ხელს ქართლის კათალიკოსის გავლენის გაძლიერებას დასავლეთ საქართველოში. მისი თხოვნით ააგო გრიგოლ ხანძთელმა დასავლეთ საქართველოში უბჭს, ანუ უბისას, მონასტერი, რომელშიც „ილარიონ ვინმე, იერუსალიმით მოსრული, სარწმუნო მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად“... (აგიოგრაფიული ძეგლები 1963:268). როგორც ცნობილია, უბისას წინამძღვარი თავად გრიგოლ ხანძთელი გახდა. ეს კი მიუთითებს იმას, რომ აფხაზთა მეფეები საფუძველს უყრიდნენ მომავალ ერთობას ეკლესიის გაერთიანებით, მამასადმე, მათი გაქართულებით; ამით ამზადებდნენ ნიადაგს მომავალი პოლიტიკური გაერთიანებისათვის. მცხეთა კი ამ პოლიტიკურ მთლიანობას ერთსა და მთლიან კულტურულ შინაარსს აძლევდა (ბერძენიშვილი 1966:50).

მცხეთიდან დაიწყო ქრისტიანობა ქართლში, აქ იყო დაფლული უფლის კვართი, იგივე „ცხოველი სვეტი“, რომელზედაც ამოსულიყო „ლიბანის“ ნაძვი. მეფე მირიანმა მას წმინდა წინოს მეშვეობით მიაკვლია და ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ თავის სამეფო ბაღში, სადაც იდგა ნაძვი, ააგებინა უფლის ტაძარი. იმ დროიდან სვეტიცხოველი „ქართველი მორწმუნის წარმოდგენაში, თავისი მნიშვნელობითა და ძალით, რასაკვირველია, აღემატებოდა ყველა სხვა წმინდეს. ამიტომ ჰქონდა სვეტიცხოველს განსაკუთრებული მიზიდულობა“ (სურგულაძე 2016:17-18).

მცხეთაში მირონის ხარშვაზე, როგორც ცნობილია, ცნობები არაერთგვაროვანია, სამწუხაროდ, მირონის ხარშვისა და კურთხევის ამსახველი ადრეული ტექსტები ქართულ წერილობით წყაროებს არ შემოუნახავს. შესაძლებელია, იყო და ჩვენამდე ვერ მოაღწია, როგორც ბევრმა ლიტერატურულმა ძეგლმა, ან არც შემორჩა ადრეულ ლიტურგიკულ კრებულებს. მირონის კურთხევის საკითხავი მხოლოდ XVI საუკუნიდან ჩნდება *კოდექსის ფორმის* ხელნაწერ „კურთხევანებში“. ასეთი „კურთხევანების“ რიცხვი არცთუ ბევრია. ესენია:

- A 294, XVI ს., ხელნაწერის მხოლოდ გადამწერია ცნობილი: „ღმერთო, შეიწყალე აბელი მწერალი ცოდვილი“ (*მირონის კურთხევის საკითხავი*: 63V-66v) (აღწერილობა (A), 1980:194).
- A450, (XVI ს.) XVII ს³, ხელნაწერს ერთვის ანდერძი, რომელიც მოიცავს ორ გვერდს; გადამწერი გვამცნობს, რომ წიგნის გადწერა დასრულდა ქაჯის ციხეში (*მირონის*

² გიორგი მერჩულე მცხეთას არ ახსენებს და წერს, რომ მირონის მომზადება სერგი იერუსალიმელის „წამებითა“ და შუამდგომლობით, ასევე ეფრემ მანყვერელის დიდი მზრუნველობით დაწესდა ქართლში. ისიც აღსანიშნავია, რომ ტაო-კლარჯეთი მცხეთის სამწყსოში შედიოდა. ამაზე უნდა მიუთითებდეს ჯავახეთის საეკლესიო კრება (IX ს. შუა წლებში). აქ კარგა ხანია კულტურული „ქართლია“ და მცხეთას ნაკურთხი მირონიც აქ სავალდებულოა - (ბერძენიშვილი 1966: 50, შენ.43).

³ ხელნაწერის დათარიღებასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობაა. პალეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით, თედო ჟორდანიას XVI საუკუნით ათარიღებს, ხოლო ლილი ქუთათელაძე – XVII საუკუნით. თედო ჟორდანიას მოსაზრებას იზიარებს თემურ ჯოჯუა, რომელიც ეყრდნობა ქაჯისციხესთან დაკავშირებული ისტორიული რეალიების ანალიზს. მისი აზრით, თედო ჟორდანიას მოსაზრება უფრო სწორია და A-450, მართლაც, XVI საუკუნეშია გადამწერილი. ამგვარი დასკვნის შესაძლებლობას, უპირველესად, მას აძლევს ასეთი გარემოება: 1578 წელს ოსმალო სარდალმა მუსტაფა ლალა ფაშამ იერიშით აიღო ქაჯისციხე, მთლიანად გაანადგურა ქართველთა გარნიზონი და ციხეში საკუთარი რაზმი ჩააყენა (საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“: მოხსენებათა თეზისები, თ. ჯოჯუა, ქაჯისციხის წმ. სტეფანეს ეკლესიაში გადამწერილი XVI საუკუნის „კურთხევანის“ (A-450) ანდერძი, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 2010, გვ.76-80).

კურთხევის საკითხავი: 246v-250v) (აღწერილობა (A), 1986:137-145; კოჭლამაზაშვილი 1998).

- A1505, XVII ს., ხელნაწერი არის თავბოლონაკლული (მრონის კურთხევის საკითხავი 51v-53v) (აღწერილობა (A) 1955:46-49).
- H1719, 1667 წ., გადამწერი: მღვდელი გაბრიელ ბოკუჩავა, შემკვეთი: მოძღვართმოდვარი ნალენჯიხელი ილარიონი, გადამწერის ადგილი: ნალენჯიხის მონასტერი (მრონის კურთხევის საკითხავი: 206v-208v) (აღწერილობა (H), 1950:152-153).
- Q106, XVIII ს., ხელნაწერი ჩამოტანილია ჩხარიდან (მრონის კურთხევის საკითხავი: 231v-232v) (აღწერილობა (Q) 1957:130).

მოღწეული ტექსტები მოიცავს ორ ნაწილს: „კურთხევაჲ მრონისაჲ დიდსა ხუთშაბათისაჲ, რომელი იქმნების პატრიარქისა მიერ“ და ერთვის „შეყრაჲ მრონისა ნამალთაჲ“. მრონის კურთხევის ტექსტში აღწერილია მხოლოდ მრონის კურთხევის პროცესი, რომელიც იწყება ლოცვათა წარმოთქმით, სრულდება კვერეცით და მოჰყვება მითითება, რომ აღსრულდეს შეწირვა „წმიდისა მსხუერპლისაჲ“. იმავე საკითხავს ებმის წითლით გამოყოფილი „შეყრა წმიდისა და დიდისა მრონისა ნამალთა წმიდა და დიდ ხუთშაბათს.“ ტექსტებში მითითებულია 30-ზე მეტი სურნელოვანი მცენარე, რომლებიც საჭიროა მრონის მოსადუღებლად. „ნამალთა სახელები“, გამონაკლისის გარეშე, დაწერილია ქართული ასოებით, მაგრამ წარმოდგენილია ბერძნული ლექსიკით; ჩამონათვალს ასრულებს ფრაზა: „ამათ ყოველთა ნამალთა ერთად უნდა შეყრა და დუღებაჲ, ვითარცა „დიდნი კურთხევანი“ მოგვითხრობენ... ესე ნამალნი კოსტანტიპოლეს სოფიანშიდა პატრიარქისაგან არის გადმოწერილი მისთა კურთხევანთაგან, ძმანო“. საკითხავის ბოლო წინადადება ტექსტის წარმომავლობაზე მიუთითებს და აზუსტებს, რომ ის ბერძნულიდან მომდინარეობს. ტექსტები მხოლოდ ორთოგრაფიულად სხვაობს ერთმანეთისაგან.

როგორც ვხედავთ, მრონის კურთხევის ტექსტები მოკლეა და მასში აუცილებელ პირობად მითითებულია, რომ მსახურებას პატრიარქი აღასრულებს, ხოლო მღვდელს წმინდა საკურთხეველში მრონი შეაქვს. „კურთხევანებში“ დადასტურებული ტექსტების მიხედვით, აღწერილია უკვე დამზადებული მრონის, სურნელოვანი ზეთის, კურთხევა.

როდის უნდა დამატებოდა ეს საკითხავები კრებულებს? როგორც „დიდი კურთხევანის“ გამომცემელი ე. ჭელიძე მიუთითებს, XIII-XVI საუკუნეებიდან ძველ მასალასთან ერთად თავს იჩენს უცნობი კურთხევითი ლოცვები, რომლებსაც უფრო ადრეული წარმომავლობა შეიძლება ჰქონდეს (დიდნი კურთხევანი 2002: 7). ამდენად, შესაძლებელია, მრონის კურთხევის საკითხავიცა და შესამზადებელ ნამალთა ჩამონათვალიც ადრეული წარმომავლობისა იყოს.

„კურთხევანის“ ქართული ტექსტი რედაქციულ ცვლილებებს განიცდიდა XI საუკუნიდან XVII საუკუნის მიწურულამდე. XVIII საუკუნის დასაწყისში, 1705-1708 წწ.-ში, ტექსტების ნაირგვარობისა და განსხვავებულობის გამო დომენტი კათალიკოსმა საჭიროდ ჩათვალა ახალი „კურთხევანის“ შედგენა და ეს საქმე დაავალა სამთავისის ეპისკოპოს კვიპრიანე სამთავნელს, რომელმაც კრებულის დიდი ნაწილი ხელახლა თარგმნა ბერძნულიდან⁴ და ამით ქართული ლიტურგიკული პრაქტიკა დაუახლოვა ეპოქის თანადროულ ბერძნულს. არსებობს „კურთხევანის“ თარგმანის შემოკლებული და ვრცელი რედაქციები. სამთავნელისეული თარგმანი დღემდე რჩება, როგორც „კურთხევანის“ ერთადერთი დაკანონებული ტექსტი (დიდნი კურთხევანი 2002: 4-5).

1713 წელს ვახტანგისეულ სტამბაში დაიბეჭდა „კურთხევანის“ კვიპრიანე სამთავნელისეული თარგმანი, მრონის კურთხევის ტექსტის შემცველი, რომელიც, XVI-XVII სს.-ების ხელნაწერ „კურთხევანთა“ ვერსიისგან განსხვავებით, სამი ნაწილისაგან შედგება, ესენია: „ნესი და კურთხევა წმიდისა მრონისა“, „მოსეს მიერ მრონი სარწმუნოებისა“, „მასალა მრონისა ესე არს“ („კურთხევანი“ 1713: 324-329). ამ ვერსიაშიც, ზემოგანხილული ტექსტების მსგავსად, მრონის კურთხევა მხოლოდ აღწერილი და არა ხარშვის პროცესი, რომელიც სასულიერო პირთა მეშვეობით ლოცვით წარიმართება⁵.

⁴ რა ბერძნულ წყაროებს ეყრდნობოდა კვიპრიანე სამთავნელი მრონის კურთხევასთან დაკავშირებული ტექსტების თარგმნისას, ძნელი სათქმელია. როგორც ე. ჭელიძე წერს, კ. კეკელიძის მითითებით, ბერძნული ტექსტი, საიდანაც თარგმნიდა კვიპრიანე სამთავნელი, იყო ხარვეზების შემცველი გამოცემა, თავად მთარგმნელის ბერძნული ენის არასახარბიელო ცოდნაც სხვადასხვა ცთომილების მიზეზი გამხდარა და სხვ. (დიდნი კურთხევანი 2002: 4).

⁵ ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ბოლოს 2011 წელს აკურთხა მრონი. მსახურება შესრულდა ტექსტით, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით მიჰყვება კვიპრიანე სამთავნელისეულ თარგმანს („კურთხევანი“ 1713: 324-329).

ზემოაღნიშნული ხელნაწერების გარდა, ცალკე დგას 3 ხელნაწერი, რომლებიც შეიცავენ მირონის შემზადების შესახებ სრულიად განსხვავებულ ტექსტს⁶. სამივე ტექსტის სათაურში ხაზგასმულია, რომ თხზულებაში საუბარია მირონის შემზადებაზე მცხეთაში, სვეტიცხოველში. ორი ხელნაწერი მოღწეულია გრაგნილის ფორმით, მხოლოდ ერთია კოდექსი. ამ ტექსტის შემცველი გრაგნილი Q-1069 და კოდექსი S-352 დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში, ხოლო გრაგნილი 1446/409 - საქართველოს ეროვნულ არქივში. მათგან ყველაზე ადრეული უნდა იყოს კოდექსის ფორმის ხელნაწერი S-352; მას არ აქვს ანდერძ-მინაწერები, შესაბამისად, არ შეიცავს ხელნაწერის დამზადების შესახებ ინფორმაციას. ხელნაწერის აღმწერელი ქრ. შარაშიძე, შედგენილობის მიხედვით, მას „კურთხევანს“ უწოდებს და XVIII საუკუნით ათარიღებს. კრებულში 76 ფურცელია, ნაწერია ქალაღდზე. წიგნში მირონის შემზადებისა და კურთხევის გარდა, წარმოდგენილია სხვა საკითხავებიც „კურთხევანიდან“. ჩვენთვის საინტერესო საკითხავი მირონის შემზადებასა და კურთხევაზე 9r-33v-ზეა გადაწერილი (აღწერილობა (S) 1959: 408-409). ხელნაწერი გამოიკვლია კ. კეკელიძემ. „კურთხევანის“ ყველა საკითხავი მის პუბლიკაციაში წარმოდგენილია რუსული თარგმანით. კ. კეკელიძე ამ „კურთხევანს“ აცხადებს XVII საუკუნეში გადაწერილად XV საუკუნის ნუსხიდან (Кекелидзе 1908: 166-167). მეცნიერის ვარაუდი დედნად XV საუკუნის ხელნაწერის გამოყენებისა ეყრდნობა ტექსტის ერთ პასაჟს, რომელშიც გადმოცემულია, რომ მირონის ხარშვის მონაწილენი აღავლენენ ლოცვას უფლისადმი და იხსენიებენ დიდ ბაგრატიონ მეფეებს: გიორგისა და დავითს, აფხაზეთისა და საქართველოს თვითმპყრობელთ, ღირს მთავარებისკოპოსს, მიქაელ აფხაზეთის წმიდა კათალიკოსს. ამ ისტორიული პირების შესახებ თარიღებს მეცნიერი უთითებს დ. ბაქრაძის შედგენილი ქრონოლოგიური ცხრილის მიხედვით, რომელიც ერთვის ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიას“ (ვახუშტი, 1885: 339; Кекелидзе 1908:166, სქ.1). მკვლევრის აზრით, მოყვანილ ნაწყვეტში იხსენიებიან გიორგი VII, რომელიც აღესრულა 1407 წელს და მისი ვაჟი დავით VIII, რომელიც გარდაიცვალა 1413 წ.-ს. ან, შესაძლებელია, ეს ორი ბაგრატიონი იყოს დავით VIII და მისი ვაჟი გიორგი VIII, რომლებიც რომლებიც ქვეყანას მართავდნენ 1414 წელს აღსრულებულ კონსტანტინე II-სთან ერთად.⁷

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული „მირონის შემზადებისა და კურთხევის“ ტექსტის შემცველი კიდეც ერთი გრაგნილი Q-1069 1720 წელსაა გადაწერილი, რასაც გვაუწყებს საკითხავში ჩართული ანდერძი: „სახელები ესე დავსწერე სრულსა კოდიკასა⁸ შინა ქრისტეს მიერისა დიდისა ეკლესიისა ჩუჴნისა, ქორონიკონს ათას შვიდას და ოცსა, თვესა მარტსა“ (კ. 14r). ხელნაწერი ვრცელია. მასში მირონის ხარშვისა და კურთხევის წესთან ერთად შეტანილია რამდენიმე საკითხავი „კურთხევანიდან“. ხელნაწერში დადასტურებული საკითხავების მიხედვით, გრაგნილი წარმოადგენს ლიტურგიკული ხასიათის კრებულს, განკუთვნილს ქართული ეკლესიისათვის⁹. ნაწერია შავი მეღვინით, საზედაო ასოები და მნიშვნელოვანი ადგილები - წითლით. დღესდღეობით ხელნაწერის 26 კეფია შემორჩენილი, მაგრამ უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო, რადგან გრაგნილი ბოლონაკლულია და წყდება 26-ე კეფზე. მოკლე ინფორმაციას იძლევა ამ გრაგნილზე კ. კეკელიძე. ეს ილიტარიონი, როგორც უწოდებს მას მკვლევარი, უწინ ინახებოდა საეკლესიო მუზეუმის სიგელებისა და გუჯარების განყოფილებაში. მუზეუმში მოხვედრამდე კი ეკუთვნოდა სვეტიცხოველს (Кекелидзе 1908: 214). როდის აღმოჩნდა იგი ახალ Q ფონდში, უცნობია.

⁶ საიდან მომდინარეობს ხელნაწერებში დაცული ეს ტექსტი, დღესდღეობით გარკვეული არ არის. თუმცა ცნობილია, რომ სვიმეონ თესალონიკელმა მე-15 საუკუნეში ბერძნულად შეადგინა მირონის მომზადებისა და კურთხევის ტექსტი, რომლის სათაურია: „Περὶ τῆς ἱεράς τῆς ἀγίας μύρου“ (De sacro ritu saucti unguenti). ბერძნული ეკლესია დღემდე ამ ტექსტს იყენებს. თხზულებაში წარმოდგენილია მირონის მომზადებისა და კურთხევის წესი. ამ ტექსტის ბერძნული ვერსია გვხვდება Migne, PG. CLV (155), 237–252 coll. რა გავლენა აქვს ბერძნულ ტექსტს ქართულზე, ამის თაობაზე მსჯელობა მხოლოდ ბერძნული და ქართული ტექსტების დანვრილებითი შედარების შემდეგაა შესაძლებელი. ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ ისინი მკვეთრად სხვაობენ ერთმანეთისაგან.

⁷ ვფიქრობთ, ეს ინფორმაცია დღესდღეობით მოკლებულია მართებულობას. ზემოხსენებული მონაცემის მიხედვით, კონსტანტინე II 1414 აღესრულა. სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს კონსტანტინე I (1407-1411), ხოლო კონსტანტინე II ალექსანდრე I-ის შვილიშვილი იყო.

⁸ „კოდიკა“ იხ. ტერმინები

⁹ გრაგნილში შესული საკითხავების მიხედვით მას შეიძლება „კურთხევანიც“ ეწოდოს, მაგრამ აღმწერელი ხელნაწერს კონდაკს უწოდებს, ვფიქრობთ, გრაგნილი ფორმისა და ანდერძში მოხსენიებული ტერმინ „კოდიკას“ გამო.

საქართველოს ეროვნული არქივის გრაგნილი (სეა 1446/409), მოცულობით განსხვავდება ხეც-ის¹⁰ გრაგნილისაგან. სეა¹¹-ს გრაგნილი შეიცავს მხოლოდ ერთ საკითხავს, „მირონის შემზადების წესს“, ამიტომ ის შედარებით მოკლეა და მხოლოდ 14 კეფისაგან შედგება; გადარჩილია XVIII საუკუნეში, ზუსტი თარიღი მითითებული არ არის. ტექსტი შემონახულია ჩინებულიად, იკითხება კარგად. სათაური და მუხლების დასაწყისი ასოები ნაწილობრივ ნითლით, ხოლო ტექსტი - შავი მელნით. ამ ხელნაწერს კ.კეკელიძე არ იცნობს.¹²

სამივე ტექსტს ახასიათებს იოტამეტობა.

ამ ორ გრაგნილს, გარდა შედგენილობისა და ზომისა, განასხვავებს ერთი ხელშეახები და თვალსაჩინო რამ, კერძოდ: Q-1069-ის პირველი საკითხავის, ანუ „მირონის შემზადების“, დასაწყისი და დასასრული ერთგვარად გავრცობილია. ორივე ნაწილს აქვს დამატებული პასაჟები ძირითადი ტექსტისაგან საგანგებოდ ნითლით გამოყოფილი, ანუ ამით ხაზი აქვს გასმული ინფორმაციის მნიშვნელოვნებას. ტექსტის დასასრულს გვხვდება „შეისწავე“ (7 სტრიქონი, შესრულებული შავი მელანითა და ნითელი საზედაო ასოთი) და ასევე ნითლით დანერგილი „მოსეს მიერ მიწრონი სარწმუნოებისა.“ იმისთვის, რომ გაირკვეს, რა სახის განსხვავებული ნაკითხვები არის ხსენებულ გრაგნილში, საიდან მომდინარეობს ეს სხვაობები და რა ფუნქციას ასრულებს, უნდა განვიხილოთ XIII საუკუნით დათარიღებული ერთი ისტორიული ხასიათის დოკუმენტი (თაყაიშვილი 1907: 82-83; დოლიძე 1965: 47), რომელიც წინ უძღვის „მირონის შემზადების“ ტექსტს S-352-ში. მასში ვკითხულობთ, რომ დიდი კამათი და დავა შექმნეს ეპისკოპოსებმა მირონის კურთხევის გამო, რაც არ მოეწონა ღმრთივგვირგვინოსან მეფე არჩილს და ამის აღმოსაფხვრელად ბრძანა წესრიგის დამყარება; მიქაელ ქართლის კათალიკოზმა აკურთხა წმიდა მირონი. ამავე საბუთში იხსენიებიან: ათაბაგი, ქართლისა ერისთავი, სპასალარი, სომხითისა ეპისკოპოსი, ყოველნი ერისთავნი, რომლებიც შეიკრიბნენ დიდ ხუთშაბათს მცხეთას მირონის საკურთხებლად. საბუთში მოხსენიებული სასულიერო პირებისა და საერო მოხელეების ტიტულატურა XIII-XIV სს.-ისაა, ხოლო „ღმრთივ-გვირგვინოსანი მეფე არჩილის“ ტექსტში მოხსენიება არის დოკუმენტის უძველესი შრე და უნდა იგულისხმებოდეს VIII საუკუნის შუა ხანების მოღვაწე მეფე არჩილი (სურგულაძე 2016: 170). სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით ვარაუდობდა კ. კეკელიძე, რომ მირონის კურთხევის უფლება დანესდა არა IX საუკუნეში, სერგი პატრიარქის დროს, არამედ არჩილ მეფის ზეობის პერიოდზე ადრეც (კეკელიძე 1957:254 სურგულაძე 2016:170; სქ. 91) .

დოკუმენტით ასევე ირკვევა, რომ მირონის დამზადების მსახურებაში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა სასულიერო პირი. თითოეულს ჰქონდა თავისი როლი და დანიშნულება, ასევე მიჩენილი კონკრეტული ადგილი. მაგალითად, მირონის კურთხევისას სომხითის მიტროპოლიტი უნდა მდგარიყო იმ მასალასთან, რომლითაც იხარშება მირონი. მას ქადაგთან ერთად კეტების, ანუ ჯოხების მემკვიდრეობით საკურთხეველიდან უნდა გამოეტანა მირონის ქვაბები და წინ დამდგარიყო, კეტის წინა დაბოლოება მიტროპოლიტს უნდა სჭეროდა, უკანა – ქადაგს. თუ მიტროპოლიტი მწირველიც იყო, თეთრი შესამოსელი უნდა სცმოდა, თუ არა, უნდა დაეხურა ატლასის ქუდი, ანუ „ატლასისა მოყუნტუზული“¹³ ჩაჩი“.¹⁴

მირონის მეორე ქვაბიც ასეთივე კეტებით უნდა გამოეტანათ მთავარეპისკოპოსსა და მანყვერელს. მირონს ტაკუკში განაზავებდნენ, რომელიც ხელში მანყვერელს ეჭირა, ტაკუკს ქადაგი დაბეჭდავდა (დალუქავდა) ხოლმე. შემდგომ მირონს კოკებში ასხამდნენ და ეპისკოპოსებს ურიგებდნენ, რომლებიც ანთებული კელაპტრებითა და მირონით სავსე კოკებით ხელში სვეტიცხოველს გალობით უვლიდნენ გარს.

Q-1069-ის დასაწყისში ნითლით შესრულებული ვრცელი სათაური იუნყება, რომ მცხეთაში, სვეტიცხოველში, მზადდება მირონი, „რომელი გუჴსწავა წმიდათა მართლმადიდებელთა მამათა და კრებათა მიერ დამტკიცებით“. წმინდა მირონის დამზადება და კურთხევა კათალიკოსის გარეშე შეუძლებელია. როდესაც მას ენებოს „მოღულება და კურთხევა მიწრონისა“,

¹⁰ ხეც-ი = ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

¹¹ სეა = საქართველოს ეროვნული არქივი

¹² კ. კეკელიძის ნაშრომი 1908 წელს გამოქვეყნდა, გრაგნილი 1446/409, როგორც შენორულია, სეა-ში შევიდა 1924 წელს.

¹³ ლექსემა მოყუნტუზული/ყუნტიზული ჩვენ ხელთ არსებულ ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ, ამჯერად მხოლოდ ვარაუდს გამოვთქვამთ, რომ მისი მნიშვნელობა უნდა იყოს: მჭიდროდ მომდგარი, მოტმასნილი.

¹⁴ გრძელი ქუდი (ორბელიანი 1993: 316).

მაშინ იკრიბება ექვსი, შვიდი ან ცხრა მიტროპოლიტი და მთავრებისკოპოსი. მირონის დასამზადებელ საჭირო მასალასთან მიჩენილი აქვს ადგილი ახტალის მიტროპოლიტს, მისი არყოფნის შემთხვევაში ეს საქმე ევალება მთავარებისკოპოსს, ხოლო თავმოყრილი „ყოველი სურნელი და მასალა“ აზარია ქადაგს, რომელსაც აუცილებლად უნდა ეხუროს მოყუნტუზული ჩაჩი (= ეხუროს მჭიდროდ მომდგარი გრძელი ქუდი).

Q-1069-ის ტექსტის ერთ-ერთ ბოლო აბზაცად წარმოდგენილია „შეისწავე“: „კვრიაკესა მენელსაცხებელთასა“¹⁵ ნაკურთხ მირონს ქვაბიდან ასხამენ სპილენძის კოკებში და კათალიკოსი თითოეულ შემოსილ მღვდელთმთავარს ურიგებს მათ, რომ დაიკავონ ხელში და სიარულისას წარმოთქვან მენელსაცხებელთა კვირის საგალობლები („ოხითა იბაკოჲსა“)¹⁶. შემდეგ უნდა შემოუარონ სვეტიცხოვლის ტაძარს საგალობლების გალობით და, როდესაც დასრულდება საღმრთო ჟამისწირვა, მიიტანონ კოკები შესანახავად „განმზადებულსა განკუთვნილსა ადგილსა“ და, თუ ვინმე ინებებს, მისცენ (კ.14).

S 352-ის დოკუმენტის ტექსტის გავლენა აშკარაა Q-1069-ზე, ანუ გრაგნილი ხელნაწერის დასაწყისსა და დასასრულზე. დოკუმენტის ტექსტი, განახლებული და გადასხვაფერებული, ეპოქის პოლიტიკური და საეკლესიო რეალობის გათვალისწინებით შედგენილი, განაწილებულია Q-1069-ის დასაწყისსა და „შეისწავეში“. S-352-ის ტექსტისგან განსხვავებით, გრაგნილის დასაწყისსა და „შეისწავეს“ მოცილებული აქვს კონკრეტული ისტორიული ეპოქის იერი, აღარ იხსენიებიან მირონის კურთხევისას მონაწილეები: მეფე არჩილი, მიქაელ ქართლის კათალიკოზი, ათაბაგი, ქართლის ერისთავი, სპასალარი, სომხითისა ეპისკოპოსი, შეცვლილია რიტუალის მონაწილეთა სასულიერო პირთა ტიტულები. ორივე ტექსტში დასახელებული არიან სასულიერო იერარქიის წარმომადგენლები, მათი ფუნქციები, მოვალეობანი, საერო პირების მოხსენიება კი Q-1069-ში სრულიად გამქრალია. „შეისწავენი“ მირონის დაბინავების რიტუალს ასახავს. ტექსტიც უფრო ზოგადია, მაგრამ გავლენა, ვფიქრობთ, უდავოა. მოვიყვანთ ორივე ტექსტს სრულად.

S-352-ში ვკითხულობთ: „დიდნი შფოთნი და ამბოხებანი იქმნებიესებისკოპოსთანცილობისათვინ და ღვთივ-გვირგვინოსანმან მეფემან არჩილ არასათნო იჩინა ამათ შფოთთა ქმნა და გვიბრძანა განაჩენად, ვითარცა ნიშანთა შეეცყუებოდა და ხელ-ვჰყავით მე, გლახაკმანმიქიელ ქართლისა კათალიკოზმან და ვაკურთხე წმინდა მირონი. ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლის ერისთავი, სპასალარი და ყოველნი მღვდელთ-მოძღუარნიშემოკრბენ მცხეთას დიდსა ხუთშაბათსა, დიდსა სომხითის მიტროპოლიტსა მართებს ნივთთა ზედან დგომა და ქვაბნი საკურთხეველთათ გამოიხვნეს, მიტროპოლიტსა და ქადაგსა ეტვირთენ კაცნი ქვაბთანი, წინათ კეტთა მიტრაპოლიტი შეუდგენ და უკანათა ქადაგი თუ მწირველი არ იყოს, თეთრსა ატლასის ჩაჩი თავსა ებუროს ყუნტიზული. მეორეთა ქვაბთა მთავარებისკოპოზი ქვეშე შეუდგეს და წინა მივიდოდეს და უკუანა მთავარებისკოპოზი მიყვებოდეს, და რაჟამს განაზავებენ ტაკუკსა, ტაკუკი მანყვერელს ეტვირთოს და ყოელთა ეპიზკოპოსთა თითო კოკა მირონისა ეტვირთოს, და კეროვნები სვეტსა ცხოველისა გარე-მოადგენ და კათოლიკე ეკლისიისა გალობასა გალობდენ“.

Q-1069: „შემზადებაჲ წმიდისა და ღმერთმყოფელისა მიჰრონისა, ვითარ-იგი სრულ-იქმნების მცხეთას წმიდა კათოლიკე სამოციქულო დიდისა ღმრთისაჲ ეკლესიასა ცხოველს მყოფელსა სუჭტსა ცხოველსა შინა, რომელი მოგუჭტა და გუჭტსნავა წმიდათა მართლმადიდებელთა მამათა და კრებათა მიერ დამტკიცებით. ხოლო ესეცა საცნაურ არს, რამეთუ სხვსა არავისგან შეიმზადების და არცაჲ იკითხვის წმიდაჲ მიჰრონი, თვნიერ კათალიკოზისა მიერ. ხოლო ესეცა საცნაურ არს: ოდეს ენებოს კათალიკოზსა მოდულებაჲ და კურთხევაჲ მიჰრონისა, მაშინ შემოკრიბოს მიტროპოლიტნი და მთავარეფისკოპოსნი, ცხრანი, გინაჲშვდნი, ანუ ექუსნი. და ყოველთა ნივთთა ზედა დგომაჲ მართებს მიტრაპოლიტსაჲ ახტალისა, და უკუეთუ მიტრაპოლიტი არ იყოს, მთავარებისკოპოსისა ჯერ არს. და ყოველი სურნელი და მასალაჲ ერთგან შეკრებული ქადაგსა ებაროს და ქადაგსა ეცვას მოყუნტუზული ჩაჩი“.

¹⁵ უნდა იგულისხმებოდეს მენელსაცხებელ დედათა კვირა: მარიამ მაგდალენელის, მარიამ კლეოპასი, სალომესი, იოანასი, მართასი და მარიამისა, სუსანასი და სხვ..

¹⁶ კ. კეკელიძე S-352-ის რუსულ თარგმანში შესაბამის ადგილას „ოხითა იბაკოჲსას“ ტროპარად თარგმნის (K.Кекелидзе 1908: 168)

„შეისწავე: „ვითარმედ კვრიაკესა მენელსაცხებელთასა გარდამოიღონ ქუაბი მიჰრონისა მის კურთხეულისა და შთაასხან სპილენძისა კოკათა შინა. და მისცეს კათალიკოზმან შემოსილსა თითოსა მღვდელთმთავარსა და ეტკრთოს, რაჲ მღვდელთმთავარსა მათ წარმოვიდენ მუნ ქუაბითგან და იტყოდინ მგზავრ ოხითა იბაკოესა მენელსაცხებელთა კვრიაკესასა. და შემოუარონ გარემო სუჭტსა ცხოველსა და გალობდენ ოხითა იბაკოესა სუჭტის ცხოველისასა და მერმე დასდგან წინაშე მისსა კოკანი იგი, რომელი უტკრთავსთ მღვდელთმთავრთა, და ოდეს დასრულდეს საღმრთოჲ ჟამისწირვაჲ, წარიღონ კოკანი იგი და დაკრძალონ განმზადებულსა განკუთვნილსა ადგილსა და, ოდეს ვისმე ენებოს, მიეცინ“ (Q-1069: კ.13).

Q-1069-ის დამამთავრებელი აბზაცი კი არის წითელი საზედაო ასოებით შესრულებული ტექსტი: „მოსეს მიერ მიჰრონი სარწმუნოებისა“. იგი ზედმიწევნით მიჰყვება დომენტი კათალიკოსის ინიციატივით კვიპრიანე სამთავნელის თარგმნილი და ვახტანგისეულ სტამბაში 1713 წელს დაბეჭდილი „კურთხევანის“ საკითხავის – „წესი და კურთხევა მირონისა“ – დამამთავრებელი ნაწილის ტექსტს, რომელიც იუწყება, რომ მოსეს მირონი ოთხი ნივთიერებისაგან შედგებოდა და არ დუღდებოდა (იხ. კურთხევანი 1713: 324-329).

სხვაობა თვალსაჩინოა „მირონის შემზადების“ ტექსტების შუა ნაწილშიც. ხეც-ის გრაგნილი ხელნაწერი (Q-1069), უმეტესწილად, მისდევს S-352-ს, მაგრამ არის რამდენიმე პასაჟი, რომლებშიც ტექსტების წაკითხვა განსხვავებულია. S-352-ის ერთ-ერთ ადგილას გვხვდება ადრეული ეპოქის ისტორიული პირების ხსენება: „გიორგის და დავითს, დიდთა მეფეთა ჩუენ[თ]ა ბაგრატიონთა და ყოვლისა აფხაზეთისა და საქართველოსა თვთმპყრობელთა მრავალნი წელნი და ეგრეთვე სამგზის მოიგონ ქუჭმდგომარეთა ესევე სიტყუაჲ. ღირსსა მთავარეპისკოპოსსა და ყოვლისა აფხაზეთისა წმიდა კათალიკოზსა მრავალნი წელნი!“

ბაგრატიონთა სამეფო გვარი Q-1069 -სა და 1446/409-შიც იხსენიება, მაგრამ ეს მოხსენიება საგრძნობლად სხვაობს ზემოხსენებული ინფორმაციისაგან. გრაგნილებში ვკითხულობთ:

„მრავალნი წელნი (სახელი) მეფესა ჩუენსა ბაგრატიონსა ყოვლისა საქართველოსა (და სხუაჲ რაოდენცა სამეფო აქუს თვთმპყრობელისა) მრავალნი წელნი და ეგრეთვე სამგზის მიუგონ ქუჭმდგომარეთა ესევე სიტყუაჲ. სანატრელსა და ყოვლადწმიდა კათალიკოსსა მცხეთისასა, ქართლისა, კახეთისა, ოსეთისა და სამცხე-საათაბაგოსა, ყოვლისა საქართველოსა პატრიარქსა (სახელი) მრავალნი წელნი“. მირონს აკურთხევენ „წმიდისა მამისა ჩუენისა კათალიკოზისა და ყოვლისა საქართველოსა პატრიარქისა სახელით“.

როგორც ვხედავთ, განსხვავებით S-352-ისაგან, გრაგნილებზე შესრულებულ „მირონის შემზადების“ საკითხავში აღარ კონკრეტდება უმაღლესი საერო და სასულიერო პირების სახელები, მოხსენიება მათი საგვარეულოს ან ტიტულატურის მითითებით განისაზღვრება. აღარ ჩანს აფხაზთა კათალიკოსი, სამაგიეროდ, საგანგებოდ ესმება ხაზი საქართველოს კათალიკოზისა და პატრიარქის ხსენებას და იმ რეგიონებს, რომლებზეც ან ვრცელდება მათი იურისდიქცია, ან სასურველია, რომ გავრცელდეს XVIII საუკუნეში. საგულისხმოა ისიც, რომ უმაღლესი სასულიერო იერარქის წოდებას – კათალიკოსი – ემატება პატრიარქის ტიტული. მისი აღდგენა უკავშირდება დომენტი კათალიკოსს. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა XVIII საუკუნის ქართლისათვის. პატრიარქის ტიტულის აღდგენა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიურობაზე ამახვილებდა ყურადღებას და ფორმალურად ანტიოქიის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის პატრიარქების თანასწორად წარმოადგენდა ქართულ ეკლესიას (მ. ქავთარია 2002: 119-148). ამ ტენდენციას ვხვდებით ჩვენი საკვლევი ტექსტის გრაგნილ ხელნაწერებში. ტექსტის ბოლო ნაწილში დასტურდება წინადადება: „საჭმარ არს ცნობად, ვითარმედ კათოლიკე ეკლესიასათა შინა არცა ხოლო აქა, მცხეთას სუჭტსა ცხოველსა შინა, არამედ სოფიანწმიდასა და ანტიოქიასცა და იერუსალჴმს და ყოველთა სამიტროპოლიტოთა ეკლესიათა...დიადი იქმნების შეწირვა წმიდისა მსხუჭრპლისა“. S-352-ის იმავე წინადადებაში სიტყვები: „აქა, მცხეთას, სუჭტსა ცხოველსა შინა“ არ არის. ის მხოლოდ შემდეგ ჩამატებულად უნდა მივიჩნიოთ.

ვფიქრობთ, მირონის კურთხევის ტექსტში Q-1069-სა და 1446/409-ში ზემომოყვანილი ცვლილების გაჩენა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ის მიუთითებს ქართლის სამეფოში მნიშვნელოვან ძვრებზე, რომლებიც უკავშირდება XVIII საუკუნის დასაწყისიდან ვახტანგ ლეონის ძე ბაგრატიონის ჯანიშონობასა (1704-1711წწ.), შემდგომ კი ვახტანგ მეექვსის სახელით ტახტის დაბრუნებას (1719-1724 წწ). მას რეფორმატორულ საქმიანობაში მხარში ედგა თავისი ძმა დამიანე, 1705 წლიდან ქართლის კათალიკოსი დომენტი IV (ქავთარია 2002: 119-148), რომელიც

დიდი მონდომებით შეუდგა საეკლესიო საქმეების მონესრიგებას, ზრუნავდა როგორც მრევლის შეგნების ამაღლებაზე, ისე ძალისხმევას არ ზოგავდა სვეტიცხოვლის მამულების დასაბრუნებლად, რადგან ისტორიული ძნელებდობისას სვეტიცხოველი გაპარტახებული იყო და არაერთი კათალიკოსი ცდილობდა ტაძრის უწინდელი დიდებულებისა და დამცრობილი ავტორიტეტის აღდგენას. ამ მისიის ხაზგასასმელად საჭირო იყო მისი უმთავრესი უპირატესობის შეხსენება. სვეტიცხოველი იყო ადგილი, სადაც ამზადებდნენ და აკურთხებდნენ მირონს, ამ პროცესს კი ესწრებოდნენ საქართველოს ყველა კუთხიდან უმაღლესი იერარქები და საერო პირები (სურგულაძე 2016:109).

დომენტი კათალიკოსი მნიშვნელოვან ყურადღებასა და ფინანსურ საშუალებებს უთმობდა ხელნაწერების გადანერა-გამრავლებას. საფიქრებელია, მისი მოღვაწეობის დროს მისივე დავალებითაა გადანერილი ჩვენ ხელთ არსებული „მირონის შემზადების“ სამივე ხელნაწერი. ყველაზე ადრე ამათ შორის უნდა დამზადებულიყო S-352 ხელნაწერი, რომელსაც დაურთეს მირონის კურთხევასთან დაკავშირებული XIII საუკუნის ცნობილი დოკუმენტი, როგორც სვეტიცხოვლის მნიშვნელობის უტყუარი მტკიცებულება და ამგვარად კიდევ ერთხელ შეეცადნენ სვეტიცხოვლის გაჩანაგებული ავტორიტეტის აღდგენას¹⁷. „კურთხევანის“ კვიპრიანე სამთავნელის თარგმანის შესრულებულებამდე (გამოქვეყნებამდე) უნდა გადაენერათ 1446/409, შეეტანათ ტექსტში დროის მონაკვეთისთვის შესაბამისი ცვლილებები. ამ გრაგნილის უფრო ადრე შექმნას გვაფიქრებინებს ის, რომ მასში არ გვხვდება „მოსეს მირონის წესი“. ტექსტის მნიშვნელობის ხაზგასასმელად შეცვალეს კოდექსის ფორმა გრაგნილით, ამ ხერხით მიანიშნეს, რომ ეს იყო ერთგვარი დაკანონება საყოველთაოდ აღიარებული, აუცილებელი წესისა. მოგვიანებით კი, 1720 წელს, ამ გრაგნილის საფუძველზე შექმნეს კიდევ ერთი გრაგნილის ფორმის ხელნაწერი, რომელშიც შევიდა „მირონის შემზადების“ ტექსტი განახლებული პრეამბულით და დასასრულს „შეისწავეთი,“ თავად ტექსტში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებებით და სვეტიცხოვლის საგანგებოდ მოხსენიებით, რითიც ხაზი გაესვა სვეტიცხოვლის ავტორიტეტს, რომელსაც ქმნიდა მირონის მცხეთაში შემზადებისა თუ კურთხევის ცერემონიალი. კვიპრიანეს „კურთხევანში“ „მირონის შემზადებასთან“ ერთად შეიტანეს მირონის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა ლიტურგიკული ტექსტებიც.

ხელნაწერის გრაგნილი ფორმით შექმნა იმას გულისხმობდა, რომ ეს იყო წესი, რომელსაც იურიდიული ფუნქცია ენიჭებოდა და მას დაცვა სჭირდებოდა. გრაგნილზე ტექსტის გადანერა გამოარჩევდა მას კოდექსის ფორმის წერილობითი ნიმუშისაგან. გრაგნილის ფორმით ესმებოდა ხაზი, რომ ეს იყო საბუთი. ამ გრაგნილს რომ დოკუმენტის ფუნქცია უნდა მინიჭებოდა, ეს ჩანს ანდერძით. გადანერე ერთეულს უწოდებს კოდიკას, რომელიც ნიშნავს მნიშვნელოვანი დოკუმენტის ასლს.

ამრიგად, 1446/409-ისა და Q-1069 ხელნაწერების გრაგნილი ფორმა და შინაარსი უშუალოდ უკავშირდება ქვეყანაში არსებულ სასიკეთო ცვლილებებს და ასახავს ქართლის სამეფოში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურსა და ეროვნულ-სარწმუნოებრივ პროცესებს.

„შემზადება წმიდისა მირონისა“ სრულიად სხვაობს ადრეულ „კურთხევანებში“ დადასტურებული ტექსტებისაგან, რომლებიც უმეტესწილად ერთნაირია და ასახავს ამ სურნელოვანი ზეთის კურთხევის პროცესს. ჩვენთვის საინტერესო ტექსტში კი აღწერილია როგორც მირონის ხარშვა, ისე კურთხევა. პირობითად შეიძლება ტექსტი ორ ნაწილად დაიყოს: პირველი ნაწილი არის ერთგვარი ინსტრუქცია, რომელიც აღწერს მირონისთვის საჭირო ნელსურნელებათა მომზადებისა და ხარშვის პროცესის მიმდინარეობას სასულიერო პირების მონაწილეობითა და მათივე ლოცვით საათობრივად დადგენილ დროს. მეორე ნაწილში წარმოდგენილია დიდ ხუთმაბათს მოხარშული მირონის კურთხევის მსახურება.

¹⁷ ვფიქრობთ, არც ისაა გამორიცხული, რომ ხელნაწერი S-352 XVII საუკუნეში გადანერილად მივიჩნიოთ, როგორც ამას კ. კეკელიძე ვარაუდობს. ამისთვის ყველაზე უფრო შესაფერისი დრო უნდა ყოფილიყო XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი, როცა ქართლის საკათალიკოსო ტახტი დაიკავა ნიკოლოზ IX-მ, რომელმაც განაახლა სვეტიცხოვლის სამხრეთი ფასადი, შეავსო ტაძრის ბიბლიოთეკა (დოლიძე: 1970: 518-519; სურგულაძე 2016: 104). იგი იყო გიორგი XI-ის ერთგული და იზიარებდა მის გეგმას, საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას (სურგულაძე 2016:103). ამ მიზნისთვის სვეტიცხოვლის ავტორიტეტის შეხსენებას, ჩვენი აზრით, ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა ისევე, როგორც IX-X სს.-ში. ამიტომაც ერთად მოუყარეს თავი ჩვენ მიერ უკვე განხილულ დოკუმენტსა და ტექსტს და ერთ ხელნაწერად დაამზადეს. ამ საკითხავებთან ერთად შევიდა კრებულში სხვა ლიტურგიკული თხზულებებიც „კურთხევანიდან“.

ტექსტის დასაწყისში მითითებულია, რომ შემზადება წმიდა მირონისა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიაში, სვეტიცხოველში, ეფუძნება წმინდა სოფიის ეკლესიის მსახურებისა და მოძღვრებისაგან მიღებულ ცოდნა-სწავლას.

„სათანადო არ ცნობაა,“¹⁸ რომ წმინდა მარხვის მეოთხე კვირაში იწყება მირონის შემზადება, უფრო სწორად, თავმოყრა იმ სურნელოვანი მცენარეებისა, რომლებიც მოხსენებულია ტექსტში. მითითებული შვიდეულის სამშაბათს დაიწყება ანონა, დაქუცმაცება, „გლაა“ (ნაყვა), აწყვა¹⁹. ეს გრძელდება პარასკევს შუადღემდე. ამავე შვიდეულის დღის პირველ საათზე სამ საგულდაგულოდ გარეცხილ ნივთიერებას – 35 ლიტრა²⁰ ვრულილოკოპერს, 5-5 ლიტრ რაზდონ-რიზარონსა და კალამოკრინონს ათავსებენ რვალის (სპილენძის) ან შეშის (ხის) ჭურჭელში, შემდეგ ასხამენ ფეროვან ღვინოს ერთ მეტრას²¹, ასე ტოვებენ იმავე დღის რვა საათამდე, რომ სამივე მცენარე კარგად დალბეს.

ცალკე ადგილას დგამენ მირონის მოსახარშ დიდი მოცულობის ქვაბს, რომელიც არის „ყოვლითურთ მთელი და უზადო და სრულობით მოკალული შინაგან“²². მან უნდა დაიტიოს 22 მეტრა ღვინო და ზეითუნის მწვანე ზეთი 15 მეტრა, ასევე დაწმენდილი ღვინო 5 ლიტრა, სამი ნივთიერება, ერთიანად – 45 ლიტრა. პარასკევს, მითითებული შვიდეულის 9 საათზე, როდესაც მღვდელთმთავარი დაასრულებს განახლების წესს, სანამ ის კიდევ დგას წმინდა ტრაპეზის წინ, შედიან მასთან, თავყვანს სცემენ, სასულიერო პირები დგანან მწყობრად, უპირატესი მოძღვარი ანთებს შვიდ კანდელს, იცხებს ევლოგიას, სცხებს იქ მყოფ სხვა სასულიერო პირებს, შემდეგ მღვდელთმთავარს მიმართავს: „მეუფეო, აკურთხე შემზადება წმიდისა მიჰრონისა“.

მღვდელთმსახური წარმოთქვამს: „ღმერთმან მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა ღმთისმშობლისა წმიდისა წინამორბედისა, წმიდათა და ყოვლად ქალწულთა მოციქულთათა, აკურთხენ შემზადება ეგევითარისა მის საქმისასა“.

ამის შემდეგ მიუახლოვდებიან ქვაბს, რომელშიც უნდა შემზადდეს მირონი. ერთი ხუცესი ჯვრის სახით სამჯერ აკმევს ქვაბში და სამგზის – ქვაბის წინ. კმევსას წარმოთქვამენ ლოცვებს: „წმიდაო ღმერთო“, „მამაო ჩვენო“, დასდებლებს, „მინყალენ ჩვენ, უფალო, „მონყალეზისა კარი განმიღე,“ ასევე – ლოცვას წმინდა პანტელეიმონისადმი. დიდმონამე და მკურნალი პანტელეიმონისადმი ლოცვის აღვლენა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სურნელოვან ზეთს, ანუ ნარდს, ჯერ უკურთხებულს, მხოლოდ შეზავებულს, მაკურნებლის ფუნქციაც აქვს²³. ამასობაში მოაქვთ ღვინით დამბალი ზემოხსენებული სამი ნივთიერება. ასე გრძელდება ხარშვის პროცესი, ემატება დაფნის, დენდროლვანონის, მურტის, ნასარის (თეთრი წვრილი ვარდის) ფოთლები, ვარსამოფილა (ბალზამის ხის ფოთლები), რომ იდულოს საღამომდე. ქვაბს აქეთ-იქიდან უნდა შემოულაგონ ორი მეტრის ტევადობის კოკები, რომლებშიც იქნება ღვინო ჩასხმული. როცა ქვაბში ღვინო ჩაშრება, ამ კოკათაგან ჩაამატონ სპილენძისტარიანი ფიალით, რომელსაც ბერძნულად ჰქვია *პერილიხარონი*.

¹⁸ ეს ფრაზა ხშირად მეორდება ტექსტში ინფორმაციის მნიშვნელობის ხაზგასასმელად.

¹⁹ მირონის შემზადების საკითხავში გვხვდება წონის ერთეულები, საწყაოები. ესენია: ლიტრა, მეტრა, მოდი. საზომთა სიდიდე განსაზღვრული იყო, ამასთან ცალკეულ ერთეულთა შორის არსებობდა გარკვეული მათემატიკური თანაფარდობა. ტექსტში არის მითითებული მირონის შემზადებისთვის საჭირო სურნელოვანი მცენარეების ერთობლივი საწყაო ოდენობა: „ჩუენ ოცდაოთხისა მეტრისა საწყევო დაგვწერია და რავზომნი ნივთნი ოცდაოთხსა მეტრასა ჩამაჯალსა სამიჰრონესა ქუაბსა ჟამსა ნივთსა სწორად უმატეთ“. მაგრამ თუ მითითებული მოცულობის ჭურჭელი არ იქნება, მაშინ პროპორციულად უნდა შემცირდეს თითოეული ინგრედიენტის წონითი ოდენობა (შემზადება, 12r).

²⁰ ტექსტში ხშირად გვხვდება ბერძნულიდან მომდინარე ტერმინი ლიტრა, რომელიც გამოიყენებოდა სანონ ერთეულად. ის ჯერ გაჩნდა რომაულ მეტროლოგიაში, იქიდან გავრცელდა ბიზანტიაში და ქართულ ენაშიც შემოაღწია. ლიტრის სიდიდე სხვადასხვა დროს განსხვავებული იყო. „პირველ ჟამთა ლიტრა“, რომელიც „უმცირეს“ ყოფილა იმ ლიტრისაგან, XVII-XVIII სს-ში რომ იყო გავრცელებული აღმოსავლეთში და, კერძოდ, კი საქართველოში. „პირველჟამური“ რომაული ლიტრა 12 უნკიას ან 72 დრაჰკანს იწონიდა (ორბელიანი 1991:417; ჯაფარიძე 1973: 48-49), ხოლო ჩვენთვის საინტერესო ტექსტში მითითებულია, რომ „ლიტრა არის 75 დრაჰკინისასა“ (შემზადება 12 r). დრაჰკანი / დიეკანი 4 გრამა, 6 დრაჰკანი ერთი უნკიაა (ორბელიანი 1991: 187, 417-420).

²¹ ბერძნულიდან მომდინარე უნდა იყოს ტერმინი მეტრაც, რომელიც „არს ლიტრა ოცდაოთხთმეტი“ (შემზადება 12r; ორბელიანი 1991: 466).

²² Q-1069, 1r

²³ ნარდს მნეები ურიგებენ სნეულებს, უძღურებაში მყოფებსა და ტკივილებისაგან დატანჯულებს, რომ იცხონ ნუგეშის მისაღებად.

ხარშვა გრძელდება შაბათს მიმწუხრამდე, შემდეგ ცეცხლი უნდა განელდეს. კვირას, ცისკა-რზე, თუ მოდულეული მასა ცხელი იქნება, დაელოდონ გათენებას. ამასობაში მცენარეები დაილექება ფსკერზე და დადგება დაწმენდილი ზეთი. მოიტანენ შვიდ კოკას, სპილენძის ძაბრს და ფიალას, ფიალით ძაბრის საშუალებით კოკებში ჩაასხამენ დაწმენდილ მირონს. ამოღებისას, ზეთი რომ შემღვრევას დაიწყებს, ის არ ჩაასხან. მოიტანენ ვარცლს, რომელიც დაიტევს მოდის²⁴, ზემოდან დაჰკიდებენ ტკეჩის უხმარებელ გოდორს (მოცულობით მოდი და ნახევარისა) ზეთის ჩამოსაწრეტად. გოდორს ასხამენ მდულარე წყალს, რომ სრულად გამოვიდეს ზეთი, ნივთიერებების სურნელება და არომატი. ამ წყალს ადუღებენ კოკებში. რვა საათის შემდეგ ემატება ასევე კარიოფილა, ტატოსი და სხვა ნივთიერებები. კვირას, პირველ საათზე, კარგად გარეცხილი მირონის ქვაბი კვლავ დაიდგმება, ჩაასხამენ დაწრეტილ კოკებში ჩასხმულ ზეთს. ჩაყრიან წვრილად დანაყილ 35 ლიტრა ტრიფსიდს, ხელსაფქვაკით დაფქულ 15 ლიტრა პილ-პილს, ფეროვან ღვინოს. საჭიროა ცეცხლის შენთება, რევა და დუღება სამ საათს. მასას ემატება ასევე წვრილად დაჭრილი 12-12 ლიტრი საკმეველი ლადანა და საკმეველი ლოფიტი, ადუღებენ. როდესაც ლამის პირველი საათი შესრულდება, მირონის მხარშველთა შორის უფროსი (უხუცესი) მოძღვარი მიმართავს მეუფეს: „გუაკურთხენ, მეუფეო“. მნე ან დიაკონთაგანი მას პასუხობს, მერე კი მიმართავს ასევე მცხეთის, ქართლის, კახეთის, ოსეთისა და სამცხე-საათაბაგოს — საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს... წარმოთქვამენ ლოცვებს. მონაწილეებენ მირონის მხარშველი და ეპისკოპოსი. ამის შემდეგ ცეცხლს აქრობენ. მეორე დღეს, დღის 2 საათზე, ზეთი სავსებით დაწმენდილია, რადგან სურნელოვანი ნივთიერებები ილექება ქვაბის ფსკერზე. დაწმენდილი და გაგრილებული ზეთი გადააქვთ თიხის კოკებში, რომლებიც ინახება საჭურჭლეში დიდ ხუთშაბათმდე.

დიდ ხუთშაბათს, მსახურების დაწყებამდე, დიაკონი და მღვდელი შედიან საჭურჭლეში, იმოსებიან, დიაკონი იღებს ჭურჭელს, რომელშიც ასხია წინა წლის ნაკურთხი მირონი, მიაქვს მღვდელთან, რომელსაც უჭირავს ოქროსი ან ვერცხლის დიდი კოვზის მსგავსი ჭურჭელი და ჩამომწკრივებულ კოკებში, პირველის გარდა, ასხამს სამ-სამ კოვზ ნაკურთხ მირონს, თან ორივე წარმოთქვამს ლოცვას. თუ მირონი დარჩება, ისევე ჭურჭლებში ანაწილებენ სამ-სამ კოვზობით. დაცარიელებულ ალაბასტრს რეცხავენ და ნარეცხს ასხამენ იმ ორმოში, რომელშიც ზიარების წმინდა ნაწილებს ჩაუშევენ ხოლმე, თუ გამოუყენებელი დარჩება. შემდეგ ზეთს ასხამენ ალაბასტრში იმ პირველი ჭურჭლიდან, რომელშიც არ ჩაუსხამთ წინა წლის მირონი, ალაბასტრს ათავსებენ ტრაპეზთან მოწყობილ მაგიდაზე, ეპისკოპოსი აკურთხებს მირონს. სასულიერო პირებისა და ხალხის ზიარების შემდეგ ალაბასტრს აფარებენ ძვირფას გადასაფარებელს და მომავალ დიდ ხუთშაბათამდე ვერავინ მიეკარება მას.

მთავარი ნივთიერება, ყველა სურნელოვან მცენარესთან ერთად, რომელიც უდევს საფუძვლად მირონის დამზადებას, არის ზეთისხილის დაწმენდილი ზეთი. ზეთუნის შემდეგ, სხვა ნივთიერებებზე მეტი რაოდენობით, მირონის მოსამზადებლად გამოიყენება ღვინო, თუმცა იგი არ არის მირონის ნაწილი, ხარშვის პროცესში ორთქლდება. ღვინო მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ ზეთი და სხვა ნივთიერებები არ ააღდეს და არ გამოშრეს მოდულებისპროცესში.

ზეთისხილისგან დამზადებული ზეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნივთიერებაა როგორც ქრისტიანული რიტუალების დროს გამოყენებული, ისე ძველ აღთქმაში მოხსენიებული მირონისა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მირონის მოხარშვის პროცესი არ არის ძველ აღთქმაში აღწერილი, საუბარია მხოლოდ სურნელთა შერევაზე. სახარებაშიც მოთხრობილია, რომ წმიდა მოციქულებმა აიღეს სანელებლები, მური და ალოე, რომლითაც გაჟღინთეს ტილო, შემოახვიეს უფლის – იესო ქრისტეს სხეულს დაკრძალვისას „ვითარცა ჩუეულება არს ჰურიათა დაფლვისაჲ“ (შდრ. იოანე 19,38-40). შემდეგ დაუმატეს მას ზეთუნის ზეთი და წმინდა ზეთი დაურიგეს მოციქულებს, რომლებსაც უნდა ეცხოთ ეს ზეთი ახალგაქრისტიანებულთათვის. მოციქულებმა ასევე მიიღეს ბრძანება, რომ წმინდა მირონის ხელახალი დამზადებისას დაე-

²⁴ მოდი იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული ძველი ებრაული საწყაო, ქართულში შემოსული ბერძნულიდან, აღნიშნავდა თხევადისა და მარცვლეულის საწყაოს, დასტურდება გიორგი ათონელის XI ს.-ის თხზულებაში „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი“ (გიორგი მთაწმიდელი 1946: 116; ჯაფარიძე 1973: 106). „მოდი საწყაო არს 22 ქსესტიანი, 9 ათასი დრაჰკანი არის ერთი მოდი“. არსებობს ტერმინი მოდა (უნდა იყოს მოდის ოდნავ სახეცვლილი ფორმა), შესატყვისია ჩანახიცი. უდრიდა დაახლოებით 8 კგ-ს (ორბელიანი 1991:495-496). მოდი, ჩვენთვის საინტერესო ტექსტის მიხედვით, უდრის „ორმოც ლიტრას“ (შემზადება 12რ.).

მატებინათ ძველი წმინდა მირონი, რათა პირველი მირონი მუდმივად შეენარჩუნებინათ. ეს წესი ჩანს „მირონის შემზადებისა და კურთხევის“ ტექსტებშიც. წმინდა წერილი მოწმობს, რომ მოციქულთა დროიდან მოყოლებული მართლმადიდებლურ ეკლესიაში ამზადებდნენ და აკურთხებდნენ წმიდა მირონს (<https://azbyka.ru/>).

„შემზადება წმიდისა და ღმერთმყოფელისა მიჰრონისას“ სამივე ტექსტი შეიცავს წითლით შესრულებული სათაურით საგანგებოდ გამოყოფილ ნაწილს: „სახელნი წმიდისა მიჰრონისა“, ხოლო Q-1069-ში „შეისწავეს“ მოჰყვება წითლით შესრულებული მოკლე თავი „მოსეს მიერ მიჰრონი სარწმუნოებისა“.

მოსეს მოხსენიება ხაზს უსვამს, რომ ძველი აღთქმის პერიოდში უკვე არსებობდა ღვთის ბრძანებით შედგენილი სურნელოვანი მცენარეებით მირონის ცხების წესი (გამოსვლათა 30, 22-30). ესენია საუკეთესო ნელსურნელებანი: „ყვავილი ზმკრნისა რჩეულისა“, ანუ მური. როგორც ირკვევა, მური (myron), ზმირინი (smyron) არის არომატული გუმფისი, რომელსაც გამოყოფს კომიფორას ხეების (Commiphora abyssinica და Commiphoras chimperi) ღერო დასერვის შემდეგ. ჰაერზე მური მაგრდება, აქვს სასიამოვნო სუნი და მწარე გემო; ძველად საკმევლადაც იყენებდნენ. ანტისეპტიკური თვისებების გამო გამოიყენება პირში გამოსავლებად (ნაყენის სახით), ჭრილობებზე მოსაყრელად, საღებუნისა და მალამოს დასამზადებლად (ენციკლოპედია (7)1984: 200).

მეორე შემადგენელი სურნელოვანი მცენარეა დარიჩინი, ანუ კინამო, რომლის განმარტება-საც იძლევა სულხან-საბა ორბელიანი: „ყვავილი სუნელი, ეგვიპტეს მოვა; მძინარს კაცს არა პირსა დაადვა, გულის პასუხს წარმოიტყვის. რა ცხელთა რაშიმე შთადვა, ანუ აბანოთა შეიტანო. გააგრძელებს, ხრწნილებისა მიერ შობილსა მატლსა უჩინო ჰყოფს“ (ორბელიანი 1991: 373).

„საკუმეველი და კალამი სულნელთა“ იგივე სურნელოვანი ღერწამია, სუნელი (ორბელიანი 1991: 348), განმარტებაში ასევე მითითებულია „ირო და კინამო... კალამი, რათა მათ მიერ შეზ[ა]ონ ნელსაცხებელი სულნელი“ (ორბელიანი 1991:334).

კასია (ლათ.Cassia) მრავალწლოვანი ბალახის ბუჩქს ან ტანდაბალ ხეს განეკუთვნება. ამავე სახელწოდების ხის ტოტების სურნელოვანი გამხმარი ქერქი, გამოიყენება სანელებლად. (ქსე, 1980: 423); საქართველოში იგი ეგვიპტიდან შემოიტანეს. კასია, იგივე დარიჩინია, ხიამამბარი ლათინურად, კასია და ი(ე)როსი. ი(ე)რონი თხელი რამ(ე) ქერქი არს, ფრიად სუნელი, რომელსა სპარსნი დარიჩინს უწოდენ“ (ორბელიანი:1991:355). აღსანიშნავია, რომ კასიასა და იროსის სინონიმად განმარტებაში გვხვდება ლექსემა – დარიჩინი (ორბელიანი 1991:199).

მირონისთვის სურნელოვანი მცენარეების კონკრეტული რაოდენობა ერთგვარად განსაზღვრული იყო. მირონი დღესდღეობით 30-ზე მეტი სურნელოვანი მცენარისგან მზადდება, ამდენივე მცენარისა და ნივთიერების დასახელებას შეიცავს „კურთხევანებით“ მოღწეული მირონის წამალთა ჩამონათვალი; კვიპრიანე სამთავნელის თარგმნილი საკითხავის „კურთხევა მირონისა“ თავი „მასალა მირონისა“ 35 დასახელებას შეიცავს (კურთხევანი 1713: 325). „მირონის შემზადების“ ჩვენთვის საინტერესო ტექსტშიც ამდენივე მცენარე და ნივთიერებაა ჩამოთვლილი, თანაც საგანგებოდაა აღნიშნული, რომ მცენარეთა სახელები წარმოდგენილია „სამითა ენითა: ბერძულითა, თაჯურითა და ქართულითა“. თაჯურად, ანუ არაბულად (ორბელიანი 1991: 302) მითითებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: ერთი, რომ ქართველებიც ამ დასახელებით იცნობდნენ სულნელებს; მეორე-მცენარეები, როგორც ჩანს, შემოჰქონდათ არაბული ქვეყნებიდან, ამიტომ მყიდველს, რომელიც მოხვდებოდა „სასარკინოზეთისა ქალაქთა შინა“ და დასჭირდებოდა შესყიდვა, სცოდნოდა არაბულად მცენარეთა დასახელება; მესამე – სუნელთა დასახელებებსაც „სპარსნი... არაბულითა ენითა ეტყვან“.

ტექსტში ისიცაა მითითებული, რომ ბალასინის ზეთი არ გამოიყენოს ქრისტიანმა მირონისთვის, რადგან მას იყენებენ „იაკობიკები“²⁵, რომლებიც სახლობენ ეგვიპტეში, მისგან ამზადებენ მირონს და ამ ზეთს იყენებენ ნათლობისას. მას ურიგებენ ნათესავებსა და ერთმორწმუნეებს. საფიქრებელია, რომ მართლმადიდებლები ამ მიზეზით აღარ იყენებენ ამ ზეთს, თუ ოდესმე მაინც გამოუყენებიათ.

მირონის სურნელოვან მცენარეებს და მათ გამოყენებას საგანგებოდ სჭირდება შესწავლა არა მარტო მირონის ხარშვისას, არამედ ზოგადად მედიცინის ისტორიასა და კულინარიაში,

²⁵ იგულისხმება იაკობიტები

საინტერესოა ბერძნული დასახელების „მრონის წამალთა“ იდენტიფიკაცია და მათი შედარება არაბულ დასახელებებთან. ამ ეტაპზე საკითხის სრულყოფილად შესწავლა სცდება ჩვენი კვლევის მიზნებს. გავამახვილებთ ყურადღებას რამდენიმე სურნელოვან მცენარეზე, რომლებიც გამოიყენებოდა მრონისთვის.²⁶

- ნასარი თეთრი წვრილი ვარდის ხეა (ორბელიანი 1991:578). სს. ორბელიანს ეყრდნობა, სავარაუდოდ, კ. კეკელიძე, როდესაც ნასარის განმარტებას იძლევა „მრონის შემზადების“ ტექსტის რუსულად თარგმნისას (Кекелидзе1908: 169).
- ღალანგანი, ღალანგარი (ორბელიანი 1993:246), იგივე გალანგალი – ჰგავს ჯანჯაფილს. აქვს თხელი, ბაცი ვარდისფერი კანი. გამხმარი გამოიყენება როგორც სანელებელი.
- ბალსამო (ლათ.); ბალასან/ ბალასინ (თურქ.), პალასინ (სომხ.). იგივე ვალსამოსი. ს.ს. ორბელიანის ცნობით, ბალასინი ეწოდება ზეთს, რომელიც მიიღება მცენარეებისგან, რომელთაგან ერთია ხე, ეგვიპტესა და ინდოეთში, რომლის ჩამოთლის, გაჭრის ან კვეთის შედეგად ჩნდება ზეთოვანი გამონადენი; მეორე კი – კიტრის ნაყოფის მქონე ბალახი, რომლის კურკისგან ხდიან ზეთს. ბალასინი ასევე ჰქვია მრავალი წლის ზეთისხილის ზეთს (ორბელიანი 1991: 92-93).
- საკმეველი, საკმელი, (Αῖθων, Ἰνδων - ლადანონი) არის სურნელოვანი ფისი, რომელიც გამოიყოფა ბურსერსებრთა ოჯახის მცენარის ბოსველიას (*Boswellia carterii*), ანუ საკმლის ხის დასერილი ქერქიდან. ხე იზრდება აღმოსავლეთ აფრიკასა და არაბეთის ნახევარკუნძულზე. საკმეველი შეიცავს გუმფისს, ეთეროვან ზეთებს, მწვანე ნივთიერებებს. ნაწილობრივ იხსნება წყალსა და ორგანულ გამხსნელებში (ენციკლოპედია (8) 1984ა: 677).
- კარიოფილა, იგივე ყარამფილა, მიხაკის ხეა (ორბელიანი 1991:354; მაცაშვილი 1961: 260).
- მუშკი (*Moschus moschiferus*) ირმისებრთა ოჯახის წყვილჩლიქოსანი ცხოველია. მუშკი გავრცელებულია აზიაში, ბინადრობს მთიან ტაიგაში. მამალს მუცელზე უვითარდება მუშკის დიდი ჯირკვავალი, რომელიც მძაფრსუნთან ნივთიერებას გამოყოფს (ენციკლოპედია (7) 1984: 225).
- ამბარი უნდა იყოს ცვილისებრი სურნელოვანი ნივთიერება.
- ქაფურა (ლათ. *Filipendula*) ვარდისებრთა ოჯახის მცენარეა. მრავალწლოვანი, მეტწილად მაღალი ბალახებია მოყვითალო-მოთეთრო, ვარდისფერი ან წითელი ყვავილებით; საქართველოშიც გვხვდება ქაფურის 2 სახეობა (ლათ. *Filipendula exapetala*, *Filipendula ulmaria*) ქაფურის ყველა სახეობა თაფლოვანია (ენციკლოპედია (6) 1986: 493).
- ალვა – სულნელ-საკმეველი (აბულაძე 1973: 89).
- მურტი (*Myrtus communis*); მარადმწვანე ბუჩქოვანი მცენარე, მურტისებრთა ოჯახის წარმომადგენელი. აქვს თეთრი სურნელოვანი ყვავილი; უპირატესად სუბტროპიკულ და ტროპიკულ მხარეებში ხარობს. მურტის ფოთოლი შეიცავს ძვირფას ეთერზეთს, რომელსაც საკრალურ დანიშნულებასთან ერთად იყენებენ მედიცინასა და კულინარიაში (ბიბლიური მცენარეები 2016: 35).

ამრიგად, „მრონის შემზადებისა და კურთხევის“ ტექსტის განხილვა კიდევ ერთხელ ნათელი დასტურია, რომ გრაგნილის ფორმით მისი შექმნა მჭიდროდ უკავშირდებოდა პოლიტიკურსა და სარწმუნოებრივ პროცესებს. სწორედ გრაგნილით იყო აქცენტირებული ხელნაწერის დანიშნულება და მნიშვნელობა.

²⁶ ამ მცენარეთა შესახებ უმეტესწილად ინფორმაციას იძლევა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“. ასევე დავეყრდენით საცნობარო ლიტერატურაში არსებულ მონაცემებს.

ტერმინი გრაგნილი და მასთან დაკავშირებული სემანტიკური ერთეულები

გრაგნილი ხელნაწერი წიგნის ან საბუთის ფორმის აღმნიშვნელი პალეოგრაფიული ტერმინია. გრაგნილი წარმოადგენს გარკვეული სიგრძისა და სიგანის პაპირუსის ან ეტრატის დახვეულ ზოლს, რომელზედაც შესრულებულია ლიტერატურული ტექსტები ან ისტორიული დოკუმენტები. საინტერესოა, რა გზა გაიარა ამ ლექსიკურმა ერთეულმა ტერმინად ჩამოყალიბებამდე. სწორედ ეს საკითხი წარმოადგენდა კვლევის მიზანს. ქართული ტერმინოლოგიის შექმნის ადრეულ პერიოდში, XI-XII სს.-ში, შემდგომ, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე, ცნობილია რამდენიმე გზა ტერმინის შესაქმნელად, რომელთაგან ტერმინად შესაძლებელია, შეირჩეს ისტორიულად დამკვიდრებული არქაული სიტყვები, ზეპირ მეტყველებასა და მწერლობაში გავრცელებული ლექსიკური ერთეულები, სინონიმები, პარალელური ფორმები და ა.შ (მუზაშვილი-ოსაძე 2020 : 288-296). ჩანს, სწორედ ასე დამკვიდრდა გრაგნილიც, თუმცა როდის ჩამოყალიბდა ის ტერმინად, არსებობდა თუ არა ქართულ ენაში მისი სინონიმები და როგორ იცვლებოდა თითოეული, ეს კარგად გამოჩნდა ძველი ქართული თარგმნილი ლიტერატურული ნაწარმების შესწავლით.

ტერმინი „გრაგნილი“ არის ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობა და დახვეულს/ ხვეულს ნიშნავს. თანამედროვე მნიშვნელობით ზმნა „გრაგნის“ აღნიშნავს: ახვევს მილის მსგავსად (ტყავს, ქალაღს... და ა.შ.) (ქეგლ 1950: 1479). იმავეს ნიშნავს იგი ძველ ქართულშიც. „გრაგნილი“, „წარგრაგნა“, „დაგრაგნა“, „ნახვევა“, „ნახვეული“ ლექსიკური ერთეულებია (აბულაძე 1973: 96, 532; ორბელიანი 1991: 168). ისინი გვხვდება ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებში, აგიოგრაფიულ თხზულებებში, რომლებშიც მას დახვეულის, ხვეულის მნიშვნელობა აქვს. ნაწარმების მიხედვით, გრაგნილი შეიძლება, იყოს წიგნი, ნაწერი, წერილი, ასევე სამოსელი, ან სულ სხვა რამ, მაგ., ბუნების სტიქია, ქარბორბალა.

ძველი აღთქმის ტექსტებში სიტყვა „გრაგნილი“, სხვადასხვა მეტყველების ნაწილით (უმეტესად ზმნით) გადმოცემული, წერილობითი ნიმუშის მნიშვნელობით იშვიათად გვხვდება, ამისთვის ძირითადად „წიგნი“ გამოიყენება, თუმცა, მოიაზრება სწორედ გრაგნილი ფორმის წიგნი²⁷.

ესაია 34,4: „და დადგენენ ყოველნი ძალნი ცისანი, და **წარიგრაგნოსცაჲ ვითარცა წიგნი.**“²⁸

„Και τα κήσονται πάντα αιδηνάμεις τω ουρανώ και **ἐλύθησεται** ὡς βιβλίον ὁ ουρανός“²⁹.

ἐλύθησεται აღნიშნავს, რომ ცა წარიგრაგნა, ანუ დაიხვა.

ეზეკიელი 2,9-10: „და ვიხილე და, აჰა, ჯელი განმარტებული ჩემდამო, და მას შინა თავი **ნიგნისაჲ და განგრაგნა** იგი წინაშე ჩემსა და იყვნეს მას შინა დაწერილებ წინა და უკან.“

„Και ἶδον και ἰδού χειρ εκτεταμένη προς μέ, και εναυ τή **κεφαλὴν βιβλίου** και **ἀνείλησεν** αὐτὴ νεῦν πιον εμῶν και ἐναυτὴ γεγραμμέναῖντα ἐμ προσθεν και τα ὀπίσω, και ἐγέγραπτο θρηῖνος και μέλος και οὐαί.“

Κεφαλὴν βιβλίου - თავი წიგნისაჲ მიაწიშნებს, რომ Ἀνείλησεν, ანუ განიგრაგნა, გაიშალა და-ხვეული.

ახალი აღთქმის ტექსტების მიხედვითაც, ზმნური ფორმა **წარგრაგნა** ნიშნავს: **გაახვია, წარგრაგნილი** კი არის შეხვეული, გახვეული:

მათე 27, 59: „და მოილო გუამი იგი მისი იოსებ და **წარგრაგნა** წმიდასა მას არმენაკსა“ „Και λαβόντο σῶμα Ιωσήφ **ἐνετύλιξεν** αὐτὸν σινδόνι καθαρά“.

Ενετύλιξεν - წარგრაგნა

გამოცხადება 6, 14: „და ცაჲ **წარიგრაგნა**, ვითარცა წიგნი“- „και ὁ οὐρανός ἄπε χωρισθὴς βιβλίον ἐλισσόμενον“.

ἐλισσόμενον - დაიხვა, დაიგრაგნა

იოანე დამასკელის „გარდამოცემაში“ ვკითხულობთ: „არამედ დაძუელდებიან (ცანი) და ვითარცა სამოსელი, წარიგრაგნებიან და იცვალებიან“. ლათინურში ეს წინადადება ასეა გადმო-

²⁷ ყველა ცალკე ხელნაწერს, დანიშნულებისა და შინაარსის მიუხედავად, წიგნი ეწოდებოდა. ვივილოსი|ვივილოსი, ანუ ჭილი (ორბელიანი 1993:402) იყო მრგვლი და მაღალი მცენარე, პაპირუსის სახეობა. მისგან წარმოდგა ლექსემა ბიბლონ, ანუ წიგნი (ჯავახიშვილი 1996: 121; სურგულაძე 1975: 29).

²⁸ ქართული ციტაციის დასამოწმებლად ვიყენებთ გამოცემებს: 1. ბიბლია, ძველი აღთქმა, I-II, 2017;

²⁹ ბერძნული ციტაციის დასამოწმებლად ვიყენებთ *Septuaginta 1979. Septuaginta Idest Vetus Testamentum Graece Iuxta LXX interpretes, edidit Alfred Ralfs, editio minor, Duo voluminainuno, Deutsche Bibelgesellschaft, Stuttgart, 1979.*

ცემული: *veterascentenim (gaeli), etsi cuto pertorium convolvertur*. *Convolvare*-ს ნაგრაგნისა და ქარის მნიშვნელობა აქვს ერთად (კვირიკაშვილი 2011: 296).

გრაგნილი ქარბორბალასაც ნიშნავს, არის ამოტრიალებული ძაბრის ფორმის გრიგალი: „მოუჭდა ქარი **გ რ ა გ ნ ი ლ ი**, ღელვა ვრცელი და წარიტაცა ნავი“ (აბულაძე 1973: 96).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ბერძნულსა თუ ლათინურში „გრაგნილისა“ და „წარგნაგნილის“ მნიშვნელობას კონტექსტი განსაზღვრავს: თუ მოიაზრება ნაწერი ტექსტი, ბერძნულში გვხვდება მის შესატყვისად *το βιβλίον*, ქართულშიც - შესაბამისად - **ნიგნი**, ხოლო სხვა შემთხვევაში სხვა ბერძნული ლექსემები შეესატყვისება ისევე, როგორც ზემომოყვანილ მაგალითებს, ქართულად კი ძირი „გრაგნ“ უცვლელად გვხვდება.

ვფიქრობთ, გრაგნილის შესატყვისად უნდა მივიჩნიოთ ასევე ტერმინი **გუჯარი**, რომელიც XI საუკუნიდან იხმარება საბუთების ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელ ტერმინად. გუჯარი არსებობდა დახვეულიც და ჩვეულებრივი ფურცლის ფორმისაც. როგორც გაირკვა, ეფთვიმე ათონელის „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების“ თარგმანში **გუჯარი** არ არის ტრადიციული დოკუმენტის მნიშვნელობით გამოყენებული, ის სარწმუნოების აღსარების შემცველ ტექსტს ნიშნავს (ჯავახიშვილი 1926: 27). „ცხოვრების“ ამ ნაწყვეტში მოთხრობილია, რომ, როცა წმინდა მაქსიმე აღმსარებელმა იხილა მწვალებლთა მაცთუნებელი საქმეები, მათი მხილება „გუჯარსა დაწერეს და ეზოსა სოფია წმიდისასა აღჰმართნეს“ (კეკელიძე 1918: 114). თხზულებაში ასევე ვხვდებით ეპიზოდს, რომელშიც ეტვფანე პატრიკი მრისხანედ მიმართავს მაქსიმე აღმსარებელს: „გუჯარსა მას ჰრომისსა დაგინერია შენცა სახელი და ნამებაჲ (დამონება) შენი. წმიდამან მაქსიმემ თქვა: გუჯარსა მას დამინერია“ (კეკელიძე 1918: 84-85). ამ ფრაგმენტშიც გუჯარი არის ორბუნებოვანი სარწმუნოების შესახებ წერილობითი ნიმუში, რელიგიის წესის, დოგმის შემცველი, რომელსაც უნდა მისდევდნენ ქრისტიანები.

„მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება“ კიმენური რედაქციის ტექსტია. არსებობს კიმენური ტექსტის 4 ბერძნული რედაქცია, მაგრამ, როგორც გაირკვა, ქართული თარგმანის დედანი არც ერთი არ არის, ექვთიმესეული თარგმანის შედარებამ ამ ოთხ რედაქციისთან გამოავლინა, რომ ქართულ თარგმანში ჩართულია ინტერპოლაციები, რომლებიც არ დასტურდება არც ერთ ბერძნულ ტექსტში (ხოფერია 2005: 52-62; Khoperia 2009: 25-48; 2015: 439-459). ამდენად, ლექსიკური ერთეულის, **გუჯარის**, შესატყვისის ბერძნული სიტყვის მოძიება რთულია, თუ არა შეუძლებელი და შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ: „**გუჯარი აღჰმართნეს**“ გულისხმობს, რომ მაქსიმე აღმსარებლის ნააზრევი და მოწმობა თვალსაჩინო ადგილას დაკიდეს, ანუ ხალხის ყურადღების მისაქცევად გამორჩეული ფორმის წერილობითი ნიმუშის სახით გამოაკრეს, როგორც ინფორმაცია. გუჯარი არ უნდა ყოფილიყო ფორმით მოკლე ფურცელი ან კოდექსის ფორმის ნიგნი, ვინაიდან იგი, საჯაროდ გამოფენილი, მაინცდამაინც წასაკითხად მოსახერხებელი ვერ იქნებოდა; წმინდანის მოწმობა, ანუ საუბარი მართლმადიდებლობაზე ვრცელი უნდა ყოფილიყო, უნდა ჰქონოდა გაშლილი გრაგნილის ფორმა და იყო საკმაოდ გრძელი, მასზე დაწერილი ტექსტის შესაბამისად.

სადავო რჩება, რატომ იყენებს მთარგმნელი სიტყვა **გუჯარს**, რატომ უგულებელყოფს ტერმინ გრაგნილს? საქმე ისაა, რომ ტექსტი იმ დროს ითარგმნება ქართულად, როდესაც თავად გრაგნილის ფორმის ხელნაწერები ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა ინტენსიურად და, შესაბამისად, არც შესატყვისი ტერმინი იქნებოდა ცოცხალი, ამიტომ მთარგმნელმა შემოიტანა ის სიტყვა, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს გრაგნილის, თუნდაც გაშლილის, არსს. ეს გვაფიქრებინებს, რომ ტერმინ გრაგნილის – ხვეული ფორმის ხელნაწერის – სახელწოდებად ხელახლა დამკვიდრებამდე ყველაზე უკეთეს შესატყვისად ექვთიმე ათონელმა მიიჩნია გუჯარი³⁰. კონტექსტი მიანიშნებს, რომ სარწმუნოების წესიც, თუნდაც ლიტერატურული, უფრო სწორად კი, დოგმატიკური შინაარსისა, ერთგვარ დოკუმენტად აღიქმება და მთარგმნელიც ამიტომ უნდა იყენებდეს ზემოგანხილულ ტერმინს.

გუჯარი, ს.ს. ორბელიანის მიხედვით, დიდი სიგელია, ასევე წერილი, რომელიც „ენოდების ყოველსა კალამთაგან აღწერილსა“... (ორბელიანი 1991: 180; მისივე 1993: 372-373). ილია აბულაძის ლექსიკონით, ნიშნავს ნიგნს, დაწერილს (აბულაძე 1973: 103): „იყო გუჯარი დაწერილი ტაძარსა შინა და რაჟამს მღვდელი ვინმე დაადგინიან და დაწერიან სახელი მისი“ .

³⁰ ეს ლექსემა XI საუკუნეში ალბათ ყველა ლექსიკურ ერთეულზე უკეთ გამოხატავდა დახვეული ფორმის ნაწერს.

საგულისხმოა, რომ Q-1072, რომელიც გრაგნილია, შეიცავს „ავგაროზის“ ტექსტს და არა ისტორიულ საბუთს, მაგრამ აქვს ძველი საინვენტარო ნომერი და რაობა მიწერილი რუსულად: „943 Церк. гуджари“, ანუ საეკლესიო გუჯარი. ეს მიწანერი, მართალია, მე-19 საუკუნეზე ადრეული არ არის, მაგრამ, ცხადია, რომ ამ მიწანერის გამკეთებელმა გუჯარი ფორმის გამო უწოდა ხელნაწერს, რომელიც არის არა ისტორიული საბუთი, არამედ ლიტერატურული ძეგლი, მაგრამ გუჯარი რომ გრაგნილის ფორმის ნაწერი იყო, დიდხანს შემორჩა მეხსიერებას.

მაინც როდიდან დამკვიდრდა ტერმინი გრაგნილი, როგორც ხელნაწერი წიგნის ფორმის აღმნიშვნელი? ვარაუდობენ, რომ მე-11 საუკუნიდან გრაგნილის ფორმის ხელნაწერი იწყებს ახალ სიცოცხლეს ბიზანტიაში (Лихачева 1976:133-134) და ერთმანეთზე გადაკერებულ და გადანებებულ ფურცლებზე იწერება ლიტურგიკული ხასიათის ტექსტები, ჟამისწირვები. ქართულ ხელნაწერ გრაგნილთა შორის გვაქვს შესანიშნავად მოხატული და გაფორმებული ჟამისწირვა, S-4980, რომელსაც XII-XIII სს-ებით ათარიღებენ (აღწერილობა (S) 1969: 292-293). ჩვენი ვარაუდით, საქართველოშიც სწორედ ამ პერიოდში ჩნდება ეტრატის ერთმანეთზე გადაკერებული (გადანებებული) ფურცლებისგან დამზადებული ხელნაწერი, ჯოხზე დახვეული და მისი აღმნიშვნელი სიტყვა, გრაგნილი, შესაძლებელია, ამ პერიოდიდან ცოცხლდება ტერმინად. თუ გავითვალისწინებთ, რომ XI ს-ში გამოეყო „კურთხევანს“ (გაბიძაშვილი 2011: 22, 25) ჟამისწირვის ჩატარებისა და ხელდასხმების წესები, თანაც გრაგნილზე გადავიდა, შესაძლებელია, ჩვენ მიერ თარიღთან დაკავშირებული ვარაუდი არ ჩანდეს მიუღებელი.

გრაგნილთან დაკავშირებულ ტერმინთა შორის ყურდლებას იქცევს კიდევ ერთი ლექსემა - **მატიანი**.

პირველი ებრა, 6, 1: მას ჟამსა დარეჰ მეფემან ძიება-ყო და პოვა სახლსა მეფეთა **წიგნთა მათიანთასა** ბაბილონელთასა.

6.1. „τότε Δαρείος ο βασιλεύς ἔθη κεγνώμην και επεσκεψατοενταις **βιβλιοθήκαις** σαιιγᾶζαίεκειν το εκείεν Βαβυλώνι“.

მატიანი თანამედროვე ქართულით გადმოტანილია გრაგნილად. ზემომოყვანილ ძველქართულსა და ძველბერძნულ ფრაზებში იგულისხმება ბევრი წიგნი მათიანთა, ანუ ბიბლიოთეკა. წიგნი კი თავისთავად გრაგნილის ფორმისა უნდა იყოს.

ეზეკიელი, 3, 1-3: „და თქუა ჩემდამო: ძეო კაცისაო, შეჭამე **მატიანი** (გრაგნილი) ესე... და განმილო პირი ჩემი და შემაჭამა მე **მატიანი**(გრაგნილი) იგი; და თქუა ჩემდამო: ძეო კაცისაო, პირმან შენმან ჭამოს და მუცელი შენი აღივსოს **მატიანითა** (გრაგნილი) ამით³¹...“

3, 1-3 και εἶπε προς μευιέ ανθρώπου κατά φαγεότιανερηφφαγετην **κεφαλίδα** ταύτην... 2. Και διήνοιξε το στόμαμου και εψώμισέμε την **κεφαλίδα** ταύτην 3. Και εἶπε προς μευιέ ανθρώπου το στόμα σουφάγεται και ηκοιλίασου πλησθήσε ται της **κεφαλίδος** ταύτης...

ბერძნულში, მოცემული ტექსტის მიხედვით, სიტყვა მათიანის შეესაბამება **κεφαλίδα/κεφαλίδος**.

სულხან-საბას განმარტებით, „მატიანე საღმრთო წერილთა, ძველთა და ახალთა, ორთავე სახლია; მათიანედ ითქმის მეფეთ(ა) ცხოვრებანიცა, მათიანე არს მოსახსენებელნი საქვეყნოთა განსაგებელთა და წესთანი“ (ორბელიანი 1991: 447).

ქართულში ერთმანეთზე გადაკერებულ და გადანებებულ ფურცლებს, რომელთაგანაც შედგება გრაგნილი, **კეფი** ეწოდებოდა. ეს სიტყვა გვხვდება ძველი აღთქმის ტექსტებშიც და იძებნება ძველი ქართული ენის ლექსიკონებშიც (ორბელიანი, აბულაძე). მიჩნეულია ტერმინადაც გრაგნილის ფურცლის (გვერდის) აღსანიშნავად.

იერემია, 36,23: „და იყო, აღმო-რაჲ-იკითხის ივდი **სამი კ ე ფ ი, ანუ ოთხი**, მოჰკუეთდის მათ საჭრელითა მნიგნველისაჲთა...“

„και εγενή θηαν αγινώσκον τος Ιουδι **τρεις σελίδας και τέσσαρας**... ἔας εἰς λίπεπας ο χάρτης“...

³¹ მათიანის, გრაგნილის, ანუ წიგნის, ჭამა სიმბოლური ქმედებაა ეზეკიელ წინასწარმეტყველისა. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ წინასწარმეტყველებს ქმედებების სიმბოლური მნიშვნელობა ეცხადებოდათ უფლისგან მისი კურთხევის შესრულების ჟამს; მსგავს წინასწარმეტყველებაზე მიანიშნებს ზემომოყვანილი ციტატაც. წინასწარმეტყველები ხალხს ღვთის განგებასა და ნებას აუწყებდნენ და ზრუნავდნენ ძველი აღთქმის ეკლესიის წევრების რელიგიურ-ზნეობრივ სინამდვილეზე. დასაწყისსა და დასასრულს წინასწარმეტყველნი თავიანთ სიმბოლურ ქმედებებს განუმარტავდნენ ხალხს (ჩხეიძე 2019: 5).

სულხან-საბა ორბელიანი ამ მონაცემზე დაყრდნობით განმარტავს: „წერილთა ფურცელთა ეწოდების კეფი“ (ორბელიანი 1991: 344). ამავე მაგალითს იშველიებენ მეცნიერები პალეოგრაფიული ტერმინების განხილვისას (ჯავახიშვილი 1996: 70-71; დანელია-სარჯველაძე 2003: 296). ბერძნულად კეფს, ზემომოყვანილი ძველი აღთქმის ერთ-ერთი საკითხავის მიხედვით, შეესატყვისება σελίδα, ანუ ქართულად გვერდი, ხოლო ლათინურად: pagella (pagina) (დანელია-სარჯველაძე 1997: 296) .

გრაგნილის ფურცლის აღმნიშვნელად ტექსტებში ტერმინი „ქარტაც“ არის გამოყენებული. **ქარტა**, რომელიც თავდაპირველად სანერად განკუთვნილ პაპირუსის ფურცელს ეწოდებოდა, ბერძნული სიტყვაა, მომდინარეობს ბერძნული του χάρτης-სგან. ქარტისგან დამზადებულ ნიგნებს, რომლებსაც უმეტესად გრაგნილის ფორმა ჰქონდა, ბერძნულად ერქვა βιβλιος ან βιβλιον (სურგულაძე 1975:29).

იერემია 36, 2,4,6 : „მოიღე თავის შენისად ქარტა ნიგნისაჲ...და დაწერნა ბარუქმან პირისაგან იერემიასსა ყოველნი სიტყუანი უფლისანი, რომელნი გამოაცხადნა მისდამი ქარტასა ზედა ნიგნისასა. და შეხვდე შენ და აღმოიკითხო ქარტასა ამას შინა“...

36.2 Ἀβέσσε αὐτὸν χάρτην βιβλίου... 4. Καὶ ἐκάλεσεν Ἱερεμίας τὸν Βαρούχῃον Νηρίου καὶ ἔγραψεν Βαρούχ ἀποστόματος Ἱερεμίου πάντας τοὺς λόγους κυρίουσδε ἐχρημάτισε πρὸς αὐτόνεις χάρτιον βιβλίου...6. Καὶ σείσθε λῆσθῃ καὶ ἀναγνώσθῃ ἐν τοῦχαρτίῳ ...

გრაგნილთან დაკავშირებული ტერმინი ცოტაა. დღემდე ცნობილია ტერმინებად დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც უკავშირდება გრაგნილი ხელნაწერის ფორმას. ესენია: „გრაგნილი“; „კეფი“, რომელიც გრაგნილის შემადგენელი ფურცლის აღმნიშვნელი სიტყვაა.

ჩვენამდე მოღწეული გრაგნილი ხელნაწერი ნიგნები სხვადასხვა შინაარსის ტექსტების შემცველია. წირვის წესის, ანუ **ჟამისწირვის**, შემცველი გრაგნილები, დახვეულია ჯოხზე, რომელსაც ბერძნულად აღნიშნავს სიტყვა Κόντος-ი (კონტოს), აქედან კი წარმოდგა Κονδάκιον, ანუ **კონდაკი** (კეკელიძე, 1980:580; გაბიძაშვილი 2011: 23; Кекелидзе 1908: XVI) და ჯოხზე დახვეული ჟამისწირვის ტექსტების ზოგად სახელად დამკვიდრდა ქართულ მეტყველებაში, თუმცა აღსანიშნავია, რომ **ჟამისწირვის შემცველ გრაგნილებსა და კოდექსებში სათაურებად ვკითხულობთ: „ჟამისწირვა ნმიდისა ბასილისი“ (S-4980); „ჟამისწირვა ნმიდისა იოვანე ოქროპირისა“ (A-922)³².**

„დიდ სჯულისკანონში“ **კონდაკა, კონდაკა** სატყორცნ შუბს ნიშნავს. ტექსტში მითითებულია, რომ „ჯერ არს მღერაჲ (თამაში) კვანთანონითა და კონდაკაჲთა“ (სარჯველაძე 1995: 100). ჩვენი აზრით, კონდაკს უნდა უკავშირდებოდეს ასევე სიტყვა კონდახი, რომელიც განმარტებულია ასე: „თოფის გარ(ე)შემო ხე გათლილი თოფის შთასადებელი, ხე სასროლად“ (ორბელიანი 1991: 382). ლექსემა კონდაკთან მითითებულია „მღრ. ჯავთაგი“. ამ სიტყვას სულხან-საბა განმარტავს, როგორც კონდაკი. წყაროში კი ერთმანეთის გვერდით გამოიყენება ცნებები: სახარება და ჯავთაგი. „ანდრია სალოსის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ეპყრა ერთსა ხელსა სახარებაჲ და მეორესა ჯავთაგი“ (ორბელიანი 1993: 456).

საგულისხმოა კათალიკოს ეფთვიმი საყვარელიძის ბიჭვინტისადმი შეწირულობის ნიგნი (1600 წ. ახლოს), რომელშიც ვკითხულობთ, ტაძრისთვის სხვა ძვირფასეულობასთან ერთად შეუწირავთ „... ერთი ოქროს **კონდაკი**, ოქროს მელნით დახატული, ოქროს **ღერითაჲ**; ერთი სხუაჲ **კონდაკი** დახატული; ერთი **სხუაჲ ეტრატისაჲ კონდაკი**; მეოთხე ყდითა შეკრული **კონდაკი**; ერთი ჟამნი; ერთი დავითნი“... (დოლიძე 1970: 387) სავსებით მართებულია დ.გოგაშვილის მიერ „ოქროს ღერის“ თაობაზე გამოთქმული მოსაზრება, რომ **ღერი** არის იგივე, რაც გრაგნილის დასახვევი ჯოხი. მკვლევარი იქვე განაგრძობს, რომ „ღერი“ ამავე მნიშვნელობით გვხვდება მაღაქია **კათალიკოსის** სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის საბუთში (1532 წ. ახლო): „კიდევ შემოვსწირე: ერთი კონდაკის **ღერი** ვერცხლისაჲ ორგნით თავი ოქროისაჲ მძიმედ მოთუალული პატიოსნითა თუალებითა“ (გოგაშვილი 2006: 82; დოლიძე 1970: 255). ის ყურადღებას ამახვილებს ასევე „ყდითა შეკრულ კონდაკზე“, რომელიც უტყუარად აღნიშნავს კოდექსის ფორმის ყდაში ჩასმულ ნიგნს (გოგაშვილი 2006:82).

³² ყველა ხელნაწერის დღემდე მოღწეულ სათაურში იკითხება ჟამისწირვა და არა კონდაკი.

ისტორიულ დოკუმენტებში არსებული ლექსიკა გვაფიქრებინებს, რომ გრაგნილის დასახვევი ჯოხის მნიშვნელობით უკვე გამოიყენება ტერმინი **ღერი** და არა კონდაკი. მოყვანილი მასალის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ მე-17 საუკუნიდან საქართველოში **კონდაკი** არის ზოგადად ლოცვის წიგნის, ან წიგნების აღმნიშვნელი ტერმინი. **კონდაკად** მოიხსენიება გრაგნილისა და კოდექსის ფორმის ჟამისწირვის ტექსტების შემცველი წიგნებიც. ვახტანგ მეექვსემაც კოდექსის ფორმით გამოცემული ჟამისწირვისა და ზოგადად საღვთისმსახურო ტექსტების წიგნს უწოდა კონდაკი³³ (ბაგრატიონი 1711: 2-222). გარდა ამისა, „...კონდაკი ითქმის იკოსის ნახევარი“ (ორბელიანი 1991: 168). იკოსი კი, კონდაკთან ერთად, დაუჯდომლად საკითხავი გრძელი მუხლია. ლექსიკური ერთეულის, იკოსის შესახებ, ვკითხულობთ: „სახელ-შეკრებული, ნ. კონდაკი“ (ორბელიანი 1991:326).

ჟამისწირვის მოხსენიება **კონდაკად** XVIII ს-იდან განსაკუთრებით ხშირია. მაგ., კონდაკად იხსენიებს ერთ-ერთ კოდექსს მინანერი, რომელიც გვხვდება Q-1503-ში. მართალია, ეს ხელნაწერი წარმოადგენს იოვანე ოქროპირის ჟამისწირვას, სათაურიც გვაუწყებს: „წესი... ჟამისწირვისა ... მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირის“... ხელნაწერი 88 ფურცელს შეიცავს და გადანერვილი უნდა იყოს XVII-XVIII სს.-ის მიჯნაზე, მინანერი კი მოგვიანებითაა შესრულებული: „ეს სამღვდელთმთავრო კონდაკი... ყოვლად სამღვდელთმთავროსა გერვასიმ იცნა სიონთა მღთისმშობლისა არისო. სონთა(!) მღუთისმშობლისათვისვე მიურთმევი...მაისს კდ(24), წელსა ჩღჟჟ (1796წ.)³⁴. საყურადღებოა ასევე XVI საუკუნის გრაგნილი H-513, რომლის არშიაზე დასტურდება მოგვიანებით მხედრულით შესრულებული მინანერი: „ღმერთო და ყოლა წმიდაო ღვთისმშობელო, და წმიდაო იოანე ოქროპირო და წმიდაო ბასილი, და რაცა ამა **კონტაკში** და წმიდანი მოიხსენიებიან, მათო მადლო, გაუზარდე ზაქარიასა მისი“ (აღწერილობა (H) 1951: 8-9).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ახალ Q ფონდში 1069-ე ერთეულად დაცულია გრაგნილი, რომელშიც შესულია არა მხოლოდ მირონის შემზადების წესი, არამედ სხვადასხვა საკითხავი „კურთხევანიდან“. ხელნაწერი შემადგენელი საკითხავების მიხედვით, წარმოადგენს ლიტურგიკული ხასიათის კრებულს, განკუთვნილს ქართული ეკლესიისათვის. გრაგნილის ფორმით შესრულებული ამ კრებულის ტექსტში ჩართულ ანდერძში ვკითხულობთ: „სახელები ესე დავსწერე სრულსა კოდიკასა შინა ქრისტეს მიერისა დიდისა ეკლესიისა ჩუჴნისა, ქორონიკონს ათას შვიდას და ოცსა, თვესა მარტსა“ (კ. 14r). მაინც რას ნიშნავს ტერმინი **კოდიკა**, რამდენად შესაძლებელია, იგი კონდაკის ბადალი იყოს? ლიტურატიურაში არსებული მნიშვნელობით³⁵, კოდიკას უწოდებენ ღირებული დოკუმენტების ასლებს, რომლებიც გამოიყენება ყოველდღიური ან განსაკუთრებული საჭიროებისთვის. ჩვენი აზრით, კოდიკა, Q-1069 ხელნაწერის მინანერის მიხედვით, უნდა გულისხმობდეს მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლს. ეს კი უდავოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ კრებული მირონის შემზადების წესისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხავებისაგან შედგება. გადამწერმა კოდიკად მოიხსენია ეს გრაგნილი კრებული იმიტომ, რომ გადანერა, ანუ შექმნა მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლი და ერთად მოუყარა თავი იმ წესებს „კურთხევანიდან“, რომელთა აღსრულების დროსაც გამოიყენება *მირონი*.

დოკუმენტის მნიშვნელობით გამოყენებული ზემოხსენებული ტერმინის ადრეული ფორმა, ჩვენი აზრით, უნდა იყოს კოდიკო, რომელიც გვხვდება „დიდ სჯულისკანონში“: „პირველი განწესება³⁶ ორმოცდამესამისა ნაწილისა მესამისა წიგნისა კოდიკოჲსა იტყვის...“ (დიდი სჯულისკანონი 1975:212) „და მეოთხე განწესებაჲცა სამეოცდამათისა ნაწილისა მეხუთისა წიგნისა კოდიკოჲსა იტყვის“ (იქვე, 212)... როგორც „დიდი სჯულის კანონის“ იურიდიული ტერმინების განმარტება გვაუწყებს, კოდიკო (ο Κώδιξ, Codex) -კოდექსი, იუსტინიანეს თაოსნობით 534 წ.-ს გამოცემული კრებულია, რომელიც შეიცავს იმპერატორთა მნიშვნელოვან კანონებს ადრიანედან იუსტინიანემდე (დიდი სჯულისკანონი 1975: 593). ეს განმარტება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ კოდიკა/კოდიკო არის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს კანონს, წესს.

³³ ვახტანგ VI-ის სტამბაში 1711 წელს დაბეჭდილი „კონდაკის“ სატიტულო გვერდზე აღნიშნულია, რომ გამოცემაში წარმოდგენილია უმნიშვნელოვანესი „წესი და რიგი“, რომლებიც საჭიროა მღვდელთა და დიაკონთა მსახურებისათვის, ცისკრისა და მწუხრის ლოცვები, „სამნი კონდაკნი“, ანუ ჟამისწირვები: იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ დიალოღონისა, ასევე სხვადასხვა სახის ლოცვები (კონდაკი 1711: 2).

³⁴ მხედრული, ყავისფერი მელანი (25r).

³⁵ <https://www.google.com/url?sa=t&source=web&rct=j&opi=89978449&url=https://azbyka.ru/&ved=2ahUKEwiuzNnn0pKKAxVnVPEDHbOoEFgQFnoECB0QAQ&usq=A0vVaw3uH1Nxfn6IZ-45N3T6WfpA>

³⁶ წესდება, ყველასთვის სავალდებულო წესი

ბერძნული სიტყვა *Ειλία* ბრუნვას, გარშემო ტრიალს, რულონს, ანუ ხვეულას ნიშნავს (*Дворецкий* 1958:463). ამ სიტყვასთან უნდა ჰქონდეს კავშირი ტერმინი ილიტარიონს (*Ειλιτάριον*). ილიტარიონის სახელითაა ცნობილია გელათის მონასტრის „სინმიდის განახლების“ წესი და განგება, რომელსაც ხშირად გრიგოლ დიალოლონის ჟამისწირვასაც ეძახიან და „აღესრულების დიდთა მარხვათა შინა“. მისი უნიკალური რედაქცია შემოუნახავს გელათის მონასტრის XVI საუკუნის ეტრატის გრაგნილს, რომელიც რუსულად თარგმნა კორნელი კეკელიძემ. ტერმინი ილიტარიონის დამკვიდრებაც მას უნდა უკავშიდებოდეს (*Кекелидзе* 1908: 48). ვფიქრობთ, ზემოხსენებული გუჯრისა და ილიტარიონის გამოყენება დახვეული ფორმის წერილობითი ნიმუშის აღმნიშვნელ ტერმინებად უნდა მიანიშნებდეს იმაზე, რომ ქართველი მეცნიერები ტერმინს გრაგნილს XIX ს.-ში ჯერ კიდევ არ იყენებდნენ.

დღეს, XXI საუკუნეში, საოცრად სწრაფი ცვლილებებია ყველა სფეროში. ამა თუ იმ დარგის განვითარებაც, გარკვეულწილად, ამ ტემპის შესაბამისია. ბუნებრივია, ენაც ვერ აღმოჩნდება ამ პროცესების მიღმა, იცვლება ენის ლექსიკაც. ქართული ენა ინარჩუნებს დამახასიათებელ თავისებურებებს და ხშირად ტერმინის დასამკვიდრებად დიალექტურ ლექსიკას იყენებს (*მუზაშვილი-ოსაძე* 2020: 288-296). ეს გზა არც უნინ იყო უცხო ქართველი მეცნიერებისათვის. გრაგნილთან დაკავშირებული ტერმინის (ტერმინების) შექმნის საჭიროებას გრძნობდა ლ. მუსხელიშვილი და ცდილობდა ქართულ ენაში დაეძებნა შესაფერისი, გამოსადეგი სიტყვა; მას ფშაურ დიალექტში უპოვია სიტყვა ყ უ ბ ა რ ი. მის სამეცნიერო ნაშრომ „ვაჰანის ქვაბის განგებაში“, სქოლიოში, ვკითხულობთ: „ასე ეძახიან, როგ. ს. იორდანიშვილმა გადმომცა, ფშავეში იმ ხის ტაბიკს, რომელზედაც დაიხვევა გრაგნილი; ჩვეულებრივად ყუბარი ორია, ერთი გრაგნილის თავში, მეორე-ბოლოში, რომ მისი გაშლა ადვილი იყოს“ (*მუსხელიშვილი* 1939: 3). მართალია, ეს ლექსემა ტერმინად ვერ დამკვიდრდა, მაგრამ ზემოთ მოყვანილი განმარტება გვაძლევს საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ არსებობდა გრაგნილები, რომლებიც ორ ჯოხზე იყო გადახვეული, თუმცა ამჯერად შესწავლილ გრაგნილებში ორ ჯოხზე გადახვეული ნიმუშები არ გვხვდება, სამაგიეროდ, ცალ ჯოხზე (ან ჯოხის გარეშე) დახვეული ქართული გრაგნილები, როგორც ზემოთაა აღწერილი, იხსნება ვერტიკალურად ისე, რომ ნაწერი ჯოხის პარალელურადაა კეფზე განაწილებული.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ადრეულ წყაროებში წიგნის ხვეული ფორმის წერილობით ნიმუშს, უბრალოდ, წიგნი ჰქვია და მისი გრაგნილად საგანგებოდ მოხსენიება მოგვიანებით გახდა საჭირო. გრაგნილთან დაკავშირებული ტერმინებია: გუჯარი, წიგნი, მათიანი, კეფი, ქარტა, კონდაკი, კოდიკა, ილიტარიონი, ღერი. ამ ტერმინთაგან უძველესია წიგნი.

სულთა მატთანეები, საგვარეულო ქრონიკები, ქრონიკალური ცნობები

გრაგნილი ფორმის ხელნაწერებითაა მოღწეული სულთა მატთანეების, გენეალოგიური და ქრონიკალური ცნობების შემცველი რამდენიმე გვიანდელი წერილობითი ნიმუში.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია „მატიანე სუანეთისა კრებისა“ Q-267; H-2401 (მარგიანი 1999: 404-405; ინგოროყვა 1941: 117-160), სულთა მატთანეები: H-2090; H-2091, H-2092, H-2093აბდ, (აღწერილობა 1950 (H): 56-58. (H)1949 : 276-277;) რომლებიც, მოხსენიებული პირების მიხედვით, სვანეთში უნდა იყოს შედგენილი. ძეგლების ზოგიერთი ფურცელი პალიმფსესტურია. მათი ქვედა ფენა IX-XIV საუკუნეებში გადანერილი ძველი და ახალი აღთქმის ნაწყვეტებია (ქართული პალიმფსესტები 2017: 183-192; 205-213). რამდენიმე გრაგნილი დაბრუნებულია რუსეთიდან. გრაგნილებზე გადანერილი მატთანეების ქრონოლოგიური ზღვარი მოიცავს XIII-XVII სს.-ებს. „მატიანე სუანეთისა კრებისა“ შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი ეტრატის სამი გრაგნილის სახითაა მოღწეული, რომელთაგან ორი ინახება ხელნაწერთა ცენტრის სხვადასხვა ფონდში, ესენია: H-2401 და Q-267, ხოლო მესამე P13 (მე-11 კეფი) დაცულია რუსეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილებაში (მარგიანი 1999: 404-422). „მატიანე სუანეთისა კრებისა“ ორი ქრონოლოგიური ფენისაგან შედგება: პირველი XIII ს.-ის II ნახევარს, ხოლო მეორე- XIV - XV საუკუნეებს უკავშირდება. ამ გრაგნილების შესახებ გამოაქვეყნეს გამოკვლევები: დ. ბაქარაძემ, ექ. თაყაიშვილმა, პ. ინგოროყვამ, ქრ. შარაშიძემ, გ. გასვიანმა, თ. ენუქუძემ, ს. მარგიანმა, ვ. სილოგავამ.

სვანეთიდან მოღწეული გრაგნილები შეიცავენ კერძო მოსახსენებლებს (მარგიანი 1999: 411), რომლებშიც გვხვდება ამა თუ იმ პირების, სხვადასხვა ოჯახების წევრების სახელები ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფები. ჩვეულებრივ, ასეთი მოსახსენებლები დაცულია ხოლმე კოდექსის ფორმის ხელნაწერებში მინაწერების სახით. ჩვენთვის საინტერესო წერილობით ნიმუშებში მსგავსი მოსახსენებლები რომ გრაგნილებითაა მოღწეული, წარმოადგენს იმის ხაზგასმას, რომ გრაგნილს ერთგვარი იურიდიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამასთან თვალსაჩინოც იყო და მოხსენიებულის შთამომავლებისათვის ან დაინტერესებულ პირთათვის მომავალში გაადვილდებოდა ინფორმაციის მოპოვება.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ადრეული თუ გვიანი პერიოდის კოდექსის ფორმის ხელნაწერთა არშიებზე ან დაუნერლად დატოვებული ფურცლებზე მინაწერების სახით გაბნეულია საინტერესო ცნობები ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებზე, ბუნების მოვლენებზე, გადახდილ ბრძოლებზე, კონკრეტული ოჯახების წევრების დაბადებისა და გარდაცვალების ამბებზე და სხვ. შესაძლებელია, XVIII-XIX სს.-ში საწერ მასალზე ხელმისაწვდომობამ, წერა-კითხვის ცოდნამ შეუწყო ხელი საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის მოთხოვნებს, არსებული ინფორმაცია გადასულიყო გრაგნილებსა თუ ფურცლებზე (კეფებზე), რათა ოჯახებს, ოჯახების წევრებს დამოუკიდებელ ერთეულებად ჰქონოდათ თავიანთთვის საინტერესო ამბების შემცველი ტექსტები- საგვარეულო ქრონიკები და გენეალოგიები. მაგალითად, საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება XIX-ის გრაგნილი 1446/137, რომელსაც პირობითად ეწოდება „ფურცელადის ქრონიკა“. იგი ეკუთვნოდა ისაია ფურცელაძეს, სოფელ მერეთას მკვიდრს. „ფურცელადის ქრონიკა“ მოიცავს პერიოდს IV საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით. კერძოდ, იწყება 318 წლიდან, მირიან მეფის ნათლისღებით და მთავრდება სოფია ფურცელაძის ქორწინებით. ქრონოლოგიური თანამიმდევრობა არ არის დაცული (აღწერილობა (სეა) 2018: 167-168). ხეც-ში დაცულია ფართო ფორმატის ფურცლებზე (კეფებზე) გადანერილი XVIII-XIX სს.-ით დათარიღებული ბაგრატიონთა (Q-158ა), თუმანიშვილთა (Q-158 ბ) და თაქთაქიშვილთა (Q-158გ) გენეალოგიური ნუსხები (აღწერილობა (Q) 1957:181-182).

ნესტან ჩხიკვაძე

იოანე ოქროპირის ჟამისწირვა

ფონდები. ჩვენამდე მოღწეულ გრაგნილ ხელნაწერთა, ანუ როგორც ჩვენ მათ ვუნოდებთ, სალიტერატურო გრაგნილთა, უდიდესი ნაწილი ევქარისტული ლიტურგიის, ანუ ჟამისწირვის ტექსტებს შეიცავს. ქართულ ხელნაწერთა ყველაზე დიდი საცავში - **კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში** (სხვაგან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი//ხეც) დაცული 72 გრაგნილიდან ჟამისწირვა 32 ერთეულზეა გადაწერილი. ფონდების მიხედვით ეს გრაგნილები ასე ნაწილდება:

ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდი A, №№: 757 (XIII ს.); 922 (XIII-XIV სს.), 1553 (XV-XVI სს.).

ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოები ფონდი H, №№: 191 (XIV-XV სს.), 510 (XV ს.), 511-519 (XVI ს.), 521 (XVI სს.), 1060 (XV-XVI სს.), 1327 (XV ს.), 1411 (XIV-XV სს.), 1447 (XV ს.), 1728 (XVII ს.), 1729 (XV ს.), 1730 (XV ს.), 1852 (XV-XVI სს.), 2064 (XVI-XVII სს.); 2089 (XV ს.)

ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი S, №№: 3485დ (XVI-XVII სს.), 4980 (XII ს.), 4981 (XIV-XV სს.)

ახალი Q ფონდი, №№: 1068 (XVI ს.), 1070 (XVI ს.), 1071 (XV ს.), 1660 (XV ს.)

„გარდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა, გრაგნილი ჟამისწირვები დაცულია:

საქართველოს ეროვნულ არქივში, №№: 3 (XV ს.), 9 (XIV ს.), 413 (XV-XVI სს.) (აღწერილობა (ცსსა) 1949: 2, 5-6; 1950: 60-61);

ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში: K-605 (XVI ს.), K-606 (XVI ს.), K-657 (XVI ს.), K-636 (XVI ს.), K-637 (XVI ს.) (აღწერილობა (K) 1964);

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში: 2 (კ-80) (XV ს.), 489 (კ-81) (XV ს.), 490 (კ-15) (XV ს.) (გლოველი 2015: 287-288);

სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავში, ახალი კოლექციაში: N/Sin.Geo. 1s (XIII ს.), N/Sin.Geo. 4s (XIII ს.), N/Sin.Geo. 5s (XIII ს.), N/Sin.Geo. 6s (XIII ს.), N/Sin.Geo. 8s (XVI ს.), N/Sin.Geo. 9s (XIII ს.), N/Sin.Geo. 10s (XIII ს.) (აღმოჩენები 2005: 327-331);

გრაჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში: Graz.Geo.2058/4 (985 წ.); Graz.Geo. 2085/5, (XIV ს.) (ჩხიკვაძე 2023: 21-22);

ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში: Ms.or.fol. 573/WdrB (ehem PrSB), Ms. Or. Fol. 926/UB (ehem. PrSB), რომელიც 4 სხვადასხვა გრაგნილის გაერთიანებით შექმნილ ერთეულს წარმოადგენს, თარიღდება XV ს-ით. (ჩხიკვაძე 2023: 35)

როგორც ირკვევა, გრაგნილი, როგორც სალიტერატურო ტექსტების შემცველი ხელნაწერის ფორმა, არ სარგებლობდა პოპულარობით. დღემდე მოღწეული 12.000 ქართული ხელნაწერში გრაგნილის რაოდენობა საკმაოდ მცირეა - 139 ერთეულს არ აღემატება, მათ შორის ჟამისწირვა 54 ერთეულზეა გადაწერილი. ვინაიდან შუა საუკუნეების ხელნაწერ ტრადიციაში გრაგნილი უმთავრესად დოკუმენტის შესაქმნელად გამოიყენებოდა, კვლევის დასაწყისში სალიტერატურო გრაგნილთა რაოდენობის ამგვარმა სიმცირემ გვაფარაუდებინა, რომ ევქარისტული ლიტურგიის შემცველი გრაგნილები იქმნებოდა არა როგორც პრაქტიკული საღვთისმსახურო ფუნქციის ხელნაწერები, არამედ როგორც სარწმუნოებრივი ცხოვრების რეგლამენტაციისათვის დადგენილი წესის ამსახველი დოკუმენტები, როგორც ერთგვარი კანონი, გნებავთ, ცალკეული ეკლესიის შეუვალობის პირობა. ამდენად, ამ ხელნაწერთა საღვთისმსახურო პრაქტიკაში ყოველდღიური გამოყენება გამორიცხული უნდა ყოფილიყო. თუმცა გრაგნილ ჟამისწირვებზე მუშაობამ საპირისპირო სურათი გამოავლინა და ნათელი გახადა, რომ გრაგნილი ჟამისწირვები განეკუთვნება, სწორედ რომ, საეკლესიო პრაქტიკისათვის მეტად საჭირო და ინტენსიური გამოყენების ხელნაწერებს, რასაც ადასტურებს როგორც ამ ხელნაწერთა პალეოგრაფიული თავისებურებები, ისე ის, ე.წ. ტექნიკური თუ ფაქტურული ცვლილებები, რომლებიც დროთა განმავლობაში განიცადეს ამ ხელნაწერებმა. მართალია, პროექტი ფოკუსირებული იყო ქართული წერილობითი მემკვიდრეობის დაცვის სამი უმთავრესი სიძვე-

ლეთსაცავის - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეროვნული არქივისა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცული ერთეულების შესწავლაზე, მაგრამ ამასთანავე იგი ითვალისწინებდა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ სიძველეთსაცავებში არსებული ერთეულების აღწერილობების მონაცემებსა თუ ტექსტოლოგიური კვლევის შედეგებს. ამგვარმა მიდგომამ საშუალება მოგვცა გამოგვეკვითა გრაგნილის ფორმაზე ჟამისწირვების წარმოშობის მასტიმულირებელი პირობები და აღგვედგინა დამოუკიდებელ წერილობით ძეგლებად მათი ჩამოყალიბების საერთო ტენდენციები.

პალეოგრაფიულ თავისებურებები. კვლევამ გვაჩვენა, რომ როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში, ასევე საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ არსებულ სიძველეთსაცავებში დაცული ჟამისწირვის ყველა გრაგნილი, განურჩევლად მისი შექმნის პერიოდისა, გადანერილია ნუსხური ანბანით, ნაწილი შავი, ნაწილი კი ყავისფერი მელნით; სათაურები ნაწერია მთავრულითა და წითელი მელნით, რუბრიკების, კვერექსებისა და ლოცვების სანყისი გრაფემებისთვის, ასევე, გამოყენებულია წითელი მელანი. საგანგებოდ დაკვეთილი და, სავარაუდოდ, დიდი, რიგ შემთხვევებში რეგიონისათვის მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრების მფლობელობისათვის განკუთვნილი ჟამისწირვები შემკულია მხატვრულ-დეკორატიული ელემენტებით - არშიებზე გატანილი დეკორირებული საზედაო ასოებით, თავსამკაულებით, გამოსახულებებით (H-510, H-511, H-512, H-521, A-922, S-4980, Q-1068 Q-1071, K-606, K-657, 2 (კ-80), 489 (კ-81), 490 (კ-15), Graz. Geo. 2058/5, Ms.or.fol. 926/UB (ehem. PrSB); ცალკეული გრაგნილების არშიებზევე შემორჩენილია სხვადასხვა ხელითა და სხვადასხვა დროს შესრულებული მოსახსენებლები, რომელთა დიდი ნაწილი მელნის გაუფერულების გამო აღარ იკითხება. დანარჩენი, სავარაუდოდ, მცირე ეკლესიებისათვის განკუთვნილი ერთეულები კი, ნაწერია სადად, მხოლოდ ორი ფერის მელნის - შავის/ყავისფრისა და წითლის - კომბინაციით.

საწერ მასალად გამოყენებულია ეტრატი, მათგან რამდენიმე ერთეული ნაწერია პალიმფსესტურ ფურცლებზე (H-191, H-1731, H-2089), რაც თავისთავად გულისხმობს, რომ გრაგნილებიც ისევე, როგორც ხელნაწერი წიგნები, ანუ კოდექსები იქმნებოდა არა ცალკეული პირების კერძო ინიციატივისა თუ ინტერესის საფუძველზე, არამედ იმ სივრცის მოთხოვნით, რომელიც უზრუნველყოფდა სარწმუნოებრივი ცხოვრების განვითარების წიგნიერ საფუძველს. ეტრატის საწერი მასალა, მით უფრო ერთხელ უკვე გამოყენებული ხელნაწერი წიგნისათვის, სწორედ ეკლესიის წიაღში მყოფი პირებისთვის იქნებოდა ხელმისაწვდომი. გრაგნილი ჟამისწირვების ყოველ ერთეულზე აღინიშნება სხვადასხვა სახის დაზიანება: ჟამისწირვები თავბოლონაკლულია, ფურცლები ანუ კეფები ძველი ნესტისა და ჭვარტლის ზემოქმედებისაგან გამომშრალი, გაუხეშებული, ჩახეული და გამუქებულია, ხშირ შემთხვევაში ნაწერი გაუფერულებულია და ტექსტის ამოკითხვა ჭირს ან სულაც შეუძლებელია, კეფების გადაკერვის ადგილები მორღვეულია, აღინიშნება მეორეული გადაბმის კვალი - ნაცვლად პირველადი კინძვისას გამოყენებული ტყავის, ძუის ან ეტრატის შეფერილობის მყარი ძაფისაგან დამზადებული საკინძი მასალისა, გამოყენებულია სქელი მოყვითალო, წითელი, ეტრატისფერი ან ლურჯი ფერის უხეში ძაფი (მაგ.: A-757, H-510, Q-1071, K-606, H-2090). გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, რომელთა დროსაც სხვადასხვა ხელითა და სხვადასხვა ფაქტურის ეტრატზე გადანერილი, როგორც ჩანს, სხვადასხვა გრაგნილის შემორჩენილი კეფები ერთ ერთეულადაა წარმოდგენილი (H-1728, H-2089). ამ შემორჩენილ ნაწილებზე არსებული ტექსტები ფრაგმენტული ხასიათისაა.

გრაგნილი ჟამისწირვების კატალოგიზაციის პროცესში, რომელიც ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა, ნათელი გახდა, რომ ხელნაწერის ამ ფორმაზე გადანერილია მხოლოდ ბიზანტიური წესის, ანუ იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის საღვთო ლიტურგიათა ტექსტები. ადრეულ ქართულ საღვთისმსახურო ტრადიციაში გავრცელებული და IX-X სს-ის ხელნაწერებით შემონახული წმ. იაკობის საღვთო ლიტურგიის, იაკობ მოციქულისა და ბასილი დიდის ავტორობით ცნობილი პირველმენიერულისა და წმ. პეტრე მოციქულის ჟამისწირვების ტექსტები მხოლოდ წიგნად აკინძული ფორმის ხელნაწერებშია შეტანილი და ძირითადად ან ცალკე კოდექსის სახით გვხვდება (A-86), ან შერეული ლიტურგიკული კრებულების შემადგენლობაში შედის (O/Sin.Geo. 12, O/Sin.Geo. 53, კურთხევანის ადრეულ რედაქციაში: O/Sin.Geo. 54, N/Sin.Geo. 53).

გრაგნილ ჟამისწირვათა კატალოგიზაციამ გვაჩვენა, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 32 გრაგნილიდან 30 იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ტექსტს შეიცავს და მხოლოდ

ორზეა გადაწერილი ბასილი დიდის ჟამისწირვა, ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ოთხი გრაგნილიდან (K-606, K-637, K-605, K-636, K-657) ერთი - გელათის ილიტარიონის სახელით ცნობილი გრაგნილი (K-657) - შეიცავ იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ჟამისწირვებს, ბასილი დიდის სინმინდის საღვთო განახლების ტექსტებს. ბასილი დიდის ჟამისწირვის ფუნდამენტური კვლების შედეგები და კრიტიკული ტექსტი გამოქვეყნებული და კარგად ცნობილია სამეცნიერო წრეებისათვის (ქაჯაია 1997: 109-145). ამდენად ჩვენი კვლევის არეალში მოექცა იოანე ოქროპირის ჟამისწირვის გრაგნილი ხელნაწერები. ძირითადი საკვლევი ერთეულები შეირჩა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული გრაგნილებიდან, რაც შეეხება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის გრაგნილებს, ისინი დროთა სვლამ, ასევე, თავდაპირველი დაცულობის ადგილზე (სამუზეუმო სივრცეში მათ მოხვედრამდე) არსებულმა მაღალმა ტენიანობამ და არახელსაყრელმა პირობებმა საკმაოდ დააზიანა, ტექსტი გააუფერულა. რაც შეეხება გელათის ილიტარიონს, რომელიც ქუთაისის ფონდის ყველაზე კარგად მოლწეული გრაგნილია, მასზე გადაწერილია როგორც იოანე ოქროპირის, ასევე ბასილი დიდის ჟამისწირვა და ბასილი დიდის სინმინდის საღვთო განახლების ტექსტი. ვფიქრობთ, რომ გელათის ილიტარიონის შესწავლა უნდა წარიმართოს სამივე ლიტურგიკული ტექსტის კვლევის მიმართულებით. ვინაიდან ბასილი დიდის ჟამისწირვის შესწავლა სცილდება ჩვენი კვლევის ფარგლებს, ამიტომაც ამ გრაგნილის შესახებ მხოლოდ ზოგადი მონაცემების მოხმობას დავჯერდებით.

საკვლევ მასალაზე მუშაობის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ორმა საკითხმა. პირველი შეეხო ამ ხელნაწერთა დათარიღების პრობლემას, ვინაიდან ცალკეულ შემთხვევებში გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამობა ტექსტების ენობრივ თავისებურებებსა და მათი დათარიღების შესახებ დღეისათვის ცნობილ ინფორმაციას შორის. მეორე პრობლემა კი დაუკავშირდა იმ მიზეზებისა თუ მოტივების გამოკვეთას, რომელთაც განაპირობებს ბიზანტიური წესის ექვთარისტიული ლიტურგიის გრაგნილის ფორმაზე გადატანა და დამოუკიდებელ წერილობით ერთეულად ჩამოყალიბება³⁷. სავსებით ნათელი გახდა, რომ ამ საკითხების გადაჭრა გრაგნილ ჟამისწირვათა კომპლექსური - ტექსტოლოგიური თავისებურებებისა და ამ ხელნაწერთა წარმოშობის განმაპირობებელი კულტურულ-ისტორიული პროცესების - კვლევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. გრაგნილი ჟამისწირვებზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ ჩვენ წინაშე წამოჭრილი პრობლემების კვლევის საფუძვლები იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიათა ქართული რედაქციების დღემდე ცნობილი კვლევის შედეგებში უნდა მოგვეძიებინა.

კვლევის ისტორია. იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ჟამისწირვათა ქართული რედაქციების კვლევას საფუძველი **კორნელი კეკელიძემ** ჩაუყარა. ქართული ლიტურგიკის შესახებ 1908 წელს გამოცემულ უმნიშვნელოვანეს შრომაში მან სამეცნიერო საზოგადოებას რუსულ ენაზე მიაწოდა იმჟამად საეკლესიო მუზეუმის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, გელათის მონასტრისა (ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდი) და რუსეთის საიმპერატორო ბიბლიოთეკის (ამჟამად რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, პეტერბურგი)³⁸ კოლექციებში დაცული X-XVIII სს-ის 45 ქართული ლიტურგიკული ხელნაწერის დანვრილებითი აღწერილობა ტექსტების თარგმანითურთ (Кекелидзе 1908: 1-408) და ქართული ლიტურგიკული ტრადიციის ზოგადი მიმოხილვა (იქვე: 411-425). ამ შრომამ ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანული სასულიერო მწერლობის ამ დარგის ქართული თარგმანების ფუნდამენტურ კვლევას. გარდა ხელნაწერი წიგნების, ანუ კოდექსებისა, მეცნიერის ყურადღება მიიპყრო ჟამისწირვის გრაგნილებმა, რომელთაგან იოანე ოქროპირის ავტორობით ცნობილი სამი ერთეული ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A კოლექციაში - A-757, A-922, A-1553³⁹ (Кекелидзе 1908:48-52), ხოლო ერთი, გელა-

³⁷ ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ მხოლოდ ჟამისწირვის ქართულ რედაქციებს. ეს ბიზანტიურ ლიტურგიკულ პრაქტიკასა და მასთან დაკავშირებულ ეკლესიათა მსახურებაში მიმდინარე საერთო პროცესია. ბერძნულ ტრადიციაში ჟამისწირვათა გრაგნილები XIII – XIV სს-დან ფიქსირდება. შდრ.: Дмитриевский 1901: 140-146, 157-159, 271-272.

³⁸ პეტერბურგში, რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დაცულ ქართულ ხელნაწერთა შესახებ ზოგადი ინფორმაცია გამოქვეყნებულია (Васильева 2019).

³⁹ კ.კეკელიძე საუბრობს საეკლესიო მუზეუმის ოთხ ხელნაწერზე. დღეს A კოლექციაში მხოლოდ 3 გრაგნილი გვაქვს.

თის ილიტარიონის სახელწოდებით ცნობილი გრაგნილი - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში საფონდო ნომრით K-657 (Кекелидзе 1908:99-106).

ვინც კი ერთხელ მაინც გასცნობია კ. კეკელიძის შრომებსა და მათში გამოკვეთილ კვლევის მიზანდასახულებას, მისთვის ცნობილია, რომ მეცნიერის ყურადღება მიმართული იყო არა მხოლოდ ქრისტიანული მწერლობის ცალკეული ძეგლების ქართული რედაქციების ტექსტოლოგიური თავისებურების გამოვლენისაკენ, არამედ ქართული მწიგნობრობის განვითარების კულტურულ-ისტორიული საფუძვლების კვლევის, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქრისტიანულ სამყაროში ქართული წერილობითი ტრადიციის როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრის, ადრეულ იერუსალიმურ თუ კონსტანტინოპოლურ ტრადიციებთან ქართული ეკლესიის კავშირების გამოვლენისაკენ. ლიტურგიკისადმი მიძღვნილ დასახელებულ ნაშრომში კ.კეკელიძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი ინტერესის უმთავრეს საგანს წარმოადგენდა ტიპიკონებისა და ევქოლოგიონების - რთული შედგენილობის ლიტურგიკული კრებულების, როგორც ქართული ეკლესიის ცხოვრებისა და საღვთისმსახურო პრაქტიკის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ძეგლების, თავისებურებათა კვლევა, სხვა შემთხვევაში კი იგი მიზნად ისახავდა, თავი მოეყარა რაც შეიძლება მეტი ლიტურგიკული წიგნის აღწერილობისათვის (Кекелидзе 1908: I-VI). როგორც ჩანს, სწორედ ამგვარმა მიდგომამ და განსაკუთრებით კი ქართული სასულიერო მწერლობის საწყისების კვლევის მიზანმა განაპირობა, რომ ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში გავრცელებული ჟამისწირვებიდან მეცნიერმა საგანგებო ყურადღება დაუთმო იერუსალიმური ტრადიციის იაკობის ჟამისწირვის ტექსტს, რომელიც, როგორც აღნიშნავს მეცნიერი, ათონის სალიტერატურო სკოლის ჩამოყალიბებამდე დომინირებდა ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში (კეკელიძე 1980: 582-583). იაკობის ჟამისწირვის ოთხი რედაქციიდან მკვლევარმა მის ხელთ არსებული ხელნაწერის A-86 საფუძველზე ორგზის გამოსცა XI ს-ის დამდეგს გავრცელებული რედაქცია (Кекелидзе 1908: 1-32; Кекелидзе 1912). რაც შეეხება იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ჟამისწირვებს, როგორც აღნიშნეთ, კ.კეკელიძემ ზემოთ დასახელებულ ნაშრომში ქართული ტექსტების რუსული თარგმანები გამოაქვეყნა XIII-XVII სს-ის იმ ხელნაწერების მიხედვით, რომლებზედაც მას ხელი მიუწვდებოდა. კ. კეკელიძის მიერ ამ ფუნდამენტური გამოკვლევის შედეგის დროისათვის ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო სინის მთის წმ. ეკატერინე მონასტერში, ავსტრიისა თუ გერმანიის წიგნსაცავებში დაცული ქართული ხელნაწერების კვლევა, ამას გარდა, არც საქართველოში არსებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციები იყო ბოლომდე თავმოყრილი და კატალოგიზირებული, ამიტომაც მეცნიერი დაეყრდნო მაშინდელი საეკლესიო მუზეუმის, რუსეთის საიმპერატორო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციისა და გელათურ გრაგნილებზე გადაწერილ ტექსტებს, მათი რუსულენოვანი თარგმანების გამოქვეყნებისას მეცნიერი შემოიფარგლა მხოლოდ ქართული და ბერძნული რედაქციების ზოგადი მიმართებისა და ქართულ ნუსხებში გამოვლენილი სხვაობების აღნუსხვით (Кекелидзе 1908: 48-56, 87-106, 178-179, 191-196, 206-209 414-425). მკვლევარს ყურადღება არ გაუმახვილებია კონსტანტინოპოლური ტრადიციის ჟამისწირვების ქართულ რედაქციებში არსებული სხვაობების ქრონოლოგიური ზღვრებისა და რედაქციული სხვაობების განმაპირობებელი მიზეზების კვლევაზე, რაც სავსებით ბუნებრივია. XIX-XX სს-თა მიჯნაზე ჯერ კიდევ არ იყო გამოკვლეული ჟამისწირვის ბერძნული ფორმულარის ფორმირებისა და რედაქციული განვითარების საკითხები სათანადო მასალის დამონებით. სხვათა შორის, მიუხედავად ბიზანტიური ლიტურგიკის ისტორიასთან დაკავშირებული არაერთი გამოკვლევისა, რომლებშიც უმთავრესად წარმოდგენილია ხელნაწერთა დაწვრილებითი აღწერილობები (Дмитриевский 1894; Дмитриевский 1901:12-28, 42-43, 75-76; Красносельцев 1885; Голубцов 1918; Baumstark 1953; Арранц 1978, 1979, 2003; Успенский 2006; Taft 1977; 1980/1981:45-75; 2000; Pott 2000:169-196), დღესაც კი ევქარისტული ლიტურგიის რიტუალის მარეგულირებელი ტექსტის რედაქციული თავისებურებებისა თუ მათი შექმნისა და გავრცელების არეალში არსებულ კულტურულ-ისტორიულ ვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებში ბევრი რამ მაინც ითხოვს დაზუსტებას. ამგვარ ვითარებას კი განაპირობებს თვით ბერძნულ რედაქციათა სიმრავლე და ხშირ შემთხვევაში ხელნაწერთა დათარიღებაში შექმნილი პრობლემები.

მიუხედავად იმისა, რომ კ. კეკელიძეს მიზნად არ დაუსახავს ქრისტიანული ღვთისმსახურების ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის დეტალური კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი, მისი შრომა და ზოგადი დაკვირვებები, რომლებიც მან ძველი ქართული ლიტურჯის ისტორიის პირველ ტომში გამოაქვეყნა (კეკელიძე 1980: 580-584), დღესაც გეზს აძლევს ამ დარგით დაინტერესებულ მკვლევრებს. იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ჟამისწირვათა ქართულ ტრადიციაში შემოსვლის დროდ მეცნიერმა X ს. განსაზღვრა, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ იერუსალიმური და კონსტანტინოპოლური ტრადიციების თანაარსებობა საქართველოში XII ს-მდე გაგრძელდა (Кекелидзе 1908: XV-XVI). საინტერესოა ამ მხრივ მისსავე შრომაში XVI ს-ის კრებულის მიხედვით გამოქვეყნებული ეფთვიმე ათონელისა და თეოდორე საბანმინდელის კითხვა-მიგების ტექსტი (A-450, 565r-572v), რომელშიც კონსტანტინოპოლის ეკლესიის მიერ შეწყნარებულ ძეგლთა შესახებ საუბრისას ათონელი მამა ეხება იერუსალიმური და კონსტანტინოპოლური ჟამისწირვების თანაარსებობის საკვებით კანონიერ ხასიათს და აღნიშნავს:

*„...ოდეს წმიდამან ბასილი და ნეტარმან იოვანე ოქროპირმან ჟამის წირვანი გამოთქუეს, სიმოკლისათჳს ერმან ივინი [შინყნარნა] და წმიდისა იაკობისა მოჰყინყდა. და ან ყოველნი წმიდისა ოქროპირისასა წირვენ, დიდთა მარხუათა შინა - ბასილისასა. და ოდესცა ვის უნდეს, ყოვლად კეთილ არს იაკობისაცა, პეტრესიცა, ბასილისა და ოქროპირისა“.*⁴⁰

იოანე ოქროპირის გრაგნილ ჟამისწირვებზე მუშაობის პროცესმა ადრეული და კონსტანტინოპოლური რედაქციის ჟამისწირვების თანაარსებობის არაერთი დამადასტურებელი საბუთი გამოავლინა.

საქართველოს საზღვრებს გარეთ დაცული იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ქართული რედაქციის პირველი გამოცემა ეკუთვნის **მიხეილ თარხნიშვილს**, რომელმაც სამეცნიერო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადა ავსტრიისა და ვატიკანის წიგნსაცავებში დაცული ჟამისწირვების ქართული რედაქციების ტექსტები. XX ს-ის 30-იანი წლების ბოლოს მკვლევარმა გამოაქვეყნა გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულ ოთხკეფიან გრაგნილზე Graz. Geo. 2085/5 გადაწერილი იოანე ოქროპირის ლიტურჯიის ქართული რედაქციის გერმანული თარგმანი და ხელნაწერი დაათარიღა X-XI სს-ით (Tarchnišvili 1934: 79-94.); მოგვიანებით კი მანვე გრაცის უნივერსიტეტისა და ვატიკანის წიგნსაცავებში დაცული ქართული ხელნაწერი წიგნების, ანუ კოდექსებისა და გრაგნილების საფუძველზე გამოაქვეყნა იაკობის ჟამისწირვისა და პირველშენიშნის ლიტურჯიის (Graz, Geo. 2058/4), იოანე ოქროპირისა (Graz, Geo. 2058/5) და პეტრე მოციქულის ლიტურჯიის (Vat. Borgia 7) ქართული რედაქციები (Tarchnišvili 1950). ვინაიდან ჩვენი კვლევის არეალში არსებული გრაგნილები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არ შეიცავენ არც იაკობ მოციქულისა და არც პეტრე მოციქულის ჟამისწირვებს, მ. თარხნიშვილისეული გამოცემიდან ჩვენ შემდგომ გავითვალისწინებთ მხოლოდ იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ტექსტს (Tarchnišvili 1950: 64—83).

Graz. Geo. 2058/5-ის მიხედვით იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ტექსტი გრაგნილის დანვრილებითი აღწერილობით, მინაწერებითა და პირველი კეფის შავ-თეთრი ფოტოს თანხლებით ხელმეორედ გამოსცა **ვახტანგ იმნაიშვილმა**, რომელმაც გაასწორა მ. თარხნიშვილისეული გამოცემის მცდარი იკითხვისები, თუმცა, პუბლიკაციაში საერთოდ არ შეჰხებია გრაგნილის დათარიღების საკითხს. (იმნაიშვილი 2004: 295-313).

1964 წელს ბელგიელმა მკვლევარმა **ანდრე ჟაკობმა** სინური კოლექციის ქართული ხელნაწერის O/Sin. Geo. 89-ის მიხედვით გამოსცა იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ქართული რედაქციის ტექსტი (Jacob 1964: 65-119), მოგვიანებით კი ქართული რედაქციის კვლევის შედეგები გაითვალისწინა იოანე ოქროპირის ბერძნული ფორმულარის ისტორიისადმი მიძღვნილ სადოქტორო შრომაში (Jacob 1968). სინური ხელნაწერში, გარდა იოანე ოქროპირის ლიტურჯიისა, შედის ბასილი დიდის ჟამისწირვის, ბასილის დიდის მარხვათა განახლებისა და იაკობ მოციქულის სინმინდის განახლების ლიტურჯიათა ტექსტები. ხელნაწერი გადაწერილია სტეფანე დვალის მიერ გეთსიმანის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. ეყრდნობა რა თითოეული ჟამისწირვის შემდგომ დართულ გადამწერისეულ ანდერძებს, რომლებშიც სხვა პირებთან ერთად მოიხსენიებიან მიქაელი და მამა იოვანე, მკვლევარი სტეფანე დვალს,

⁴⁰ ამ კითხვა-მიგების დეტალური ანალიზისათვის იხ.: ებრალიძე 2019: 145-161

სავარაუდოდ, აკავშირებს XI ს-ის ცნობილ კალიგრაფ იოვანე დვალთან და ამ ფაქტის პარალელურად ხელნაწერის პალეოგრაფიული თავისებურებების განხილვის საფუძველზე კრებულს XI ს-ით ათარიღებს (Jacob 1964: 68)⁴¹. გარდა ამ არგუმენტებისა, ა. ჟაკობი ყურადღებას ამახვილებს კრებულის შედგენილობაზე და მისი ადრეული წარმომავლობის ერთ-ერთ არგუმენტად ასახელებს ჟამისწირვათა რიგითობის ფაქტს - O/Sin.Geo. 89 თავდაპირველად წარმოგვიდგენს ბასილი დიდის, ხოლო მის შემდგომ კი იოანე ოქროპირის ლიტურგიებს, რაც XI ს-ის ბიზანტიური პრაქტიკისათვის იყო დამახასიათებელი. შემდგომ ა. ჟაკობი განიხილავს უშუალოდ იოანე ოქროპირის ჟამისწირვის სტრუქტურას, ლოცვებისა და რუბრიკების თავისებურებებს, სინური ხელნაწერის მასალას ადარებს გრაცის გრაგნილის ტექსტს და აღნიშნავს, რომ O/Sin.Geo. 89-ში დაცულია, სწორედ რომ, XI ს-ში გავრცელებული ფორმულარი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად ამ ძეგლის ბერძნული რედაქციის შესწავლაში. ჩვენი მხრივ დავძენთ მხოლოდ ერთ შენიშვნას, დვალის კალიგრაფთა დინასტიის წარმომადგენლები - იოანე და მისი ძე მიქაელი XI ს-ის 50-60-იანი წლებიდან ჩანან ჩვენს ხელნაწერ ტრადიციაში. სტეფანე დვალი, სავარაუდოდ, მათი შემდგომი თაობის წარმომადგენელია და კრებულის გადანერის ქვედა ზღვარი XI-XII სს-ის მიჯნაზე უნდა გადიოდეს.⁴² ამგვარი ვარაუდის დაშვების საშუალებას გვაძლევს O/Sin.Geo. 89-ის ტექსტის ხელით შესრულებული კოლოფონი:

„დიდებაჲ შენდა, ქრისტე. დაესრულა წმიდაჲ ჟამისწირვაჲ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ ჴელითა ფრიად ცოდვილისა იო(!) სტეფანე დვალისაჲთა. ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, და უცბად ჩხრეკისა და დაკლებისათჳს შენდობა ყავთ. ღმერთმან დაგაჯეროს. ქრისტე, შეიწყალე სტეფანე, კვრიკე, მოსე, სჴმიონ, გაბრიელ. დავნუსხე გესმანიას, საფლავსა წმიდისა და ყოველად დიდებულისა ღმრთისმშობელისასა“ (69v).

„მოიჴსენე, უფალო, ნყალობითა შენითა სული საწყალობელი სტეფანესი და სული მშობელთა მისთაჲ კვრიკისაჲ და ანაჲსი და სული მიქელაისაჲ...“ (62r)

როგორც ცნობილია, ერთი ოჯახისა თუ თაობის თანამოღვაწე მნიგნობრები უმეტეს შემთხვევაში ერთად მოიხსენიებიან მათ მიერვე ხელნაწერებისათვის დართულ კოლოფონებში. ჩვენ სარწმუნოდ არ მიგვაჩნია ა. ჟაკობის ვარაუდი, რომლის თანახმადაც სტეფანე დვალის ანდერძის ორ გრაფემა იო-ში იოვანე დვალია ნაგულისხმევი. გარდა იმისა, რომ იოვანე დვალის ანდერძებში მისი სახელი წარმოდგენილია სრულად - იოვანე, არაა დარღვეული არც ერთი ენობრივი ნორმა, არც დაქარაგმების წესი, არ გვხვდება ა-მეტობით ან ი-მეტობით ნაწერი ფორმები, ამასთანავე არ არიან მოხსენიებული არც სტეფანე დვალი და არც მისი მშობლები კვრიკაი და ანაჲ. მაგალითისათვის მოვიხმობთ 1055 წ-ს იოვანე და მიქაელ დვალის მიერ იერუსალიმში გადანერილი Jer.Geo.14-ის ანდერძებს:

“დაიწერა ... ჴელითა უღირსისა ბერისა იოვანე დვალისაჲთა და შვილისა ჩემისა კურთხეულისა მიქაელისითა“ (490v)

„...შეწირე მონასტერსა ჯუარისასა იერუსალემს, რომელსაცა აღუთქუ საჴსენებელად და სალოცველად ფრიად ცოდვილისა სულისა ჩემისა და სულსა მშობელთა ჩემთასა სულსა ფარსმანისსა.“ (496r⁴³)

ქართული თარგმანის თავისებურებათა სავარაუდო წყაროების გამოვლენის მიზნით ბელგიელი მეცნიერი სინურ ვერსიას ადარებს VIII-XIII სს-ის 14 ბერძნული და ერთი ლათინური ხელნაწერის იკითხვისებს. ჩატარებული კვლევიდან ვიგებთ, რომ იოანე ოქროპირის ჟამისწირვის 14-ვე ხელნაწერი სისრულე-სიმოკლის თვალსაზრისით ორ განსვავებულ ჯგუფს ქმნის. გარდა ამისა, თავად ამ ჯგუფებში შემავალი ვერსიები ერთმანეთის მიმართაც ავლენენ რედაქციულ სხვაობებს. ქართული სინური ტექსტი არ მიჰყვება ა. ჟაკობის მიერ განხილულ ერთ რომელიმე ბერძნულ ვერსიას. მისი შემადგენელი ნაწილების - სათაურის, შესანიშნავთა წინადადების, კათაკმეველთა წირვისა და განტევების, მართალთა წირვისა და ანაფორის - ანა-

⁴¹ აღ. ცაგარელი კრებულს XIII-XIV სს-ით ათარიღებს (Цагарели 1888:250), ხოლო ძველი სინური კოლექციის აღმწერლები - XII ს-ით (აღწერილობა (Sin) 1987: 201).

⁴² აშშ კონგრესის ციფრული ბიბლიოთეკის ვებგვერდის მონაცემებითა და ასევე ქართველ მეცნიერთა მიერ შედგენილი აღწერილობის მიხედვით კრებული XII ს-ით თარიღდება; შდრ.: <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.0027938734A-ms/?sp=2&st=image&r=-0.259,0.027,1.592,0.733,0;> (აღწერილობა (sin.) 1987:201)

⁴³ ფურცლის დაზიანების გამო შემდეგი ტექსტი არ იკითხება.

ლოგებისათვის მკვლევარი სხვადასხვა ბერძნული ვერსიას მიუთითებს (VIII ს-ის Barberini grec 336, XI ს-ის Grottaferrata Γ β II, XI ს-ის Leningrad grec 226).

მაგრამ ცალკეულ მონაკვეთთა VIII-X სს-ის ბერძნულ ტექსტებთან ანალოგია არ გულისხმობს, რომ დღეისათვის ცნობილი ქართული ვერსია ამ პერიოდის ბერძნულ რედაქციას მიჰყვება. საქმე ისაა, რომ ზოგადად ევქარისტიული მსახურება რთული შედგენილობის რიტუალია და შესაბამისად ჟამისწირვის შედგენილობაც არაა მარტივი. ესაა რიტუალი, რომელიც აერთიანებს ლიტურგიის მოსამზადებელი მოქმედებების ე.წ. შემთხვევის ლოცვებს, პროსკომედის ანუ კვეთის, კათაკმეველთა წირვისა და მართალთა წირვის მღვდელმოქმედებას, მათ შესატყვის რემარკებს, კვერექსებს ანუ სავედრებელ ლოცვებსა და ანტიფონებს, ახალაღთქმისეულ მუხლებსა და ფსალმუნებს. შესაბამისად, ამ რიტუალისათვის განკუთვნილი წიგნის ჩამოყალიბება დროის ხანგრძლივ მონაკვეთს მოიცავს. ვინც კარგად ფლობს ქრისტიანული ლიტურგიკის თეორიისა და პრაქტიკის ისტორიის საკითხებს, მას შეუძლია ჟამისწირვის ტექსტებში სხვადასხვა ეპოქის დაშრეველების გამოყოფა. ჩვენ, რაღა თქმა უნდა, შორსა ვართ ამგვარი ანალიზისგან და მხოლოდ ხელნაწერთა მონაცემების ანუ ფაქტოლოგიური მასალის საფუძველზე იოანე ოქროპირის ჟამისწირვის გრაგნილზე გადანერილი ქართული თარგმანების ურთიერთმიმართების საკითხებით შემოვიფარგლებით, თუმცა მათი კვლევა იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ქართული რედაქციის შემცველი კოდექსების კვლევის უკვე არსებული შედეგების გათვალისწინების გარეშე ჩვენი ამოცანის გადაჭრა მხოლოდ ფუჭი მცდელობა იქნება. ამიტომაც ჩვენთვის არსებითი და მნიშვნელოვანია ა. ჟაკობის მიერ ჩატარებული კვლევითი საქმიანობის შედეგების გათვალისწინება. სწორედ ბელგიელი მეცნიერის მიერ შესრულებულ სამეცნიერო სამუშაოს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ხელთა გვაქვს ჩვენთვის საინტერესო ლიტურგიკული ტექსტის შესახებ არა ზოგადი თვალსაზრისები, არამედ ბერძნულ ხელნაწერთა გამონვლილვითი ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნები. ა. ჟაკობის მიერ არაერთი ბერძნული ხელნაწერის შესწავლის შედეგად გამოვლინდა იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ფორმულარის ჩამოყალიბების ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპები, გაირკვა, რომ ძველ კონსტანტინოპოლურ რედაქციაში, რომელიც შემორჩენილია VIII-X სს-ით დათარიღებულ ბერძნულ ხელნაწერებში, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ამ ძველის სრული ფორმულარი, შესაბამისად მისი გავრცელებაც მხოლოდ ლოკალური საეკლესიო სივრცეებით შემოისაზღვრებოდა. როგორც ჩანს, ამ ვითარებამ ასახვა ჩვენს ხელნაწერ ტრადიციაშიც პოვა. შემთხვევითი არაა, რომ IX-XII სს-ის ქართული ხელნაწერი და, უნდა ვიფიქროთ, საღვთისმსახურო ტრადიციაც მხოლოდ იაკობის ჟამისწირვის ტექსტს ცნობს.

ა. ჟაკობის კვლევის თანახმად, იოანე ოქროპირის ჟამისწირვის სრული ფორმულარი ანუ, როგორც მკვლევარი მას უწოდებს, ახალი კონსტანტინოპოლური რედაქცია, საბოლოოდ XI ს-ში ჩამოყალიბდა (Jacob 1968: 257-258, 270-284). ამ ახალმა რედაქციამაც ცალკეულ მეტროპოლიებსა თუ სამონასტრო ცენტრებში დადგენილი რიტუალის შესაბამისად განიცადა ამა თუ იმ მონაკვეთის - რემარკებისა თუ კვერექსების - ცვლილებები, თუმცა შეინარჩუნა ფორმულარის მთლიანობა. O/Sin.Geo. 89-ში არსებული ტექსტი სწორედ ახალი კონსტანტინოპოლური რედაქციის იმ ვერსიას წარმოადგენს, რომელიც XI ს-ში იყო გავრცელებული ბიზანტიური საღვთისმსახურო წესის მიმდევარ სივრცეებში. მასზე ადრეულ თარგმანს ქართული ტრადიცია არ იცნობს, ყოველ შემთხვევაში, დღემდე არ არის გამოვლენილი არც ერთი ხელნაწერი თუ ფრაგმენტი მაინც, რომელიც იოანე ოქროპირის ჟამისწირვის სრული ფორმულარის ქართულ რედაქციას ძველი კონსტანტინოპოლური რედაქციის გვერდით დააყენებდა. შესაძლოა, სინური კოლექციის X ს-ის ლიტურგიკულ კრებულებში O/Sin.Geo. 12 და O/Sin.Geo. 54 კალენდარზე განყოფილ კვერექსებს, განტევების ლოცვებსა და ფსალმუნურ საგალობლებს დაეძებნოთ პირდაპირი ანალოგიები იოანე ოქროპირის ჟამისწირვის შესაბამის ნაწილებთან, მაგრამ ეს, ვფიქრობთ, უფრო მეტად თავად ჟამისწირვათა ურთიერთმიმართებისა და საერთო წყაროების გამოვლენის საკითხებზე დაფიქრებისკენ გვიბიძგებს.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ევქარისტიული მსახურების უმნიშვნელოვანესი, ფაქტობრივად, საკანონმდებლო მნიშვნელობის წიგნის – ჟამისწირვისადმი მკვლევართა ინტერესი მეტად მაღალია. უკვე XVII ს-დან მიყოლებული, კერძოდ კი მას შემდეგ, რაც იაკობ გოარმა გა-

მოსცა ევქოლოგიონის ბერძნულ-ლათინური რედაქციები (Goar 2014)⁴⁴, ქრისტიანული ლიტურგიის არაერთი ფუნდამენტური შრომა თუ ცალკეული სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელთა ნაწილი ზემოთაც მოვიხმეთ, შეჰხებია ჟამისწირვის ისტორიის, მისი სტრუქტურის სრულყოფისა და რედაქციული თავისებურებების საკითხებს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ მხრივ ინარჩუნებს 1901 წ-ს ა. დმიტრიევსკის მიერ გამოცემული 162 ბერძნული ევქოლოგიონი (Дмитриевский 1901). ეს შრომა კარგად ასახავს ბიზანტიური ღვთისმსახურების განვითარების ისტორიას არა მხოლოდ კოდექსების, არამედ ჟამისწირვის გრაგნილების საფუძველზეც. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თავად ჟამისწირვის, იქნება ის იერუსალიმური და თუ შემდგომი ბიზანტიური ტრადიციისა, კვლევა არც ისე მარტივია, ვინაიდან იგი, სწორედაც რომ, უკავშირდება ევქარისტიული მსახურების რიტუალისა და მისი განგების ისტორიას. როგორც ამ საკითხის ირგვლივ არსებული არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციიდან ჩანს, რიტუალმა, რომელსაც საფუძველი სახარებისეულ სწავლებაში ჩაეყარა, IV ს-თვის მიიღო მკაცრი დისციპლინური ფორმა, მაგრამ ცალკეული მეტროპოლიებისა თუ საეკლესიო-სამონასტრო ცენტრების ლოკალური გარემოს, ტრადიციებისა თუ მოთხოვნების შესაბამისად მან მაინც განიცადა ცვლილებები. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან იგი ამა თუ იმ ეპოქაში ცოცხალი ანუ მოქმედი ლიტურგიკული პროცესის ანარეკლს წარმოადგენდა. მართალია, კონსტანტინოპოლის საეკლესიო სივრცემ მკაცრად სტრუქტურირებული იერარქიისა და ღვთისმსახურების მკაცრი წესის ჩამოყალიბების საფუძველზე თანდათანობით ჩაანაცვლა ადრეული ტრადიციის საფუძველზე ჩამოყალიბებული ყველა ამ სახის დოკუმენტი და გარკვეულ პერიოდში თავად იქცა ღვთისმსახურების წესის დამკანონებლად, მაგრამ მაინც ვერ აარიდა თავი ღვთისმსახურების ცოცხალი პროცესის ზეგავლენით წარმოქმნილი ვერსიების სიმრავლეს. ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს არც 1204 წლის მოვლენები, კერძოდ, ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის შედეგად კონსტანტინოპოლის დაცემა და ლათინთა იმპერიის შექმნა. თითქმის 60 წლის განმავლობაში კონსტანტინოპოლი და შესაბამისად მისი ეკლესიაც ლათინთა გავლენის ქვეშ მოექცა. ბუნებრივია, ამ ხნის განმავლობაში ევქარისტიული მსახურების რიტუალიც განიცდიდა გარკვეულ ცვლილებებს. შემთხვევითი არაა, რომ ბიზანტიური ლიტურგიკისა და განსაკუთრებით კი ევქარისტიული განგების მკვლევრები ბიზანტიური ტრადიციის განვითარების მნიშვნელოვან მტკიცებულებებს ბერძნულ-ლათინურ ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბერძნულ-რომაულ ხელნაწერებშიც პოულობენ (Дмитриевский 1901:II-IV, Jacob 1964:72-74; Jacob 1968). სავსებით სამართლიანად მიუთითებს ბიზანტიური ლიტურგიკის მკვლევარი რ. ტაფტი: არაფერია წმინდა „რომაული“ რომაულ ლიტურგიაში და წმინდა „ბიზანტიური“ ბიზანტიურ მსახურებაში (Taft 1977:9). ცვლილებათა ეს პროცესი 1526 წლამდე, ანუ პირველი ბექდური ვერსიის გამოსვლამდე გაგრძელდა (Taft 1977: 8-30, Голубцов 1918:38-41). ამ პროცესს გაჰყვა ბიზანტიური წესის ლიტურგიების როგორც ბერძნული, ასევე მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ქართული ვერსიები.

სწორედ ამ პროცესის ანარეკლს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ იოანე ოქროპირის ფორმულარის ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ გრაცისა და სინური ხელნაწერების ქართული ტექსტები სხვაობს ერთმანეთისგან, სინური ვერსია წარმოადგენს ჟამისწირვის ყველაზე ადრეულ ქართულ რედაქციას, ხოლო გრაცის გრაგნილის ტექსტი გვიანდელი ცვლილებების ანარეკლია.

საყურადღებოა ანდრე ჟაკობის მიერ გამოცემული ტექსტის **აკაკი შანიძისეული** კვალიფიკაცია. თავად ქართული თარგმანის ფონეტიკური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებების შეფასების, ასევე სინური ტექსტის გრაცის ხელნაწერში დაცულ რედაქციასთან შედარების გზით მეცნიერმა დაადასტურა ა. ჟაკობის თვალსაზრისი, რომ O/Sin.Geo. 89-ის იოანე ოქროპირის ჟამისწირვა ქართულ რედაქციათა შორის ყველაზე ადრეულია (შანიძე 1976: 189-196).

მიუხედავად იმისა, რომ O/Sin.Geo. 89 კოდექსია და არა გრაგნილი, იგი ჩვენთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, ვინაიდან ეს კრებული ფაქტობრივად წარმოადგენს ბიზანტიური წესის, ანუ იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიათა შემცველ ყველაზე ადრეულ

⁴⁴ J. Goar, Euchologion Sive Rituale Graecorum, Complectens Ritus Et Ordines Divinae Liturgiae Officium... Juxta Usum Orientalis Ecclesiae- წიგნი რამდენჯერმე გამოიცა: 1647 წ. პარიზში, 1730 წ. ვენაში, 1960 წ. გრაცში; 2014 წელს გამოვიდა შრომის ლათინური ვერსია. თუმცა იაკობ გოარის შრომაში გამოქვეყნებული დასკვნები მოგვიანებით არაერთგზის გადაისინჯა (შდრ.: Дмитриевский 1901:I-II). ჩვენ არ მივიმართავს ი. გოარის ამ გამოცემისთვის.

ქართულ ნუსხას და შესაბამისად, მისი მნიშვნელობისა და რედაქციული თავისებურებების შესახებ არსებული კვლევები საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ, როდის და ბიზანტიურ მსახურებაში შექმნილი რომელი ვითარების საფუძველზე ჩნდება ევქარისტიული ლიტურგიის ტექსტი გრაგნილ ხელნაწერებზე. O/Sin.Geo. 89-სთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ კრებულში ბასილი დიდისა და იოვანე ოქროპირის ლიტურგიათა შემდგომ შეტანილია იაკობ მოციქულის სინმინდის განახლების ფორმულარიც. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, XI-XII სს-თა მიჯნაზეც იერუსალიმური და ბიზანტიური, ანუ კონსტანტინოპოლური ტრადიციის ტექსტები პარალელურად არსებობს ჩვენს ლიტურგიკულ პრაქტიკაში.

იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ქართული რედაქციებისადმი ინტერესი აქ არ შემწყდარა. 2013 წელს Academia.edu-ს პლატფორმაზე გამოქვეყნდა იოანე ოქროპირის ფორმულარის კიდევ ერთი ქართული რედაქცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული XV-XVI სს-ის ქართული გრაგნილი MS.or.fol. 573. ტექსტი შეისწავლა და გამოსაცემად მოამზადა **შოთა გუგუშვილმა** (გუგუშვილი 2013: 1-31). ავტორი დანვრილებით განიხილავს იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ბერლინური გრაგნილის მიმართებას როგორც სინური და გრაცის ხელნაწერების ამავსე ლიტურგიის, ასევე H-531-ის ბასილი დიდის ჟამისწირვის ტექსტთან. ამგვარი შედარებითი ანალიზის საფუძველზე იგი მიდის დასკვნამდე, რომ XV-XVI სს-ით დათარიღებულ ბერლინურ გრაგნილზე გადანერილი იოანე ოქროპირის ჟამისწირვა გიორგი ათონელის თარგმანს წარმოადგენს და ეს რედაქცია XI ს-ის შუა წლებით უნდა დათარიღდეს. (გუგუშვილი 2013:8). ქართულ ხელნაწერებში არსებული ტექსტების შედარებითი ანალიზის პარალელურად მკვლევარი ცდილობს XV-XVI სს-ის ქართული გრაგნილსა და X-XI სს-თა ბერძნულ და ასევე სამხრეთიტალიურ რედაქციებს შორის კავშირის გამოკვეთას.

ჩვენ, რალა თქმა უნდა, ამ საკითხზე კატეგორიული დავისგან თავს შევიკავებთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ავტორის რამდენიმე დებულება მაინც მოითხოვს დაზუსტებას. პირველი კითხვა, რომელიც დაგვებადა ნაშრომის გაცნობის შემდგომ, შეეხება იოანე ოქროპირის ბერლინური რედაქციის მთარგმნელად გიორგი ათონელის აღიარების ფაქტს. საქმე ისაა, რომ დღეის მონაცემებით ჟამისწირვის ყველაზე ადრეული ქართული რედაქციის შემცველი O/Sin.Geo. 89 იერუსალიმური წარმომავლობის ხელნაწერია - როგორც ანდერძიდან ვიგებთ, იგი გეთსიმანიაშია გადანერილი. უნდა გვახსოვდეს, რომ პალესტინის ქართული სამონასტრო ცენტრების სამნიგნობრო საქმიანობას XI-ს-ის ნახევრიდან ერთგვარად წარმართავს იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და იქ შექმნილი სამნიგნობრო პოლიტიკა. არაერთი ფაქტი, კერძოდ, ხელნაწერი წიგნი და მისი ანდერძ-მინაწერები ადასტურებს, რომ XI ს-ის ნახევრიდან ქართული სახელმწიფოსა⁴⁵ და ეკლესიის ამ უმნიშვნელოვანესი ცენტრის ბიბლიოთეკა დგება მონასტრის დამფუძნებლისა და პირველი წინამძღვრის, გიორგი-პროხოზრეს (991-1066), ხელმძღვანელობით. სწორედ მისი მოთხოვნით მონასტრის წიგნსაცავი ივსება სამონასტრო ცხოვრების ორგანიზაციისა და პრაქტიკისათვის უმნიშვნელოვანესი კონსტანტინოპოლური ტრადიციის ან მისკენ გარდამავალი წიგნებით. საკმარისია გავიხსენოთ ამ პროცესის ამსახველი თუნდაც ორი წიგნი მაინც: გიორგი-პროხოზრეს დაკვეთით იოვანე დვალის მიერ გადანერილი თვენის პირველი რედაქცია⁴⁶, რომელიც იერუსალიმურიდან კონსტანტინეპოლური ტრადიციისაკენ გარდამავალ კრებულს წარმოადგენს (ჯღამაია 2016:198) და, ასევე, XI ს-ის II ნახევარში იერუსალიმში გადანერილი გიორგი ათონელის რედაქციის ოთხთავი O/Sin.Geo. 16. ოთხთავის მომგებლის ანდერძი პირდაპირ მიგვითითებს ამ რედაქციის გადანერის სულისჩამდგმელზე:

„ღირს ვიქნებ მე გლახაკი და უნარჩეულესი ყოველთა, დანიელ, მოგებად და დანერად წმიდისა ამის სულთა განმანათლებლისა სახარებისა სადიდებლად ღმრთისა და სალოცველად საწყალობელისა სულისა ჩემისა, სულისა მოძღვრისა ჩემისა გიორგი-პროხოზრესა...“⁴⁷

⁴⁵ ჯვრის მონასტრის აგება ფინანსურად უზრუნველყო ბაგრატ IV-მ (1018-1072); მონასტრის ფუნქციონირების მყარი მატერიალური საფუძვლისათვის კი საქართველოში შეიქმნა ჯვრის მონასტრის ყმა-მამულები (ხუციშვილი 2006, მენაბდე 1980: 144)

⁴⁶ ხელნაწერი დაცულია აშშ-ში, ვაშინგტონში, დუმბარტონ ოუქსის ბიზანტინისტიკის ცენტრში საფონდო ნომრით Dumbarton Oaks MS.2 (ჩხიკვაძე 2023: 28).

⁴⁷ ანდერძი ამჟამად დაკარგულია. ცნობილია ალ. ცაგარლის აღწერილობით (Цагарели 1888: 198-199 № 7)

რაც შეეხება გეთსიმანიის მონასტერს, სწორედ აქ 1044 გადაინერა იერუსალიმიურიდან კონსტანტინოპოლური ტრადიციისკენ გარდამავალი საღვთისმსახურო კრებული პარაკლიტონი, რომელიც X ს-ის იადგარსა და გიორგი ათონელის რედაქციის პარაკლიტონთან ამჟღავნებს სიახლოვეს.⁴⁸ ჯვრისა და გეთსიმანიის მონასტრებში გადაწერილი ხელნაწერების შესახებ მსჯელობა იმისათვის დაგეგმირდა, რათა გაგვეჩულებინა ჩვენთვის საინტერესო და პასუხგაუცემელი კითხვა: თუკი უკვე არსებობდა იოანე ოქროპირის ჟამისწირვის გიორგი ათონელისეული თარგმანი, მაშ რამ უბიძგა კონსტანტინოპოლური ტრადიციისაკენ ორიენტირებულ გეთსიმანიაში მოღვაწე სტიფანე დვალს გადაწერა სხვა რედაქციის ტექსტი - O/Sin.Geo. 89 საგრძნობლად სხვაობს ბერლინური რედაქციისაგან.

გარდა ამისა, გვსურს ყურადღება მივაპყროთ იმ ფაქტსაც, რომ ავტორი ასახელებს სინური კოლექციის ორ ლიტურგიკულ კრებულს - N/Sin.Geo. 54 და N/Sin.Geo. 66 - როგორც იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიათა შემცველ ყველაზე ადრეულ, ანუ X ს-ის ხელნაწერ წიგნებს (გუგუშვილი 2013: 4). გასაგებია, რომ მკვლევარი ეყრდნობა ახალი სინური კოლექციის კატალოგის მონაცემებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ახალი კოლექციის ამ ხელნაწერთა დათარიღება გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. შესაბამისად, ავტორის ვარაუდი, რომლის თანახმადაც ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურგიები ეფთვიმე ათონელამდე (955-1028) უნდა თარგმნილიყო, მეტ არგუმენტაციას საჭიროებს, ვინაიდან ჟამისწირვის არც ერთი ქართული ხელნაწერი არ გვაძლევს ამგვარი კატეგორიული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. თუმცა ამ შრომის დამსახურებად უნდა ჩავთვალოთ, რომ სამეცნიერო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა როგორც იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ბერლინურ გრაგნილზე გადაწერილი ტექსტი, ასევე სინის მთის, გრაცისა და ბერლინის ხელნაწერებზე არსებული ჟამისწირვების ურთიერთმიმართების საკითხებთან დაკავშირებული კვლევის შედეგები.

იოანე ოქროპირის ჟამისწირვის გრაგნილთა კვლევის შედეგები

დათარიღების სირთულეები. პირველი სირთულე, რომელსაც გრაგნილ ხელნაწერებზე მუშაობის პროცესში წავანყდით, შეეხო მათი მეტ-ნაკლები სიზუსტით დათარიღების პრობლემას. იოანე ოქროპირის ჟამისწირვის გრაგნილების კატალოგიზაციის პროცესში გამოვლინდა, რომ ამ თავბოლონაკლული ხელნაწერების უდიდეს ნაწილს აღმწერლები ძირითადად პალეოგრაფიული ნიშნების, კერძოდ, ანბანის მოხაზულობის საფუძველზე XIII-XVII სს-ით დათარიღებენ (აღწერილობა (H) 1946, 1948, 1949, 1950, 1951, აღწერილობა (ცსსა) 1949, 1950, აღწერილობა (K) 1953, 1964, აღწერილობა (S) 1967, 1969). როგორც ცნობილია, ხელნაწერის დათარიღება იმ შემთხვევაში, თუკი მას არ ახლავს შესაბამისი ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც მითითებულია გადაწერის თარიღი ანდა დასახელებული არიან ცნობილი ისტორიული პირები, უმთავრესად პალეოგრაფიული ნიშნების - ანბანის გრაფიკული მოხაზულობის, ფურცელზე ტექსტის ორგანიზაციის თავისებურებების საფუძველზეა შესაძლებელი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დათარიღება ყოველთვის პირობითია და არ შეიძლება ის ცალკეული ხელნაწერის გადაწერის დროის ზუსტად განსაზღვრის პირობად აღვიქვათ. ამა თუ იმ ნერილობითი ძეგლის თარიღის განსაზღვრა კომპლექსური კვლევის საკითხია. გარდა პალეოგრაფიული თავისებურებებისა, საჭიროა გათვალისწინებული იყოს ტექსტის ენობრივ-ლექსიკური თუ რედაქციული თავისებურებები, პარალელური მასალის, ჩვენს შემთხვევაში კი კოდექსებზე გადაწერილი იოანე ოქროპირის ჟამისწირვის კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, ცალკეული ერთეულის შექმნის კულტურულ-ისტორიული კონტექსტი. ამ სახის კომპლექსური კვლევა კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბევრ სირთულესთან, კერძოდ, სხვაენოვან (ბერძნულ, ლათინურ, სლავურ) რედაქციათა სიმრავლესთანა დაკავშირებული და იგი არც ჩატარებულა. იმ შემთხვევაში, როდესაც გრაგნილებზე გადაწერილი იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ქართული

⁴⁸ როგორც ცნობილია, გიორგი ათონელმა პარაკლიტონის საბოლოო რედაქციაზე მუშაობა შავ მთაზე ყოფნის დროს დაასრულა, რაზეც მეტყველებენ ამ ლიტურგიკული წიგნისათვის მის მიერ დართული ანდერძები იხ.: ჩხიკვაძე 2023:209 № 45

თარგმანის კვლევა გასცდა მხოლოდ ერთი ხელნაწერის იკითხვის შესწავლის ფარგლებს, კონკრეტული ერთეულის დათარიღებაში არსებული უზუსტობაც გასწორდა. ამ თვალსაზრისით კარგი მაგალითია Graz, Geo. 2058/5 გრაგნილის კვლევის ისტორია.

Graz. Geo. 2058/5. ევროპაში გატანამდე გრაგნილი სინური კოლექციის ნაწილს წარმოაგენდა. ამიტომაც მისი რაობა და გადაწერის თარიღი თავდაპირველად ალ. ცაგარელმა განსაზღვრა, რომელმაც ხელნაწერი XI-XII სს-ით დაათარიღა (Цагарели 1888 : 209, № 29), მოგვიანებით კი ამ ტექსტის პირველმა გამომცემელმა მ. თარხნიშვილმა ხელნაწერი X-XI სს-ში გადაწერილ ერთეულად ცნო (Tarchnišvili 1934: 79-81). მას შემდგომ, რაც აკ. შანიძემ გამოაქვეყნა გრაგნილი დაცული ქართული ხელნაწერების აღწერილობა ჩვენთვის საინტერესო გრაგნილის ფრაგმენტის ფოტოს თანხლებით (შანიძე 1919: 313-159), მ. თარხნიშვილისეული თარიღი ეჭვქვეშ დააყენა კ. კეკელიძემ და აღნიშნა, რომ შინაარსისა და ხელის მიხედვით გრაგნილი XII ს-ზე ადრეულად არ უნდა ჩაითვალოს (კეკელიძე 1980: 583. შენ.1). თუმცა გრაგნილის ხელნაწერის დათარიღებასთან დაკავშირებული მსჯელობა აქ არ დასრულებულა. არც იოანე ოქროპირის ჟამისწირვის სინური ვერსიის მკვლევარმა ა. ჟაკობმა გაიზიარა მ. თარხნიშვილისეული თარიღი და ილ. აბულაძის მიერ გამოქვეყნებულ პალეოგრაფიულ აღბომში (აბულაძე 1949) შეტანილ XII-XIII სს-ების ხელნაწერთა - H-1661 და H-65 - ნიმუშებზე დაყრდნობით ხაზგასმით აღნიშნა, რომ გრაგნილის გრაგნილი არათუ XII ს-ზე ადრეული, არამედ გვიანდელიც კი შეიძლება იყოს (Jacob 1964: 65-66). 2000-იან წლებში ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ნინო ქაჯაიამ, რომელმაც დიდი დრო და ენერგია დაუთმო ბიზანტიური წესის ჟამისწირვების კვლევას, გამოაქვეყნა გრაგნილის გრაგნილზე გადაწერილი იოანე ოქროპირის ჟამისწირვის რედაქციული თავისებურებების შესახებ ნაშრომი. განიხილა რა ხელნაწერის სტრუქტურა, რიტუალების თანამიმდევრობა, რუბრიკები და ფორმულები ბერძნულ და სხვა ქართულ ხელნაწერთა პარალელურად, მან ხელნაწერი XIII-XIV სს-ით დაათარიღა, თუმცა მკვლევარმა ისიც ივარაუდა, რომ შესაძლოა ამ ვერსიის თარიღმა გაცილებით გვიანდელი ეპოქისკენაც გადაინიოს (ქაჯაია 2000-2004: 177-183).

მართალია, ავსტრიაში დაცული გრაგნილის კვლევა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ ამ ხელნაწერის დათარიღებასთან დაკავშირებული საკითხები და მეცნიერთა მიერ მათი გადაჭრის მცდელობა საყურადღებო აღმოჩნდა ჩვენთვისაც, ვინაიდან ეს პრობლემა ფაქტობრივად ეხება ლიტურგიკული ტექსტების გრაგნილის ფორმის ხელნაწერებზე გადატანის ტრადიციის ქრონოლოგიურ ზღვრებს. საინტერესოა, რომელი პერიოდიდან ჩნდება ამგვარი წერილობითი ძეგლები. ზოგადად ცნობილია, რომ ნიგნად აკინძული ფურცლების ჩამოყალიბებისთანავე გრაგნილმა, როგორც რელიგიური შინაარსის მოცულობითი ტექსტების გადაწერისათვის მისაღებმა ფორმამ, პრაქტიკული გამოყენებისას წარმოქმნილი სირთულეებისა და დაზიანების მაღალი რისკის გამო ადგილი კოდექსს ანუ ხელნაწერ ნიგნს დაუთმო. ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი, რომ ჟამისწირვა უმთავრესად გრაგნილის ფორმის ხელნაწერებზე იწერებოდა (კეკელიძე 1980:581; გაბიძაშვილი 2011:23), დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენი ხელნაწერი ტრადიციის მიხედვით, როგორც იერუსალიმური ანუ იაკობ მოციქულის, ასევე ბიზანტიური წესის - იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ჟამისწირვები IX-XIII სს-ში⁴⁹ გადაწერილია არა გრაგნილის, არამედ კოდექსის ფორმის ხელნაწერზე. დავასახელებთ რამდენიმე მათგანს: N/Sin.Geo. 26 (IX-X), N/Sin.Geo. 58 (IX-X), A-86 (X ს.), Graz.Geo, 2058/4 (X), H-531 (XI), N/Sin.Geo. 81 (X), N/Sin.Geo. 83 (X), O/Sin.Geo. 12 (X ს.), O/Sin.Geo. 54 (X), N/Sin.Geo. 22 (X), N/Sin.Geo. 53 (X), O/Sin. Geo. 89 (XI-XII), A-194 (XIII ს.). ამიტომაც ჟამისწირვათა ტექსტების გრაგნილის ფორმაზე გადატანას ჩვენ განვიხილავთ როგორც გვიანი შუა საუკუნეების ქრისტიანულ საღვთისმსახურო რიტუალსა და მის ამსახველ კრებულებში მიმდინარე ცვლილებების ანარეკლს.

⁴⁹ ჩვენი საკვლევი ერთეულების მიღმა არსებულ კოდექსებზე გადაწერილი ჟამისწირვების დათარიღებისას ვყვრდნობთ კოლექციის შესაბამისი აღწერილობების მონაცემებს (აღმოჩენები 2005:268, 271-272, 285-286, 290-291, 302-303, აღწერილობა (H) 1951:15, აღწერილობა (A) 1973: 297-300, 1976:331-334, აღწერილობა (Sin.) 1987:33-47, 58-67, 201-204; ჩხიკვაძე 2024: 21), ასევე აშშ კონგრესის ციფრული ბიბლიოთეკის გვერდზე გამოქვეყნებულ ქართულ სინურ და იერუსალიმურ ხელნაწერთა ასლებს: <https://www.loc.gov/search/?fa=partof%3Amanuscripts+in+the+libraries+of+the+greek+and+armenian+patriarchates+in+jerusalem%3A+microfilm+5017%3A+georgian&st=gallery>

და კვლავ გრაცის ხელნაწერის შესახებ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხელნაწერ სიძველეთა დათარიღების ყველაზე მყარ საფუძველს წიგნის შექმნასთან დაკავშირებულ პირთა მინაწერები ქმნიან. საბედნიეროდ, გრაცის ხელნაწერმა შემოინახა მომგებლის გაუფერულებული მინაწერი, რომელიც გამოაქვეყნა ვ. იმნაიშვილმა (იმნაიშვილი 2004: 298). გრაგნილის მინაწერებმა საშუალება მოგვცა დაგვეზუსტებინა იოანე ოქროპირის ჟამისწირვის აღნიშნული ხელნაწერის თარიღი. მესამე კეფის recto-ს მარცხენა არშიაზე ერთი ხელით, მაგრამ გადამწერისგან განსხვავებული ნუსხურით შესრულებული რამდენიმე მინაწერია:

„ამისა კუნდაკის მომგებასა (sic) მახარებელსა შ^ნ ლ^თ და მათსა ძამსა (sic) დემეტარესა შ^ნ ლ^თ (sic).“

„თახინთაფელსა კირიკესა შ^ნ ლ^თ თა“.

„გიორავისა შ^ნ და მისა მეუღლესა ზუზასა შ^ნ დედასა მათასა მარიამსა შ^ნ ლ^თ და მათასა საძალს ნათელასა შ^ნ ლ^თა.“

„ნაცავლსა (sic) მაჩაისადესა შ^ნ ლ^თა. ბულაითა ცაცასა შ^ნ ლ^თა და მათასა მარიამსა შ^ნ ლ^თა“⁵⁰

ა-მეტობით შედგენილ ამ მინაწერებში ნახსენები პერსონალიიდან ჩვენთვის ნაცნობია XIV ს-ის აღდგომელი მონესე, ხელნაწერ წიგნთა გადამწერი და ამკინძველი მახარებელი. ვინაიდან გრაცში დაცული გრაგნილი ევროპაში გატანამდე სინის მთის კოლექციის ნაწილი იყო, ხოლო სინის მთის ქართული მონასტრის წიგნსაცავში შეწირულობის სახით შედიოდა იერუსალიმში გადამწერილი არაერთი ხელნაწერი, ჩვენ თვალი გავადევნეთ ნმ. ეკატერინეს მონასტრისა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული ხელნაწერების კოლოფონებს. გაირკვა, რომ გრაცის გრაგნილზე მოხსენიებულ პერსონალიას ვხვდებით ძველი სინური კოლექციის ხელნაწერ O/Sin.Geo. 96-თვის მოგვიანებით, კერძოდ, XIV ს-ში დართულ მინაწერში, რომელიც მოგვაქვს იმავე დაწერილობით, როგორითაც იგი წარმოდგენილია კოლოფონში:

„მხრებლს და მის ძმს დემეტრეს შ^ნ ლ^ნა (sic) და ჩენთა მშობელთა გ^{ის} და ზუზ^{ას} შ^ნ ლ^ნ. დაანსა (sic) ჩ^{ენს} მ^რიმს შ^ნ ლ^ნ და ჩ^{ემის} ყოჭქეს (sic) დედას ნათელს შ^ნ ლ^ნ და ამის წიგნის ესრე მცირედ შეკზამისთ^ნ (sic) შემინდევით მე, მხრებ^{ლს} ფ^დ ცოდვლს, შემინდევით ერთობ დაშლილი იყო და ვერაჲ მოუგურე მეტი და ვინც წმიდაჲ კვთხოთ (sic), თქნცა შე^გნდოს ლ^თნ. ა^ნ.“ (195v)

მინაწერების ტექსტს თუ დავაკვირდებით, მისი შემდგენელი და დამწერი საკმაოდ შორსაა როგორც ქართული ენის ნორმების, ასევე ნუსხური ანბანის მოხაზულობის წიგნიერი ფლობისაგან. კოლოფონები შესრულებულია არაკალიგრაფიული მსხვილი, თითქმის ერთი ზომის კუთხოვანი ნუსხურით. ამავე ხელითაა გადამწერილი სინური კოლექციის ოთხი თვენი: O/Sin.Geo. 92, O/Sin.Geo. 93, O/Sin.Geo. 94 და O/Sin.Geo. 95. სამწუხაროდ, არც ერთ ამ ნუსხას არ აქვს შემორჩენილი გადამწერის კოლოფონები. ამას გარდა, მახარებელი, აღდგომის ეკლესიის XIV ს-ის მონესე, ხელნაწერთა ამკინძველი და გადამწერი, მოიხსენიება იერუსალიმის კოლექციის სამ ლიტურგიკულ ხელნაწერში: Jer.Geo.59, Jer.Geo.104 და Jer.Geo. 150 (კარანაძე 2002: 34, 43). ამრიგად, აღნიშნული მინაწერების საფუძველზე გრაცის გრაგნილი XIV ს-ით უნდა დათარიღდეს.

A-922. A-757. გრაცის ხელნაწერი არ არის იოანე ოქროპირის ჟამისწირვის შემცველი ერთადერთი გრაგნილი, რომლის დათარიღებაც დაზუსტებას მოითხოვს. ამავე რიგის ხელნაწერებს უნდა მივაკუთვნოთ ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ორი ერთეული: A-757 და A-922, რომლებსაც XIII და XIII-XIV სს-ით ათარიღებენ (Кекелидзе 1908: 48-52⁵¹, A კოლექციის აღწერილობა: ხელნაწერის უფლებით⁵²). უნდა აღინიშნოს, რომ კ.კეკელიძის 1908 წლის გამოცემაში საეკლესიო მუზეუმის ამ კონდაკებიდან საფონდო ნომერი მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ ერთს A-757. ვინაიდან ეს გრაგნილიცა და A-1553-ც ძალზე დაზიანებული ხელნაწერებია, რომლებზეც

⁵⁰ ანდერძ-მინაწერების ტექსტი და ხელნერა დაზუსტებულია გრაცის გრაგნილის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ციფრულ ასლის მიხედვით.

⁵¹ კორნელი კეკელიძე გამოცემაში საუბრობს საეკლესიო მუზეუმის ოთხ გრაგნილზე. დღეისათვის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A კოლექციაში ზემოთ დასახელებული ორის გარდა კიდევ ერთი გრაგნილია A-1553 (XV-XVI სს.) დაცული (აღწერილობა (A) 1955: 72).

⁵² A კოლექციის №№ 601-1040 აღწერილობა არაა გამოქვეყნებული. მისი ელვერსია ხელნაწერის უფლებით დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

გადანერილი ტექსტი პრაქტიკულად გაუფერულებულია და შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების ამოკითხვა, კ.ეკელიძე ყურადღებას ამახვილებს A-922-ზე, რომელსაც A ლიტერით აღნიშნავს. ჩვენ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ამ გრაფილის 1r-ზე იოანე ოქროპირის გამოსახულების მოჩარჩოებაში არსებულ კოლოფონზე, რომელიც შესრულებულია ტექსტის ხელითა და იმავე მელნით, რაც არაორაზროვნად მიგვანიშნებს, რომ იგი გადამწერს ეკუთვნის:

„ამათსა მჩხიბავსა გაბრიელს შეუნდვენ ღმერთმან.“

ტერმინი *მჩხიბავი* გადამწერის მნიშვნელობით გვხვდება ნუსხურით გადანერილ, დეკორირებული საზედაო ასოებით შემკულ, მაგრამ ამასთანავე ძალზე დაზიანებულ A-757. მიუხედავად იმისა, რომ გაბმული ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია, მეხუთე კეფის ბოლოს r-ზე ტექსტის ხელითვე შესრულებულია მინაწერი:

„ამისა მჩიბავსა შეუნდვენ ღმერთმან“. (5r)

როგორც ჩანს, ტერმინი *მჩხიბავი* გადამწერის მნიშვნელობით გარკვეულ პერიოდში სავსებით მისაღები და არაორაზროვანი იყო. ასეთი ვარაუდის დაშვების საშუალებას გვაძლევს იმავე A-922-ის პირველი კეფის r-ზე, იოანე ოქროპირის გამოსახულების მოჩარჩოების გარეთ, შავი მელნით, ნუსხურიდან მხედრულისკენ გარდამავალი, გაკრული ხელით შესრულებული 12-სიტყვიანი მინაწერი, რომლის მხოლოდ დასაწყისის ამოკითხვაა შესაძლებელი:

„ამ[ა]თსა მჩხიბავსა გაბრიელსა შნა ღწ. ...ადიდო ღწოთ ვინც გა...ჯნა კცნი შ...აჯნოთ(?)“

სავარაუდოდ, ეს ნუსხური მინაწერი უნდა ეკუთვნოდეს XIX-XX სს-თა მიჯნის ქართული ეკლესიის ცნობილ მოღვაწეს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრს, მიტროპოლიტს, 1907-1912 წწ-ში ალავერდის ეპისკოპოს დავით კაჭახიძეს, რომელიც, სავარაუდოდ, გრაფილის verso-ზე გაუფერულებული ტექსტის გამაცხოველებელიც კი შეიძლება იყოს. ამგვარი ვარაუდის დაშვების საშუალებას გვაძლევს A-922-ის მესამე კეფის recto-ს მარცხენა არშიაზე მხედრულითა და შავი მელნით შესრულებული მეტად საგულისხმო მინაწერი:

„1909 წ. ივანობის თვესა ამის მიხედვით შევასწორე ახლანდელი კონდაკი დავით ეპისკოპოსმა ალავერდისამ (კაჭახიძემ).“

ეს მინაწერი ძალზე საინტერესოა ჟამისწირვის ქართული რედაქციებისა და ზოგადად ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ XVIII ს-ში კათალიკოს ანტონ I -ის (1720-1788) მიერ ბიზანტიური წესის ჟამისწირვები და მათი შემცველი კრებულები - კონდაკები ჩასწორდა სლაგური რედაქციების მიხედვით (ეკელიძე 1980: 583). ჩვენთვის საინტერესო მინაწერის ავტორი დავით მიტროპოლიტი აქტიურად იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რის ერთ-ერთ პირობად ქართული ეკლესიის საღვთისმსახურო პრაქტიკის რუსული გავლენისაგან გათავისუფლებასა და სლაგური რედაქციის მიხედვით ჩასწორებული წიგნების კვლავ ტრადიციული ქართული რედაქციებით ჩანაცვლებაში ხედავდა. შემთხვევითი არ იყო, რომ 1910 მან გამოაქვეყნა 24-გვერდიანი პუბლიცისტური წერილი „ახლანდელი კონდაკის ტექსტის შესწორების საჭიროება ძველი კონდაკების მიხედვით და საეკლესიო წიგნების მხედრული ასოებით დაბეჭდვის შესახებ“. სწორედ ამგვარი განწყობისა და ქმედების გამო იგი 1912 წელს ჩამოაშორეს ალავერდის ეპარქიას და რუსეთში, პიატიგორსკში, გაამწესეს (იმედაშვილი 2021: 599-601). ჩვენს გრაფილზე არსებული მინაწერი სწორედ დავით მიტროპოლიტის მიერ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისაკენ გადადგმულ ნაბიჯად უნდა აღვიქვათ.

მხოლოდ ამ არგუმენტს რომ არ გამოვედევნოთ, შევჩერდებით ამ ხელნაწერის პალეოგრაფიულ თავისებურებებზეც. პირველი, რასაც გვერდს ვერ ავუვლით და რაც განასხვავებს ამ გრაფილს ჟამისწირვათა სხვა ანალოგიური ხელნაწერებისაგან, ეხება იმას, რომ A-922 სრულად, დაზიანების გარეშე მოღწეული ხელნაწერია მაშინ, როდესაც XIII-XVII სს-ით დათარიღებული გრაფილების აბსოლუტური უმრავლესობა თავნაკლულია. A-922-ის ტექსტი ნაწერია მსხვილი ნუსხურით, ყავისფერი მელნით, მაღალი ხარისხის ეტრატზე, შემკულია იოანე ოქროპირის გამოსახულებითა და დეკორირებული საზედაო ასოებით. მინაწერში მოხსენიებული გაბრიელი კარგად ფლობს ნუსხური დამწერლობის გრაფიკულ და დეკორირებულ ხელნაწერებში ტექსტის ორგანიზების წესს - მხატვრული ელემენტებისათვის დატოვებულია საკმაოდ ვრცელი არშიები. ენობრივი თვალსაზრისით დაშვებული შეცდომები არ შეესაბამება XIII

ს-ის ქართული ენის ნორმებს. გვხვდება ი და ე გრაფიკითა აღრევის შემთხვევები: მაღლ, ქველს მოქმედად; ხმოვანფუძიან სახელებსა და ორმაგ ბრუნებაში დარღვეულია ე ფორმანტის დასმის წესი: *ქემარიტ არს ნამება მისი; ალებულ არს ქუეყანით ცხორება მისი; დაიკვლის ტარიგი ღვთისა*“. ამასთანავე ალაგ-ალაგ ტექსტი გაუმართავია სიტყვის გამოტოვების ანდა არასწორი ფორმით დაწერის გამო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გადამწერს კარგად არ აქვს ამოკითხული დედანი. მაგალითად: „გზის თქუან პირველსა სეფესა“ (გამოტოვებულია მინიშნება რამდენგზის უნდა იყოს წარმოთქმული შესაბამისი ლოცვა) ანდა „ხოლო თესლტომი მისი ვინმე მილუთხრს“ ნაცვლად „მიუთხრას“. ჩვეულებრივ გადამწერის მიერ დაშვებული ამ სახის შეცდომები სწორდება კონკრეტული ლიტურგიკული ტექსტის პრაქტიკული გამოყენების პროცესში. ასეთი რამ A-922-ში არ აღინიშნება. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული გრაგნილი გადამწერილია არა როგორც პრაქტიკული დანიშნულების ხელნაწერი, არამედ როგორც ერთგვარი სახელმძღვანელო თუ სანიმუშო ერთეული, ვინაიდან არსად ფიქსირდება ხშირი გაშლა-დაკეცვისაგან მიღებული დაზიანებები - ბზარები, ჩახვევები, გადაკერვის ადგილთა დაშლის შემთხვევები, ჭვარტლისა და სანთლის ნალვენთების კვალი. უნდა ვიფიქროთ, ამ გრაგნილის გადამწერის დროისათვის საეკლესიო პრაქტიკა უმთავრესად ეყრდნობა XVIII ს-ში ანტონ კათალიკოსის მიერ ჩასწორებულ რედაქციას.

და კვლავ ტერმინ *მჩხიბავის//მჩხაბავის* შესახებ. თავდაპირველად მას ყურადღება მიაპყრო ივ. ჯავახიშვილმა. მოსე ჯანაშვილის მიერ შედგენილი აღწერილობის საფუძველზე მან მხოლოდ დააფიქსირა ამ ტერმინის არსებობა, მაგრამ არ განუხილავს მისი გავრცელების ქრონოლოგიური ზღვრები. (ჯავახიშვილი 1996: 60). დანვრილებით შეეხო ამ ტერმინს მ. სურგულაძე. ქართულ პალეოგრაფიული ტერმინებისადმი მიძღვნილ შრომაში სათანადო საილუსტრაციო მასალის ანუ ხელნაწერთა კოლოფონების მოხმობით მკვლევარმა განსაზღვრა აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობა და გამოყენების ქრონოლოგიური ზღვრები. მ. სურგულაძის ნაშრომიდან ვიგებთ, რომ ზემოაღნიშნულ ტერმინს ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში ვხვდებით არაუადრეს XVII საუკუნისა (სურგულაძე 1978: 24-28). ის, რომ ამ პერიოდამდე აღნიშნული ტერმინი წერა-გადანერასთან დაკავშირებული არც კი ყოფილა, კარგად ჩანს ილ. აბულაძის მიერ შედგენილ ძველი ქართული ენის ლექსიკონში, რომელშიც *მჩხიბავი* სათანადო კონტექსტის მოხმობით განმარტებულია როგორც გრძნეული (აბულაძე 1973:306). გარდა ლექსიკონისა, წერა-გადანერასთან დაკავშირებული ტერმინების საილუსტრაციოდ მოვიხმობთ XIII-XVI სს-ით დათარიღებული, და მათ შორის თარიღიანი, ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებიც:

A-65, 1188-1210 წწ.: „შემინდვეთ ღმრთისა მაღლსა. ფიცხლად მიჩხრეკია მე, გლახაკსა ესაიას.“ (180r)

A-449, XIII, XVI სს.: „ღმერთო შეუნდე ამის დამწერელსა“. (88r)

A-351, 1494 წ.: „გათავდეს ქორონიკონსა რჰბ, აპრილსა კე ჴელითა ფრიად ცოდვილისა მწერლისა ამბროსისესითა. უფალო ღმერთო, მოუკლებელ ყავ ჴსენებაჲ პატრონის მზეჭაბუკისი, ამინ.“ (165r)

H-75, XVI ს.: „იესო ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, შეინყალე ცოდვილი ამისი მწერალი, თერთოსნის ნინამძღვარი გერმანოზ“ (131v);

Q-657, 1575 წ. კრიპტოგრაფით: „გვედრები, უფალო ჩემო, კირიე, უცბად ჩხრეკისათვს, წყევასა ნუ შემამთხუცვთ ღვთისათვს“ (379v);

Q-39, 1560-1578 წწ.: „ამა წიგნისა მწერალსა ნევკრატოზს ციმცაძესა შეუნდვენ, უფალო ღმერთო, ამინ. ვინცა შენდობაჲ გვბრძანოთ, ღმერთმან თქუენცა შეგინყალოთ“. (182r)

ჩამონათვალი შორს ნაგვიყვანს. *მჩხაბავის* მწერლის ანდა გადამწერის მნიშვნელობით განმარტებას ვხვდებით მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში: „*მჩხაბავი* ავად მწერალი“ (ორბელიანი 1991:539). თუმცა საბასეული განმარტებისგან განსხვავებით, A-922 არ არის ავად ანუ უშნოდ ნაწერი გრაგნილი და ტერმინი გადამწერს გულისხმობს და არა უშნოდ მწერალს. საბასეული მნიშვნელობით კი იგი გვხვდება ნუსხურით გადამწერილი კონდაკის S-1295-ის 1731 წლის მინაწერში, რომლის შემდგენელია სიონის დეკანოზი ნიკოლოზი:

„ღმერთო, შეინყალე ამის ჩხაბავი დეკანოზის შვილი ნიკოლოზ, რომელმან აღვსწერე წმინდა ესე ზიარების ლოცვა. ვინც იხილვიდეთ და წარიკითხვედეთ, გაზრდას მიბრძანებდეთ ამისთვს, რომე ყრმა ვიყავ ამის წერაში და არც ჯერ სხვა წიგნი დამეწერა. ამის სრულყოფასა ვიქმენ წლისა ათერთმეტისა დეკემბერსა ვ ქქს უით“. (66v)

ზემოთქმულიდან გამომდინარე, A-922 XVIII ს-ზე ადრეულ ხელნაწერად არ უნდა ჩაითვალოს.

გარდა კოლოფონებისა, გრაგნილთა დათარიღებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა იმ ხელნაწერი წიგნების აღნუსხვისა და თავად ჟამისწირვის რედაქციული თავისებურებების განხილვის გარეშე ვერ მოგვეცემს სრულ სურათს. ამიტომაც ჩვენი კვლევის შემდგომ ამოცანა სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა.

იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ქართულ ხელნაწერი წიგნები. იოანე ოქროპირის ჟამისწირვის გრაგნილებზე მუშაობის პროცესში ჩვენს ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა გამოგვევლინა ის ხელნაწერი კრებულები, რომლებიც გრაგნილზე გადანიჭილი ჟამისწირვების სავარაუდო წყაროს წარმოადგენდა. მაგრამ, როგორც გასაოცარიც არ უნდა იყოს, იოანე ოქროპირის ჟამისწირვის შემცველი ქართული კრებულების უმეტესი ნაწილი XVIII-XIX სს-ით თარიღდება, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ოთხი კოდექსი: საყოველთაოდ ცნობილი O/Sin.Geo. 89 (XI-XII სს.), A-194 (XIII ს.), N/Sin.Geo. 54 და N/Sin.Geo. 66. გარდა ძველი სინური კოლექციის ნუსხისა, სამივე დასახელებული ხელნაწერი პრობლემური აღმოჩნდა: A-194 მეტად დაზიანებული და ნაკლები ლიტურგიკული კრებულია, რომელში გადანიჭილი ჟამისწირვის გაბმული ტექსტის ამოკითხვაც მელნის გაუფერულების გამო რთულია (Кекелидзе 1908 : 52). რაც შეეხება ახალი სინური კოლექციის ორ ნუსხას - N/Sin.Geo. 54 და N/Sin.Geo. 66, მათი სრული ტექსტები ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. მიუხედავად ამისა, ამ ხელნაწერებმა მაინც მიიპყრეს ჩვენი ყურადღება. საქმე ისაა, რომ ისინი აღმწერელთა მიერ X ს-ითაა დათარიღებული (აღმოჩენები 2005: 286-287, 295, 574, 587). თარიღის დადასტურების შემთხვევაში ჩვენ ხელთ გვექნებოდა იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ძველი კონსტანტინოპოლური რედაქციის თარგმანი და ამასთანავე საბუთი სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდებისა, რომ ბიზანტიური ტრადიციის იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ჟამისწირვებს ქართული ეკლესია X ს-ში და ცოტა ადრეც კი იცნობდა (კეკელიძე 1980: 582-583, ჭელიძე 2006: სქ. 593.). ჩვენ დაჯერდით ახალი სინური კოლექციის კატალოგში გამოქვეყნებულ ინფორმაციასა და თითოეული ნუსხის ერთი გვერდის ფოტოასლებს, რამაც საშუალება მოგვცა ამ ფურცლებზე გადანიჭილი ტექსტები შეგვედარებინა ა. ჟაკობის, მ. თარხნიშვილისა და შ. გუგუშვილის მიერ იოანე ოქროპირის ჟამისწირვის გამოქვეყნებულ ქართულ რედაქციებთან⁵³.

ვიდრე უშუალოდ წარმოვადგენთ ამ ხელნაწერთა შესახებ ჩვენი კვლევის შედეგებს, გვსურს დავაზუსტოთ ერთი გარემოება. მართალია, ჩვენი ყურადღება უმთავრესად ფოკუსირებული უნდა იყოს იოანე ოქროპირის საქართველოში დაცულ ჟამისწირვათა გრაგნილებზე, მაგრამ, როგორც ხელნაწერ სიძველეთა ფონდების კვლევამ აჩვენა, იოანე ოქროპირის ჟამისწირვა ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში სათავეს სწორედ სინის მთის ქართულ კოლექციიდან იღებს. გარდა O/Sin.Geo. 89-ისა, ევროპაში მოხვედრამდე გრაციისა და ბერლინის გრაგნილებიც სწორედ სინის მთის ქართულ ხელნაწერთა რიცხვში შედიოდა: Graz.Geo.2058/5 ჯერ კიდევ ალ. ცაგარლის სინის მთაზე ყოფნის დროს ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ნაწილი იყო (Цагарели 1888: 209, № 29), რაც შეეხება XV-XVI სს-ით დათარიღებულ ბერლინურ გრაგნილს Ms.or.fol.573, მის მკვლევარ შ. გუგუშვილის ცნობით, იგი ქაიროში შეუძენია 1864-1897 წწ-ში ქაიროში პრუსიის კონსულ ჰ.კ. ბრუემსს. ეს კი საფუძველს აძლევს შ. გუგუშვილს ივარაუდოს, რომ გრაგნილი „ან პალესტინის ერთ-ერთ ქართულ წიგნსაცავში, ან წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკაში ინახებოდა“ (გუგუშვილი 2013:2). პალესტინაში ქართულ ხელნაწერთა მხოლოდ ერთადერთი წიგნსაცავი - ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკა არსებობს. და, როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ჯვრის მონასტრის 159-ერთეულიანი კოლექცია ჟამისწირვის არც ერთ ხელნაწერს არ იცნობს⁵⁴ ისევე, როგორც ივირონის მონასტრის ქართულ ხელ-

⁵³ ჩვენი ხელნაწერი ტრადიციის კვლევაში ახალი სინური კოლექციის კატალოგს (აღმოჩენები 2005) ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. იმ საკითხებზე მსჯელობისას, რომელთაც ჩვენ ვეხებით, არ უნდა დაგვავიწყდეს მკვლევართა მიერ ახალი სინური კოლექციის ხელნაწერებზე მუშაობის რთული პირობები – შემჭიდროვებული ვადები, პარალელური მასალის უქონლობა, ცალკეული ძეგლის ფუნდამენტური კვლევის შედეგების არარსებობა.

⁵⁴ ალ. ცაგარლისა (Цагарели 1888: 172 № 100) და რ. ბლეიკის (Blake 1924 :425 აღწერილობებში კონდაკის სახელწოდებითაა შეტანილი კრებული Jer.Geo. 114. ამ ხელნაწერის ფოტოასლი არაა გადაღებული, ამდენად მისი რაობის შემოწმება შეუძლებელი აღმოჩნდა, თუმცა, ალ. ცაგარლისეული აღწერილობით, ესაა სექტემბერ-აგვისტოს საგალობელთა -კონდაკთა კრებული.

ნაწერთა შორის არ გვხვდება ჟამისწირვის არც ერთი ნუსხა (შდრ. Catalogue 2020). ამდენად, ვფიქრობთ, ბერლინური გრაგნილიც სინის მთის ქართული კოლექციის ნაწილი უნდა ყოფილიყო. სინის მთის ქართული ლიტურგიკული ხელნაწერები კი სრულად წარმოგვიდგენენ შუა საუკუნეების ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში მიმდინარე პროცესებს. ამიტომაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება ახალი სინური კოლექციის ხელნაწერებმა.

N/Sin.Geo. 54. 129-ფურცლიანი, მსხვილი ნუსხურით, შავი მელნით 14.4x9,5 ზომის ეტრატზე გადაწერილი საკმაოდ დაზიანებული ლიტურგიკული კრებული შეიცავს იაკობ მოციქულის (1r-53r), ბასილი დიდის (54r-84v), იოანე ოქროპირის (85r-108v) ჟამისწირვებსა და ზოგადი დღესასწაულების ჟამისწირვათა ფსალმუნებსა და ახალი აღთქმის საკითხავებს (109r-129v). ყოველი ჟამისწირვის დასასრულს (53r, 84v, 108v) იკითხება გადამწერ იოვანეს მინაწერი:

„დაესრულა ჟამისწირვაჲ წმიდისა იაკობ მოციქულისაჲ, ძმისა უფლისაჲ. ქრისტე, შეინყაღე იოვანე მშრომელი.“ (53r)

„დაესრულა ჟამისწირვაჲ წმიდისა ბასილისაჲ. ქრისტე, შეინყაღე იოვანე.“ (84v)

„დაესრულა ჟამისწირვაჲ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ. ქრისტე, შეინყაღე იოვანე.“ (108v)

ამავე გვერდზე ჟამისწირვის ტექსტის დასასრულსა და მინაწერს შორის განსხვავებული ნუსხურით ჩანერილია: „ მოიჭსენე, უფალო, ნიკოლოზ და იოვანე, ძმაჲ მისი“. (შდრ.: აღმოჩენები 2005: 574)

ვინაიდან მხოლოდ ანბანის მოხაზულობის საფუძველზე ხელნაწერის მეტ-ნაკლები სიზუსტით დათარიღება შეუძლებლად გვესახება, ამ პრობლემის გადაჭრაში დიდ დახმარებას გაგვიწევდა ანდერძ-მინაწერებში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაცია. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით ჩვენში არსებული საძიებო სისტემის სიმწირის გამო⁵⁵ ამ ეტაპზე ამ ამოცანის გადაჭრა ვერ მოხერხდა. თუმცა კი ინტერესს იწვევს 53r-ზე მინაწერში გადამწერ იოვანეს მსაზღვრელად ტერმინ *მშრომელის* მოხმობა. იგი არ დასტურდება დღემდე ნაკვლევი თუ აღწერილი არც ერთი ხელნაწერის კოლოფონში და, ვფიქრობთ, ამ მიმართულებით კვლევა მომავალ აღმწერელთა საქმიანობის ნაწილს უნდა შეადგენდეს.

ახალი სინური კოლექციის კატალოგში გამოქვეყნებულმა N/Sin.Geo. 54-ის 108 v-ს ფოტოასლმა საშუალება მოგვცა ამოგვეკითხა იგი, რათა იოანე ოქროპირის ჟამისწირვათა ქართული რედაქციების ზემოთ დასახელებული პუბლიკაციების მიხედვით მოგვეძიებინა მისი პარალელური, რედაქციულად მასთან შესაბამისი ქართული თარგმანი ან ა. ჟაკობის 1968 წლის პუბლიკაციის მიხედვით ყურადღება მიგვემართა ძველი კონსტანტინოპოლური რედაქციის ბერძნული ტექსტისაკენ. მართალია, მცირე ფრაგმენტის მიხედვით შეუძლებელია ვიმსჯელოთ ამ ხელნაწერში გადაწერილი ჟამისწირვის რედაქციულ თავისებურებებზე, მაგრამ, ვფიქრობთ, ის მაინც მოგვცემს გარკვეული ორიენტირების გამოყოფის საშუალებას. კატალოგში გამოქვეყნებულ ფოტოზე იკითხება ზიარების შემდგომ წმინდა ძღვენის საკურთხეველში დაბრუნების ბოლო, ფაქტობრივად, ჟამისწირვის დამასრულებელი ლოცვა. ეს მცირე ტექსტიც კი გვიჩვენებს N/Sin.Geo. 54-ის სხვაობას O/Sin.Geo. 89-ში შესული იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ყველაზე ადრეული ქართული რედაქციისაგან. ამავე ფრაგმენტიდან ჩანს, რომ ახალი სინური კოლექციის ამ ნუსხაში გადაწერილი ტექსტი მიჰყვება XIV-XV სს-ით დათარიღებული გრაცისა (G) და ბერლინის (B) გრაგნილებზე გადაწერილ რედაქციებს. შედარებისათვის ოთხივე ნუსხიდან მოვიტანთ შესაბამის მონაკვეთს, ახალი სინური კოლექციის ხელნაწერის ტექსტშივე აღვნიშნავთ გრაცისა (G) და ბერლინის (B) რედაქციების იკითხვისებს.

O/Sin.Geo. 89, 69r: “მღდელმან ესე ლოცვაჲ სინმინდისა უკუყვანებისაჲ საღიაკონოს წართქუას. ძალითი ძალად მოსრულნი ჩუენ, ცოდვილნი და უღირსნი მონანი შენნი, უგალობთ მეუფებასა შენსა, ქრისტე ღმერთო ჩუენო. აღვასრულეთ საღმრთოჲ მსახურებაჲ და საიდუმლოჲ და შენდა დიდებასა შევსწირავთ თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისადნდე. აჲნ.“

N/Sin.Geo. 54, 105v: “ლოცვაჲ აკრებისაჲ (G) და მი-რაჲ-ვიდეს ხუცესი სინმინდისა აკრებად, თვსაგან ესე ლოცვაჲ წართქუას (B): ძალითი ძალად მოსრულნი ჩუენ, ცოდვილნი და უღირსნი მონანი შენნი, უგალობთ მეუფებასა შენსა, ქრისტე ღმერთო ჩუენო. აღვასრულეთ საღმრთოჲ

⁵⁵ სამწუხაროდ, ხელნაწერთა კოლოფონებში ნახსენები ყველა პირი არაა შეტანილი სამეცნიერო აღწერილობებისთვის დართულ პირთა საძიებლებში.

მსახურება და საიდუმლო (!) [+ და მოსრულნი მეორესა ამას ტრაპეზსა შენსა GB] და შენდა დიდებასა შევსწირავთ თანა დაუსაბამოთ მამით და [+ყოვლად GB წმიდით [+სახიერით და GB] ცხოველსყოფელით სულითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისადნდე. ან.“

როგორც ვხედავთ, ახალი სინური კოლექციის ხელნაწერისა და გრაც-ბერლინის გრაგნილების ტექსტები XI ს-ის რედაქციისგან საგრძნობლად სხვაობენ როგორც მღვდელმოქმედების რიტუალის სახელწოდების, ასევე სამების ფორმულაში სულიწმინდის თანაარსობის დეფინიციის თვალსაზრისით.

N/Sin.Geo. 66. მცირე ზომის (11x9 სმ) ეტრატის 40-ფურცლიანი კოდექსი, გადანერილია ნუსხურნარევი მთავრულით. როგორც ჩანს, ხელნაწერი არ არის ლიტურგიკული კრებულის ფრაგმენტი. მასში იმთავითვე უნდა გადანერილიყო მხოლოდ იოანე ოქროპირის ჟამისწირვა. აკინძულია ცალკე წიგნად, ჩასმულია ტყავის ყდაში. სავარაუდოდ, წარმოადგენს პირადი მოხმარების ხელნაწერს. ალბათ, ამ მიზეზითაც გადამწერი არ ასახელებს საკუთარ ვინაობას. გრაფემათა არათანაბარი მოხაზულობა და სტრიქონებს შორის განსხვავებული მანძილები გვაფიქრებინებს, რომ კოდექსი არ არის პროფესიონალი მწიგნობრის მიერ შექმნილი ერთეული. ტექსტი მოგვაქვს ხელნაწერის დაწერილობით:

1v. „ჟამისწირვაჲ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ. მღწლი რაჟამს სინმიდესა დაგებდეს პირველად ესე ლ (ცჲ წართქუას: „ღო ღო ჩწო, რწ ზეცისა პორი სარზდელად ყოველსა სუფელსა უნი ჩწი და ღი იჲ ქე მოავლინე მაცხოვარდ, ჩწდა მწსნელად და მაკურთხეველად და გწწ წმ//2r. მედელად ჩწდა შწ აკურთხე წწა დაგებული ესე და შეინირე ესე ვა ზეცისაჲ შწისა საკურთხეველსა ზედა მოიწსენენ ვითარცა სახიერ ხარ და კაცთა მოყუარე რწლთა შემონირეს და ვისთვის შემონირეს და ჩწ დაუსჯელად დაგვცვენ მღდელობასა საღმრთოსა შწსა საიდუმლოსა რწ წწს დიდებულ ყდ პატოხსან და დიდად შუენიერი სახელი მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ან და მწს და უჲკე უჲკე აწ.“

უპირველესად თვალშისაცემია, რომ N/Sin.Geo. 66-ში არ ჩანს იოანე ოქროპირის ჟამისწირვის XI ს-ში ნორმად აღიარებული დასაწყისი, კერძოდ, პროსკომიდიის მომზადებისა და უშუალოდ პროსკომიდიის ანუ კვეთის ლოცვები. ხელნაწერი იწყება პირდაპირ წინადაგების ლოცვით. რომც ვივარაუდოთ, რომ სინური ნუსხა თავნაკლულია, ჩვენ მიერ დასახელებული მონაკვეთი არ შეიძლება გადანერილი იყოს ცალკე, ჟამისწირვის ძირითადი ტექსტისაგან მოწყვეტით. უნდა ვიფიქროთ, რომ გადამწერს ხელთ ჰქონდა სწორედ ამგვარი კომპოზიციის დედანი. ჟამისწირვა არ არის სულიერი ზრდისა და სიმტკიცისათვის უბრალოდ საკითხავი წიგნი, იმ ტიპისა, როგორც რომელიმე ჰომილეტიკურ ან აპოფთეგმურ თხზულებათა კრებული. იგი ხომ ექვარისტიული მსახურების უმთავრესი განგება ანუ, თანამედროვე გაგებით, წესრიგია. მასში რაიმე სახის ცვლილების შეტანა გადამწერის ან მომგებლის ინიციატივით შეუწყნარებელი მოქმედებაა.

იოანე ოქროპირის ჟამისწირვის გრაგნილები. ჩვენი კვლევის არეალში უმთავრესად მოექცა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული გრაგნილი ჟამისწირვები. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მათი რიცხვი 32 არ აღემატება, ამათგან ორი - H-531 და S-4980 - ბასილი დიდი ჟამისწირვაა და შესაბამისად ეს გრაგნილები ნაკვლევი და გამოცემულია ნინო ქაჯაია მიერ (ქაჯაია 1992); ორი - H-1729 და S-4980 იმდენად დაზიანებული და ფრაგმენტულია, რომ მათზე გადანერილი ჟამისწირვების ავტორობის დადგენა შეუძლებელია. იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ტექსტის ამოკითხვა კი მოხერხდა მხოლოდ ოთხი გრაგნილიდან: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დაცული H-191, H-511, H-2089 და A-922.

H-191 (შემდგომში A) . XIV-XV სს. 5 კეფისაგან შემდგარი სქელ ეტრატზე, ნუსხურითა და შავი მელნით გადანერილი გრაგნილია. თავნაკლულია, სავარაუდოდ აკლია 1 კეფი. ჟამისწირვა პალიმფსესტია, რომლის ქვედა ფენაზე წვრილი ნუსხურით, ყავისფერი მენით გადანერილი ტექსტიდან იკითხება მხოლოდ მე-3 კეფზე შემორჩენილი სულთა მატიანის ტექსტი (პალიმფსესტები 2017: 55, 352-353).

H-511. XVI ს. 5 კეფისაგან შემდგარი გრაგნილი გადანერილია ეტრატზე, წვრილი ნუსხურით, შავი მელნით. გრაგნილი გაფორმებულია დეკორირებული საზედაო ასოებითა და მინიატიურებით; დაფიქრებისა და სამომავლო კვლევისაკენ გვიბიძგებს ჟამისწირვის ამ გრაგნილის დანიელ მესვეტის, წმ. ნიკოლოზისა და წმ. გიორგის გამოსახულებებით შემკობის ფაქტი. გრაგნილის verso გამუქებული და ალაგ-ალაგ გაუფერულებულია, განსაკუთრებით კი V კეფი,

რომლის ამოკითხვა მეტად რთულია. სწორედ ამ კეფზე იოანე ოქროპირის ჟამისწირვის დასასრულს თავსამკაულით გამოყოფილია იოანე ოქროპირის ზიარების ლოცვა. გრაგნილი საკმაოდ იყო დაზიანებული, II კეფი იყო გადახეული, კეფების დაცალკეების გამო დარღვეული იყო გრაგნილის მთლიანობა. ამჟამად იგი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაციისა და რესტავრაციის ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ რესტავრირებულია. გრაგნილის არშიებზე ნუსხურით შესრულებული არაერთი მინაწერი - სულთა მოსახსენებელი იმდენადაა გაუფერულებული, რომ მათი ამოკითხვა შეუძლებელია, თუმცა კი მაინც შესაძლებელი გახდა მათგანის გარჩევა:

1რ., მარჯვენა არშია, გვიანდელი ნუსხური: „*მამაგულ საბანაძე[ს] და მეულღესა მისა პუპას შეუდოს ღმერთმან ცოდვანი მათნი*⁵⁶“.

1რ., მარცხენა არშია, გვიანდელი ნუსხური, უნიგნური: „*უფალო, შეუნადე [...]*ისმე დისა ყილილსა ქალსა.“

2რ., მარცხენა არშია, უნიგნური ნუსხური: „*ნ. ღ(მერთ)ო შონდე გ[იორგ]ის ცოდი მისი ბლიკაძესა მეოღესა*⁵⁷ *მისა ცციასა შოდესა, ღ(მერთ)ო, ამინი.*“

3რ. მარცხენა არშია, ნუსხური: „*ღ(მერთ)ო, შეინყალე სული გიორგის ცოლ-შვილისა*“.

H-511-თან პალეოგრაფიული ნიშნებით ახლომდგომი, პრაქტიკულად ერთი სკრიპტორიუმიდან ან ერთი გადამწერის ხელიდან გამოსული, იოანე ოქროპირის ჟამისწირვის სამი გრაგნილია H-521 (C), Q-1071 (D) და ქუთაისის მუზეუმის K-605. სამივე შემკულია მხატვრულ-დეკორატიული საზედაო ასოებითა და მინიატიურებით. ეს ოთხივე ხელნაწერი ჟამისწირვის გრაგნილთა ერთ ჯგუფს ქმნის. C და D გრაგნილები თავნაკლული და საკმაოდ დაზიანებული იყო, თუმცა ამჟამად სამივე მათგანი რესტავრირებულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის ლაბორატორიის მიერ. ორიოდ სიტყვით შევჩერდებით CD გრაგნილების არშიებზე არსებულ გაუფერულებულ სულთა მოსახსენებლებზე, რომელთაგან რამდენიმეს ამოკითხვა მაინც შესაძლებელი გახდა:

C გრაგნილი, 2რ. ნუსხური, ტექსტთან მიახლოებული ხელით: „*ღებანიძესა შიოს და მეულღესა მისა მ[ა]რგალიტს შეუნდვნეს ღმერთმან ცოდვანი მათნი, ამინი. უფალო.*“.

2რ. მარჯვენა არშია, ნუსხური: „*ქ [.....] ღ(მერთ)ო წნ[...]* ასათიანის ქალი სასუფეველსა შენსა დღესა მას დიდსა განკითხვისასა შენისასა. ამინ“.

იქვე: „*მამაგულ კურეშიძესა და მეულღესა მისა შენდვნეს ღმერთმან. ამინ*“.

1რ. მარცხენა არშია, მხედრული: „*ივან[ე]სა ბეშიძესა და მისა მეულღესა ელდივნი და ბარლი(?)*, გივი შეუნდოსა ღმერთმან.“

D-ს მარჯვენა და მარცხენა არშიაზე გაკრული მხედრულით შესრულებული არაერთი მინაწერი გაუფერულებულია. ამოკითხვა ვერ მოხერხდა.

H-2089 (E) . XV ს. ერთეული, შედგება 3 კეფისგან, I-II კეფები გადაკერილია ერთად, მარჯვენა კუთხე მორღვეულია. ნაწერია სქელ ეტრატზე შავი მელნით, ნუსხურით. III კეფი მოცილებულია, სხვა, გაცილებით ადრეული გრაგნილის ნაწილია, ნაწერია ეტრატზე, შავი მელნით, ნუსხურით, განსხვავებული ხელით. ძლიერ დაზიანებულია, კიდეებშემოტეხილია. ზედა კიდეზე აღინიშნება ძველი გაკერვის კვალი. ეტრატი გამუქებულია და გრაფემები გაუფერულებულია, ტექსტი ცუდად იკითხება. პალიმფსესტია. ქვედა ფენა ნაწერია მსხვილი მთავრულით, ზედა ტექსტის საპირისპიროდ. თარიღდება IX ს-ით. იერუსალიმური ლექციონარის ფრაგმენტია. (პალიმფსესტები 2017:162, 392-293).

K-657 (K.) გარდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული გრაგნილი ჟამისწირვებისა, ჩვენი ყურადღება, ასევე, მიიპყრო ქუთაისის მუზეუმში აღნიშნული საფონდო ნომრით დაცულმა ე.წ. გელათის ილიტარიონმა. მართალია, გრაგნილი საკმაოდ შელახულია, I კეფი შემოხეულია, მელანი გაუფერულებულია დროთა დინების გამო და გაბმული ტექსტის ამოკითხვა ალაგ-ალაგ ჭირს, მაგრამ იგი საგანგებოდაა შექმნილი და უკავშირდება ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდს, კერძოდ, XVI ს-ის შუა წლებში ქართული ეკლესიის ისტორიაში მიმდინარე პროცესებს, ბიჭვინთის საკათალიკოსო რეზიდენციის გელათში გადატანისა და დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ევდემოს/ევდემონ I (ჩხეტიძის) მოღვაწეობას

⁵⁶ გრაგნილის XX ს-ის 50-იან წწ-ში შედგენილ (აღწერილობა (H) 1951 :8) მინაწერი ასეა ამოკითხული: „*მამია გურ[იელ]სა და ბანა რე (ძე?)სა და მეულღესა მისსა უპიას შეუნდოს ღმერთმან ცოდვანი მათნი.*“

⁵⁷ ლ მხედრულით

(Skhirtladze 2016:520-522). გრაგნილი გადანერილია ეტრატის თხელ ფურცელზე, შედგება 13 კეფისგან, გამოყენებულია ოქრომელანი, შემკულია იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის, 12 მოციქულისა და საიდუმლო სერობის მინიატიურებით⁵⁸. გრაგნილის საგანგებო მნიშვნელობაზე, გარდა საწერი მასალის ხარისხისა და მორთულობისა, მიუთითებს მისი შედგენილობაც. სხვა გრაგნილი ჟამისწირვებისაგან განსხვავებით, K-657 recto-ზე ორ სვეტად გადანერილია იოანე ოქროპირის (მარჯვენა სვეტი) და ბასილი დიდის (მარცხენა სვეტი) ჟამისწირვები, ხოლო verso-ზე ბასილი დიდის სინმინდის საღმრთო განახლების ტექსტი. პალეოგრაფიული ნიშნებისა და შემკულობის გამო ხელნაწერს ნ. კონდაკოვი (Кондаков 1890:53) და გრ. წერეთელი (Церетели 1891:278) XII-XIII სს-ით ათარილებდნენ. გრაგნილის ზუსტი თარიღი, ჟამისწირვის ცოცხალთა მოხსენიების კვერეცში დასახელებული ისტორიული პირების - ქართლის მეფე ლუარსაბ I-ისა და აფხაზეთის კათალიკოს ევდემოს I-ის მოხსენიების საფუძველზე განსაზღვრა კ.კეკელიძემ და ილიტარიონი XVI ს-ით დაათარილა (Кекелидзе 1908:99).

K-657-ის 10r-ს მარცხენა არშიაზე, ცოცხალთა მოხსენიების გასწვრივ იკითხება ნუსხურით, ყავისფერი მელნითა შესრულებული ვრცელი მოსახსენებელი. ტექსტის შიგადაშიგ წითლითაა გაცხოველებული:

„კწ. და პატიოსანა **მალაქია წმიდისა პატრიარქისა ჩუენისა და ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზისა**, დიდისა მამათმთავრისა იოანე, წმიდისა პატრიარქისა ანტიოქელ მამათმთავრისა, წმიდისა საბაჲ პატრიარქისა, ალექსანდრელ მამათმთავრისა გრიგოლისათვს, წმიდისა პატრიარქისა კოსტანტინოსპოლელ მამათმთავრისა, **ევდემოს წმიდისა პატრიარქისა და ყოვლისა აფხაზეთისა კათალიკოზისა**, დიდისა მამათმთავრისა და იოანე წმიდისა პატრიარქისა იერუსალჴმელ მამათმთავრისა, [...]ლისათვს მთავარებისკოპოზისა ჩუენისა და შემწირველისა ამისთვს პატიოსანთა მსხუერპლთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა, თეოდორე მონაზონისა და ხუცისა, პატიოსანთა მღდელთა, ქრისტეს მიერ მამათა და ყოვლისა სამღრდელოსა მწყობრისათვს, ცხორებისათვს, სიმტკიცისა, მძლეობისა დამყარებისა ღვთივ დაცულისა მეფისა ჩუენისა ლუარსაბ აფხაზეთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა და შირვანელთა მეფისა მშკდობისათვს, ყოვლისა სოფლისა კეთილად დგომისათვს და დამტკიცებისა წმიდათა ღმრთისა ეკლესიათასა, გამოწსნისათვს ძმათა ჩუენთა ტყუჴქმნულთა, ქრისტეს მოყუარეთა მჴედართა, გარემოს მდგომარეთა ერისა და ყოველთა და ყოვლისა.“

თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ მალაქიას (1532-1534, 50-იანი წწ.) და დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ევდემოს/ევდემოს ჩხეტიძის (1557-1578) აღსაყდრებისა და მათი თანამშრომლობის წლებს, გრაგნილის გადანერის თარიღი XVI ს-ის 50-იანი წლებით შეგვიძლია შემოვსაზღვროთ.

სახელწოდება კონდაკისათვის. პირველი საკითხი, რომელმაც იოანე ოქროპირის ჟამისწირვათა გრაგნილებზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო, შეეხო თავად გრაგნილსა და მის გამოქვეყნებულ აღწერილობას შორის ხელნაწერის სახელწოდებაში არსებულ სხვაობას. აღწერილობებში გრაგნილი ჟამისწირვები კონდაკის სახელწოდებითაა აღნუსხული. შესაძლოა, არც დავფიქრებულყავით ამ საკითხზე, ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, კონდაკი გრაგნილი ჟამისწირვების სავსებით ბუნებრივ და ახსნად სახელწოდებადაა აღიარებული. მეცნიერთა აზრით, მისი წარმოშობა განაპირობა ბერძნულმა ტერმინმა κόνταξ (Μπαμπινιώτης 2020) ანდა κόντιξ (კეკელიძე 1980: 580, გაბიძაშვილი 2011:23), რომელიც ამ ფორმის ხელნაწერის აგებულების არსებით ელემენტს - ორმხრივად წვერმომახულ ხის ჯოხს აღნიშნავს და რომელიც ერთმანეთზე გადაკერებული კეფების საყრდენს წარმოადგენს, ფაქტობრივად, ნაწერ ფურცლებს ანარჩუნებინებს დახვეულ ფორმას. მაგრამ კვლევამ აჩვენა, რომ საკითხი მხოლოდ ამ არგუმენტით ვერ აიხსნება. საქმე ისაა, რომ თავად გრაგნილ ჟამისწირვებში, რომელთაც შემორჩათ პირველი კეფი, ხელნაწერი ასეა დასათაურებული:

H-510 (XV ს.): „სა[ღვთ]ო ჟამის [წირვა ი]ოანე ოქროპირისა“.

H-511 (XVI ს.): „საღვთო ჟამისწირვა წჲ იოვანე ოქროპირისა“

K-657 (XVI ს.): “ ჟამისწირვა წმიდისა იოანე ოქროპირისა.“

ამას გარდა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ იოანე ოქროპირის ჟამისწირვათა კატალოგიზაციის პროცესში გაირკვა, რომ კონდაკი, როგორც ლიტურგიის აღსრულებისათვის

⁵⁸ გრაგნილის მხატვრულ-მინიატურული მხარის შესახებ დანვრილებით იხ. Skhirtladze 2016: 522-53

განკუთვნილ წიგნთა კრებულის აღმნიშვნელი ტერმინი, ჩვენს ხელნაწერ ტრადიციაში ჩნდება XVIII ს-დან. ამ კრებულებში, გარდა იოანე ოქროპირის ჟამისწირვისა, შესულია ბასილის დიდისა და გრიგოლ დიალოლოსის ლიტურგიები, მწუხრისა და ცისკრის განგებები, მღვდელთა და დიაკონთა ხელდასხმის წესი, კურთხევები და განტევების ლოცვები. მართალია, კონდაკის სახელწოდებით ცნობილი კრებულების შედგენილობა არ ხასიათდება აბსოლუტური ერთგვაროვნებით, მაგრამ ყველა მათგანში მაინც წარმოდგენილია ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ტექსტიდან რამდენიმე.

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

A-107 (XVIII ს.) 186-ფურცლიანი კრებული, გადაწერილია ნუსხურით ორ სვეტად, ქალაქ ლდზე. გადაწერის ადგილი უცნობია, შემკულია მოხატული კამარებით. გადამწერია ნიკოლოზი (30v).

კრებულში შესულია:

1. განსვენებაჲ საღმრთოთა წირვათა, ვითარ იქმნის მღვდელთა და დიაკონთა მიერ და ანუ რაჲ წესი არს (4r-9v)

2. საღმრთო ჟამისწირვა წმიდისა იოანე ოქროპირისა (10r-30v)

3. საღმრთო ჟამისწირვა წმიდისა ჩუენისა დიდისა ბასილისა (31r-45v)

4. წესი, რომელი აღესრულების საღმრთოსა სინმიდის განახლებასა (45v-46v)

5. საღმრთო ჟამისწირვა გრიგოლისა (47r-55r)

6. წესი, რომელი იქმნების ჴელთ-დასხმასა ზედა კერძო დიაკონისასა. (55v-56v)

7. წესი, რომელი იქმნების ჴელდასხმასა ზედა დიაკონისასა (56v-59r)

8. წესი, რომელი იქმნების ჴელდასხმასა ზედა მღვდლისასა (59r-60v)

9. რომელსა ენებოს აღშენება ეკლესიისა (60v-62r)

10. წესი რომელი აღესრულების შეძვრასა ტრაპეზისასა, ანუ დაფუძნებასა ზედა ტრაპეზისასა (62r-65r)

11. წესი ტრაპეზის გარეცხისა (65r-68v)

12. კურთხევანი (68v-186v)

კრებულის რაობას ეხება 84v-სა და 180v-ზე სხვადასხვა პირის მიერ დართული ანდერძ-მინაწერები. მოგვაქვს ამონარიდი 180v-ზე ნუსხურით დაწერილი მინაწერიდან:

“სადიდებელად წმიდისა და ერთარსისა ცხოველსმყოფელისა და განუყოფელისა სამებისა მე, ცოდვილმან სიგნიშვილმან გაბრიელს (!), შემოგწირე შენ, წმიდა ნათლისმცემელსა მრავალმთისა, ერთი კონდაკი და კურთხევანი ერთად შეკრული ...”

A-150 (XVIII ს.) ქალაქის 102-ფურცლიანი კრებული, გადაწერილია ნუსხურით, შემკულია იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, გრიგოლ დიალოლოსისა და სხვა წმინდანთა გამოსახულებებითა და დეკორირებული საზედაო ასოებით.

შედგენილობა: მართალია კრებულში შესულია მხოლოდ იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ დიალოლოსის ჟამისწირვები, მაგრამ იგი მაინც აღქმულია როგორც კონდაკი. ყდის ზედა ფრთის საცავ ფურცელზე იკითხება ტარასი არქიმანდრიტის (ალექსი-მესხიშვილის, 1793-1874) მინაწერი:

„თქუწნო კეთილშობილებავ, ეს კონდაკი ძველ დღეთასია, აწინდელ დროში არ გამოდგენა, დავიწყების არხიაში (!) შეინახე. უმორჩილესი თქვენი ტ[არასი].“

S-1295 (1761-1781 წწ.). ქალაქის 74-ფურცლიანი კრებული, გადაწერილი . ორი გადამწერი: იესე და სიონის დეკანოზი ნიკოლაოსი.

შედგენილობა:

1. განგება მწუხრისა (2r-9r)

2. განგება საღმრთოთა და დამღვდლოთა წირვათა, რამეთუ დიდსა ეკლესიასა და მთანმიდასა ესრეთ იქმნები. (11r-54v).

შენიშვნა: ეს ნაწილი შეიცავ იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ დიალოლოსის ჟამისწირვებს.

3. კურთხევები (55r-66r)

4. ლოცვები (67v-68r)

5. განტევებანი (70r-73v)

74v-ზე იკითხება მხედრულით შესრულებული სიონის დეკანოზ ნიკოლაოსის ანდერძი. მოგვაქვს ამონარიდი:

„ქ. უფალნო ჩემნო, მამანო წმიდანო და ძმანო, კონდაკი ესე რაც ოდენ ნანერია, კურთხევით ჳსენებულისა პაპისა ჩემისა ნანერია, რადგანაც იმისა ჭირნახულ-დადებულია. მცირედ მეც ვიჭირვე და განვაახლე...“ (74v)

როგორც ვხედავთ, კონდაკი, ფაქტობრივად, იმ ტიპის კრებულია, რომელსაც ადრეულ ბიზანტიურ ტრადიციაში Εὐχολόγιον-ი ერქვა და მღვდელმოქმედებათა აღსრულებისა და სხვადასხვა ლოცვის ნაკრებს წარმოადგენდა. სახელწოდება კონდაკის, როგორც ლიტურგიკული კრებულის და არა მხოლოდ ჟამისწირვის აღმნიშვნელ ტერმინის, ჩვენს ტრადიციაში დამკვიდრებისთვის საფუძველი უნდა ჩაეყარა 1710-1711 წლებში ვახტანგ VI-ის ინიციატივით თბილისის სტამბაში ამ ტიპის კრებულის ბეჭდური ვერსიის შექმნას. ყოველ შემთხვევაში, ანდერძ-მინაწერების მიხედვით, აღნიშნული მნიშვნელობით ეს ტერმინი არ დასტურდება არც ერთ ადრეულ ქართულ ლიტურგიკულ კრებულში. ვახტანგისეული კონდაკის რაობას 1711 წლის გამოცემის შესავალში განმარტავს ტექსტის გამმართველი, დღევანდელი ინტერპრეტაციით, რედაქტორის, გერმანე მღვდელმონაზვნის წინათქმა:

„კონდაკი რაოდენითა სწერია ამას შინა: პირველ წესი და რიგი, ვითარ უჭმსთ მღვდელთა და დიაკონთა მსახურებასა ზედა. და განგება მწუხრისა და ცისკრისა, და სამნი კონდაკნი: წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა, და დიდისა ბასილისა, და გრიგოლი დიოლოლოსისა (რომელსა ეწოდების სინმიდის განახლება). კიდევ კურთხევები წიგნის მკითხველისა და მგალობელისა, და კერძო დიაკონისა, და მღვდლისა, და მღვდელთმთავრისა, და დღესასწაულთა ერის განტევება, და ჩამოლოცვანი შუადეულთა დღეთა და დღესასწაულთანი.“ (კონდაკი 1711:1)

გამოცემის 4-6 გვერდებზე ქართული სტამბის გამმართველი მიხაილ უნგრო-ვლახელი ე.წ. წინათქმაში განმარტავს კონდაკის გამოცემის საჭიროებას. ეს მოკლე ტექსტი სავსებით არაორაზროვნად მიუთითებს XVII-XVIII სს-ში ქართულ ეკლესიაში ევქარისტიული მსახურების აღსრულების დროს შექმნილ სირთულეებზე, რომლებიც, ასევე, დაადასტურა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდების კვლევაშიც. როგორც გაირკვა, ჩვენი ხელნაწერი ტრადიციის არა თუ XVII-XVIII სს., არამედ გაცილებით ადრეული პერიოდიც ხასიათდება როგორც ევქარისტიული განგების კრებულთა სიმცირით, ასევე რედაქციული სიჭრელითაც.⁵⁹ ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ მიხეილ უნგრო-ვლახელი გამოცემის წინათქმაში მკითხველის ყურადღებას ხაზგასმით მიაპყრობს კრებულ კონდაკის გამოცემის საჭიროებისკენ:

„ქ. ყოველთა უწმინდესთა მღვდელთმთავართა და განკრძალულთა მღვდელთა შვერდომით თაყვანსაცემელი ვითარცა მოქმედნი იგი, რომელნიცა იქმან საქმესა მსოფლიოთა მოქალაქეობისათა, მათ არ ძალუცთ თვინიერ საჭმრისა რასამე და მოხელოვნებისა კეთილთა რათმე საქმეთა საზომსა თვისსა მოყვანებად, ეგრეთვე მღვდელთა მათ, რომელნიცა მღვდლობენ და მსახურებენ წმიდათა და უხრწნელთა საიდუმლოთა, ვერ ძალუც კეთილად წარმართებად და ჯეროვნად მღვდელმემსხვერპლეობად, უკუეთუ არა იყოს კრძალვით მხედველი თვისთა წესთა და საიდუმლოთა წერილთა ქონებად, რომელი მოგუცეს ჩვენ წმიდათა და ღმერთმოსილთა მამათა ეკლესიათა ჩვენთათვის შესამკობელად. რამეთუ, რომელნი ეძიებდენ წმიდათაგან წერილთა, ადვილად შემძლებელ არიან პოვნად გზასა მას მეცნიერებისასა. ვინათგან სამღვდლონი მამანი ქართველთაგანი დაკნინებულ იყვნეს სამღვდლოთა წიგნთაგან და ვერ წარემართებოდა ნაკლულევანთა მღვდელთაგან მღვდლობა თვინიერ ამას წიგნისა, ამისთვის განიცადა ესეცა და გულისწყმყო პატრონმა და განმგებელმა ქართველთამან ბატონიშვილმა ვახტანგ, ვითარმედ დიდად საჭმარარს დაკლებულთა მღვდელთათვის წიგნი ესე წმიდისა მსხვერპლისა ...“ (კონდაკი 1711:4-6)

ჩვენი აზრით, სწორედ ვახტანგის გამოცემამ მისცა ბიძგი ცალკეული ჟამისწირვის კრებულ კონდაკთან გაიგივების ფაქტს, სხვაგვარად გაუგებარია, რატომ არ აისახა სახელწოდება

⁵⁹ ბიზანტიური ტრადიციის ჟამისწირვათა ბერძნული და მისი შესატყვისი ქართული რედაქციების შესახებ მსჯელობისას კ.კეკელიძემ ხაზგასმით აღნიშნა, XIVს-ში კონსტანტინეპოლის პატრიარქ ფილოთეოსის მიერ ჟამისწირვებში შეტანილი მეტად მნიშვნელოვანი სარედაქციო ცვლილებები ქართულ ტრადიციაში სწორედ ვახტანგ VI-მ შემოიტანა. ეს რედაქცია დაიბეჭდა მის სტამბაში მხოლოდ 1716 წელს, მაგრამ ჟამისწირვის ამ რედაქციამ მაინც ვერ დაიმკვიდრა ადვილად ადგილი ქართულ ტრადიციაში. (კეკელიძე 1980: 583).

კონდაკი გრაგნილზე გადაწერილ ჟამისწირვებში. საინტერესოა ერთი გარემოებაც, ჟამისწირვის კონდაკად მოხსენიების XVIII ს-ში დამკვიდრებულმა ტრადიციამ ასახვა პოვა XVI ს-ის მეტად დაზიანებული, თავ-ბოლონაკლული გრაგნილი ჟამისწირვის H-513 არშიაზე მხედრულით შესრულებულ XVIII-XIX სს-ის მინანქრში:

„ღმერთო და ყოლა წმიდაო ღვთისმშობელო, და წმიდაო იოანე ოქროპირო და წმიდაო ბასილი და რაცა ამა კონტაკშიდა წმიდანი მოიხსენიებიან, მათო მადლო, გაუზარდე ზაქარიასა მისი...“

ინტერესს მოკლებული არაა ტერმინ კონდაკის მნიშვნელობის შესახებ საქართველოში დაცულ ქართველ კათოლიკეთა წიგნების მონაცემებიც, რომელთა თანახმადაც, კონდაკი ზოგადად წირვის მნიშვნელობითაა მოხმობილი ცალკეულ ხელნაწერებში. ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღების არეალში მოხვდა სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის (სხვაგან სჯმ) კათოლიკური ხელნაწერი № 202. ესაა 236 ფურცლისაგან შემდგარი იესოს, მარიამისა და იოსების კათოლიკური ძმობის წირვის კოდექსი, რომელშიც ჩამოთვლილი არიან ძმობის როგორც ცოცხალი, ასევე გარდაცვლილი წევრები. ეს ქართველ კათოლიკეთა ერთგვარი სულთა მატიაწეცაა. კრებულს ეწოდება ძმობის კონდაკი (აღწერილობა (სჯმ) 1987: 84). ძირითად ტექსტს უძღვის შესავალი:

„ 1840 მარტის პირველ თვესა წმინდა ჯვარის ეკლესიასა შინა დაწერილ იქმენ იესო, მარიამ და მამა იოსების შენდობაების (!) ძმობაშიდ, რომელი მოენიჭა ახალციხის ეკლესიებს გრიგოლ მეთექვსმეტე წმინდა პაპისგან კავკაზიის ამიერ მთავარ-უმფროსი კათოლიკეთა ზედა უფალი პატრი ფრანჩისკე მესინელის საშუალებითა და მთავარ-უმფროსმან თვით მონაცვლედ გამოაგ ზავნა ბატონი პატრი დამიანე ვიარეჯელი, და რომელიც აქუნდა სხუა შენდობაებიც საზოგადო თემობისათვის. ამისთვის დიდის ცერემონიით განიშალა წმინდა ჯვარის ეკლესიაშიდ, რვა დღე-ღამეს რომ დილით იყო წურთვა და შემდგომად ხმოვანი წირვა, საღამოს ქადაგება და წმინდა ზიარების კურთხევა. და მიიღეს ყოველთავე თემობამ აღსარებით და წმინდა ზიარებით დამზადებულთა წმინდა პაპა გრიგოლ მეთექვსმეტის⁶⁰ კურთხევა და აღხსნა ყოველთა კრებულისა და შევიდენ ძმობის კანონიერ ძმობაშიდ და დაენერნენ იესო, მარიამ და მამა იოსების საფარველ ქვეშ „ (4r)

სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ გარემოში ტერმინი კონდაკი აღაპთა მნიშვნელობითაც იხმარებოდა. მაგალითად, XVIII-XIX სს-ით დათარიღებულ 91 ფურცლისაგან შემდგარ სააღაპე წიგნს (სჯმ № 188) ეწოდება კონდაკი სურბ ნიშნისა⁶¹ (აღწერილობა (სჯმ) 1987: 72-73). ხელნაწერი სამეცნიერო წრეებში ცნობილია „ახალციხის ქრონიკების“ სახელწოდებით (ქრონიკები 2015). ასევე სამცხე-ჯავახეთის მუზეუმში დაცული XIX-XX სს-თა 33-ფურცლიანი წმ. ივლიტას ეკლესიის დავთრის ანუ სააღაპე წიგნის სახელწოდებაც კონდაკია (აღწერილობა (სჯმ) 1987: 114). ტექსტში ვკითხულობთ:

„უფალო, შენ შეინყალე ივლიტის(!) საყდრის ერისაგან მიცვალებულნი და საუკუნო განსვენება მიანიჭე მათ. ხოლო გააძლიერე იგინი, რომელნიც აწმყოს იპოებიან ამ ეკლესიის აწრდილს ქვეშ, რითა დაუცხრონლად გაქონ და გადიდონ შენ უკუნისამდე.“ (1r)

იმავე გვერდზე მინანქრი: „და განახლდა ეს კონდაკი ამავე ეკლესიის ბაროხი მღვდელისაგან წელსა 1857.“

რაც შეეხება იმას, თუ რატომ მიიღო ექვარისტული ლიტურგიის წიგნთა კრებულებმა ან, თუნდაც, ქართველ კათოლიკეთა წირვისა და სააღაპე წიგნებმა ეს სახელწოდება, დღეისათვის ამ კითხვაზე პასუხი ჩვენ არ გვაქვს. არც ტერმინ ΚΟΝΤΑΚΙΟΝ, kondákion სხვაენოვანი (ბერძნული, ლათინური, სლავური) განმარტებები არ გვაძლევენ იმის უფლებას, ერთ დროს 18-20 სტროფიანი ჰიმნის სახელწოდების ამგვარ ტრანსფორმაციას რაიმე სახის არგუმენტირებული ახსნა მოვუძებნოთ. ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას შექმნის ამ მიმართულებით ტერმინოლოგიური ძიებანი.

იოანე ოქროპირის ჟამისწირვის გრაგნილებზე დაცული ქართული რედაქციები. გამოცემულმა ტექსტებმა ნათელი გახადა, რომ დღის მსახურების ეს მნიშვნელოვანი განგება ჩვენს ხელნაწერ ტრადიციაში წარმოდგენილია სამი რედაქციით, რომელთაც პირობითად ასე აღვ-

⁶⁰ Gregorius Sextis Decimus, რომის პაპი 1831-1846 წწ-ში.

⁶¹ სურბ ნიშანი - ეკლესია ძველ თბილისში, ზემო კალაში. ძველი სახელწოდებით მამასახლისის საყდარი.

ნიშნავთ: S (O/Sin Geo. 89), G (Graz.Geo.2058/5) და B (Ms.or.fol.573). მართალია, სამივე ნუსხა, რომელთა მიხედვითაც გაიმიჯნა იოანე ოქროპირის ჟამისწირვის რედაქციები, სინის მთის ქართული კოლექციის ნაწილს წარმოადგენდა, ჩვენთვის საინტერესო იყო დაგვედგინა, ლიტურგიკული კრებულების სიმრავლით გამორჩეული ამ სამონასტრო ცენტრიდან გამოსული რომელი რედაქცია აღმოჩნდა ყველაზე აქტუალური და მიღებული გვიანი შუა საუკუნეების ჩვენს საეკლესიო პრაქტიკაში.

თუმცა გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ იოანე ოქროპირს ჟამისწირვის გრაგნილების რედაქციულ თავისებურებებზე მსჯელობისას ჩვენ, ფაქტობრივად, შემოვიფარგლებით ამ წიგნის სტრუქტურაში გამოვლენილ ზოგად სხვაობაზე მინიშნებით. თავად ბერძნული ხელნაწერების, მათში დაფიქსირებული რედაქციული თუ ვარიანტული ვარიაციების სიმრავლის გამო პრობლემურ საკითხად რჩება ქართული რედაქციების ადეკვატური ბერძნული დედნების მოძიებაც. კვლავ გავიხსენებთ ზემოთ აღნიშნულს, S რედაქციის გამომცემელი ა. ჟაკობი ქართული რედაქციის პარალელური ტექსტი შესაძლო წყაროების გამოკვეთისათვის 14 ბერძნულ და ერთ ლათინურ ხელნაწერს ასახელებს (Jacob 1964:72-73). ჩვენი აზრით კი, ჟამისწირვის ქართულ ხელნაწერებში, გრაგნილები იქნება ეს თუ კოდექსები, არსებული რედაქციული თავისებურებების განმარტება, ექვარისტული ლიტურგიის ამ წიგნის შემადგენელ კვერექსებსა თუ ფსალმუნურ საგალობლებში ან მღვდელმოქმედებათა შესრულების წესში გამოვლენილი სხვაობების ანალიზი შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჟამისწირვა შესწავლილი იქნება არა როგორც განყენებული წიგნი, არამედ როგორც ღვთისმსახურების სადღეღამისო ციკლის - ჟამისა და მღვდლის, დიაკვნისა თუ ეპისკოპოსის ხელდასმის განგებების განუყოფელი ნაწილი. სწორედ ამგვარი კვლევა შექმნის მყარ საფუძველს ნათელი მოეფინოს არა მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეების ლიტურგიკული ტრადიციის, არამედ თავად ქართული ეკლესიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ამგვარი სიღრმე კი სცილდება ჩვენი ამოცანების ფარგლებს.

გრაგნილზე გადანიშნული ჟამისწირვებზე მუშაობის პროცესმა ნათელი გახადა, რომ არ არსებობს აბსოლუტური სიზუსტით ერთმანეთის შესატყვის ტექსტთა ერთობლიობა. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ რიგ შემთხვევებში ტექსტებს შორის, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო სხვაობების რედაქციულ თავისებურებებზე კვალიფიკაცია არ იქნებოდა სწორი. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ იოანე ოქროპირის ჟამისწირვა ექვარისტული მსახურების მარეგულირებელი წიგნია, რომელსაც საფუძველი კონკრეტულ ეპოქასა თუ სივრცეში მღვდელმოქმედების დოგმატურ ინტერპრეტაციაში უდევს, გასაგები გახდება, რომ ტექსტებს შორის თუნდაც მცირე ცვლილებაც კი რედაქციული თავისებურების მნიშვნელობას იძენს. იოანე ოქროპირის ჟამისწირვის სამივე ნაწილის (პროსკომიდია ანუ კვეთა, კათაკმეველთა და მართალთა წირვა) კომპოზიციაში, ლოცვებში, ლიტურგიკულ რემარკებში, ლექსიკასა თუ ენობრივ ნორმებში გამოვლენილი სხვაობების სიმრავლემ გადაგვანყვეტინა კვლევაში წარმოგვედგინა ზოგადი, გარკვეულწილად შემაჯამებელი დასკვნა, ხოლო მასალის საილუსტრაციოდ გამოკვლევისთვის დაგვერთო XIV-XVI სს-ის ზემოთ დასახელებულ სამ გრაგნილზე H-191, H-511 და H-2089 გადანიშნული ტექსტები. უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე არსებული გამოკვლევების საფუძველზე მეცნიერთა მიერ გამოყოფილ S, G და B რედაქციებს დაემატა H-511-სა და მისი ჯგუფის H-521, Q-1071 და ქუთაისის მუზეუმის K-605 გრაგნილებზე გადანიშნული რედაქცია, რომელსაც აღვნიშნავთ H და ლიტერთ.

H რედაქცია საინტერესოა არა მხოლოდ ტექსტში არსებული სხვაობების, არამედ ენობრივი ფორმების თვალსაზრისითაც. მის შემცველ გრაგნილთა აშიებზე დართული სულთა მოსახსენებლები კი გვაპარაუდებინებენ, რომ ეს ხელნაწერები დასავლეთ საქართველოშია შექმნილი, სავარაუდოდ, ლეჩხუმ-სვანეთის რეგიონში. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამ გრაგნილების არსებობის მასტიმულირებელი როლი შეეძლო შეესრულებინა XVI ს-ში შექმნილ ოქრომელნით გადანიშნულ და მინიატიურებით უხვად შემკულ გელათის ილიტარიონს. მაგრამ ტექსტების შედარებამ ჩვენი ეს ვარაუდი გააქარწყლა. გელათის ილიტარიონზე გადანიშნული იოანე ოქროპირის ჟამისწირვა (ჩვენი განსაზღვრევით K რედაქცია) როგორც ტექსტობრივად, ასევე ენობრივი ფორმებით სხვაობს H ვერსიისგან. H რედაქციის ყველაზე თვალში საცემ ენობრივი თავისებურებას კი წარმოადგენს ა-მეტი ფორმები და ა გრაფემის ნუსხური და მხედრული ან-

ბანით პარალელური გამოსახვის შემთხვევები, მსაზღვრელ-საზღვრულსა და ზმნა-სუბიექტს შორის ბრუნვაში მართვისა და რიცხვში შეთანხმების ნორმათა დარღვევები.

ზოგადი ხასიათის შენიშვნის სახით აღვნიშნავთ, რომ იოანე ოქროპირის ჟამისწირვათა გრაგნილებზე გადაწერილი კათაკმეველთა და მართალთა ლიტურგიების ნაწილში ყველაზე გავრცელებული G რედაქციის ტექსტია, რომელიც პროსკომიდიის სისრულით, მღვდელსა და დიაკვანს შორის მღვდელმოქმედებათა განაწილებისა და მონაცვლეობის თვალსაზრისით სხვაობს როგორც S, ასევე B, H და K რედაქციებისაგან.

ტექსტებს შორის სხვაობათა შესახებ ზემოთ ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ მაგალითს:

პროსკომიდია ანუ კვეთა. წესისამებრ პროსკომიდიის ნაწილი იწყება **შემთხვევის** ანუ კვეთის რიტუალის მოსამზადებელი ლოცვებით სამკვეთოში მღვდლის ან დიაკვნის შესვლის დროს. ყველაზე გამოკვეთილად ბერძნული რედაქციის საყოველთაოდ დადგენილი განგების ამ მოთხოვნას პასუხობს ქართული სინური რედაქცია. მასში მღვდელმოქმედება საკმაოდ ვრცელი ლიტურგიკული რუბრიკითაა აღნიშნული:

„ოდეს შეიმოსებოდის მღდელი, ესე ლოცვაჲ წარმოთქუას: უფალო ღმერთო ჩემო, გარდმო- მივლინე მე ძალი მალლით...“.

განსხვავებულ ვითარებას ვხვდებით G რედაქციაში, რომელშიც პროსკომიდიის მოსამზადებელ ქმედებას მღვდლის ნაცვლად იწყებს დიაკვანი, რასაც მიანიშნებს კიდევ შესაბამისი ლიტურგიკული რუბრიკა: *„შე-რაჲ-ვიდეს დიაკონი სადიაკონესა შინა და იტყოდის ლოცვასა“.* H რედაქცია პროსკომიდიის დასაწყისის ორივე მღვლემსახურის ერთობლივი ქმედებით აღნიშნავს: *„შე-რაჲ-ვიდეს დიაკონი სადიაკონესა შინა შეიმოსის სტიხარი და იტყოდეს მღდელი“.* რაც შეეხება K-ს, მასში საერთოდ არაა აღნიშნული რუბრიკა და ტექსტი იწყება უშუალოდ შემთხვევის ლოცვით: *„დაიკვლის ტარიგი ღვთისაჲ, ძე მამისა ამხუმელი ცოდვათა“.* ანალოგიური ვითარება გვაქვს A-922-ში. მაგრამ თავად შემთხვევის ლოცვის ტექსტი ყველა რედაქციაში იდენტურია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჟამისწირვათა ტექსტების ყველაზე მყარ ნაწილს სწორედ ლოცვები წარმოადგენს, მათში უმთავრესად ვლინდება მხოლოდ ლექსიკური ხასიათის სხვაობები. ჩვენ მიერ შერჩეულ გრაგნილთაგან ოთხი - ACDE ისევე, როგორც B რედაქცია, თავნაკლულია, ამდენად ვერაფერს ვიტყვით მათზე დაფიქსირებული ტექსტების დასაწყის ნაწილზე. რაც შეეხება HK გრაგნილებს, ისინი სრულია, მიუხედავად იმისა, რომ K-ს გრაგნილის პირველი კეფი მეტად დაზიანებულია, ტექსტის ამოკითხვა სავსებით შესაძლებელია. არც ერთი ეს გრაგნილი არ იცნობს ჟამისწირვის იმგვარ დასაწყისს, როგორც ახასიათებს S რედაქციას.

შემთხვევის ლოცვას მოჰყვება **კვეთის რიტუალი**. S რედაქციის კვეთის რიტუალი მარტივია, ნათლად არაა გამოკვეთილი რამდენ სეფეს ამოკვეთს მღვდელი, რომელიც კვეთის შემდგომ ბარძიმში წყლით განზავებული ღვინის ჩასხმისას წარმოთქვამს ლოცვას:

„ლახურითა განიგუმირა გვერდი შენი, ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომლისაგან გარდამოქდა სისხლი და წყალი, ვინაჲ-იგი მოგუეცა მორწმუნეთა უხრწნელებჲა“.

ეს გალობა იოანე 19,34-ის პერიფრაზია. მღვდელი სამ-სამი დაფარნით დაბურავს ფეშხუმსა და ბარძიმს. G რედაქციაში არ გვხვდება ბარძიმის მომზადებისას ღვინის წყლით განზავების რიტუალი, ფეშხუმის მომზადებისას კი იოვ.19,34-ის განსხვავებული პერიფრაზი იგალობება:

„ერთმან მჭედართაგანმან ლახურითა განალო გუერდი მისი და მეყსეულად გარდამოქდა სისხლი [და] წყალი. მხილველმან ნამა და ჭემმარიტ არს ნამება მისი.“

S რედაქცია ზოგადად მიანიშნებს ბარძიმ-ფეშხუმის დაფარვის რიტუალს, ხოლო HK რედაქციებში ხაზგასმით, თუმც კი სხვადასხვა სისრულითაა განმარტებული ამ მღვდელმოქმედების სამგზის განმეორების აუცილებლობა. სხვათა შორის, S რედაქციის ამ მონაკვეთის ანალოგს ა. ჟაკობი XI ს-ის არაბულ რედაქციაში პოულობს ისევე, როგორც კვეთის რიტუალის მოკლე ფორმულირების პარალელებისათვის მიუთითებს XI ს-ის Grottaferrta F.B. II ბერძნულ და ამავე პერიოდის იტალიურ-ბერძნულ ხელნაწერებს (Jacob 1964:79).

გრაგნილებზე არსებული ტექსტების შედარების საფუძველზე მსგავსი არაერთი მაგალითის მოტანაა შესაძლებელი. მაგრამ, ჩვენი აზრით, ცალკეულ კვერექსებს, ფსალმუნურ გალობებსა თუ რემარკებში არსებული არაერთი სხვაობა გაცილებით უკეთ გამოიკვეთება

ტექსტებთან უშუალო შეხების პროცესში, რისთვისაც გამოკვლევას დაერთვის ზემოთ დასახელებულ გრაგნილებზე- H-191, H-511, H-2089 - არსებული ტექსტების პუბლიკაცია.

დაბოლოს, პასუხგაუცემელი გვრჩება ერთი მთავარი კითხვა: მაინც რამ განაპირობა ადრეულ ტრადიციაში ლიტურგიკული კრებულების შემადგენლობაში შესული ჟამისწირვის ცალკე გრაგნილებზე გადაწერის ტენდენცია? მით უფრო, რომ იგი არა მარტო ქართულ, არამედ XIII ს-დან ბერძნულ ტრადიციაშიც მკვიდრდება (შდრ.: Дмитриевский 1901: 157, 262, 602, 817). ერთი და სრულიად ნათელი მიზეზი ამისა უკავშირდება ლიტურგიკული კრებულების დაშლის ტენდენციას. ამასთანავე უნდა ვიფიქროთ, რომ ჟამისწირვის ტექსტიც გარკვეულწილად უნიფიცირებას განიცდის, რაც გულისხმობს, რომ საეკლესიო პრაქტიკა აღარ ითხოვს კვერექსების, ფსალმუნური და ახალი აღთქმისეული გალობების ცვლას საეკლესიო კალენდრის შესაბამისად. X ს-ში კარგად ორგანიზებული ეს პრაქტიკა, რომელიც ასახულია O/Sin.Geo. 12-სა და O/Sin.Geo. 54-ში, კარგავს მნიშვნელობას გვიანი შუა საუკუნეების ლიტურგიკულ ტრადიციაში.

აპოკრიფები გრაგნილ ხელნაწერებზე

თუკი ჟამისწირვის ტექსტებთან დაკავშირებული გრაგნილების დანიშნულება გარკვეულია, დასაფიქრებელია, რა მიზანს ემსახურება და რომელი სოციუმის დაკვეთით იქმნება გრაგნილებზე გადაწერილი აპოკრიფული ტექსტები. აპოკრიფულ თხზულებათაგან გრაგნილებზე გვხვდება სამი: „ავგაროზის ეპისტოლე“ (CANT 88), „ღვთისმშობლის მიმოსვლა“, ცნობილია Apocalipsis Mariae-ს სახელწოდებით (CANT 327), (გადაწერილია მხოლოდ ერთი გრაგნილის ვერსოზე, გაუფერულებული ფრაგმენტი) და „იესო ქრისტეს საკვირაო ეპისტოლე“ – „კურიაკისათვის“ (CANT 311). როგორც კვლევამ აჩვენა, ამ შედგენილობის გრაგნილების არსებობას განაპირობებს ფართო სოციუმის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები, იქნება ეს ინდივიდის მიერ დაუძლეველი წინააღმდეგობებისგან - მის მიერვე დემონიზირებული სნეულებებისა თუ აუხსნელი ბუნებრივი მოვლენებისაგან თავდაცვის სურვილი თუ ეკლესიის მიერ ღვთისმსახურების პროცესთან გაუცხოებული სოციუმის კვლავ ეკლესიის წიაღში დაბრუნებისაკენ გადადგმული ნაბიჯები. შესაბამისად, გრაგნილები ხელნაწერი წიგნის, როგორც ცოდნის უმნიშვნელოვანესი წყაროს, სოციალიზაციის პროცესის ამსახველ დოკუმენტებად შეიძლება აღვიქვათ.

აპოკრიფები შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში. საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისით, აპოკრიფები განეკუთვნება ე.წ. შეუწყნარებელ ტექსტებს, რომელთა გავრცელებისაგან ეკლესია თავს იკავებს. ეს თვალსაზრისი გარკვეულწილად არცაა საფუძველს მოკლებული, მაგრამ საკითხი არც ასე ცალმხრივად და მარტივადაა გასააზრებელი. საქმე ისაა, რომ აპოკრიფულმა თხრობებმა, როგორც ადრეულ ქრისტიანულ თემებში ჩამოყალიბებულმა მწერლობამ, ასახა ის სარწმუნოებრივი გარემო, რელიგიური წარმოდგენები, რომელთა წიაღშიც შეიქმნა ესა თუ ის თხრობა. თავად ქრისტიანული მოძღვრების, მისი კანონიკის განვითარების შესაბამისად აპოკრიფებმა განიცადა რევიზია და ცალკეული თხრობა სხვადასხვა პერიოდში აკრძალულ წიგნთა ინდექსებშიც კი მოხვდა (ჭელიძე 1991: 214-229; ჩხიკვაძე 2005: 80-87). ამასთანავე ამ ჟანრის თხზულებებში გადმოცემული სიუჟეტის აქტუალურობის გამო (აპოკრიფები ხომ ეხებოდა ბიბლიურ პერსონაჟთა ღვანლის იმგვარ ეპიზოდებს, რომლებზედაც თავად ბიბლია არაფერს წერდა), აპოკრიფულმა მწერლობამ რიგ შემთხვევებში იკისრა ერთგვარი წყაროს ფუნქცია და საფუძველად დაედო ქრისტიანობისათვის მნიშვნელოვანი თემებისა და დღესასწაულებისადმი მიძღვნილ ჰომილეტიკურ, ჰიმნოგრაფიულ ლიტურატიურასა და, ასევე, იკონოგრაფიას. სხვა რომ არაფერი გაგვახსენდეს, საკმარისია ყურადღება შევაჩეროთ ღვთისმშობლის ცხოვრებისა და მიძინების დადგენილ დღესასწაულებთან დაკავშირებულ ტექსტებზე, ფრესკულ თუ მინიატიურულ გამოსახულებებზე.

ქართულმა ხელნაწერმა ტრადიციამ დასაწყისშივე უპასუხა ქრისტიანული მწერლობის ამ ტენდენციას და თარგმნა ადრეული - იერუსალიმური თუ კონსტანტინოპოლური ტრადიციების მიერ მიღებული აპოკრიფული თხრობები. მაგრამ ჩვენი სასულიერო მწერლობის როგორც პირველ პერიოდში (V-X სს.), ასევე კლასიკურ ხანაში (XI-XII სს.) ამ თხზულებებმა მხოლოდ დამხმარე ლიტურგიკული კრებულებში - მრავალთავებში დაიმკვიდრეს ადგილი, როგორც საეკლესიო კალენდრის გარკვეულ დღეს საკითხავმა ტექსტებმა. მაგალითად, 864 წლის მრავალთავში იაკობ მოციქულის აქტები (CANT 279) და სტეფანე პირველმონაშის აპოკრიფული მარტილობა (CANT 303) შობის ციკლის საკითხავთა შემდგომია ჩართული; ტბეთის მრავალთავში განცხადების ციკლს იწყებს აპოკრიფი „აღსარება თეოდოსისი, ჰურიათა მთავრისაჲ, რომელი აღწერა ფილიპე“. ტექსტს ფილიპეს აპოკრიფულ აქტებს მიაკუთვნებენ. ამ სახის ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს. მაგრამ ამ პერიოდში, როდესაც აპოკრიფები ლიტურგიკული დანიშნულების ე.წ. საგანმანათლებლო ტექსტების ფუნქციას ასრულებდა, არც ერთი ამ თხზულებათაგან არ გადაწერილა არც ცალკე ხელნაწერისა და არც მხოლოდ აპოკრიფულ თხზულებათა კრებულის შემადგენელი თხრობის სახით. ამ მოვლენამ მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეებიდან იჩინა თავი. გრაგნილებზე აპოკრიფთა დამოუკიდებელი გადაწერა მხოლოდ XIV ს-დან დაიწყო. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ფაქტისთვის ბიძგი უნდა მიეცა სასულიერო შინაარსის ტექსტების საეკლესიო სივრციდან ფართო სოციუმისკენ გადანაცვლების, სხვაგვარ-

რად რომ ვთქვათ, ნიგნიერი რელიგიური ცოდნის სოციალიზაციის პროცესს. გრაგნილებზე გადაწერილმა აპოკრიფებმა გვაჩვენა, რომ ამ დროიდან აპოკრიფის ტრადიციული დასათაურება ჩაანაცვლა კონკრეტულ ეპოქაში ტექსტის პრაქტიკული დანიშნულების შესაბამისმა სახელწოდებამ - ავგაროზი, საკვირაო .

„ავგაროზი“

ფონდები. კვლევის საწყის ეტაპზე გამოიკვეთა, რომ ავგაროზის სახელწოდებით ცნობილი გრაგნილები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ეროვნული არქივის ფონდებში შემდეგნაირად ნაწილდება⁶²:

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი:

ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდი A, № 1644 (XIX ს.);

ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდი H, №№: 62 (XIX ს.), 173 (XIX ს.), H-505 (XIX ს.), 506 (XIX ს.), 779 (1849 წ.), 911 (XIX ს.), 1788 (XIX ს.), 2076 (XVIII ს.), 2420 (XIX ს.);

ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი S: № 3364 (XVIII ს.);

ახალი Q ფონდი, №№: 265 (XIX ს.), 1072 (1854 წ.), 1073 (XIX-XX სს.), 1263 (XVIII ს.), 1317 (XIX ს.), 1355 (XVII-XVIII სს.), 1380 (1854 წ.), 1449 (XIX ს.), 1525 (XIX ს.), 1534 (XIX ს.), 1556 (XIX ს.);

საქართველოს ეროვნულ არქივი, №№: 433 (XIX ს.), 434 (XIX ს.).

თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც გრაგნილებზე გადაწერილი ავგაროზები უმთავრესად ფართო სოციუმის ინტერესთა სფეროს განეკუთვნებოდა, დაგვიდასტურა იმ ფაქტმა, რომ ამ შინაარსის გრაგნილები არ გამოვლინდა საქართველოს საზღვრებს გარეთ დაცულ სამონასტრო (სინის მთის, ივირონის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის) და ადრე ამ კოლექციების შემადგენელ, ხოლო XVIII-XIX სს-დან ევროპისა და აშშ-ს უდიდეს ნიგნსაცავებში დაცულ არც ერთ კოლექციაში (შდრ.: ჩხიკვაძე 2023). ამ მხრივ გამონაკლისია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია, რომელშიც საფონდო ნომრებით P-12(P-3), P11(P13g), P-14 დაცულია სამი გრაგნილი და ერთი კოდექსი – A-3 ს.(A-2). ამ ხელნაწერ ტექტთა ენა და შედგენილობა მიგვანიშნებს, რომ ისინი საერო პირთა პირადი საკუთრებას წარმოადგენდნენ (აღწერილობა (P) 2016:140-158).

კვლევის შედეგები. ავგაროზის სახელწოდებით გავრცელებული ტექსტები ქრისტიანულ მწერლობაში მეტად პოპულარული ედესის სწეულ მეფე ავგაროზსა და იესო ქრისტეს მიმონერის აპოკრიფიდან იღებს სათავეს. თხრობა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ავგაროზის ეპისტოლის“ სახელწოდებით.⁶³ თავად აპოკრიფი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა და მისი წმინდა წერილის მნიშვნელობას წამოწევს წინ. XI ს-ის 30-იან წლებში ბიზანტიურ მწერლობაში ჩამოყალიბებისთანავე აპოკრიფი ითარგმნა ქართულ ენაზე, საფუძველი ჩაუყარა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის კანონიზაციის თემას და შევიდა XI-XII სს-ის საგანგებოდ გადაწერილ და მოხატულ სახარებებში (ალავერდის სახარება - A-484, გელათის სახარება - Q-908). ამასთანავე „ავგაროზის ეპისტოლემ“ ლიტურგიკული ტექსტი მნიშვნელობაც შეიძინა, ვინაიდან იგი გააზრებული იყო, როგორც ზიარების რიტუალთან დაკავშირებული საკითხავი. ქართულ ტრადიციაში ყველაზე მეტად აპოკრიფის ეს ვერსია გავრცელდა და ადგილი დაიმკვიდრა კურთხევანებსა და ლოცვათა კრებულებში (ჩხიკვაძე 2007: 97-124). გვიანი შუა საუკუნეებიდან აპოკრიფის პირვანდელმა მნიშვნელობამ ტრანსფორმაცია განიცადა. მან შეიძინა ბოროტ ძალთა და სწეულებათაგან დამცავი წერილის მნიშვნელობა და საკუთარი სახელი ავგაროზი თილისმის, ამულეტის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად გადაიქცა.

გრაგნილებზე გადაწერილი ავგაროზები სხვადასხვა ტექსტობრივი შედგენილობის ხელნაწერებად ჩამოყალიბდა: მათი ნაწილზე „ავგაროზის ეპისტოლესთან“ ერთად გადაწერილია

⁶² რაც შეეხება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდებს, 50-60-იან წლებში გამოქვეყნებული მათი აღწერილობა ამგვარ ცნობებს არ გვანდის (აღწერილობა (K) 1953, 1964).

⁶³ აპოკრიფის ისტორია და ქართულ ტრადიციაში არსებული რედაქციები შესწავლილი და გამოცემულია. იხ.: ჩხიკვაძე 2007.

სახარების ცალკეული მუხლები⁶⁴, ვედრება ღვთისმშობლისა და წმ. გიორგისადმი, მოსე ნი-
ნასწარმეტყველის, წმ. კვიპრიანეს, წმ. იოანე ოქროპირისა და წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის
ავტორობით გავრცელებული ლოცვები. შედგენილობა ამ ავგაროზებისა არაა ერთგვაროვანი.
(H-173; H-779, H-2071, Q-265, Q- 1073, Q-1355; Q-1380, Q-2063).

ცალკე აღნიშვნის საგანია ქალაქზე გადანერილი 9-კეფიანი ავგაროზი Q-1355, რომელ-
შიც გაერთიანებულ „ავგაროზის ეპისტოლეს“, სახარების მუხლებს, ლოცვებსა და შელოცვებს
საფუძვლად უდევს არა ნიგნიერი ვერსია, არამედ სოციუმში გავრცელებული ნარატივი.

მეორე ნაწილი გრაგნილი ავგაროზებისა არ შეიცავს აპოკრიფის ტექსტს და სხვადასხვა
ლოცვისა თუ შელოცვის ნაკრებს წარმოადგენს A-1644 , H-505 , H-506, H-911, H-1788 (XIX),
H-2420 (XIX), Q-1317, სეა-433 (XIX)⁶⁵, სეა-434 (XIX)). ტექსტები არაერთგვაროვანია. ამ ტიპის
გრაგნილები თარიღდება XVIII–XIX სს-ით და პირადი საკუთრების ხელნაწერებს წარმოადგენს.
ისინი გადანერილია ქალაქზე, მხედრული ანბანით, ზოგი მათგანი შემკულია პრიმიტიული გა-
მოსახულებებით (A-1644, H-62, H-173, H-799, H-911, H-1788, H-2076, H-2420, S-3364, Q-265).
საფიქრებელია, რომ ამ ჯგუფის გრაგნილების შედგენილობას განაპირობებს კონკრეტულ
დროს ლოკალური სოციუმის წინაშე წამოჭრილი იმ სახის პრობლემები, რომელთა გადაჭრის
კონკრეტული გზები სცილდება ამავე სოციუმის შესაძლებლობებს. განსაკუთრებით ეს ეხება
სხვადასხვა სენისგან დაცვასთან დაკავშირებულ ლოცვებს. ამიტომაცაა, რომ ავგაროზებში
ხშირად ვხვდებით ე.წ. უჟმურის - უმეტეს შემთხვევაში კი ინფექციური დაავადებების გამომ-
წვევი, საფრთხის ქვეშ მყოფი მშობიარე ქალის იმავე აღდაცემულის დამაზიანებელი და სხვა
დაავადებათა გამომწვევი ავი სულების წინააღმდეგ მიმართულ ლოცვებს. მაგალითისათვის
მოვიტანთ XIX ს-ში გადანერილი ავგაროზის H-911-შედგენილობას:

1. სახარება იოანესი, (იოვ.1,1-17)
2. ლოცვა უჟმურისა
3. ლოცვა თვალდაცემულისა
4. ლოცვა აღდაცემულისა
5. ლოცვა სახადისა
6. ლოცვა ქაჯისა ანუ გველის ნაკბენისაგან
7. 95 წმინდა გიორგისადმი სავედრებელი
8. ლოცვა ბოროტის გულისთქმისა
9. ლოცვა სავედრებელი წინაშე უფლისა სნებისა და სიყმილისაგან დახსნისა, თქუმული
პატრიარხისა კალისტის მიერ.

უნდა ვიფიქროთ, ამ ტიპის ავგაროზები შედგენილი და გადანერილია იმ სოციუმში, რო-
მელსაც ხელი არ მიუწვდება, არ ფლობს ინფორმაციას ქართულ სინამდვილეში გავრცელე-
ბულ სამკურნალო-სამედიცინო შინაარსის წიგნებზე - უსწორო კარაბადინზე (XI ს.), ზაზა ფა-
ნასკერტელ-ციციშვილის კარაბადინსა (XV ს.) თუ იადიგარ დაუდზე (XVI ს.).

თუკი ამ შედგენილობის ავგაროზები პირადი საკუთრების ხელნაწერები უნდა ყოფილიყო,
სხვაგვარი პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა ეტრატზე და, რაც უფრო მნიშვნელოვა-
ნია, პალიმფსესტურ ფურცლებზე გადანერილ ავგაროზებს. ასეთი გრაგნილი მხოლოდ ორია
Q-1263 და H-1731. სავარაუდოდ, ისინი ზიარების რიტუალისათვის გამოყენებული ერთეულე-
ბი უნდა ყოფილიყო. სწორედ ეს გრაგნილი ავგაროზები იმეორებენ O/Sin.Geo. 78-ში, XIV-XV
სს-ის კურთხევანებსა და ლოცვათა კრებულებში (A-1110, H-1331, H-3027) გადანერილ „ავგა-
როზის ეპისტოლესა“ და ზემოთ დასახელებულ ეკლესიის მამათა ლოცვებს. მოკლედ შევეხე-
ბით ორივე ხელნაწერს:

Q-1263. 6 კეფი, ნუსხური, ეტრატი, პალიმფსესტი, verso-ზე ქვედა ფენა უკეთაა გამოკვე-
თილი. გრაგნილი თარიღდება XIV ს-ით. საფიქრებელია, რომ გრაგნილი გადანერილია რომე-
ლიმე საეკლესიო სკრიპტორიუმში, რადგანაც საწერ მასალად გამოყენებულია X ს-ის მთა-
ვრულით გადანერილი ხელნაწერის ორად გაჭრილი გაუფერულებული ფურცელი; ტექსტის
გაუფერულების გამო ქვედა ფენის ამოკითხვა ვერ მოხერხდა. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს
ფრაგმენტები იმგვარი ლიტურგიკული წიგნისა, რომელიც XIV ს-ში უკვე აღარ წარმოადგენს

⁶⁴ გარდა იოანეს თავის სახარებისა (იოვ.1, 1-17), სხვადასხვა ავგაროზში შესულია მათეს, ლუკასა და მარკოზის
სახარებათა სხვადასხვა მუხლი.

⁶⁵ სეა = საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდი.

საეკლესიო პრაქტიკის აქტუალურ წიგნს. სავარაუდოდ, ამგვარი ერთეულები ინახებოდა სწორედ ეკლესიის წიგნსაცავში. გრაგნილი რომ წიგნის გადანერის საქმეს დაუფლებული პირის მიერაა შექმნილი, ამას მიუთითებს ტექსტი ფურცელზე ორგანიზაციისა და საზედაო ასოების გაფორმების წესიც. „ავგაროზის ეპისტოლე“ სრულადაა გადანერილი.

H-1731. XVI-XVII სს. 11 კეფი, ნუსხური, ეტრატი, პალიმფსესტი, ზედა ფენა შავი მელანი, ქვედა ფენა ნაწერია მთავრულით, ყავისფერი მელნით; თარიღდება IX ს-ით, წარმოადგენს იერუსალიმური ლექციონარის ფრაგმენტს (პალიმფსესტები 2017: 136, 510). ზედა ფენა ნაწერია მსხვილი, გაკრული ნუსხურით, შავი მელნით, სათაურები წითლით, რომელიც გადარეცხილია და ტექსტი ამოკითხვა გართულებულია ისევე, როგორც I კეფისა. ავგაროზი თავნაკლულია. ისევე, როგორც Q-1263, ეს გრაგნილიც საეკლესიო სკრიპტორიუმში ან ეკლესიის მსახურის მიერ უნდა იყოს გადანერილი.

ვინაიდან „ავგაროზის ეპისტოლის“ ქართული რედაქციებისა და გვიანდელ ავგაროზთა სხვადასხვა ვერსიის ტექსტები გამოქვეყნებულია (ჩხიკვაძე 2007: 129-162), წინამდებარე გამოცემაში მათ აღარ ვაქვეყნებთ.

„იესო ქრისტეს საკვირაო ეპისტოლე“ („საკვირაო“)

აპოკრიფის კვლევის ისტორია. „იესო ქრისტეს საკვირაო ეპისტოლე“ ანუ „ეპისტოლე კვირა დღის სინმიდის შესახებ“ ერთ-ერთი ადრეული და ქრისტიანულ სამყაროში მეტად გავრცელებული აპოკრიფია, რომელშიც კვირა დღის სინმიდესა და მისი დარღვევის სასჯელზეა საუბარი. „ეპისტოლე“ ჯერ კიდევ VI ს-ში ცნობილი იყო ლათინურ სამყაროში კართაგენის (ამჟამინდელ კართახენას) ეპისკოპოს ლიცინიანეს 584 წ-ის წერილით ივისას (ამჟამად იბიცა) ეპისკოპოს ვენსანის მიმართ. კართაგენის ეპისკოპოსი „ეპისტოლეს“ არასარწმუნო წყაროდ აცხადებს. უნდობლობა ტექსტის მიმართ არც VIII ს-ში არ შემწყდარა, როდესაც პაპმა ზაქარია (741-752) „ეპისტოლე“ მწვალებლურ ტექსტად გამოაცხადა და 745 წლის ლატერანის II საეკლესიო კრებაზე დაგმო მისი გამავრცელებლები, ხოლო ფრანკთა მეფე კარლოს დიდის (768-814) მიერ ქრისტიან მღვდელმსახურთა და მოხელესთათვის დადგენილ საყოველთაო განკარგულებაში Admonitio generalis იესო ქრისტეს ეპისტოლე ცრუ და უვარგის ტექსტად იქნა აღიარებული. მიუხედავად ამდენი აკრძალვისა, „ეპისტოლემ“ მაინც პოვა გავრცელება როგორც დასავლურ რომაულ, ასევე აღმოსავლურ ქრისტიანულ სივრცეებში. ცნობილია მისი ლათინური, კელტური, ბერძნული, არაბული, სირიული, კოპტური, ქართული, სომხური, სლავური რედაქციები, რომელთაგან ყველაზე ადრეულია XI ს-ის ლათინურ ხელნაწერში Munish. 9550 გადანერილი ტექსტი. რაც შეეხება „ეპისტოლის“ ბერძნულ ხელნაწერებს, დღემდე მათ შორის ყველაზე ადრეული ორი ნუსხა XV-XVI სს-ით თარიღდება. ესენია Paris, gr. 925 და ვატიკანში დაცული Vatican, Barberinus gr. III 3. ბერძნულ ტრადიციაში ეპისტოლე გავრცელებულია დასათაურებით H ἐπιστολή του Κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ (CANT 311), ხოლო ლათინური სამყაროში სახელწოდებით - Epistola Christi (Salvatoris) de seruanda domenica, შემოკლებით Carta Dominica.

ტექსტმა, როგორც ერთ-ერთმა ადრექრისტიანულმა აპოკრიფმა, მე-19 ს-ში მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. ბერძნული ტექსტი გამოსცა ა.ვასილიევმა (Vassiliev 1893: 23-32). მეტად მნიშვნელოვანი და ვრცელი ნაშრომი, რომელიც განიხილავდა როგორც ქრისტიანულ დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში არსებულ ხელნაწერებსა და მათს გამოცემებს, 1899 წელს გამოაქვეყნა ბელგიელმა მეცნიერმა იპოლიტე დელეჰაიმ (Delehay 1899). აპოკრიფისადმი ყურადღება არც XX ს-ში არ შენელებულა. გარდა ბერძნული და ლათინური ვერსიებისა, კვლევის არეალში მოექცა აპოკრიფის სირიული, არაბული, კოპტური, სომხური ვერსიები. 1906 წელს ვენაში დაიბეჭდა მაქსიმილიან ბიტნერის მონოგრაფია, რომელშიც ავტორი დაეყრდნო 12 ბერძნულ, 13 სომხურ, 8 სირიულ, გარშუნით გადანერილ 5, 7 არაბულ და 3 ეთიოპურ ხელნაწერს. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა აპოკრიფის წარმოშობის სივრცეზე, აღნიშნა, რომ დასავლური და აღმოსავლური ტრადიციების ტექსტების სიმრავლე არ იძლევა იმის საშუალებას, რომ განისაზღვროს, სად ჩაეყარა საფუძველი „ეპისტოლეს“- დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში ან რომელი რედაქცია გავრცელდა თავდაპირველად. სირიული და არაბული ვერსიების გა-

ნხილვის შემდეგ მ. ბიტნერი საგანგებოდ შეეხო აპოკრიფის ბერძნულ რედაქციას. მკვლევარმა აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილ ხელნაწერებში გადანერილი ბერძნული ტექსტები უმთავრესად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს; რედაქციებს შორის არსებით სხვაობას ქმნის როგორც მოთხრობილი ამბის მოქმედების ადგილის, ასევე „ეპისტოლის“ მრევლის წინაშე წარმდგენი სასულიერო პირის შესახებ ინფორმაცია: ზოგი ბერძნული და სხვა აღმოსავლური ტექსტის მოქმედება რომში ვითარდება, ზოგისა კი - იერუსალიმში, გეთსიმანიაში; ზოგან „ეპისტოლეს“ მრევლს აცნობს რომის პატრიარქი ათანასე, ზოგან - იერუსალიმის ეკლესიის უზენაესი პირი იოანიკე. (Bittner 1906: 1-10).

XX ს-ში არაერთი კვლევა მიეძღვნა აღნიშნულ აპოკრიფს.⁶⁶ მაგრამ ამ წერილის ქართული რედაქციის არსებობას მხოლოდ მ. ვან ესბროკმა მიაქცია ყურადღება, თუმცა მკვლევარს იგი საგანგებოდ არ განუხილავს (van Esbroeck 1989:267-284). მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა მხოლოდ აპოკრიფის წარმოშობის ისტორიისა და ჟანრული თავისებურების საკითხებზე. მისი თვალსაზრისით, ესაა პოლიჟანრული ტექსტი, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ აპოკალიფსურ, აპოკრიფულ, წინასწარმეტყველურ, კვირა დღის მსახურების აუცილებლობასთან დაკავშირებული ქადაგების ჟანრის თხზულებებს. მ. ვან ესბროკის თვალსაზრისით, აპოკრიფის თავდაპირველი ვერსია ბერძნულენოვან სივრცეში ჩამოყალიბდა.

XXI ს-ის დასაწყისში ტექსტის ბერძნული და ლათინური ვერსიების ფრანგული თარგმანები გამოიცა სერიით *Écrits apocryphes chretiens* (Bascus 2005: 1113-1119). გამოცემაში შეჯამებულია აპოკრიფის წარმოშობასა და განვითარებასთან დაკავშირებული თვალსაზრისები. გამოქვეყნებულია ყველაზე გავრცელებული ლათინური და ბერძნული რედაქციების ფრანგული თარგმანები⁶⁷. ი. ბაკუსი აღნიშნავს, რომ აპოკრიფში დაღექილია როგორც ქრისტიანული, ასევე იუდაური რელიგიებისთვის მეტად მნიშვნელოვანი თემები. უძველეს აპოკრიფებში ამგვარი კავშირის არსებობა არცაა გასაკვირი. ადარებს რა ბერძნულ-ლათინურ ვერსიებს ერთმანეთს, ი. ბაკუსი მიუთითებს მათ შორის როგორც შეხების წერტილებს, ასევე საგრძნობ განსხვავებასაც. ბერძნული ტექსტი სამჯერ უფრო ვრცელია ლათინურზე. მათ შორის განსხვავების მნიშვნელოვან მხარეს კი წარმოადგენს ბერძნული რედაქციის მიერ ხაზგასმული ყურადღება კვირა დღის, როგორც წმინდა სამების დღესასწაულის, მიმართ. რაც შეეხება ლათინურ ვერსიას, მასში არსებულ კვირა დღეს აკრძალული ქმედებების ჩამონათვალს მკვლევარი განმარტავს, როგორც VI-VII სს-ის დასავლური ეკლესიისათვის დამახასიათებელი არაორთოდოქსული ანუ არამართლმორწმუნე ტენდენციის გამოხატულებას. (Bascus 2005: 1103-1104).

დაბოლოს, მიუხედავად არაერთი კვლევისა, „ეპისტოლის“ რედაქციებისა თუ ვერსიების მრავალფეროვნება მკვლევრებს არ აძლევთ საშუალებად გამოსცენ ამ აპოკრიფის კრიტიკული ვერსია. ამასთანავე პასუხგაუცემელია აპოკრიფის წარმოშობასთან დაკავშირებული მთავარი საკითხი - დასავლურ ნიადაგზე აღმოცენდა იგი თუ აღმოსავლურზე. ჩვენ, რა თქმა უნდა, დანვრილებით არ განვიხილავთ აპოკრიფისადმი მიძღვნილ სამეცნიერო პუბლიკაციებსა და თვალსაზრისებს. ტექსტის ისტორიის სადავო საკითხების განხილვა ამჯერად სცილდება ჩვენი კვლევის საგანს, ვინაიდან დღემდე არაა ნათელი მრავალრიცხოვან რედაქციათა მიმართებისა და რედაქციულ განსხვავებათა წარმოშობის საფუძვლები. ამჯერად ჩვენს ინტერესს წარმოადგენს გავარკვიოთ, საიდან და რა მიზნით შემოდის ეს აპოკრიფული ტექსტი ჩვენს სამწერლობო სივრცეში.

აპოკრიფი ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში. „ესო ქრისტეს საკვირაო ეპისტოლე“ ჩვენს ხელნაწერ ტრადიციაში არაა ფართოდ გავრცელებული ტექსტი. იგი ჩნდება XIV ს-დან⁶⁸ და დღეის მონაცემებით, გვხვდება მხოლოდ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ეტრატის სამ გრაგნილსა H-520, H-1727, H-1328 და ქალაქზე გადანერილ სამ ხელნაწერ წიგნში - H-1432 (XVII-XVIII), H-2478 (XIX) და A-1261 (XIX) გრაგნილებზე გავრცელებული „ავგაროზის ეპისტო-

⁶⁶ აპოკრიფთან დაკავშირებული სრული ბიბლიოგრაფიისათვის იხ. Van Esbroek 1989:267-284

⁶⁷ ამ გამოცემაში ბერძნული რედაქციის თარგმანი შესრულებულია Paris.gr.925 ხელნაწერის, ხოლო ლათინური Munich.lit.9950-ის მიხედვით.

⁶⁸ მართალია, გრაგნილი H-1727 აღმწერელთა მიერ XII ს-ით თარიღდება, მაგრამ, ტექსტის ენობრივი თავისებურებები გვაფიქრებენებს, რომ ეს საკითხი გადასინჯვას მოითხოვს. იმედია, გრაგნილის მკვლევარი ნ. მეგენიევილი, რომელმაც გამოაქვეყნა აღნიშნული გრაგნილის კვლევის შედეგები ტექსტის თანხლებით (მეგენიევილი-თავაძე 2024: 170-182), სამომავლოდ მოუბრუნდება გრაგნილის დათარიღების საკითხს.

ლისაგან“ განსხვავებით, რომელმაც XI ს-ში ადგილი დაიმკვიდრა ლიტურგიკულ კრებულებში (O/Sin.Geo. 78) და შემდგომ სწორედ ამ კრებულიდან პოვა გავრცელება, „ქრისტეს საკვირაო ეპისტოლის“ პირველწყაროს ფუნქცია იტვირთა არა მისმა შემცველმა რომელიმე კოდექსმა, არამედ გრაგნილმა ანუ ხელნაწერის იმ ფორმამ, რომელმაც XIII-XIV სს-სა და მოგვიანო ხანაშიც განსაკუთრებული როლი შეასრულა მონღოლთა მძიმე შემოსევების, ქართული სახელმწიფოს ერთიანობის რღვევისა და მძიმე ეკონომიკური გასაჭირის შედეგად ქრისტიანული ღვთისმსახურებისაგან გაუცხოებული მრევლის ეკლესიისაკენ შემობრუნების საქმეში (ნარკვევები 1979: 613-622, 629-235) . შემთხვევითი არაა არც ის ფაქტი, რომ სწორედ ამ პერიოდში ევქარისტიული ლიტურგიის უმნიშვნელოვანესი წიგნებიც - ‘იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიები - სწორედ გრაგნილ ხელნაწერებზე გადაიწერა. რაც შეეხება „იესო ქრისტეს საკვირაო ეპისტოლის“ ზემოთ დასახელებულ კოდექსებს, ორივე მათგანი პირადი საკუთრების წიგნია, ორივეგან აპოკრიფის ტექსტი ეყრდნობა ზეპირ ნარატივს და არა გრაგნილ ხელნაწერებზე გავრცელებულ ტექსტს.

მოკლედ წარმოვადგენთ კრებსით ინფორმაციას ზემოთ დასახელებული სამივე გრაგნილის შესახებ:

H-1328. 1336 წ., ეტრატი, 5 კეფი, მსხვილი ნუსხური, შავი მელანი, გადამწერი-გაბრიელ სავანი. ტექსტს უკავია ყველა 1-5 კეფის recto და 1-3 კეფის verso. IV-V კეფების verso-ზე ნუსხურით, მაგრამ სხვა ხელით ნუსხურით გადამწერილი ტექსტი ამჟამად გადარეცხილია, შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე გრაფემის ამოკითხვა. H-1328 თავნაკლულია, ამიტომაც არ ვიცით, რა სათაური ჰქონდა ტექსტს გადამწერის დროს. გადამწერი მას „საკვირაოს“ უწოდებს, რაც, ფაქტობრივად, გულისხმობს მითითებას მის პრაქტიკულ დანიშნულებაზე - „ეპისტოლეს“ საკვირაო მსახურების საკითხავის ფუნქცია ეკისრება:

„კრებულნო ღმრთისანო, მამანო, ესე საკვრაო მე, აბრაჰამ სავანმან, გარდამოვწერე. კარგი დედოფ ამისი წიგნი ვნახე და მეკეთა, ვინცა შენდობაჲ სთქუათ, თქუენცა შევინდოს ღმერთმან, ამინ. დაიწერა ქორონიკონსა ოცდაოთხსა მ...სა ღვთივ გვრგვინისანისა კონსტანტინესა⁶⁹.

ზენაჰარ შეინახეთ, რომ[ელ] გაცემული არა შეიქნას დიაკ[ონისა მიერ] [უ]მეცარსა კაცსა, რომე წიგნისა პატივი არ იცოდეს. მათიმცა ჴელი ნუ შეეხების.“(3v)

გადამწერის ეს ანდერძი მრავალმხრივ საინტერესოა. უპირველეს ყოვლისა, იგი გვანჯდის „ეპისტოლის“ გადამწერის ზუსტ თარიღს - 1336 წ. -ს, ამასთანავე აქარწყლებს ჩვენს ისტორიოგრაფიაში იმერთა მეფე კონსტანტინე I-ის გარდაცვალებისათვის დადგენილი 1327 წ-ის მართებულობას და 9 წლით ახანგრძლივებს მეფის ცხოვრების პერიოდს. შესაბამისად, ანდერძი აზუსტებს XIV ს-ის 30-იანი წლების საქართველოს ისტორიის საყურადღებო ფაქტებს. მართალია, გრაგნილის შესახებ მონაცემები და ანდერძი რამდენჯერმე გამოქვეყნდა (აღწერილობა (H) 1948 :269; ბერიძე 1967:11-12), მაგრამ მის წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას ყურადღება მიაპყრო მხოლოდ თ. ჯოჯუამ, რომელმაც დანვრილებით შეისწავლა იგი (ჯოჯუა 2013: 126-159).

H-1727. აღწერილობის თანახმად, გრაგნილი XII ს-ით თარიღდება (აღწერილობა (H)1950 : 158-159), ეტრატი, 6 კეფი, წვრილი ნუსხური, ყავისფერი მელანი, სათაური სინგურით, გადარეცხილია, ამჟამად არ იკითხება. პირველი კეფი დაზიანებულია, მომტვრეულია კეფის დასაწყისი, დაზიანებულია თავსამკაული, სინგურით ნაწერი სათაური და ტექსტი გაუფერულებულია, რთულად იკითხება. verso გაუფერულებულია, კეფებზე აღინიშნება სანთლის ნალვენების კვალი. გადამწერილია სხვა ხელით, ძირითადი ტექსტთან შედარებით გვიანდელი ნუსხურით. verso-ზე კვლავ გადამწერილია „ეპისტოლის“ ტექსტი, რომელიც იმდენად ფრაგმენტულია, რომ მისი შედარება recto-ზე გადამწერილ ძირითად ტექსტთან ვერ ხერხდება.

5r ძირითადი ტექსტის დასარულს იკითხება გადამწერის ანდერძი:

„დაიწერა წმიდაჲ ესე მოციქული ჴელითა სუიმონ ცოდვილისაჲთა, რომელიცა აღმოაკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ ღმრთისათჳს და თუ რაჲ უცბობით დაგუეკლოს, შეგვწდვეთ. ესე დაწერილი წიგნი, რომელ ჰრომით მოვიდა, რომელი მას შინა ეწერა, ყოველი დაუკლებლად დაგუინერია.“

ამ მინაწერის ქვემოთ, გვიანდელი გაკრული ნუსხურით, შავი მელნით შესრულებულია

⁶⁹ გრაგნილის მინაწერის შესწავლამდე კონსტანტინე I-ის გარდაცვალების თარიღად აღიარებული იყო 1327 წელი; ამ გრაგნილის მინაწერის თანახმად, იგი კვლავ მეფობს 1312+24=1336 წელს. დანვრილებით ამ საკითხზე იხ. თ. ჯოჯუას დასახელებული შრომა.

2-სტრიქონიანი მინანერი, რომელიც სრულად არ იკითხება, რადგანაც კეფის ხის საყრდენზე დამაგრების გამო ჩაკეცილია. შესაძლებელია მხოლოდ მინანერის პირველი სტრიქონის ამოკითხვა:

„ესე მ [...]ტნი ც̄ვ(?) დაგინერე, რომელი ხუცები უნესოდ [...]“

გრაგნილი შესწავლილია, ტექსტი გამოქვეყნებულია (მეგენეიშვილი-თავაძე 2024: 170-182). შესაბამისად ჩვენ არ შევჩერდებით ამ გრაგნილზე. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ, როგორც გამოქვეყნებული ტექსტიდან ირკვევა, H-1727-ის recto-სა და H-1328-ზე გადანერილია „ეპისტოლის“ ერთი და იგივე რედაქცია.

H-520. XV-XVI სს. ეტრატი, 6 კეფი, ნუსხური, შავი მელანი, 2 ხელი. განსხვავებით H-1328-ისა და H1727-სგან, გრაგნილი, გადანერილი მცირე ზომის (15X15,5 სმ.) კეფებზე, თავნაკლულია, სავარაუდოდ, დაკარგულია დასაწყისის 3 კეფი მაინც. ტექსტი ნაწერია პალიმფსესტურ ფურცლებზე, ქვედა წვრილი ნუსხურითა და ყავისფერი მელნით ნაწერი ფენა გადარეცხილია, რთულად იკითხება. მიუხედავად ამისა, შემორჩენილი ტექსტი ამოკითხულია ქართული პალიმფსესტების მკვლევართა მიერ და დადგენილია, რომ პალიმფსესტის ქვედა ფენა წარმოადგენს XI ს-ის ჰიმნოგრაფიული კრებულის ფრაგმენტს (პალიმფსესტები 2017: 56, 354-355). „ეპისტოლის“ ტექსტი ნაწერია თავშექცევით, 6r= 1v და ასე მიყოლებით; აპოკრიფს უკავია გრაგნილის ექვსივე კეფის recto, 1v-3v სრულად, 4v-ზე გადადის ტექსტის დასასრულის სამი სტრიქონი და გადამწერის მინანერი:

„უფალო ღმერთო, შეუნდვენა ცოდვანი მისნი სულსა დავითა გოგიდიანსა. ვინაცა ჩემი შენდობაჲ ყავთა, თქუნა შეგინდოსა ღმერთმან ყოველი ცოდვანი. ამინ.“

გადამწერის ანდერძის შემდგომ 4v-6v ნუსხურით, მაგრამ სხვა ხელით გადანერილია „ღვთისმშობლის მიმოსვლის“ აპოკრიფი (CANT 327). ტექსტი თავ-ბოლონაკლულია. თუ გავითვალისწინებთ, რომ 5v-6v გრაგნილის ძირითადი ტექსტის პირველ ორ კეფს წარმოადგენს (1r-2r), „იესო ქრისტეს საკვირაო ეპისტოლის“ გადასაწერად გამოიყენეს არა მხოლოდ XI ს-ის, არამედ ფურცლები XIII -XIV სს-ის იმგვარი ხელნაწერისა, რომელზეც გადანერილი იყო „ღვთისმშობლის მიმოსვლის“ ტექსტი. უნდა ითქვას, რომ ეს აპოკრიფი, რომლის მთავარი ყურადღება მიმართულია ცოდვით დაცემულთა საიქიო განსაცდელის თემისკენ, ქართულ ტრადიციაში სწორედ ამ პერიოდში შემოდის და მისი შემცველი ყველაზე ადრეული ხელნაწერი A-70 პირობითად XIII ს-ით თარიღდება (აღწერილობა (A) 1973: 243), თუმცა, ჩვენი ვარაუდით, კრებულის თარიღიცა და მისი შედგენილობაც შემდგომ კვლევასა და დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენ ამჟამად დავეყრდნობით დღემდე დადგენილ თარიღს .

„საკვირაო ეპისტოლის“ წყაროსა და ქართულ გრაგნილთა მიმართებისათვის. ვიდრე უშუალოდ შევეხებით „საკვირაო ეპისტოლის“ გრაგნილებზე დაცული ქართული ტექსტების ურთიერთმიმართების საკითხს, რა თქმა უნდა, ყურადღებას შევაჩერებთ ქართული ვერსიის სავარაუდო წყაროს მოძიების პრობლემაზე. ამ მიმართულებით ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო მიზნად ისახავს, მხოლოდ შემოვსაზღვროთ აპოკრიფის მრავალრიცხოვანი სხვაენოვანი რედაქციიდან რომელთან ავლენს სიახლოვეს ქართული ტექსტი. ჩვენ, რაღა თქმა უნდა, ყურადღება ბერძნულ რედაქციაზე შევაჩერეთ, ვინაიდან XIV ს., რომელიც ტექსტის ქართული სამწერლობო სივრცეში შემოტანის რეალურ ქვედა ზღვრად უნდა ვაღიაროთ, არ გვაძლევს საშუალებას, ვისაუბროთ აპოკრიფის არაბული ან სირიული რედაქციების ქართულ რედაქციაზე გავლენის საკითხებზე, როგორც ეს ხშირად ხდება აპოკრიფულ თხზულებათა ადრეული თარგმანების შემთხვევაში. აპოკრიფის ლათინურ რედაქციასთან ქართული ტექსტის კავშირზე საუბარიც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. მართალია, XIII-XIV სს-ში საქართველო დასავლური, კათოლიკური სამყაროს პოლიტიკური ინტერესების არეალში იმდენად მოექცა, რომ 1328 წელს პაპმა იოანე XXII-მ (1316-1334) ბულით გააუქმა სმირნის საეპოსკოპოსო და იგი თბილისში გადმოიტანა, რასაც შემდგომ მოჰყვა საქართველოში მისიონერული მოღვაწეობის ტალღის გაძლიერება (თამარაშვილი 1995: 496-528, ჯოჯუა 2013: 133-153), მაგრამ ეს ურთიერთობები მაინც ვერ გასცდა მხოლოდ პოლიტიკური კავშირების დამყარების ჩარჩოს და კათოლიკური აღმსარებლობის მცირერიცხოვანი თემის ჩამოყალიბების მიუხედავად, არსებითად ვერ იმოქმედა ქართული ეკლესიის სარწმუნოებრივი ცხოვრების განვითარებაზე. თუნდაც დასუსტებული და დაშლის პირას მდგომი ბიზანტია ტრადიციისამებრ წარმოადგენდა მართლმადიდებლური სამყაროს გეზის მიმცემ სივრცეს.

ამიტომაც ჩვენთვის საინტერესო აპოკრიფის წყაროს ძიებისას სწორედ ბერძნულ რედაქცი-
აზე ყურადღების გამახვილება გვმართებს.

ბერძნულ რედაქციასთან სიმრავლიდან ქართულ ტექსტთან ყველაზე ახლომდგომია XV-
XVI სს-ით დათარიღებულ ორ ხელნაწერში - Barberinus. gr. III 3 და Paris. gr. 925 გადანერილი
„ეპისტოლე“ (შდრ.: Bittner 1906: 11-21). არსებითი მსგავსებას ამ ბერძნულსა და ქართულ
ტექსტებს შორის ქმნის ის გარემოება, რომ ორივე მათგანში „იესო ქრისტეს საკვირაო ეპისტო-
ლის“ გამოცხადების ადგილი რომია და ამასთანავე მრევლისთვის, ანუ რომაელებისთვის მისი
გაცნობის პასუხისმგებლობა ათანასე პატრიარქს ეკისრება. სხვა მხრივ ტექსტების არქი-
ტექტონიკასა და ცალკეული ეპიზოდებში არაერთი განსხვავება ვლინდება. სანიმუშოდ მო-
ვიტანთ აპოკრიფის დასაწყისის მაგალითს: ბერძნულისგან განსხვავებით, ქართული ტექსტის
არ მიუთითებს, რომ „საკვირაო ეპისტოლე“ მოეწვინა რომაელებს წმინდა პეტრე მოციქულის
ტაძარში, არც მოციქულის მიერ ათანასე პატრიარქისათვის წერილზე ყურადღების გამახვი-
ლების მოწოდებას და არც წერილთან მიახლოებამდე პატრიარქის მიერ სამდღიანი ლოცვის
შესახებ ამბობს არაფერს. სხაობების აღნუსხვა შორს წაგვიყვანს, თუმცა, ვფიქრობთ, თავად
ბერძნული რედაქციების სიმრავლესაც კონკრეტული კულტურულ-ისტორიული საფუძვლები
აქვს. მაგალითად, ჩვენთვის საინტერესო ბერძნულ რედაქციაში იერუსალიმის ნაცვლად რო-
მის, როგორც წმინდა ქალაქის, მნიშვნელობის გაძლიერებას⁷⁰, ვფიქრობთ, საფუძველი სწო-
რედ XIII-XIV სს-ის ბიზანტიის ეკლესიაში არსებული ვითარებაც განაპირობებდა. როგორც
ცნობილია, 1204 წელს ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღებისა და ლათინური იმპე-
რიის ჩამოყალიბების შემდგომ განვითარებული რთული შიდა დაპირისპირებების პირობებში
კონსტანტინოპოლის ეკლესია ლათინთა ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცა (История 1967 : 15-28,
231-239). ეს რთული და ბიზანტიისათვის მეტად მტკივნეული პროცესი, ბუნებრივია, ქრისტი-
ანული მწერლობის ცალკეულ ძეგლებშიც დაილექა. როგორადაც არ უნდა ავხსნათ ბერძნულ
რედაქციას სხვაობების განმაპირობებელი მიზეზები, ერთი რამ ნათელია: დღეისათვის ცნო-
ბილი არც ერთი ბერძნული ტექსტი არ წარმოადგენს ქართული რედაქციის უშუალო დედანს.

იმისათვის, რათა ნათელი იყოს ქართულ ტექსტების ურთიერთმიმართების საკითხები, მო-
კლედ შევეხებით აპოკრიფის ბერძნულთან ახლომდგომი ქართული (H-1328, H-1727) რედაქ-
ციის არქიტექტონიკას, ანუ ეპიზოდთა თანამიმდევრობას, რომელიც შეიძლება პირობითად
ასე წარმოვადგინოთ:

1. საღვთო ეპისტოლის გამოჩენა რომში;
2. ერთ-ერთი რომაელის მიერ ათანასე პატრიარქისთვის ეპისტოლის გამოჩენის შეტყო-
ბინება;
3. ათანასე პატრიარქის მიერ ჟამისწირვის აღსრულება, სამღვდლო პირთა და რომის
მრევლის მიწვევა ტაძარში;
4. ეპისტოლეს შეგონება კვირა დღის სინმინდის დაცვის შესახებ;
5. მორწმუნეთაგან მაცხოვრის ნების, კვირის, შაბათისა და პარასკევის სინმინდეთა დარ-
ღვევისათვის მოსალოდნელი სასჯელი;
6. ეკლესიის, მღვდლისა და დიაკვნის პატივისცემისა და ასევე მათი მოვალეობის შესახებ;
7. ადამიანთაგან ჩადენილი ცოდვების შესახებ.

„საკვირაო ეპისტოლის“ სამი გრაგნილის - H-1328, H-1727⁷¹ და H-520 ტექსტთა შედარების
შედეგად გაირკვა, H-1328-სა და H-1727-ის ტექსტები ერთი და იმავე რედაქციის ქართულ თა-
რგმანებს წარმოადგენს მცირედი ვარიანტული სხვაობებით. რაც შეეხება H-520-ის ტექსტს,
იგი მოცულობითა და არქიტექტონიკით სხვაობს H-1328-ისაგან, გაცილებით მოკლეა და ყუ-
რადღებას არ უთმობს ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ 1-3 ეპიზოდებს. რომც ვივარაუდოთ, რომ
აღნიშნული ეპიზოდები გრაგნილის ამჟამად დაკარგულ კეფებზე იყო გადანერილი, მაინც შე-
მორჩენილი ტექსტი არ მიჰყვება სიზუსტით H-1328-ის შესაბამის ეპიზოდებს. გარდა ამისა,
მისი ენა ვულგარული და პრიმიტიულია, ტექსტში დაშვებულია არაერთი შეცდომა. თამამად
შეგვიძლია ვთქვათ, რომ H-520-ზე გადანერილია „ეპისტოლის“ მოკლე რედაქცია, რომელიც

⁷⁰ ამავე მიზანს ემსახურება ქართული რედაქციის ტექსტის ბოლო დამასრულებელი ფრაზა, რომელიც ვარიან-
ტული სხვაობებით დასტურდება როგორც H-1328-ში, ასევე H-1727-ში: „ესე წიგნი რომით მოვიდა. დაუკლებლად
დავკნერი.“ (H-1328, 3v)

⁷¹ შედარებისათვის დავეყრდენით ამ გრაგნილის გამოცემულ ტექსტს (მეგენიშვილი-თავაძე 2024: 175-181).

უმთავრესად ყურადღებას უთმობს მორწმუნეთა მიერ ჩადენილი ცოდვებისა და მოსალოდნელი სასჯელის თემებს.

„საკვირაო ეპისტოლის“ გრაგნილთა დანიშნულება და ქართულ ტრადიციაში მათი წარმოშობის მიზეზები. ზოგადად ეს აპოკრიფი ლიტურგიკული დანიშნულების ტექსტია. ბერძნულ სინამდვილეში იგი იკითხებოდა მარხვის მეორე კვირას (van Esbriecq 1989: 275). მართალია, ამ სახის ცნობა ჩვენს გრაგნილებზე არ გვაქვს დადასტურებული, მაგრამ H-1328-ში ტექსტიდან წითლით გამოყოფილი ლიტურგიკული ფორმულები „გურნამს, გურნამს“ ანდა „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი“ სწორედ ამას მიგვანიშნებს. საყურადღებოა ისიც, რომ ამავე გრაგნილის გადამწერი აბრაჰამ სავანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს აპოკრიფი კვირის მსახურებისათვისაა განკუთვნილი:

„ესე საკვრაო მე, აბრაჰამ სავანმან, გარდამოვწერე“.

გადამწერის ამგვარი შენიშვნა გვაფიქრებინებს, რომ აპოკრიფის ტექსტი XIV ს-მდე ნაკლებ პოპულარული ანდა სულაც უცნობი იყო ქართველი მნიგნობრებისთვის, სხვაგვარად ანდერძში ამ სახის განმარტების არსებობა საფუძველს მოკლებული იქნებოდა. H-1727-ის გადამწერი კი ტექტის დასაწყისშივე ეპისტოლეს ხაზგასმით უწოდებს **მოციქულს**, ანუ სჯულის მასწავლებელს და არ მიუთითებს მის საკვირაო დანიშნულებაზე:

„დაინწერა წმიდა ესე მოციქული ჴელითა სუიმონ ცოდვილისაჲთა“ (6r). „საკვირაო ეპისტოლის“, როგორც მოციქულის ანუ სჯულის მასწავლებლის შესახებ, თავად აპოკრიფიც საუბრობს:

„და რაჟამს იკითხვიდეს წმიდასა ამას მოვლინებულსა ღმრთისასა მოციქულსა, მაშინ თქუჴს ერთობით: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს. უფალი“ (H-1328, 1r./H-1727, 1r).

საინტერესოა ყურადღება მივაპყროთ აღნიშნულ გრაგნილთა გავრცელების სივრცეს. H-1327-ც და H-520-ც დასავლეთი საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, სვანეთში გავრცელებული გრაგნილებია. ამ სახის ცნობას პირდაპირ გვანვდის H-520-ის გადამწერის ანდერძი, რომლის თანახმადაც ხელნაწერის გადამწერია დავითაჲ გოგიდიანი. მართალია, სვანურ გვარ-სახელთა საძიებელში, რომელიც ერთვის სვანური წერილობითი ძეგლების II ტომს, ასეთი გვარ-სახელის პირი არ დაიძებნა, მაგრამ საინტერესოა, რომ გვარი გოგიდიანი დასტურდება სოფელ მურყმერის წმ. ბარბარეს ეკლესიის კანკელის მენინავე ჯვრის წარწერაში არა ერთი პირის, არამედ საგვარეულოს აღმნიშვნელი სახელის ფორმით: „დედაო ღვთისაო, დაივედრე გოგითაანი, (თაყაიშვილი 1910 : 168). ვინაიდან, XV-XVI სს-ში, როდესაც შეიქმნა ჩვენ მიერ დასახელებული ორივე წერილობითი ძეგლი, ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული შიდა მიგრაციული პროცესები და ამიტომაც სვანური წარმომავლობის გვარ-სახელთა მატარებლებიც სვანეთ-ლენხუმის რეგიონში სახლობდნენ. ამიტომაც გრაგნილის სვანურ სივრცეში გადამწერა უტყუარ ფაქტად უნდა ვაღიაროთ.

რაც შეეხება 1336 წელს აბრაჰან სავანის მიერ გადამწერილ გრაგნილს H-1328, მისი აღმწერელი ქრისტინე შარაშიძე აღნიშნავს, რომ გრაგნილი სვანეთიდანაა ჩამოტანილი და 1916 წელს ფონდისთვის შეწირულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ (აღწერილობა (H) 1948 : 268). არის თუ არა სავანი გადამწერ აბრაჰამის წარმომავლობის სახელი, ამის შესახებ ამჟამად ვერაფერს ვიტყვით. მაგრამ, ფაქტია, რომ H-1328 1336 წელს, იმერთა მეფე კონსტანტინე I-ის მმართველობის ხანაშია გადამწერილი და, საფიქრებელია, მაშინვე ატანილი სვანეთში. ამგვარი ვარაუდის დაშვების საშუალებას გვაძლევს სვანეთის, როგორც იმერთა მეფის იურისდიქციაში მყოფი სივრცის, დამადასტურებელი დოკუმენტიც - კონსტანტინე I-ის მიერ გოშქოთელიანისადმი გაცემული ბოძების საბუთი:

„ქ. ჩუენ, მეფეთა მეფესა კოსტანტინეს გუიბოძებია თქუენთუის, გოშქოთელიანისა, თქუენივე ნაქონები ხორხომელის-ძე; აგრეთვე ნასისხლად გქონდეთ, ვითა პირველად გქონდა-ყე.

დამტკიცება-ხელრთულობა:

ქ. დამინიშნავს.“ (სილოგავა 1986 : 102).⁷²

საინტერესოა, რამ განაპირობა, რომ კვირა დღის სინმინდესა და მისი მსახურების აუცილებლობაზე დაწერილი ამ აპოკრიფის გავრცელების აქტუალური სივრცე სვანეთი იყო. ვფიქრობთ, სვანეთში ამ გრაგნილთა გავრცელება განაპირობა XIII-XV სს-ში საქართველოსა

⁷² სვანური დოკუმენტების დიპლომატიკური ტერმინოლოგიისათვის იხ. დავითაშვილი 2007: 50-93.

და განსაკუთრებით კი მის მთიანეთში შექმნილმა რთულმა სოციალ-ეკონომიკურმა ვითარებად, მთის რეგიონების მოწყვეტამ ერთიანი საერო თუ საეკლესიო მმართველობის სივრცეიდან, რამაც ბიძგი მისცა გიორგი V ბრწყინვალეს აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთის სამართლებრივი რეგულაციის მიზნით შეექმნა ისეთი საკანონმდებლო კრებული, როგორც იყო „ძეგლისდება“ (ნარკვევები 1979: 585-594). მართალია, სამართლის ეს წიგნი, ერთი შეხედვით, არ შეჰხებია საეკლესიო სამართლის დარღვევისათვის დადგენილ სასჯელს, მაგრამ სამართალდარღვევათა ჩამონათვალში ყურადღება მიაპყრო რჯულის, ეკლესიისა და მისი მსახურების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებსა და ხაზი გაუსვა ამ შემთხვევათა სამართლის განჩინებაში კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა მონაწილეობის მნიშვნელობას:

“სასჯულო საქმე და საეკლესიო, რისაც გინდა სასაქმოსა, - კაცის მკულელთა, ეკლესიის მკრეხველთა, ცოლის დამგდებელთა უბრალოსათა, ანუ წამგურელთა - სხუა, რაც სასჯულო საკითხავი იყოს, იგი კათალიკოზმან და მათ, განაჩენთა მათ ზედა ეპისკოპოსისთა, მათ ჰკითხონ“. (სამართლის ძეგლები 1961: 402).

რჯულისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ ყურადღებას ამახვილებს XIV ს-ის სვანური სათემო სამართლის არაერთი დოკუმენტიც: „დანერილი ქვეყნისა სამაგრობელი სრულიად სვანეთის ჴევისა“, „დანერილი საგმობი ერთობილი სვანეთის ჴევისა“, „დანერილი ერთობილი ჴევისა ლარველსა და უშგულს შუა“ (სილოგავა 1986:107-111).

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ კვირა დღის სინმინდის დარღვევა და საკვირაო მსახურებისაგან მრევლის გაუცხოება მხოლოდ საქართველოს მთიანეთის პრობლემა წარმოადგენდა. ის ზოგადად გვიანი შუა საუკუნეების როგორც საქართველოს, ასევე ბიზანტიის სოციალური ცხოვრების შედეგად შექმნილი ზოგადი სურათის ანარეკლი იყო - ბერძნულ ტრადიციაში ტექსტი სწორედ გვიან შუა საუკუნეებში გავრცელდა. გრაგნილზე გადანერილი „იესო ქრისტეს საკვირაო ეპისტოლე“ არ წარმოადგენდა საკვირაო მსახურების მნიშვნელობისა და მისი დარღვევისათვის ღვთისაგან დადგენილი სასჯელის თემაზე დანერილ ერთადერთ თხზულებას. ამავე საკითხს შეეხებოდა „ღვთისმშობლის მიმოსვლის“ აპოკრიფული თხრობა, რომელიც ჩვენს მწერლობაში სწორედ XIII-XIV სს-ში ითარგმნა და როგორც ზნეობრივი შეგონება, კვირა დღის სინმინდისა და მისი მსახურების თემისადმი მიძღვნილ თხზულებებთან ერთად შევიდა გრაგნილებსა თუ კოდექსებში. ერთი ამგვარი მაგალითია ჩვენ მიერ ზემოთ განხილული H-520 და საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდის XVI ს-ის 1-ფურცლიანი ფრაგმენტი № 173.

მეორე თხზულება, რომელიც ასევე კვირა დღის მნიშვნელობას ეხება, წარმოადგენს ფსევდო ავტორის, ევსევი ალექსანდრიელის, ჰომილიას „ყოველთა კვრიაკეთათჳს და უნესოდ მომღერალთათჳს“. თხზულებამ ორი რედაქციით მოაღწია, პირველი შესულია XI ს-ის კლარჯულ მრავალთავში (A-144, 78r-82r), ხოლო მისგან განსხვავებული მეორე რედაქციის ტექსტი, რომელთან ერთადაც იმავე კრებულში გვხვდება „ღვთისმშობლის მიმოსვლის“ აპოკრიფიც, გადანერილია შერეულ კრებულში A-70 (126r-129r). ევსევი ალექსანდრიელის ავტორობით ცნობილია ამ ტექსტმა მკვლევართა ყურადღება მიიპყრო, გამოქვეყნდა როგორც მათი კვლევის შედეგები, ასევე ჰომილიის ქართული რედაქციებიც (ჭყონია 1960:181-223, van Esbroeck 1975: 164, 252; მაგლობლიშვილი 1991 58-66, 281-285;). გაირკვა, რომ ქართულ ტრადიციაში ცნობილი ჰომილიის ორი რედაქციიდან არც ერთი არ მიჰყვება Patrologia greca 86-ში გამოქვეყნებულ ბერძნულ რედაქციას. ჰომილიის წარმომავლობისა და მისი რედაქციული თავისებურებების შესახებ მსჯელობა ამჟამად სცდება ჩვენი კვლევის სფეროს. ჩვენს ყურადღება მიიპყრო ამ თხზულებასთან დაკავშირებულმა შემდეგმა ფაქტებმა: პირველი ეხება XI ს. და პირობითად XIII ს-ში ჩვენს ხელნაწერ კრებულებში შესული ტექსტების არსებითი სხვაობის საკითხს, კერძოდ, თუკი XI ს-ში აღნიშნული ტექსტი უმთავრესად ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ შემორჩენილი წარმართული რიტუალების წინააღმდეგ მიმართული ჰომილია იყო, გვიან შუა საუკუნეებში მან კვირა დღის სინმინდის დარღვევის, მოსალოდნელი სასჯელისა და მოყვასის სიყვარულის შესახებ სწავლების შინაარსი მიიღო. მეორე და, ჩვენი აზრით, ეპოქის მოთხოვნების შესაბამისი ცვლილება გამოვლინდა ჰომილიის ავტორის ვინაობის განსაზღვრაში. A-70-ის ჰომილიის სათაურში ვკითხულობთ: „*თქუმული ევსევი ჰრომთა პაპისაჲ ყოველთა კვრიაკისათჳს*“. როგორც ვხედავთ ტექსტში ევსევი ალექსანდრიელი ევსევი რომის პაპმა ჩაანაცვლა.

ჩვენი აზრით, ამგვარი ცვლილება განაპირობა არა ფსევდო ავტორის თხზულების რეალურ ისტორიული პირთან - 310 წელს რომის პაპ ეუსებოსთან დაკავშირების სურვილმა, არამედ გვიანი შუა საუკუნეების ბერძნულ საეკლესიო მწერლობასა და ჯერ კიდევ მასთან ტრადიციული კავშირის მქონე ქვეყნებში გავრცელებულმა სწავლებამ, რომლის თანახმადაც კვირადღის სინმინდის შელახვისათვის თავად იესო ქრისტეს მიერ დადგენილი სასჯელის მაცნე - მისი ეპისტოლე უპირველესად ქალაქ რომში გაჟღერდა.

დაბოლოს, გრაგნილი ხელნაწერების კვლევის შედეგებმა ნათელი გახადა, რომ გვიანი შუა საუკუნეების სალიტერატურო პროცესებს, სასულიერო შინაარსის ხელნაწერი კრებულებისა თუ გრაგნილების შედგენილობასა და პრაქტიკულ დანიშნულებას განსაზღვრავს არა კლასიკურ ხანაში (X-XII სს.) ქრისტიანული მწერლობის ძეგლების რედაქტირებისა და ინტერპრეტაციისათვის სასულიერო წრის მიერ შემუშავებული ნორმები, არამედ გვიანი შუა საუკუნეების სოციალურ ცხოვრებაში შექმნილი სირთულეები, რომლებიც ფაქტობრივად განაპირობებენ სარწმუნოებრივი მორალისაგან ფართო სოციუმის დისტანცირების პროცესს. შესაბამისად, გვიანი შუა საუკუნეების სასულიერო შინაარსის ხელნაწერების შემდგენელ-გადამწერთა მიზანიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის ამ მეტად სახიფათო პროცესის შეჩერებისკენაა მიმართული.

შორენა თავაძე

ხელნაწერი გრაგნილების არქეოგრაფია და კონსერვაცია

პრევენციული კონსერვაციის თანამედროვე მიდგომის მიზნები და ამოცანები. შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ქართულ ხელნაწერ წიგნებს უკავია. ხელით გადაწერილი წიგნი ადრეულ საუკუნეებში იქცა კულტურულ და ეროვნულ ფენომენად, რომელიც საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სამწიგნობრო კერებში, საუკუნეთა განმავლობაში ინტენსიურად იქმნებოდა (მენაბდე 1980; მესხია 1982:130-150).

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა დღევანდელი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რადგან საუკუნეების განმავლობაში შექმნილი წერილობითი სიძველეები ეროვნული მემკვიდრეობისა და კულტურული იდენტობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი პირობაა. გარდა ამისა, თანამედროვე კონსერვაცია-რესტავრაცია ინტერდისციპლინური დარგია, რომელიც აქტიურად მონაწილეობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტანდარტების შემუშავების პროცესში.

სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა წესით დამზადებული საწერი საშუალებები, მათი პირველადი დაცულობის პირობების მიხედვით, სხვადასხვა სახის დაზიანებებს განიცდიან. ამიტომ წერილობითი კულტურული მემკვიდრეობის პრევენციული კონსერვაცია და კონსერვაცია, რომელიც მიმართულია ჩვენამდე მოღწეული სიძველეების ავთენტური სახის შენარჩუნებისკენ, უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერულ დაკვირვებასა და ანალიზს.

ქართულ ხელნაწერთა უმთავრეს საცავს - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრს წერილობით სიძველეთა დაცვა-აღრიცხვისა და კვლევის დიდი გამოცდილება აქვს. მის მნიშვნელოვან მიმართულებასა და მოვალეობას წარმოადგენს სწორედ ამ კულტურული მემკვიდრეობის პრევენციული კონსერვაცია, კონსერვაცია, კონსერვაცია-რესტავრაცია, რაც დამოკიდებულია საწერი მასალებისა და საშუალებების, დროთა განმავლობაში მათი ფაქტურული ცვლილებების გამომწვევი მიზეზების კვლევაზე. საკონსერვაცია-სარესტავრაციო საქმიანობა რესტავრატორისაგან უპირველესად მოითხოვს საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტული ამოცანების გადაჭრას. კონსერვაცია-რესტავრაციის თანამედროვე სტანდარტი კი ასე აყალიბებს რესტავრატორის ვალდებულებებს: წინა საკონსერვაცია-სარესტავრაციო კვლევა, რომლის შედეგადაც განისაზღვრება კონკრეტულ ერთეულზე ჩარევის ხარისხი; სარესტავრაციო ერთეულის ტექნიკური აღწერილობის მომზადება; ერთეულის ავთენტური სახის ცვლილებების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა; კონსერვაცია-რესტავრაციის კონცეფციის ჩამოყალიბება; დაზიანებული ერთეულის მკურნალობის შედეგების გაგრძელება-გამოქვეყნება (Giovannini 1990:43-47; 2005:160-165).

თუკი ტრადიციულად წერილობითი არტეფაქტების შესწავლა ძირითადად ორიენტირებული იყო კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიურ შინაარსზე, ხოლო საკონსერვაცია-სარესტავრაციო საქმიანობა ფაქტობრივად გამიჯნული იყო სიძველეთა ერთიანი კვლევის პროცესისაგან, დღეს ეს ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვა-აღრიცხვის ახლებური ხედვა გულისხმობს არტეფაქტების კვლევაში სხვადასხვა დისციპლინისა და დარგის სპეციალისტთა მონაწილეობას, რაც ფაქტობრივად უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის გრძელვადიანი და ოპტიმალური პირობების/მეთოდების შემუშავებასა და განსაზღვრას. წერილობითი ძეგლების კვლევა-შენარჩუნებისათვის აუცილებელია კონსერვაციის თანამედროვე მეთოდების, დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების ტექნოლოგიური საშუალებების ფლობა/გამოყენება და წინასარესტავრაციო კვლევის ჩატარება.

წინასარესტავრაციო კვლევა პირდაპირ გავლენას ახდენს არა მხოლოდ აღდგენის პროცესზე, არამედ ხელს უწყობს და შესაძლებელს ხდის ხელნაწერ სიძველეთა შემადგენელი იმ კატეგორიის ნიშნების გამოყოფას, რომელთა შემჩნევა-აღნუსხვა შესაძლებელია მხოლოდ საკონსერვაციო ქმედებების შესრულების დროს და რომლებიც ხელს უწყობენ ხელნაწერის ისტორიის მანამდე უცნობი ფაქტების გამოვლენას. საკონსერვაციო სამუშაოების ეფექტუ-

რად წარმართვის მიზნით რესტავრატორთა საქმიანობა ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს კოდიკოლოგიური კვლევის შედეგებს (Giovannini 1990: 43-47; 2005: 160-165).

რესტავრატორის მხრიდან კოდიკოლოგიური მიდგომის უგულვებელყოფა შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების მიზეზი, რაც ეწინააღმდეგება ობიექტის ინტერვენციის მიზნებს. ამის გარდა, რთული დაზიანების შემთხვევაში რესტავრატორმა უნდა დააფიქსიროს დოკუმენტის ყველა ის ელემენტი, რომელთა აღდგენის ალბათობაც მთლიანი დოკუმენტის შენარჩუნებისათვის გადაუდებელი ნაბიჯების გადადგმის დროს ეჭვს ქვეშ დგება. მაგალითისათვის მოვიტანთ პალიმფსესტური ფურცლების მძიმე დაზიანების, კერძოდ, ფურცლის შუა ნაწილის მთლიანობის დარღვევის შემთხვევებს. ასეთ ვითარებაში ერთეულის შემდგომი დაზიანების თავიდან აცილების მიზნით კონსერვაციის გადაუდებელი მოთხოვნას წარმოადგენს ნახევის ფიქსაცია, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს პალიმფსესტური ფურცლის კონკრეტულ მონაკვეთზე არსებული ქვედა ფენის დაფარვა საკონსერვაციო საშუალებებით. ასეთ ვითარებაში რესტავრატორი კოდიკოლოგთან შეთანხმებით ფოტოფიქსაციის გზით უნდა აფიქსირებდეს კონკრეტულ პრობლემურ მონაკვეთს, რათა უზრუნველყოს პირვანდელი ინფორმაციის შენარჩუნება. სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას არ დავაზიანოთ ხელნაწერ ნიგნებისა და დოკუმენტების ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრისათვის ფასდაუდებელი ინფორმაცია (Giovannini 1990: 43-47; 2005: 160-165).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დამწერლობის ისტორიამ შემოგვინახა ქვაზე, ლითონზე, ხის ფიცარზე, თიხის ფირფიტაზე, პაპირუსზე (ჭილი)⁷³, პერგამენტსა (ეტრატი) და ქალაღზე შექმნილი წერილობითი ძეგლები (ჯავახიშვილი 1996; დანელია, სარჯველაძე 1997). როგორც ვ. ლიხაჩევა აღნიშნავს, IV საუკუნეში პაპირუსის გრაგნილი ეტრატის კოდექსმა შეცვალა, მაგრამ XI საუკუნიდან კვლავ ჩნდება გრაგნილები, არა პაპირუსის, არამედ ეტრატის (Лихачева, 1976:134).

საკონსერვაციო-სარესტავრაციო საქმიანობის სირთულეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ რესტავრატორს უნევს ხელნაწერი ნიგნების შესაქმნელად სხვადასხვა პერიოდში გამოყენებულ განსხვავებულ საწერ მასალასა და საშუალებებთან ურთიერთობა. განსხვავებული ფაქტურის საწერი მასალა დროთა განმავლობაში განიცდის სხვადასხვა სახის დაზიანებას და, შესაბამისად, რესტავრატორისგან ითხოვს კონსერვაციის სხვადასხვა რეჟიმის განსაზღვრას.

პროექტზე მუშაობა ეტრატსა და ქალაღზე შესრულებული გრაგნილი ხელნაწერების კვლევას წარმოადგენდა, რომელთა უმეტესი ნაწილი ეტრატზე გადანერილ გრაგნილებს შეადგენდა. ეტრატის გლუვი, საწერად ორივე მხარეს გამოსადეგი მასალის ხელმისაწვდომობამ დიდი სარგებლობა მოუტანა წერილობითი ძეგლების შექმნას (Fuchs, 2004:13).

შუა საუკუნეებში საქართველოში ყველაზე გავრცელებულ საწერ მასალას სხვადასხვა ცხოველის ტყავისგან დამზადებული ეტრატი, ანუ პერგამენტი წარმოადგენდა. ეტრატი, როგორც აღნიშნავს ივ.ჯავახიშვილი, საქართველოშიც მზადდებოდა: „საქართველოში ძველად ყველა სხვა საწერ მასალაზე უფრო ტყავი ყოფილა მიღებული“, VIII-XIII საუკუნეები ეტრატის განსაკუთრებული „ბატონობის“ ხანად ითვლება (ჯავახიშვილი 1949: 32-34). XI საუკუნიდან დაწყებული კი ქართულ სინამდვილეში ეტრატის პარალელურად თანდათანობით გაჩნდა ქალაღის საწერი მასალა, რომელმაც XIV ს-დან ფაქტობრივად დომინანტური პოზიცია დაიმკვიდრა. გვიანი შუა საუკუნეების ეტრატზე გადანერილი მასალის საკონსერვაციო-სარესტავრაციო საქმიანობით მიღებული გამოცდილება გვაგარაუდებინებს, რომ ეტრატის აქტუალობის კლებამ ბუნებრივად განაპირობა მისი წარმოების ხარისხის ვარდნაც და შესაბამისად დროთა განმავლობაში მისი დაზიანების რისკის ზრდაც. ვინაიდან პროექტით გათვალისწინებული სამუშაო სწორედ XIV-XVIII საუკუნეების ეტრატის გრაგნილებს მოიცავდა, მოგვინია დაზიანების მაღალი ხარისხისა და დიდი რისკის ქვეშ მყოფი ერთეულების პრევენციული კო-

⁷³ ა) საქართველოში პაპირუსს საწერ მასალად არ იყენებდნენ, ცნობილია ჭილზე ნაწერი მხოლოდ ორი ქართული ხელნაწერი, რომელიც საზღვარგარეთ - პალესტინაშია დამზადებული, საბანშინდისა და სინის მთის ქართველთა მონასტერში. ერთი, საგალობელთა კრებულია (იადგარი), რომლის მესამეზე მეტი ეტრატი, ამიტომ მას ჭილ-ეტრატის იადგარი ეწოდება (H-2123, X ს.), დაცულია ხეც-ში, მეორე, დავითის საგალობლების (ფსალმუნის) ნაწყვეტები, ამჟამად პეტერბურგის ბიბლიოთეკაში ინახება.

ბ) ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდში თავმოყრილი უნიკალური მასალიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართველი მეცნიერის, პაპიროლოგის გრიგოლ წერეთლის კოლექცია, სადაც დაცულია ძვ. წ. II-XV საუკუნეებით დათარიღებული 170-მდე პაპირუსი (წერეთლის პირადი საარქივო ფონდი).

ნსერვაციის პირობების განსაზღვრა. გარდა ამისა, საკონსერვაციო ერთეულების ფორმისა (დახვეული საწერი ფურცელი) და არსებული მდგომარეობის (დაზიანების მაღალი ხარისხი) გათვალისწინებით ჩვენი მუშაობა წარმართა კოდიკოლოგებთან მჭიდრო კავშირის პირობებში, ვინაიდან ჩვენი ამოცანა გულისხმობდა არა მხოლოდ ერთეულის ფიზიკური, არამედ მასზე გადაწერილი ტექსტის შინაარსობრივი მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებას.

ეტრატისაგან დამზადებულ წერილობით ძეგლს ორგვარი ფორმა ჰქონდა - რვეულებად აკინძული და ყდაში ჩასმული ხელნაწერი წიგნი, რომელიც რვეულებად დაკეცილ ფურცლებს შეიცავდა და გრაგნილი - ერთი მეორეზე გადაკერებული ან მიწებებული ფურცლების დახვევით ანუ გრაგნით მიღებული ახალი ხელნაწერი. გრაგნილის შემადგენელ ფურცლებს „კეფი“ ერქვა (ჯავახიშვილი 1949: 60-63; მესხია 1982:140). პაპირუსის გრაგნილების მსგავსად [Birt, 1907:6; historical bindings project: scrolls, 2021]⁷⁴, ეტრატისგანაც სხვადასხვა ზომის გრაგნილებს ამზადებდნენ.

წერილობითი მემკვიდრეობის ეფექტური კონსერვაციის წინაპირობა უკავშირდება წერილობითი ძეგლის ფორმის თავისებურებათა გათვალისწინებას. საწერი მასალის ერთგვარობისა, რვეულებად აკინძული და ყდაში ჩასმული ხელნაწერის კონსერვაცია-რესტავრაცია გულისხმობს ხელნაწერის შემადგენელ სხვა ნაწილებთან - ფურცელი, ყდა, კაპტალი - ურთიერთობას და გრაგნილის შემთხვევაში - სხვასთან - დახვეული ფურცელი, გრაგნილის საყრდენი ჯოხი ანუ ღერძი, რომელიც ხის ფაქტურისაგანაა დამზადებული და მისი პრევენციული კონსერვაციის რეჟიმი განსხვავდება ტყავის ფაქტურის კონსერვაციის რეჟიმებისგან. გრაგნილების კონსერვაციის რეჟიმის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია კეფების დახვევით მიღებული ამ ჯგუფის ხელნაწერების ზომები და კეფების რაოდენობა. გრაგნილი ხელნაწერები ტექსტის მოცულობის შესაბამისად სხვაობენ როგორც კეფების რაოდენობის, ასევე ზომების მიხედვით. გრაგნილების საყრდენის როლს, როგორცაა კოდექსის შემთხვევაში წარმოადგენს კაპტალი, ასრულებს ხის ჯოხი ანუ ღერძი/ღერო, რომელზეც მაგრდება გრაგნილის ბოლო კეფი და ეხვევა მთლიანი ხელნაწერი (Fuchs, 2004:13-16). ჩვენ მიერ ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოების პროცესში გაირკვა, რომ გრაგნილთა ნაწილმა მოაღწია ანდა სულაც შეიქმნა საყრდენი ღეროს გარეშე. ასეთი გრაგნილების გარემომწერილობა/დიაგნოზი გაცილებით მცირეა, ნაწერი კეფები მჭიდროდაა დახვეული, რაც ზრდის ხელნაწერის გამოშრობისა და კეფების შეწებების რისკს. შესაბამისად იზრდება გამომშრალი ერთეულების დარბილება-დატენიანების პროცესის ხანგრძლივობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გრაგნილზე უმთავრესად იწერებოდა სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტები - სიგელები, შეწირულობის წიგნები და სხვა. ამასთანავე, როგორც ხელნაწერის ერთ-ერთმა ფორმამ, გრაგნილმა იტვირთა შედარებით მცირე მოცულობის ლიტერატურული ტექსტების შემცველი და საეკლესიო-საღვთისმსახურო პრაქტიკისათვის აქტუალური ხელნაწერის ფუნქცია. ლიტურგიკული შინაარსის გრაგნილმა ილუსტრირებისა და ტექსტის განაწილების თავისებური ხელნაწერაც კი შექმნა (Skhitladze 2016: 515-536; ოსეფაშვილი, 2017). როგორც აღნიშნავენ ხელნაწერი წიგნის ისტორიის მკვლევრები, ამ ფორმის ხელნაწერი ბიზანტიურ მწერლობაში ინტენსიურად XI საუკუნიდან გაჩნდა (Лихачева, 1976:134). ჩვენს სინამდვილეში, გარდა ერთი, სავარაუდოდ XII ს-ის გამონაკლისისა - H-1727, XIII-XIV სს-ზე ადრეული სალიტერატურო გრაგნილები არ გვხვდება. უნდა ითქვას, რომ საღვთისმსახურო

⁷⁴ საწერი მასალის მისაღებად პაპირუსის ბოჭკოების ორი ფენის კონსტრუქციას, რომლებსაც ერთმანეთის პერპენდიკულარულად განალაგებდნენ, ქმნიდა პაპირუსის ფურცელს. პაპირუსის გრაგნილის ძირითადი ნაწილებია რექტო (recto) - შიდა, ჰორიზონტალური ბოჭკოებით დამზადებული დასაწერი მხარე, ვერსო (verso) კი - ვერტიკალური ბოჭკოებით დამზადებული გარეთა მხარე; კოლემა (kollema) გულისხმობს პაპირუსის ერთ ფურცელს (კეფი), ხოლო კოლეზისი (kollēseis /kolleseis) არის კოლემას (კეფები) გადაბმის/შეერთების ადგილები, ზოლებად დაჭრილი პაპირუსის ერთმანეთთან დაკავშირებული ადგილები, სადაც ფურცლები ერთმანეთს უერთდება/უკავშირდება. როგორც ნესი, გრაგნილის ფორმის მიცემისას, შიგნით აქცევდნენ პაპირუსის ჰორიზონტალურ მხარეს (recto), ხოლო გარედან - ვერტიკალურს (verso), რადგანაც ვერტიკალური ბოჭკოები უფრო მოქნილია და გადახვევის დროს მათ შეუძლიათ განცალკევება/გაშლა, ამ თვისების გამო, გადახვევა უფრო ადვილია და ნაკლებად საზიანო. გრაგნილი იწყებოდა „პროტოკოლონით“. პროტოკოლონი არის გრაგნილის პირველი ფურცელი (πρωτόκολλον protokollon; πρωτό - „პირველი“, „საწყისი“; κολλον/კოლემა „ერთად შეკრული“), ნიშნავდა „პირველად დაწებებულ ფურცელს“. ასევე საინტერესოა გრაგნილების გაზომვა. ანტიკურ ხანაში, უილიამ ჯონსონის მიერ წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით, კოლემის ზომები შეიძლება ყოფილიყო საშუალოდ დაახლოებით 8 დიუმიდან 10 ინჩამდე სიგანეში და 12 ინჩამდე სიგრძე, ეპოქის, რეგიონისა და სხვა ფაქტორების მიხედვით.

პრაქტიკისათვის განკუთვნილი გრაგნილების ხშირი, ყოველდღიური გაშლა-დაკეცვის გამო, დაზიანებას განიცდის არა მხოლოდ კეფის მთლიანობა ან მელანი, არამედ ის მხატვრულ-დეკორატიული ელემენტებიც, რომლებიც კონკრეტული გრაგნილის შემკობის მიზანს ემსახურება. ამ სახის გრაგნილთა კონსერვაცია გაცილებით რთული რეჟიმის შემუშავებას მოითხოვს რესტავრატორისაგან, მით უფრო, თუ ერთეულის მხატვრული სისტემა საგანგებო ფერადოვანი, ან ოქრონარევი მელნითაა შესრულებული. ამ ტიპის გრაგნილის თვალსაჩინო ნიმუშია გელათის ილიტარიონის სახელწოდებით ცნობილი K-657.

პრევენციული კონსერვაციის დროს მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს გრაგნილების recto-სა და verso-ს ფაქტურულ თავისებურებებზე. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული პერგამენტის გრაგნილებში ტექსტის recto არის დახვეული ფურცლის შიდა, verso კი გარეთა ზედაპირი. verso-ს ფუნქციას ყოველთვის ასრულებს ეტრატის ფურცლის ბენვის მხარე. როგორც ჩანს, ტექსტის ამგვარი განაწილება არ იყო შემთხვევით და ეტრატის შემქმნელების თვალსაზრისით, ბენვის მხარე გაცილებით მყარი და გარეგანი ზემოქმედების მიმართ მეტად გამძლე უნდა ყოფილიყო. თუმცა პრევენციული კონსერვაციის პროცესმა აჩვენა, რომ ეტრატზე ნესტისა თუ ჭვარტლის ზემოქმედების შედეგად გრაგნილის ბოლო კეფის verso, რომელიც ფაქტობრივად კრავს მთელ გრაგნილს, მეტად მუქდება და პრევენციული კონსერვაციის პროცესში განმედიის დროს მეტ სიფრთხილეს მოითხოვს.

შესრულებული საკონსერვაციო სამუშაოების ეტაპები და მეთოდები. ვიდრე უშუალოდ შევხებით ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს ეტაპებს, ყურადღებას შევაჩერებთ იმ კოდიკოლოგიურ ტერმინოლოგიაზე, რომელთანაც შეხება მოგვინია. როგორც ცნობილია, გრაგნილის ხის ჯოხს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კონდაკს უწოდებენ. ეს სახელწოდება სამეცნიერო ტერმინოლოგიაში დამკვიდრდა კ.კეკელიძის კვლევის საფუძველზე: „იმ წიგნს, რომელშიაც წირვის წესია მოთავსებული, ეწოდება ბერძნულად Λιτοργιον, ხოლო ქართულად კონდაკი ან ჟამისწირვა. სახელწოდება კონდაკი წარმოდგა თვით ამ წიგნთა ფორმისგან: ძველად წირვის წესს წერდნენ ხოლმე მომეტებულ ნაწილად გრძელ, ერთმანეთზე გადაკერებულ, ეტრატის ვიწრო ფურცლებზე; ეს ფურცლები დახვეული იყო ჯოხზე, რომელსაც თავი დამრგვალებული ჰქონდა ლურსმნის მსგავსად. ამ ხვეულს ან გრაგნილს ბერძნულად ერქვა Είλιτρίον, ხოლო ქართულად კონდაკი, ვინაიდან იმ მოკლე ლურსმნისებურ ჯოხს ბერძნულად κόντις -ს, ეძახდნენ, აქედან წარმოდგა κονδίκιον, მაშასადამე კონდაკიც ბერძნული სიტყვაა“ (კეკელიძე, 1980:580). სიტყვა კონდაკის სხვა შინაარსის განმარტებას ვხვდებით სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“: „კონდაკი არს წიგნი წირვისა ...“ (სულხან-საბა, 1966:380). ჩვენ ამ ტერმინებზე ყურადღება გაგვამახვილებინა პრევენციული კონსერვაციის საკითხებზე არსებულმა სამეცნიერო ლიტერატურამ. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში საყრდენი ღერძის თითოეულ მონაკვეთს სათანადო სახელწოდება აქვს შერჩეული: გრაგნილის ჯოხი (Scroll wood rod, scroll stick), ცენტრალური ღერძი (wooden stick-axe), ღერო ან ჭიპი (ὀμφαλός, an umbilicus wooden stick); გრაგნილის ლილვი ანუ ღერძი, ღერძის მბრუნავი ნაწილი (scroll shaft). საინტერესოა, რომ უძველესი თორის გრაგნილებს⁷⁵ თითოეულ ბოლოზე აქვს საკმაოდ დახვეწილი საყრდენი ჯოხები, რომლებსაც ლილვაკებს უწოდებენ - (wooden rollers). ვინაიდან აკრძალული იყო თორასთან ხელით შეხება, გრაგნილის კითხვისას იყენებენ სპეციალურ, ხისგან ან ძვირფასი ლითონებისგან დამზადებულ ელემენტს, რომელსაც კითხვის დროს ტექსტის გასაყოლებლად იყენებდნენ „იადი“ (The Yad)⁷⁶ ეწოდებოდა. გარდა ამ ელემენტებისა, გრაგნილზე ტექსტის განაწილების თავისებურების მიხედვით განარჩევენ სხვადასხვა ტერმინს. მაგალითად, ორმხრივ ნაწერ გრაგნილს საერთაშორისო სამეცნიერო ტერმინოლოგიით ოპისთოგრაფებს უწოდებენ (ὀπισθεν/ὀπισθογραφισ) (Fuchs, 2004). ქართულ გრაგნილებში ტექსტი იწერებოდა ძირითადად მარცხნიდან მარჯვნივ, ერთ, იშვიათ შემთხვევებში ორ (K-657) სვეტად, ზემოდან ქვემოთ ანუ იმ მიმართულებით, რომლითაც იხსნება გრაგნილი. თუმცა, შუა საუკუნეების სამწერლობო

⁷⁵ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ებრაულ კოლექციაში თავმოყრილია სრულად ან ფრაგმენტულად მოღწეული X-XIX საუკუნით დათარიღებული ებრაული ხელნაწერები (აღინიშნება ლიტერებით Hebr). ებრაული ხელნაწერების ფონდში დაცულია გრაგნილი ფორმის ეტრატზე შესრულებული თორები (Hebr. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 44 (ფრაგმენტი 1ფ.), Hebr. 40 (გრაგნილის ფრაგმენტი), ესთერის წიგნის განმარტებები გრაგნილის ფორმით (Hebr. 14, 15, 16, 17, 24), საგალობელი (Hebr. 13), ეკლესიასტე (Hebr. 12).

⁷⁶ სიტყვა „იადი“ (არაბ. ياد - ად ნიშნავს „ხელს“), სემიტურ ენათა ოჯახის საერთო გამოყენების სიტყვა.

პრაქტიკაში არსებობდა მიმართულების მონაცვლეობით დაწერილი გრაგნილებიც. ასეთ ხელნაწერებს ბუსტროფედონებს (βυστροφοδόν) უწოდებენ. ქართულ ტრადიციაში ამ სახის გრაგნილები არ გვხვდება.

პროექტი „გრაგნილების ინტერდისციპლინური კვლევა“ განხორციელდა კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეროვნული არქივისა და ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცული ხელნაწერი გრაგნილების კომპლექსური, სტრუქტურულ-კოდიკოლოგიური შესწავლის საფუძველზე, შედგა დეტალური არქეოგრაფიული აღწერილობა და შეფასდა მათი დაზიანებების მდგომარეობა. რაც შეეხება პრევენციულ კონსერვაციასა და კონსერვაციას, იგი ჩაუტარდა მხოლოდ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცულ სიძველეებს.

პროექტის მიმდინარეობისას გრაგნილების დაზიანებების შეფასების პირველი საფეხური მოიცავდა შემუშავებულ ვიზუალური დათვალიერების მეთოდს. საყოველთაოდ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, პერგამენტის დაზიანების ვიზუალური შეფასების შესახებ ინფორმაცია ეფუძნება დაზიანების მახასიათებლების ანალიზს (Larsen, 2002).

ამ ეტაპის განხორციელება დაუშვებელია წერილობითი ძეგლის ინტენსიური, კომპლექსური შესწავლისა და მონაცემთა შეგროვების გარეშე, რათა შეიქმნას მყარი საფუძველი მდგომარეობის შეფასებისა და კონსერვაციის საქმიანობისთვის. ანალიზის შედეგად, დეტალურად აღინერება დაზიანების ყველა ტიპი და მათი გამომწვევი მიზეზი. ხოლო კომპლექსური კვლევა დამატებით ინფორმაციას იძლევა ხელნაწერების დაზიანების შესახებ, რადგან მხოლოდ ვიზუალური შეფასებით შეუძლებელია მდგომარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღება.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია არ ამოიწურება ერთჯერადი ქმედებებით. გრძელვადიანი დაცულობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია პერგამენტზე გადწერილ ერთეულებზე სისტემატური დაკვირვება, არადესტრუქციული კვლევა, ერთეულის სტრუქტურის სავარაუდო ცვლილებების პროგნოზირება, რასაც უზრუნველყოფს მათი დაცულობის პირობებისა და პრევენციული კონსერვაციის შედეგების მდგრადობის შესახებ ინფორმაციის ფლობა.


ეტრატზე შესრულებულ წერილობით ძეგლებზე მეცნიერულმა დაკვირვებამ/კვლევამ/ანალიზმა უნდა გამოავლინოს როგორც მათი დეგრადაციის რეალური მიზეზები, ასევე მათი შენახვისა და კონსერვაციის ეფექტური მეთოდოლოგია. გარდა ვიზუალური შესწავლისა, პერგამენტის დეგრადაციის ძალიან რთული პროცესის უკეთ გასაგებად, სპეციფიკური და კორელაციური დეგრადაციის მახასიათებლების შეფასებისა და ანალიზის მყარი საფუძვლის უზრუნველსაყოფად გრაგნილებზე მუშაობის პროცესში გამოვიყენეთ ხელის ციფრული მიკროსკოპი (DINO- Dinolite USB Hanheld Digital Microscope), დეტალურად დავათვალიერეთ ხელნაწერი გრაგნილების ეტრატის სტრუქტურა და საწერ მასალაზე აღნიშნული სხვადასხვა სახისა და ხარისხის დაზიანებული ადგილები.

პროექტის ფარგლებში შესწავლილი გრაგნილი ხელნაწერების ვიზუალური დათვალიერებისა და კოდიკოლოგებთან კოორდინაციის შედეგად დადგინდა, რომ გრაგნილების უმეტესი ნაწილი თავ-ბოლონაკლულია (H-191, H-505, H-513, Q-1071 და სხვ.); გვხვდება სხვადასხვა გრაგნილის ფრაგმენტების ერთ ერთეულად თავმოყრის შემთხვევაც (H-2089), ამ შემთხვევაში დაცილებული კეფების გადაბმა დაუშვებელია; ვიზუალურმა დათვალიერებამ გამოავლინა, რომ ძირითადად დასაწყისი კეფებია დაზიანებული, ხოლო შიდა კეფებზე სხვადასხვა ტიპისა და ხარისხის დაზიანებები შეინიშნება. ადრეულ პერიოდში ხელნაწერების მოხვედრამ მაღალი ტენიანობისა და წყლიან გარემოში, სითბურმა და სინათლის მოქმედებამ, დრომ, დაბინძურებულმა ატმოსფერომ გამოიწვია ეტრატის ფურცლების მოჭიმულობა, დეფორმაცია, ფორიანობის შემცირება, ელასტიკურობის დაკარგვა და სხვადასხვა შეფერილობის ლაქები (პიგმენტაცია).

საქართველოს ეროვნული არქივში დაცული გრაგნილი ხელნაწერები შესრულებულია როგორც ეტრატზე, ასევე ქალაღზე, გვხვდება ორივე საწერი მასალის გამოყენებით შესრულებული გრაგნილი: N3 ფ. N1446, (კონდაკი XV ს. 2 კეფი, ეტრატი); N9 ფ. N1446 (კონდაკი, XIV ს. 4 კეფი, ეტრატი); N137 ფ. N1446 ფურცელადის ქრონიკა (XVIII-XIX ს-ნის (ხელის მიხედვით) 3 კეფი, ეტრატი); N409 ფ. N1446, მირონის შემზადების და კურთხევის წესი, (XVIII ს. (ხელის მიხედვით) 11 კეფი ეტრატი); N413-1 (ა) ფ. N1446, კონდაკი (XV-XVI სს. (ხელის მიხედვით), 5

კეფი (9 კეფი -5 ქალაღდის და 4 ეტრატის); N413-2 (ბ) ფ.N1446, კონდაკი XV-XVI საუკუნე (ხელის მიხედვით), 4 კეფი (9 კეფი-5 ქალაღდის და 4 ეტრატის); N433, ფ.N1446, ავგაროზი (XIX ს. (ხელის მიხედვით) 8 კეფი, ქალაღდი); N434 ფ.N1446, ავგაროზი, XIXს. (ხელის მიხედვით), 3 კეფი, ქალაღდი) [საქართველოს სახელმწიფო არქივები, სამეცნიერო-საცნობარო სახელმძღვანელოები, 1949:2, 5, 138; 1950:60, 71];

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ეტრატზე შესრულებული გრაგნილები - ე-69 ლოცვა დაგებისა (XVI საუკუნე, 1 კეფი); ე-226 იოანე ოქროპირის ჟამისწირვა (XVI ს. 7 კეფი); K-605⁷⁷ იოანე ოქროპირის ჟამისწირვა (XVI საუკუნე 3 კეფი); K-606, იოანე ოქროპირის (XVI საუკუნე 5 კეფი); K-636, წირვის წესი (XVI საუკუნე 3 კეფი); K-637 წირვის წესი (XVI საუკუნე, 2 კეფი); K-657, ბასილი დიდისა და იოანეს ოქროპირის ჟამისწირვები (XVI ს. 13 კეფი). ამგვარი გრაგნილების პრევენციული კონსერვაცია ბევრი სირთულის წინაშე გვაყენებს. პირველი შეეხება თვითონ გრაგნილის ზომას, რომელსაც განსაზღვრავს მასზე გადაწერილი ტექსტის მოცულობა. მაგ., ლიტურგიკული შინაარსის გელათის ილიტარიონი K-657) 13 კეფისაგან შემდგარი მდიდრულად მოხატული გრაგნილია, გადამწერს სინგურისა და ყავისფერი მელნის გარდა, გამოყენებული აქვს ოქრომელანი. ტყავის ფაქტურა თხელია, ეს საგანგებოდ შექმნილი გრაგნილია, რომლის მნიშვნელობა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში განისაზღვრა (Кекелидзе 1908:99-106), რომელმაც წიგნის ხელოვნების მკვლევართა ყურადღება მიიპყრო (Skhirtladze 2016:515-536). ხელნაწერზე მუშაობამ დაგვანახა, რომ არტეფაქტის დაზიანების ხარისხი მეტად მაღალია. ყველა შესწავლილი გრაგნილი გასანმენდი, დასარბილებელი და სარესტავრაციოა (ისტორიული დოკუმენტების კატალოგი N1, 45, 50).



სურ. 1 Q-1068, XVIს.

გრაგნილებზე დადასტურებული დაზიანებები. შესწავლილ გრაგნილ ხელნაწერებზე აღინიშნება სხვადასხვა სახის დაზიანებები, ყველაზე ხშირად გვხვდება სინესტის ლაქები, ზედაპირული ჭუჭყი, გაშავებული (ჭვარტლი, კვამლი, ნავთის სანათი, სანთელი), ზოგიერთი გრაგნილი ძლიერ დაზინძურებული, გამომშრალი, გაუხეშებული, დეფორმირებული და ადვილად მსხვრევადია. კეფებზე აღინიშნება მრავალი ბზარი, სანერი მასალა ჩატეხილი, ჩახეული, ჩასერილია, კეფის კიდები დაზიანებულია ზიგზაგისებურად. ბზარების, ჩახეული და სხვადასხვა ადგილას მრავლობითად პატარ-პატარა გადაკეცილი ადგილების გადატეხის საშიშროებაა.. კიდები გაუხეშებული, ზოგიერთი კეფის შუაში ამოგლეჯილი/ამოხეული/ამომწვარია და ტექსტი შესაბამისად ნაკლულია. ზოგიერთ გამომშრალი, მსხვრევადი ეტრატის კიდეზე მოცილებულია (მოტეხილია) ნაწილები. აღინიშნება ახალი ნაკეცები და ბზარები. მექანიკური დაზიანებები, პატარ-პატარა ჩახევები, სავარაუდოდ დროთა განმავლობაში ხშირმა მოხმარებამ, ეტრატის გამომშრობამ გამოიწვია დაზიანებათა პროცესის გაგრძელება.

ა) ბზარები გამონვეული ეტრატის სიმშრალით - H-191, XIV-XV სს.; H-512, XVI ს. 3 კეფი; H-191, XIV-XV სს.; H-517, XVI ს.; H-518, XVI ს.; S-4981, XIV-XV სს.; S-4980, XII სს.; A-757, XIII ს.; A-1553, XV-XVI სს.; Q-267, XV-XVI სს.; H-1412, XV-XVI სს.; H-1731, XVI-XVII სს.; Q-1068, XVI ს.; N137 ფ.N1446 (XVIII-XIX ს.); N409 ფ.N1446, (XVIII ს.); N9 ფ.N1446 (XIVს.); N3 ფ.N1446, (XVს.); ე-69, (XVI ს.); ე-226 (XVI ს.); K-605 (XVI ს.).

⁷⁷ K ლიტერთ ნაცვლად ქიმ საიდენტიფიკაციო შემოკლებისა აღვნიშნავთ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის იმ ხელნაწერებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია სამეცნიერო მიმოქცევაში შესულია დასახელებული ლათინური ლიტერთ.

ბ) შეიმჩნევა ახალი ჩატეხილი ადგილები H-1060, XIV-XV სს.; H-1727, XII ს.; H-2089, XV სს.; S-4981, XIV-XV სს. H-519, XV ს.; H-1327, XV ს.; H-1728, XVII ს.; H-1730, XV ს.; Q-1660, XV სს.; გ) შეიმჩნევა ახალი ბზარები H-2092, XV-XVI სს.; H-2093ა, XV-XVI სს.; H-2093ბ, XV-XVI სს.; H-2093დ, XIV სს.; H-2401, XIII-XIV სს. დ) ნაკლულია ტექსტთან ერთად H-520, XV-XVI სს.; ე) ხანძარში მოხვედრილი, ძლიერ დამწვარი, გაშავებული - H-1060, XIV-XV სს.; H-1727, XII ს.; ვ) ყველა კეფი გამომშრალი, დეფორმირებულია ბზარები, ჩახევები H-513, XVI ს.; ზ) სიმბურვალით დაზიანებული, გაუხეშებული და მკვეთრად დეფორმირებული ადგილები H-514, XVI ს.; H-2090, XVI-XVII სს.; თ) ხელნაწერი წიგნების ფურცლებზე, გვხვდება სხვადასხვა ზომის მრგვალი ან ოვალური ფორმის ხვრელები. ეს შესაძლებელია ეტრატის დამუშავების ან გაჭიმვის პროცესში წარმოქმნილი სიცარიელე იყოს H-2401, XIII-XIV სს.; H-1727, XIII ს.



H-191, XIV-XV ს.



H-2089, XVს.

სურ. 2

ფოტოები გადაღებულია ხელის ციფრული მიკროსკოპით (DINO - Dinolite USB Hanheld Digital Microscope)

გრაგნილები თავნაკლულია. მოხეულია და დაკარგულია გრაგნილის დასაწყისი 1 ან რიგ შემთხვევაში, ტექსტი მოცულობის მიხედვით, 2 კეფი (H-520). შეიმჩნევა ნემსის ნახვრეტები და ზოგიერთზე ძაფის ძალიან პატარა ფრაგმენტი/ბოჭკო, რომელზეც მიკერებული იყო ზედა/ქვედა კეფი - H-517, XVI ს.; H-1060, XIV-XV სს.; H-2089, XV ს.; S-4981, XIV-XV სს.; H-1327, XV ს.; H-1730, XV ს.; H-2090, XVI-XVII სს.; H-2092, XV-XVI სს.; H-2093ბ, XV-XVI სს.; Q-1660, XV ს.; ზედა ნაწილზე შეიმჩნევა გაკერვის კვალი, რაც მიგვანიშნებს კიდევ ერთი კეფის არსებობაზე, რომელიც დაკარგულია N3 ფ. N1446, XVს.; მოხეულია ეტრატის ნაწილი ტექსტთან ერთად, შემორჩენილი სტრიქონიდან მხოლოდ რამდენიმე ასო იკითხება ე-69 (XVI ს.);

პაგინაცია. ხელნაწერ წიგნების (კოდექსები) პირველად რვეულებრივ პაგინაციას აკეთებდა გადამწერი ტექსტის მეღნით, ანბანურად. დროთა განმავლობაში (განახლება/რესტავრაცია) ფურცლებზე შეიმჩნევა როგორც გვერდობლივი, ასევე ფურცლობრივი პაგინაცია, შესრულებული სხვადასხვა დროს, ადგილსა და სხვადასხვა საწერი საშუალებებით. შესწავლილი გრაგნილების კეფების დიდი ნაწილი პაგინირებული არ იყო. ფანქრითაა დანომრილი მხოლოდ შემდეგი გრაგნილები: კეფის ზედა მარჯვენა კუთხეში H-1730, XV ს.; მარცხენა მხარეს კიდეში ანბანით (ა,ბ,გ,დ) H-2090, XVI-XVII სს.; გვიანდელი, ფანქრით ზედა კუთხეში მარცხენა მხარეს H-2401, XIII-XIV სს.; კეფების მარცხენა მხარეს, ზედა კიდეში ფანქრით, ანბანით (ა,ბ,გ,დ) S-4981, XIV-XV სს.; კეფის ზედა მარცხენა კუთხეში Q-267, XV-XVI სს.; ფანქრით ზედა მარჯვენა კუთხეში, A-922, XIII-XIV სს. პროექტის ფარგლებში მოხდა გრაგნილების ყველა კეფის პაგინირება.

ცდომილება. უკვე შედგენილ და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანილ აღწერილობებში გვხვდება გრაგნილი ხელნაწერების კეფების არაზუსტი რაოდენობა (შესაძლებელია იყოს აღმწერის მექანიკური ან პოლიგრაფიული შეცდომა). აღწერილობის მიხედვით, გრაგნილი H-1447, XV ს. შედგება ხუთი (5) კეფისგან, რეალურად არის ოთხი (4) კეფი, 3 კეფი დანომრილია ინდექსით - ა, ბ, გ, ხოლო მეოთხე კეფი არ არის პაგინირებული. შესწავლილი ტექსტის

მიხედვით, გაკეთდა ახალი პაგინაცია; აღწერილობის მიხედვით H-1728, XVII ს. ხუთი (5), რეალურად ექვსი (6) კეფისგან შედგება. ადრე ჩატარებული აღწერისას კეფად ჩაითვალა მხოლოდ გადაკერებული ნაწილები, მე-2-და მე-3 ერთმანეთზე გადანებებული ნაწილები ჩაითვალა ერთ კეფად; H-2401, XIII-XIV სს. 16 კეფი, აღწერილობის მიხედვით 14-ია; H-1727, XII ს. აღწერილობის მიხედვით ოთხი (4), რეალურად ექვსი (6) კეფია; H-520, XV-XVI სს. აღწერილობით -5, რეალურად 6 კეფია.

დაკანონვა. როგორც ცნობილია, ხელნაწერებში დაკანონვა სრულდებოდა თანაბარი დაშორებით. დახაზვა სიმეტრიის დაცვას უწყობს ხელს და ხელნაწერის გვერდის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხაზებს ანესრიგებს. გრაგნილების უმრავლესობის დაკანონვა შესრულებულია ფრთხილად და ფაქიზად, ზოგან შეუმჩნეველიც არის, ამიტომ ეტრადი დაკანონვის შედეგად არ არის დაზიანებული (გაჭრილი) - H-519, XV ს.; H-1060, XIV-XV სს.; H-520, XV-XVI სს.; თუმცა გვხვდება მკვეთრად გაკეთებული დაკანონვის ხაზები, რომელთა დიდი ნაწილი გახსნილი, ჩახეული და ჩატეხილია, სადაც დაზიანების პროცესი დაწყებულია და გრძელდება, არის გახსნის და ტექსტის დაზიანების საშიშროება - H-191, XIV-XV სს.; H-518, XVI ს.; H-1327, XV ს.; H-1412, XV-XVI სს.; H-1729, XVI-XVII სს.; A-757, XIII სს.; Q-1068, XVI ს.; Q-1071, XV ს.; H-514, XVI ს.; H-1327, XV ს.; H-1727, XII ს.; H-1731, XVI-XVII სს.; H-2093დ, XIV ს.; Q-1068, XVI ს. მსგავსი წერილობითი ძეგლების კონსერვაციის შემდეგ სასურველია დიგიტალური ვერსიის შექმნა, რათა ხელმისაწვდომი გახდეს მეცნიერებისთვის, რაც პრევენციული კონსერვაციის ერთ-ერთი მეთოდია.

კეფების გადაბმის ტექნიკა. პროექტის ფარგლებში შესწავლილი ხელნაწერი გრაგნილების კეფები სხვადასხვა ტექნოლოგიითა და მეთოდითაა გადაბმული/გადაკერებული: ა) კეფის პირი ერთმანეთზეა გადადებული; ბ) კეფის პირი პირისპირ, ერთმანეთზეა მიდებული; გ) ერთმანეთზე მიდებული პირი ზევითაა აწეული (დაგვირისტებული, ძაფით ამობლანდული, ამოკემსილია სხვადასხვა ფორმით, ამოხვეულია, ამოკერილია, ბლანდის ფორმა ზიგზაგისებურია);

ზოგიერთ გრაგნილზე შემორჩენილია **ადრეული** გადაბმის ძაფის ფრაგმენტები ან ბოჭკო, თუმცა ძნელი სათქმელია, რომელიმე არის თუ არა თანადროული - H-513, XVI ს.; H-519, XV ს.; H-1729, XVI-XVII სს.; H-1731, XVI-XVII სს.; H-2093ბ, XV-XVI სს.; S-3485დ, XVI-XVII სს.; H-1730, XV ს.; S-3485დ, XVI-XVII სს.;

ზოგიერთის გადაბმა **განახლებულია** (გაკერეს/გაამაგრეს) სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფერის ძაფითა და ფორმით/ტექნოლოგიით. ზოგიერთი უხეშად - H-514, XVI ს.; H-517, XVI ს.; H-519, XV ს.; H-520, XV-XVI სს.; H-521, XVI სს.; H-1060, XIV-XV სს.; H-1327, XV ს.; H-1729, XVI-XVII სს.; H-2090, XVI-XVII სს.; H-2090, XVI-XVII სს.; S-3485დ, XVI-XVII სს.; A-757, XIII სს. (ლამაზი ფორმით ზიგზაგისებურად); A-1553, XV-XVI სს.; Q-1068, XVI ს.; Q-1071, XV სს.; H-511, XVI ს.; H-1730, XV ს.; H-1731, XVI-XVII სს.; H-2090, XVI-XVII სს.; H-2401, XIII-XIV სს.; H-1727, ს. (მე-7-8 კეფები გადაკერებულია ბლანდის ფორმის პრინციპით, რომელშიც ტექსტიც მოყოლილია); Q-1263, XIV ს.;

გადაბმულია ნითელი ძაფით, ნაკერი შესრულებულია ერთი მიმართულებით N3 ფ.N1446, (XV ს.); თეთრი ძაფით ჯვარედინი ფორმით N9 ფ.N1446 (XIV ს.); N9 ფ.N1446 (XIV ს.); გადაკერვის ადგილი შესრულებულია სქელი ძაფით ე-226 (XVI ს.); გადაკერვის დროს ჩახეული ადგილები გაამაგრეს იმავე ძაფით, ე-226 (XVI ს.).

გვხვდება კეფები, რომლებზეც მხოლოდ **შუა ნაწილია** გადაბმული, ხოლო ნაპირები დაზიანებული და გახსნილია ან მთლიანად რღვევაა დაწყებული H-512, XVI ს., H-513, XVI ს.; S-3485დ, XVI-XVII სს.; S-4981, XIV-XV სს.; S-4980, XII სს.; Q-1068, XVI ს.; თუმცა შემორჩენილია ჯვარედინი, თანაბარი გვირისტით გადაბმის ტექნიკაც.

ვხვდებით **წებოს გამოყენებით** გადაბმას, კეფების ნაპირები ერთმანეთზე გადადებულია, სადაც წებოს გადაბმის ადგილები გაუხეშებულია, ზოგიერთ ადგილას კი მოცილებულია ერთმანეთს -H-518, XVI ს.; H-1412, XV-XVI სს.; Q-1660, XV ს. H-1727, XII ს.; გადაბმულ ადგილებზე ტექსტია დაწერილი N409, ფ.N1446, (XVIII ს. 11 კეფი);

ერთ გრაგნილში გამოყენებული ერთი მეორეზე მიწებებული ქალაღდის/ეტრადის საწერი მასალა, რომელიც მიკერებულია, N413-1 (ა) ფ.N1446, კონდაკი (XV-XVI სს. 9 კეფი); გადაკერებულია ძაფით, ჯვარედინი ნაკერით, მოვარდისფრო ძაფით N413-2 (ბ) ფ.N1446, კონდაკი XV-XVI ს (9 კეფი); გადაბმა ნითელი ფერის ძაფით N433 ფ.N1446, (XIX ს.8 კეფი);



Q-1068, XVII ს.



H-1727, XII ს.

სურ. 3

ხის ჯოხი (ღერძი/ღერო). ზოგიერთი გრაგნილი ღერძის გარეშე ვინოდ დახვეული და, შესაბამისად, დახვევის დასაწყისში აქვს ძალიან მცირე გარშემონერილობა; რაც შეეხება ღერძზე ანუ ღეროზე დახვეულ გრაგნილებს, მათი გარშემონერილობა/დიამეტრი უფრო ფართოა. ღერძის უმრავლესობა გაკეთებულია კარგად დამუშავებული ხის ჯოხისგან, რომელსაც ორივე მხარეს დეკორატიულად გაფორმებული, სხვადასხვა ფორმის ლამაზი თავები აქვს დამაგრებული; ღერძის თავების ნაწილი დაზიანებული ან დაკარგულია. აღნიშნული ელემენტი სხვადასხვა გრაგნილში განსხვავებული ფორმით გვხვდება: სამსაფეხურიანი გუმბათის ფორმის ხის წრიული ელემენტებით - წინკლებითაა გაფორმებული (H-191, XIV-XV სს.); ოთხნახნაგიანი ფორმის (H-514, XVII ს.); შვიდნახნაგიანი, ლამაზი მოყვანილობის (H-515, XVI ს.); სოკოსებრი ფორმის კარგად დამუშავებული, თუმცა დაზიანებული - ერთი გახლეჩილია/გადამსკდარია, ხოლო მეორის მხოლოდ ნახევარია შემორჩენილი (H-518, XVI ს.); სოკოსებრი, მომრგვალებული ფორმის (H-519, XV ს.); დაბოლილი, დაზიანებული (H-521, XVI ს.); ღეროს მარჯვენა მხარეს შემორჩენილია გამოთლილი დაზიანებული თავი, მარცხენა დაკარგულია (H-1411, XIV-XV ს.); შემორჩენილია მხოლოდ მარცხენა მხარეს დაზიანებული/გადამსკდარი მრგვალი თავი (H-1412, XV-XVI ს.); ხუთნახნაგიანი, ხვეული ფორმის კიდეებით (H-1727, XII ს.); ნახევარსფერული, მომრგვალებულთავიანი დაბოლოებით (H-1728, XVII ს.); სხვადასხვა ფორმის - ერთ მხარეს 8 ნახნაგი, ხოლო მეორე მხარეს - მრგვალი გუმბათისებური მოყვანილობისა (H-511, XVI ს.); სხვადასხვა - ერთ მხარეს ნახევრებული ფორმის (წვერი დაზიანებული), მეორეს კი ბრტყლად დამუშავებული ორი გვერდი (H-520, XV-XVI ს.); სხვადასხვა ფორმის (H-2089, XV ს.); ერთი თავი - ოთხნახნაგიანი პირამიდისებურია, ხოლო მეორე - სოკოსებრი (A-757, XIII ს.); ერთი - პირამიდისებური, ხოლო მეორე - მრგვალი ფორმის არასიმეტრიულად დამუშავებული (Q-1068, XVI ს.); ორივე მხარეს აქვს სხვადასხვანაირი ფორმის (Q-1071, XV ს.); დაბალი გუმბათის ფორმის, ლამაზად დამუშავებული (Q-1660, XV ს.); ორივე მხარეს თავი მოტეხილი და დაკარგულია, (H-1060, XIV-XV ს.; H-1327, XV ს.; H-1327, XV ს.); ერთი მხარე მოტეხილია, მე-2 მხარეს წამახული (გამოკვეთილი) თავი; კონდაკის მარცხენა თავი დაზიანებულია, მარჯვენა მოტეხილი და დაკარგულია, N3 ფ. N1446, (კონდაკი XV ს. 2 კეფი); N9 ფ. N1446 (კონდაკი, XIV ს. 4 კეფი; N413-1 (ა) ფ. N1446, კონდაკი (XV-XVI ს. 9 კეფი); N413-1 (ა) ფ. N1446, კონდაკი (XV-

XVI სს. 9 კეფი); N413-2 (ბ) ფ.N1446, კონდაკი XV-XVI ს. 9 კეფი); საყრდენი ღერძი კარგადაა დამუშავებული, აქვს ორი წამახული დაბოლოება; ე-226 (XVI ს.); ხის ჯოხი წამახული(წვეტიანი) თავებით (K-605, XVI ს.).



A-757, XIII ს.



H-1327, XV ს.



H-191, XIV-XV ს.



H-1727, XIII ს.

სურ. 4

განსხვავდება გრაგნილის ბოლო კეფის ხის ღერძზე გვიანდელი დამაგრება/მიმაგრების ტექნოლოგია. ეტრატის ფრაგმენტი დამაგრებულია სხვადასხვა ფერის ძაფით (H-520, XV-XVI სს.; H-511, XVI ს.); კეფის მხოლოდ მარცხენა ნაწილია ჯოხზე დამაგრებული ძაფით, მარჯვენა კიდე კი ჩახსნილია, ეტრატზე შეიმჩნევა ძაფით დამაგრების კვალი, ნემსის ნახვრეტები (H-519, XV ს.); ეტრატის ნაწილი მარცხენა მხარეს ამოხვეული/ამოვლანდულია, ხოლო მარჯვენა მხარე იმავე ძაფით ჯვარედინი ნაკერიტაა მიმაგრებული. ხის ჯოხზე შუა ნაწილში ჩამაგრებულია სამსჭვალი, რომელმაც დააზიანა ეტრატი (H-521, XVI ს.); მიკერებულია ხის ჯოხზე ორმაგი ძაფით (H-1060, XIV-XV სს.); კეფი დახვეულია წვრილად ხის ჯოხზე და დამაგრებულია ძაფის გამოყენებით სამ ადგილას (H-1327, XV ს.); კეფის ბოლო ძაფით, უხეშადაა მიკერებული (H-1411, XIV-XV ს.); ეტრატის ძალიან მცირე ნაწილი (კიდე) მიწებებულია ხის ჯოხზე, ხოლო ეტრატის უკიდურესი ნაპირი ძაფით (ლურჯი ფერის) არის ამოკერილი, ეტრატის შუა ნაწილი არ არის დაფიქსირებული (H-1412, XV-XVI ს.); ეტრატის ბოლო კეფი უხეშად, არათანაბრად ჩაკეცილი ფორმით არის მიკერებული/დაფიქსირებული (H-1727, XII ს.); თავდაპირველი მდგომარეობით, კეფი დამაგრებული იყო წებოს გამოყენებით. მოგვიანებით კი იგი გაამაგრეს წითელი ძაფით უხეშად, ამოვლანდვით (კონდაკის ჯოხი ეტრატთან ერთად გახვრეტილია ძალიან წვრილად, სადაც ძაფია ამოყრილი) (H-1728, XVII ს.); კეფის ბოლო შემოხვეული და დამაგრებულია ძაფით. ხის ჯოხი გახვრეტილია სამ ადგილას ნაპირებსა (კიდეებსა) და შუაში, სამივე ნახვრეტში, ეტრატთან ერთად, ამოყრილია ორმაგი ძაფი (სიმაგრისთვის), დანარჩენზე მთელ სიგანეზე ერთი ფენა ძაფით ოდნავ დახრილად არის ამოკერილი და დამაგრებული (H-2089, XV ს.); კეფი მიკერებულია ლურჯი ძაფით, ზიგზაგისებური, ლამაზი ფორმით. ეტრატის ბოლო ნაწილი ნაწილობრივად შემოხვეული ხის ჯოხზე. ჯოხზე ძაფის ამოყრის ადგილები ანალოგიური ხის (ცხრა) სოლებით არის გამაგრებული (ძაფების მოძრაობის შეზღუდვისთვის) (A-757, XIII ს.); ხის ჯოხზე მიმაგრებული/მიკერილია ჯვარედინი ფორმით ძაფის გამოყენებით (H-512, XVI ს.); დახვეული და გამაგრებულია წებოს გამოყენებით (Q-267, XV-XVI სს.; H-191, XIV-XV ს.); წებოს გამოყენებით მიმაგრების ეს მეთოდი, სავარაუდოდ, გვიანდელია, რადგან ეტრატსა და ჯოხზეც შეიმჩნევა ადრეული გადაბმის კვალი ნემსის ნახვრეტები (H-515, XVI ს.); ჯოხზე ეტრატის ნაწილი გრაგნილი დახვეულია ხის ჯოხზე და დამაგრებულია წითელი ძაფით ბლანდისებური ნაკერით, რომელიც მორღვეულია N3 ფ.N1446, (XV ს.); გრაგნილი ხის ჯოხზე არ არის მიმაგრებული, ორივე მხარეს თავები წამახული აქვს N9 ფ.N1446 (XIV ს.);



A-757, XIII ს.



H-1727, XIII ს.



H-511, XVI ს.

სურ. 5

ზოგიერთი გრაგნილი დახვეულია ღერძზე, თუმცა დღეისათვის ეტრატის ბოლო კეფი **მოცილებულია** და არ არის მიკერებული და დამაგრებული: შემორჩენილი აქვს ოთხი ნახვრეტი, წითელი და ჩალისფერი ძაფის ფრაგმენტებით (Q-1071, XV ს.); ღეროს აქვს სამი (3) ნახვრეტი, რომელზეც შემორჩენილია მოთეთრო ფერის ძაფის ფრაგმენტი, სავარაუდოდ ამ ძაფით უნდა ყოფილიყო მიმაგრებული ეტრატი ღერძთან (Q-1068, XVI ს.); ღერძზე მიმაგრებული ყოფილა ძაფით, რომელიც ახლა მოცილებულია (H-513, XVI ს.); ჯოხზე შეიმჩნევა ძაფის ამოსაყრელი სამი ნახვრეტი და წებოს გამოყენების კვალიც (Q-1660, XV ს.); სავარაუდოდ დამაგრებული უნდა ყოფილიყო ძაფისა და წებოს გამოყენებით (ჯოხზეც და კეფზეც შეიმჩნევა ნემსის ნახვრეტები, წებოს ლაქა) (H-518, XVI ს.).



Q-1071, XV ს.



Q-1068, XVI ს.


სურ. 6

გრაგნილები ხის ღეროს გარეშე. გვხვდება გრაგნილები, რომელთა ბოლო კეფზე შეიმჩნევა ხის ჯოხზე მიმაგრების კვალი, ნახვრეტებისა და ნებოს სახით, მაგრამ ხის ჯოხი შემორჩენილი არ არის: H-517, XVI ს.; H-1729, XVI-XVII სს.; H-1730, XV ს.; H-1852, XV-XVI სს.; H-2090, XVI-XVII სს.; H-2092, XV-XVI სს.; H-2093ა, XV-XVI სს.; H-2093ბ, XV-XVI სს.; H-2093დ, XIV სს.; S-3485დ, XVI-XVII სს. გრაგნილების ბოლო კეფზე შემორჩენილი ეტრატის დაუნერელი ფრაგმენტი, სავარაუდოდ, ჯოხზე დასახვევად იყო გათვალისწინებული, რათა ტექსტი არ დაზიანებულიყო S-4981, XIV-XV სს.; Q-1070, XVI ს.; N433 ფ.N1446, (XIX ს.); N40 ფ.N1446, (XVIII ს.); N433, ფ.N1446, (XIX ს.); ე-69 (XVI ს.).


მხატვრული გაფორმება. ფურცლის მხატვრულ მრავალფეროვნებას, ტექსტის ფურცელზე განაწილებასა და ანბანის განსხვავებულ გრაფიკულ მოხაზულობასთან ერთად სინგურით შესრულებული დეკორატიული ელემენტები განსაზღვრავდა. სხვადასხვა ეტაპზე და განსხვავებული ხასიათის ხელნაწერებში საზედაო ასოსა და ინიციალის ზომები და ფერადოვნება განსხვავებულია და ყოველთვის ტექსტის შემკობას ემსახურებოდა. ხელნაწერი გრაგნილების უმრავლესობა მხატვრული გაფორმებით, ორნამენტული შემკულობებითა და მინიატიურებით არ გამოირჩევა. მცირე ნაწილზე შემორჩენილია მინიატიურები, ხოლო ძირითადი ნაწილის შემკულობას წარმოადგენს სინგურით ან ტექსტის მელნით შესრულებული საზედაო ასოები და დიდი ზომის ინიციალები:

ა) ინიციალები, საზედაო ასოები და თავსამკაულები. ზოგიერთი გრაგნილი შემკულია დიდი ზომის მხატვრულად გაფორმებული ინიციალებით H-511, XVI ს.; S-4980, XII სს.; A-757, XIII სს.; Q-1660, XV სს. Q-1071, XV სს. H-511, XVI ს.; H-521, XVI ს.; H-1727, XII ს.; H-1728, XVII ს.; H-1729, XVI-XVII სს.; დიდი ზომის მხატვრულად გაფორმებული საზედაო ასოები, სინგურით H-512, XVI ს.; H-2064, XVI-XVII სს.; A-922, XIII-XIV სს.; საზედაო ასოები ტექსტის მელნით H-2401, XIII-XIV სს.


დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სინგურით N413-1 (ა) ფ.N1446, კონდაკი (XV-XVI სს. 9 კეფი); N413-2 (ბ) ფ.N1446, კონდაკი XV-XVI საუკუნე (9 კეფი); სათაურები სინგურით N413-1 (ა) ფ.N1446, კონდაკი (XV-XVI სს. 9 კეფი); N413-2 (ბ) ფ.N1446, კონდაკი XV-XVI საუკუნე (9 კეფი); ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებით, ქანწილი სინგურით შესრულებული K-605 (XVI ს.).



H-511, XVI ს.



Q-1071, XV ს.



K-605, XVI ს.

სურ. 7

მინიატიურები. მხატვრული გაფორმების საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს შვიდი კეფისგან შემდგარი S-4980 (XII ს.) ჟამისწირვა: თავსამკაულს წარმოადგენს ჯვარი კვარცხლბეკზე, მთავარანგელოზები (ერთი ფიგურა ჩამოჭრილია) შემკულია ორნამენტებით, მინიატიურებით, შემორჩენილია - იოანე ოქროპირის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდისა და წმინდა ნიკოლოზის მინიატიურა ნახევარი ტანით (დაზიანების გამო დასახელებული მინიატიურებიდან შემორჩენილია თმისა და წვერის, ნიშნისა და შესამოსლის კონტურები). გრაგნილის კიდეზე მოთავსებული ქრისტეს ორი წელზევითა გამოსახულება (ერთი მათგანი ყრმობაში), ერთი მთელი ტანით (სამივე შემთხვევაში ქრისტეს ერთნაირი, სხვები-საგან განსხვავებული ნიშნი აქვს-ჯვრის გამოსახულებით), აგრეთვე სამი ეპიზოდი ქრისტეს ცხოვრებიდან (ორი მათგანი ამოჭრილია). მეოთხე კეფის კიდეზე გამოსახულია მიქელ მთავარანგელოზი. (აღწერილობა 1969:292; ოსეფაშვილი 2017:84). ვხვდებით გუმბათოვან თავკაზმულობას, რომელშიც მოთავსებულია ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ილუსტრაციები H-510, XV ს.; მდარედ შესრულებული წმინდანთა დიდი ზომის ილუსტრაციები H-511, XVI ს.; კამარაში ჩასმული იოანე ოქროპირის გამოსახულება A-922, XIII-XIV სს.; გრაფიკულად შესრულებული ადამიანის სახე H-2401, XIII-XIV სს.; საერო პიროვნების მინიატიურები, H-521, XVI ს., Q-1071, XV სს.; ლამაზად გაფორმებული ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის მინიატიურა N413-1 (ა) ფ. N1446, კონდაკი (XV-XVI სს. 9 კეფი); N413-2 (ბ) ფ. N1446, კონდაკი XV-XVI საუკუნე (9 კეფი). სავარაუდოდ ორი კაბადოკიელი მამა - იოანე ოქროპირი და ბასილი დიდი K-605 (XVI ს.).

XV-XVI საუკუნის სამი ლიტურგიკული შინაარსის ხელნაწერი გრაგნილი - ჟამისწირვა, რომელიც შედგება ერთმანეთზე ძაფით გადაკერებული, სხვადასხვა ზომის კეფისგან: Q-1071, (XV სს. 5 კეფი), H-511 (XVI ს., 5 კეფი), H-521 (XVI ს. 4 კეფი) (აღწერილობა 1951:11-12; თავაძე, 2025:), გრაგნილი ხელნაწერები თავნაკლულია, Q-1071-ის პირველი კეფიდან მხოლოდ ხუთი სტრიქონია შემორჩენილი, H-521 კეფის ზედა ნაწილი მოჭრილია ტექსტთან ერთად, ხოლო H-511 კეფის ზედა ნაწილი მოხეულია და ნაკლულია მინიატიურასთან ერთად (შემორჩენილია მინიატიურის ქვედა ნაწილი, შემკულია მდარედ შესრულებული წმინდანთა ილუსტრაციებით). დასახელებული გრაგნილების მხატვრულ გაფორმებას წარმოადგენს დიდი ზომის ინიციალები და ორნამენტი (ჭიჭინაძე, თავაძე, 2024). ინიციალში ჩახატულია ადამიანის სახეები Q-1071, (XV სს.). გრაგნილების მარცხენა მხარეს გამოსახულია ორი საერო პირი, სავარაუდოდ, ქტიტორები. საზედაო ასოები შესრულებულია ტექსტის მეღნითა და სინგურით. გრაგნილების არშიებზე უხვადაა როგორც თანადროული, ასევე გვიანდელი (მხედრული) მინაწერები.

სამივე გრაგნილის მინიატიურებისა და ზოგიერთი ინიციალის მოხაზულობათა სტილი მსგავსია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ერთი სამწერლობო სკოლიდანაა. ასევე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ამავე სკოლას ეკუთვნის K-605 XVI ს. (იოანე ოქროპირის ჟამისწირვა), რაც შეეხება H-511, (XVI ს.) და K-605 (XVI ს.) გამოსახულ წმინდანებს, ეს შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს.

ექსპონატების სრული, დეტალური ინფორმაციის დაფიქსირების, რესტავრაციამდელი მდგომარეობის, არქეოგრაფიული აღწერის, ციფრული მიკრო- და მაკროვიზუალიზაციისა და ფოტოფიქსირების შემდეგ, ხელის ციფრული მიკროსკოპით (DinoLite USB Handheld Digital Microscope) დეტალურად დავათვალიერეთ ხელნაწერი გრაგნილების ეტრატის სტრუქტურა და საწერ მასალაზე აღნიშნული სხვადასხვა სახისა და ხარისხის დაზიანებული ადგილები. ხელნაწერების ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველა აღნიშნული დაზიანების განალიზების შემდეგ განისაზღვრა კონსერვაცია-რესტავრაციის გეგმა და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

დაზიანებების გამო სამივე გრაგნილს პროექტის მსვლელობისას ჩაუტარდა კონსერვაცია, კეფები გადაბმულია სხვადასხვა ფერის ძაფითა და ტექნიკის გამოყენებით. რესტავრატორების მიერ მაქსიმალურად შენარჩუნდა ადრეული, ნებისმიერი განახლების მცდელობა.

რესტავრირებული გრაგნილები დაიხვა ფართო დიამეტრის, განიერ ხვეულზე და მოთავსდა სპეციალურად მისთვის დამზადებულ ყუთში, რომელიც დაიცავს დაზიანებისგან, მტვრისაგან, კლიმატური ცვლილებებისა და სხვა გარე გავლენებისგან. რეკომენდებული და აუცილებელია

წერილობითი ძეგლები ინახებოდა მდგრად (ტემპერატურა 16°C-20°C ტენიანობა 45%-55%) კლიმატურ პირობებში. შესაბამისი პირობების შექმნით ის დიდხანს იქნება დაცული, რასაც უზრუნველყოფს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.



Q-1071, XV ს.



H-511, XVII ს.



H-521, XVII ს.

სურ. 8

განახლება/რესტავრაცია. იმას, რასაც ჩვენ კონსერვაცია-რესტავრაციას ვუნოდებთ, X-XVIII სს. წერილობით ძეგლებში შემორჩენილი ცნობების მიხედვით, დაშლილი, დაძველებული ხელნაწერების აღდგენა-განახლება ეწოდებოდა (გაბიძაშვილი 2018:999). ხელნაწერების დაზიანებას იწვევდა როგორც გარემო პირობები (დაცვა-შენახვის ადგილი, ტენიანობა), ასევე შეგნებულად განხორციელებული აგრესიული ქმედება (პირვანდელი ნაწერის გადაფხევა-გადარეცხვა, ან გაცხოველება, ფურცელთა დაჭრა, ძარცვა).

ხელნაწერების კოლექციის ნაწილზე შემორჩენილია ადრეული რესტავრაციის კვალი და რესტავრატორ-განმაახლებელთა ანდერძ-მინაწერები (გაბიძაშვილი, 2018:999). ხშირად სამონასტრო კერები ხელნაწერი წიგნის შექმნის პარალელურად მიმართავდნენ ძველი ხელნაწერების რესტავრაციასა და ტექსტის აღდგენა/გაცხოველებას.

შესწავლილი გრაგნილების მცირე ნაწილის ანდერძ-მინაწერებში მითითებულია გადამწერთა სახელები: გიორგი მგალობელი (სათაურის ზემოთ) H-510, XV ს.; დავითა გოგიდიანი (ნაწილის) H-520, XV-XVI სს.; სუიმონ ცოდვილი (1v) H-1727, XII ს.; სვიმონ ქარცვალანი (v), H-2093ა, XV-XVI სს.; დემეტრე H-2401, XIII-XIV სს.; გადამწერი გაბრიელი, A-922, XIII-XIV სს.; „უღირსი იოანე“ K-605 (XVI ს.).

არშეიბზე მინაწერები შესრულებულია როგორც თანადროული, ასევე გვიანდელი მხედრულით, რომელთა ნაწილის წაკითხვა კიდევების დაზიანებების გამო რთულად ან ვერ ხერხდება, H-2064, XVI-XVII სს.; H-518, XVI ს.; H-1731, XVI-XVII სს.; K-606, XVI ს.:

„ამის მჩხიბავსა შეუნდენ ღმერთმან, ამინ“ (5r), A-757, XIII სს.

„დაინერა წმიდაა ესე მოციქული ჴელითა სუიმონ ცოდვილისაათა, რომელიცა აღმოავკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ ღ“თისათვს და თუ რაჲ უცბობით დაგუეკლოს, შეგვნდვეთ. ესე დანერილი წიგნი რომელ ჰრომით მოვიდა, რომელი მას შინა ეწერა. ყოველი დაუკლებელად დაგუინერია“ (1r), H-1727, XII ს.

„1909 წ 10 ივანობისთვესა, ამის მიხედვით შევასწორე ახლანდელი კონდაკი დავით ეპისკოპოსმა ალავერდისამ (კაჭახიძემ)“ (III კეფის r მხედრულით) A-922, XIII-XIV სს.

„უფალო ღმერთო შეუნდვენა ცოდვანი მისნი სულსა დავითა გოგიდიანსა. ვინაცა ჩემი შენდობაჲ ყავთა, თ“ქნცა შეგინდოსა ღმერთმან ყოველი ცოდვანი, ამინ“ H-520, XV-XVI სს.;

„მე, ცოდვისა ტვრთით დამძიმებულსა, ჭიათა და მატლთა განსალეველსა უნდოსო და უფროსს ფრიად სანყალობელსა ამისა მწერალსა იოანეს შეუნდეს ღმართმან, ამინ. მერმე მე-ულლეს და მშობლებს, ნავროსს და მარგალიტსა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“. K- 605, XVI ს.

ზოგიერთი კიდებზე მინაწერი არ იკითხება - N3 ფ.N1446, (კონდაკი XVს. 2 კეფი); N9 ფ.N1446 (კონდაკი, XIVს. 4 კეფი); N413-1 (ა) ფ.N1446, კონდაკი (XV-XVI სს. 9 კეფი); N413-2 (ბ) ფ.N1446, კონდაკი XV-XVI საუკუნე (9 კეფი); N433 ფ.N1446, (XIX ს.8 კეფი); არშიაზე მინაწერი მხედრულით მკრთალი და გადაშლილია ე-226 (XVI ს.); შესრულებული სხვადასხვა ეპოქაში ნუსხურით და მხედრულით K-605 (XVI ს.).


ტექსტის გაცხოველება. დროთა განმავლობაში მიღებული სხვადასხვა სახის დაზიანებებიდან, რომლებიც აღინიშნება ხელნაწერ გრაგნილებში, საყურადღებოა ტექსტისა და მელნის მდგომარეობა. ზოგიერთ ადგილას მელანი გადაშლილი/გალეული/გადასული/გადაცრეცილია და ტექსტის ადგილას მხოლოდ კონტურებია შემორჩენილი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ტექსტისა და ნაწერის სრულად დაკარგვა. „წერილობითი ძეგლების დაზიანება ზოგჯერ მხოლოდ ნაწერს დაეტყობოდა ხოლმე. დაშავებული ნაწერის განახლებას „გაცხოველება“ ერქვა“ (ჯავახიშვილი, 1949:79). ხელნაწერი წიგნის განმარტებებმა მოგვიანებით დაიწყეს დაზიანებული ტექსტის, შემორჩენილი ასოების კონტურებზე ტექსტის აღდგენა იმავე ან სხვა ფერის მელნით, რაც ვიზუალურად ადვილი შესამჩნევია. ეს დასტურდება ხელნაწერის აღმდგენელ/განმაცხოველებელი დავით რექტორის ანდერძით: „... ამას უკუე ეტრატისა კლემაქსსა, რაც თავსა ანუ ბოლოს აკლდა, ის ხუცურად დავსწერე, და შიგ რაც შეიძლებოდა, მოვაცხოველე...“ (A-285, XI) (აღწერილობა, (A) 1980:165; გაბიაშვილი, 2018:291). ხელნაწერების გაცხოველების მეთოდი გამოყენებულია როგორც კოდექსის ტიპის ხელნაწერებში, ასევე გრაგნილებში. გრაგნილ ხელნაწერებში ზოგიერთ ადგილას ასოები/ტექსტი გაცხოველებულია შავი მელნით Q-1660, XV სს.; H-512, XVI ს.; H-512, XVI ს.; S-4981, XIV-XV სს.; H-2401, XIII-XIV სს.; H-2401, XIII-XIV სს. A-757, XIII სს., H-513, XVI ს.; Q-1070, XVI ს.; S-4980, XII სს.; N9 ფ.N1446 (კონდაკი, XIVს. 4 კეფი);

ადრეული განახლება/რესტავრაცია. ეტრატის ფურცლების დაზიანებული ადგილების ძაფით (გამოყენებით) გამაგრება/აღდგენა ერთ-ერთი საინტერესო მეთოდია. გამოიყენებოდა სხვადასხვა ფერის ძაფი, იმ დროს მათ ხელთ არსებული მასალა და მეთოდი. დაზიანებული, მოცილებული, მოგლეჯილი ადგილების გამაგრების სწორედ ასეთი და მსგავსი მეთოდების გამოყენებით, ზოგიერთი გრაგნილი ხელნაწერი ჩვენამდე ფრაგმენტულადაა მოღწეული და გვეძლევა საშუალება თვალი გავადევნოთ ხელნაწერების აღდგენის პროცესს (თავაძე, მეგენიშვილი 2022:372).


დაზიანებული, ჩახეული ადგილები გაუმაგრებიათ ძაფით (ამოკერილია უხეშად) და ეტრატის პატარა ნაკუნით, ქვედა მარჯვენა მხარეს გახსნილი (ჩატეხილი) ადგილი ძაფით გაუმაგრებიათ (მე-3 კეფი). ქვედა მარცხენა მხარეს კი ეტრატის ნაგლეჯითაა გამაგრებული, რომელზეც ასოთა მოხაზულობა შეიმჩნევა. მარჯვენა მხარეს შუაში რომბისებური ჭრილია, რომელიც ხელნაწერის აკინძვისთვის იყო გათვალისწინებული (4 კეფი) H-191, XIV-XV სს.; დიაგონალურად, ასიმეტრიულად გადახეული ზედა ნაწილი გაუკერავთ ძაფით, სადაც მოყოლილია ასოები (ასოებზეა ნემსის ნახვრეტი) H-511, XVI ს.;

დაზიანებული ნაკლული ადგილი მოგვიანებით ფორმატის აღსადგენად ძაფით მიუმაგრებიათ ეტრატის ნაგლეჯი (ზედა მხარე მიმაგრებულია ძაფით, ქვედა ნებოს გამოყენებით), H-512, XVI ს.; შეიმჩნევა ჩახეული ადგილის ძაფით გამაგრების მცდელობა H-513, XVI ს.; გახეული ადგილი დამაგრებული/გაკერილი ყოფილა ძაფით, შეიმჩნევა ნემსის ნახვრეტები, დღევანდელი მდგომარეობით ძაფის მხოლოდ ფრაგმენტითაა დამაგრებული ეს ორი დაზიანებული ნაწილი, ტექსტთან ერთად H-518, XVI ს.; ორ ადგილას ძაფის გამოყენებით გაუმაგრებიათ ჩახეული ადგილები H-520, XV-XVI სს.; ამოჭრილი მინიატიურების ჩახეული და დაზიანებული, საზედაო ასოსთან და ანგელოზის გამოსახულებასთან ჩასერილი და ჩახეული ადგილები ძაფით გაუკერავთ და გაუმაგრებიათ S-4980, XII ს.; ჩახეული და დაზიანებული ადგილი გაკერილია უხეშად ძაფით, სადაც ტექსტიც მოყოლილია და ზიანდება H-2089, XV ს.; ჩახეულ ადგილას შეიმჩნევა გაკერვის კვალი, ნემსის ნახვრეტები და ძაფის ფრაგმენტი Q-1068, XVI ს.; მარჯვენა მხარეზე არშიებზე ჩახეული ადგილი ამოკერებულია გადაბმის თეთრი ძაფითვე, სამკუთხედი ფორმით N9 ფ.N1446 (კონდაკი, XIVს. 4 კეფი); ნაკლული ადგილები აღდგენილია ცისფერი

და მოყვითალო შეფერილობის ქალაღდი, დაზიანებული კიდეები გამაგრებულია მიკალენტის ქალაღდი N413-1 (ა) ფ.N1446, კონდაკი (XV-XVI სს. 9 კეფი);



H-515 XVI ს.



H-191, XIV-XV სს.

H-1327, XV ს.

სურ. 9

გრაგნილ ხელნაწერებზე ვხვდებით XX საუკუნის 60-80 წლებში შესრულებულ რესტავრაციას იმ დროს არსებული მასალებითა და მეთოდით: მიკალენტი, კონდენსატორი, ტონირებული ეტრატი ან ქალაღდი. ერთი კეფის ფორმატის აღსადგენად გამოყენებულია ეტრატი, ხოლო 3 კეფის ფორმატის აღსადგენად - ტონირებული ქალაღდი H-1447, XV ს.; რესტავრირებულია და გამაგრებულია მხოლოდ ზოგიერთი, იმ დროისთვის ძლიერ დაზიანებული ადგილები. გამოყენებულია მიკალენტის, კონდენსატორისა და მუქი ფერის სარესტავრაციო ქალაღდი. გამოყენებული მასალა ზოგიერთ ადგილად მოცილებულია ეტრატს. ახლანდელი მდგომარეობით ხელნაწერი გრაგნილის ყველა კეფი საკონსერვაციოა, აუცილებელია ძველი სარესტავრაციო მასალის დემონტაჟი H-2401, XIII-XIV სს.;

80-იან წლებში გამოყენებული სარესტავრაციო ქალაღდი დეფორმირებულია, საჭიროა დაზიანებული ადგილების კონსერვაცია S-3485დ, XVI-XVII სს.; გრაგნილის პირველი და მე-

ორე კეფის სარესტავრაციო მასალად, ნაკლული ადგილების აღსადგენად გამოყენებულია ახალი, ტონირებული ეტრატი, დანარჩენ კეფებს კონსერვაცია-რესტავრაცია ჩაუტარდა თანამედროვე სარესტავრაციო-საკონსერვაციო ქალაღლით S-4980, XII ს.; რესტავრირებულია თხელი ეტრატის ქალაღლით Q-1070, XVI ს.; მიუხედავად ძველი რესტავრაციისა, ახლანდელი მდგომარეობით გრაგნილის ყველა კეფი სარესტავრაციოა, H-2401, XIII-XIV სს.; S-3485დ, XVI-XVII სს.

რესტავრირებულია 1999 წელს, კეფის ფორმატი და ნაკლული ადგილები აღდგენილია ტონირებული ეტრატით, v-ზე ჩახეული ადგილები გამაგრებულია ეტრატის პატარა ნაკუნებით N9 ფ.N1446 (კონდაკი, XIVს. 4 კეფი); გრაგნილის ფორმატი აღდგენილია, რესტავრირებულია უხეში, მოყვითალო სარესტავრაციო ქალაღლით N137 ფ.N1446 (XVIII-XIX ს. 3 კეფი).

სარესტავრაციო. ვხვდებით ძლიერ დაზიანებულ, ნაკლებად დაზიანებულ და გადაუდებელ სარესტავრაციო ხელნაწერებს: H-1060, XIV-XV სს.; H-1327, XV ს.H-513, XVI ს.; H-517, XVI ს.; H-518, XVI ს.; H-519, XV ს.; H-520, XV-XVI სს.; H-1727, XII ს.; H-1411, XIV-XV სს.; H-1412, XV-XVI სს.; H-1728, XVII ს.; H-1730, XV ს.; H-1731, XVI-XVII სს.; H-2090, XVI-XVII სს.; S-4981, XIV-XV სს.; Q-267, XV-XVI სს.; Q-1068, XVI ს.; A-922, XIII-XIV სს.

მნიშვნელოვანია დაზიანებული ხელნაწერების განმენდა, დატენიანება/ დარბილება, დეფორმირებული ადგილების გასწორება, სტაბილიზაცია ინდივიდუალურად, სწორად შერჩეული მეთოდებით, ჩახეული, ჩატეხილი ადგილების შესაბამისი, თანამედროვე მასალით მათი მინიმალური კონსერვაცია: დაზიანებული ნაკლული ადგილების შევსება-გამაგრება; კეფების გადაბმის ადგილას ჩახსნილი ადგილების გამაგრება ძაფის გამოყენებით; კონსერვაცია-რესტავრაციის დროს, კეფებზე შემორჩენილი/არსებული/მოღწეული გადაბმა, ძაფით გამაგრებული დაზიანებული გაკერილი ადგილები, ასევე შემორჩენილი ძაფის ფრაგმენტები შენარჩუნდება, რჩება ხელშეუხებლად, როგორც მისი ისტორია, ხოლო ჩახსნილი ადგილები გაიკერება/დამაგრდება შესაბამისი ფერის ძაფით, გამოყენებული იქნება უკვე არსებული ნემსის ნახვრეტები.

რესტავრაცია. პროექტის მსვლელობის დროს (2022-2025 წწ.), სხვა ხელნაწერთან ერთად განხორციელდა და დასრულდა ზოგიერთი გრაგნილი ხელნაწერის კონსერვაცია-რესტავრაცია. ხელნაწერი გრაგნილების არქეოგრაფიული აღწერილობის, მდგომარეობის შეფასებისა და ძლიერი დაზიანებების გამო, გადაეცემა სარესტავრაციო ლაბორატორიას. თითოეული ერთეულისთვის შეირჩევა ინდივიდუალური მეთოდი. გამომშრალი და დეფორმირებული ეტრატები დატენიანდა ეტაპობრივად, ლოკალურად „სენდვიჩის მეთოდით“, დაზიანებული ადგილებისა და ფორმატის აღსადგენად გამოყენებულია თანამედროვე იაპონური სარესტავრაციო მასალა, ტექსტში ჩახეული და ნაკლული ადგილების შესავსებად კი ქალაღლის ბოჭკო და საკონსერვაციო ქალაღლი. კეფების გადაბმის ჩახსნილი/გახსნილი ადგილების გასაკერად გამოყენებულია არსებული ნემსის ნახვრეტები.

H-514, XVI ს.; H-911, XIXს.; Q-1449, XIXს.; Q-1525, XIXს.; Q-1069, 1720 წ. - რესტავრატორი ლ.სიმონიშვილი;

H-511, XVI ს.; H-1327, ს.; S-4980, XII სს. - რესტავრატორი თ.დვალისვილი;


Q-1071, XV სს. H-191, XIV-XV სს. - რესტავრატორი ლ.გოცირიძე;

Q-1263, XIV ს., H-1328, ს.; H-513, XVI ს. ს. - რესტავრატორი ა.გვაზავა;


H-510, XV ს., H-515, XVI ს.; H-516, XVI ს.; H-521, XVI სს.; H-1852, XV-XVI სს.; H-2064, XVI-XVII სს.; H-2091, XVI-XVII სს.; A-1553, XV-XVI სს. - რესტავრატორი შ.თავაძე.

პროექტის ფარგლებში კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევის შეფერხების გამო, ძლიერი დაზიანებების, მდგომარეობის შეფასებისა და არქეოგრაფიული აღწერილობის შემდეგ გრაგნილები გადაეცა სარესტავრაციო ლაბორატორიას. განხორციელდა გამომშრალი, გაუხეშებული, მტვრევადი, მსხვრევადი და დეფორმირებული რამდენიმე მძიმე მდგომარეობის ხელნაწერი გრაგნილის პრევენციული კონსერვაცია. შესაბამისი ღონისძიებების გატარების, მათი დარბილება/დატენიანებისა და მსუბუქი სიმძიმის ქვეშ გასწორების შემდეგ, ისინი ხელმისაწვდომი გახდა ტექსტოლოგებისთვის. კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევა ჩატარდა რესტავრატორის მეთვალყურეობით და დაუბრუნდა საცავს შემდგომი რესტავრაციისთვის: H-2089, XVს.; H-1727, XII ს.; სასურველია ხელმეორედ დატენიანდეს H-1729, XVI-XVII სს.

პროექტის განმავლობაში რესტავრატორისა და კოდიკოლოგების ერთობლივი თანამშრომლობა სასარგებლო და ნაყოფიერი აღმოჩნდა წერილობითი ძეგლების დაცულობის, შენახვისა და დაზიანებების პრევენციის თვალსაზრისით.



H-515, XVII. რესტავრაციამდე და შემდეგ



H-516, XVII. რესტავრაციამდე და შემდეგ

სურ. 10

შესწავლილი გრაგნილები დახვეული და მოთავსებულია ძალიან ვიწრო (მათთვის შეუსაბამო) ბუდეში, რაც დაზიანების გამომწვევის ერთ-ერთი მიზეზია. მნიშვნელოვანია გრაგნილების შენახვა-განთავსება და მათი პრევენცია. პრევენციული ღონისძიებების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ხელნაწერების შენახვა სპეციალურ, ნეიტრალური მასალისაგან დამზადებულ ყუთებში. ეს ხელს უწყობს მათ დაცვას მექანიკური დაზიანებისგან და გარემოში არსებული აგრესიული ფაქტორებისგან. გრაგნილები თავსდება ფილტრში და დეფორმაციის თავიდან ასაცილებლად ეხვევა ახლად გაკეთებულ განიერ, მუყაოს ხვეულზე. ეს ხვეული თავსდება სპეციალურად გრაგნილისთვის დამზადებულ ყუთში (თავაძე, 2010).

ამ დროისთვის ხეც-ში მხოლოდ რესტავრირებული გრაგნილების განთავსება/დაცულობამ შეიცვალა ფორმა, იხვევა განიერ/ფართო დიამეტრის მყარ ხვეულზე და თავსდება მისთვის სპეციალურად მომზადებულ ყუთში.

დაზიანებების თავიდან აცილება შესაძლებელია პრევენციული კონსერვაციის ნორმების დაცვით - სისტემატური მონიტორინგი, დროულად ჩატარებული სტაბილიზაცია, კონსერვაცია და მათი სწორად განთავსება.

პრევენციული კონსერვაციის ღონისძიებები შეიძლება განისაზღვროს რესტავრატორთა ჯგუფის მიერ, განახორციელონ და შეაფერხონ კოლექციების მდგომარეობის გაუარესება, მათი სტაბილურობის პერიოდის გახანგრძლივებისთვის. პრევენციული კონსერვაციის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ელემენტებია სწორი მოპყრობა, შენახვა, განთავსება და კოლექციების მართვა, რომელიც ფოკუსირებულია კოლექციებზე და არა ცალკეულ ობიექტებზე.

ეტრატის დაზიანება/სტრუქტურა. ეტრატზე შესრულებული თითოეული ხელნაწერი ინდივიდუალურია, მისი ფურცლების დაზიანების ხარისხი სხვადასხვაგვარია და განსაკუთრებულ კვლევის საგანს წარმოადგენს. დამუშავებული ეტრატი საკმაოდ გამძლე და მოქნილი საწერი საშუალებაა, რასაც ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერთა რაოდენობა და მათი მდგომარეობა, მაგრამ ეტრატსაც მოეპოვება ის თვისებები, რომლებიც მის დაზიანებას უწყობს ხელს.

ეტრატი საკმაოდ მგრძობიარეა გარემო პირობებისადმი, ადვილად იღებს ტენს ნესტიან გარემოში და ასევე ადვილად კარგავს ქსოვილში არსებულ სითხეს მაღალი ტემპერატურის დროს. ტემპერატურისა და ტენიანობის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს შეუქცევადი პროცესი - დეფორმაცია და კოლაგენური სისტემის სტრუქტურის დაზიანება (Fuchs 1991).

პერგამენტის დაზიანებები გამოწვეულია სინათლის, მაღალი ტემპერატურის, ტენიანობის, მიკროორგანიზმებისა და ატმოსფერული დამაბინძურებლების კომბინაციით, რაც იწვევს პერგამენტის მატრიცის როგორც ქიმიურ, ასევე ფოტოქიმიურ მოდიფიკაციას. ყველა ეს პროცესი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს, იწვევს პერგამენტის გაფუჭებას, ანუ მისი იერარქიული შიდა და ზედაპირული სტრუქტურის განადგურებას (Dolgin, 2007:96; 2009:3-4).

პერგამენტი და მისი მთავარი შემადგენელი კოლაგენი რთული მასალაა მისი ბუნებრივი ჰეტეროგენულობის გამო, რაც დამატებით გამწვავებულია ბუნებრივი დეგრადაციის შედეგად. პერგამენტის დეგრადაცია ვითარდება მაღალი ჰიდროთერმული სტაბილურობის ბოჭკოების სტრუქტურის ცვლილებების სხვადასხვა ეტაპის, ფიზიკური და ჰიდროთერმული სტაბილურობის შემცირების გზით. დეგრადაცია შეიძლება გადავიდეს ტერმინალურ სტადიამდე საგრძობლად დაშლილი ბოჭკოვანი სტრუქტურით, რომელიც ტენიან პირობებში შენახვით გარდაიქმნება ჟელატინისებრ ნივთიერებად, ან შეიძლება გადაიზარდოს ბოჭკოების მცირე ფრაგმენტებად. მაკროსკოპულ დონეზე ისეთი მახასიათებლების ცვლილება, როგორცაა ფერი, სიმტკიცე, სისქე და ა.შ. შეიძლება შეფასდეს მარტივი ტექნიკის გამოყენებით. ბოჭკოების სტრუქტურაში დაზიანების აღმოჩენა და გაზომვა შესაძლებელია მიკროსკოპულ დონეზე, თუმცა, გაუარესების პროცესი ყოველთვის ვერ გამოვლინდება ვიზუალურად და ამან შეიძლება გამოიწვიოს პერგამენტის შემდგომი დაზიანება, რომელიც გამოწვეულია არასათანადო დამუშავებით ან შენახვის პირობებითა და მოხმარებით. ამიტომ მარტივი და ვიზუალური მეთოდებით გამოვლენილი ყველა შესაბამისი სისტემატური მახასიათებელი, მონაცემების კორელაცია, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს დაზიანებისა და მასალის დაშლის პროცესს, ეტრატზე მიმდინარე ცვლილებების ევოლუციასა და მის გამომწვევ მიზეზებს, არის ყველაზე ეფექტური გზა პერგამენტის მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად, როგორც მისი პრევენციული კონსერვაციის, კონსერვაციისა და დაცულობის საფუძველი (Larsen, 2007).

პერგამენტის ორგანული შემადგენლობა, ძირითადად დაფუძნებულია კოლაგენზე (შედგება კოლაგენის ცილისგან), რომელიც ავლენს დისკრეტულ სტრუქტურულ იერარქიას. კოლაგენის დეგრადაციამ სტრუქტურული იერარქიის ნებისმიერ დონეზე დროთა განმავლობაში შეიძლება გავლენა იქონიოს ისტორიულად მნიშვნელოვანი ნერილობითი ძეგლების ფიზიკურ მახასიათებლებზე (Kennedy, 2003:61-80; Larsen, 2007; Mühlen, 2016:46-57).

პერგამენტის სტაბილური ბოჭკოვანი სტრუქტურის დეგრადაცია (მიდრეკილია) შესაძლებელია განვითარდეს ბოჭკოს სტრუქტურის ცვლილებით სხვადასხვა ეტაპებზე. შედეგად ხდება ჰიდროთერმული სტაბილურობის დაქვეითება, რაც იწვევს ბოჭკოვანი სტრუქტურის დაშლას, რომელიც გარდაიქმნება ჟელატინისებრ ნივთიერებად ნყალთან კონტაქტის ან ტენიან პირობებში შენახვისას (Larsen, 2002).

ადრე მხოლოდ ვიზუალური ასპექტები გამოიყენებოდა ხელნაწერების, გრაგნილებისა და წიგნის ყდის მდგომარეობის აღსაწერად. სტრუქტურული დაზიანების შეფასების სისტემის ჩამოყალიბებისას სხვადასხვა მეთოდთან ერთად (მარტივი, არადესტრუქციული, ვიზუალური,

- მიკრო, მაკროდონეზე) - გამოიყენება ინოვაციური კორელაციური ანალიზის სტრატეგია - ქიმიურ, სტრუქტურულ და თერმოქიმიური კვლევები (Larsen, 2003:74).

ბოლოდროინდელი კვლევები ტარდება ინტერდისციპლინური თვალსაზრისით რაც ითვალისწინებს მასალის ანალიზს და კარგად ასახავს მეცნიერთა მიერ გაკეთებულ დაკვირვებებს და სხვადასხვა დისციპლინას შორის მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროებას ხელნაწერის ისტორიის სრულად გასაგებად. გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობითა და კონსულტაციით პროექტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სპექტრული ანალიზი, რის საფუძველზეც შემუშავდება დაცვის რეკომენდაციები. X-ray რენტგენის დიფრაქციის (XRD), ფურიეს ტრანსფორმაციის ინფრანითელი სპექტროსკოპიის (FT-IR) და FT-Raman სპექტროსკოპიის, UV-vis-NIR რეფლექტოგრაფიისა და რენტგენის ფლუორესცენციის (XRF) სპექტროსკოპიის კომბინაცია გახდა არტეფაქტების, წერილობითი ძეგლების დახასიათებისა და დიფერენცირების სტანდარტული გზა. უახლესი აპარატურისა და ტექნოლოგიების მეშვეობით ტარდება კომპლექსური საექსპერტო კვლევები ნამუშევრების ავთენტიკურობის დადგენისა და დათარიღებისთვის. მსგავსი კვლევებით, თმის არხების მიმართულებით შესაძლებელია ხელნაწერებისთვის გამოყენებული ცხოველის ტყავის დადგენა, პერგამენტის ფაქტურისა და სახეობების განსაზღვრა (თავაძე, 2015). კვლევის ახალი მეთოდების გამოყენება - ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაინერგა და განხორციელდა 2018 წელს, კერძოდ, XVII საუკუნის დაზიანებულ ხელნაწერზე მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით ჩატარდა მელნის მორფოლოგიური და ელემენტური ანალიზი (თავაძე და სხვ. 2018:42).

ხელოვნების ნიმუშების დიაგნოსტიკური კვლევები შეიძლება იყოს ფუნდამენტური პასუხი რთული და მყიფე არტეფაქტების წარმოშობის, დათარიღებისა და ატრიბუტის შესახებ კითხვებზე, ასევე მათი აღდგენისა და კონსერვაციის მიდგომისთვის.

არაინვაზიური მეთოდები აჩვენებს მნიშვნელოვან უპირატესობებს მყიფე, გამომშრალი, მსხვრევადი, დაზიანებული არტეფაქტების შესწავლისას. ამ ტიპის მულტიკულტურული ნამუშევრები, როგორც წესი, ხასიათდება სხვადასხვა მასალის რთული კომბინაციებითა და სტრატეგიკაციებით. არაინვაზიური საერთო გამოკვლევები (ვიზუალური, მაკრო- და მიკროსკოპული შეფასება) დიდ დახმარებას უწევს დაზიანებების შეფასებას და მათი ქცევის პროგნოზირებას შენახვისა და კონსერვაციის დროს. კომპლექსური შესწავლა საფუძველად ედება საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოებს და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა მათი მოვლა-დაცვის საქმეში, რაც ითვალისწინებს კოლექციის შექმნასთან დაკავშირებულ პროცესების ზუსტ ცოდნას (Badea et al, 2007; Bicchieri et al, 2011:267-272).

თანამედროვე რესტავრაცია-კონსერვაცია კომპლექსურ სამეცნიერო დარგს წარმოადგენს, მაღალგანვითარებული ტექნოლოგიური აღჭურვიტა და კვლევითი მეთოდოლოგიებით. მისი მთავარი მიზანია ექსპონატის გადარჩენა, დაცვა და შენარჩუნება, რაც გულისხმობს ნივთის შემადგენელი მასალის ცოდნას, დამაზიანებელი ფაქტორების შესწავლას, გამოვლენილი დაზიანების ხარისხის განსაზღვრასა და ინდივიდუალური საკონსერვაციო მეთოდების შემუშავებას. საკონსერვაციო მიდგომების განვითარების პარალელურად, წლების მანძილზე ჩამოყალიბდა - რესტავრატორ-კონსერვატორის მკაცრად განსაზღვრული ქცევის წესები, კერძოდ, ეთიკის კოდექსი (E.C.C.O. „Professional Guidelines (II) Code of Ethics“: 2003).


პროექტის ფარგლებში ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიაში არაინვაზიური ტექნიკის გამოყენებით პერგამენტების ფიზიკურ-ქიმიური და სტრუქტურული თვისებების გასაზომად, როგორცაა

- FTIR-სპექტროსკოპია (LUMOS II)
- Raman სპექტროსკოპია (SENTERA II , BRUKER)
- სკანირების ელექტრონული მიკროსკოპი (VEGA 3 SEM, BRUKER)
- სტერეო ოპტიკური მიკროსკოპი
- სინათლის პოლარული მიკროსკოპი (Primotec, Carl Zeiss)


არადესტრუქციული და არაინვაზიური ტექნიკის გამოყენებით ხდება მდგომარეობის, ცვლილებების გრაფიენტები, გამძლეობის მახასიათებლებისა და საწერი მასალის გამოყენებადობის შეფასება. კულტურული ღირებულების ობიექტების მდგომარეობის შეფასების

შესაძლებლობა არადესტრუქციული ანალიზის დახმარებით დიდი მნიშვნელობა აქვს დაბალანსებული კონსერვაციის ღონისძიებების შემუშავებისთვის და საფუძველია პრაქტიკულ კონსერვაციაში გამოყენებისთვის.

ვინაიდან პერგამენტი სტრუქტურულად და ქიმიურად არაერთგვაროვანია და კოლაგენის მოლეკულის სამმაგი სპირალური სტრუქტურული ხვეულის დაბერების დროს ჟელატინის სტრუქტურად გარდაქმნამ, ჟელატინის მაღალმა პროპორციებმა შეიძლება დაზიანების პროცესი გახადოს უმართავი. კვლევისთვის გამოყენებულია ერთი ტიპის პერგამენტის ბუნებრივად მოცილებული კოლაგენის რამდენიმე ბოჭკო. აღნიშნული დაზიანებები ასახავს კონკრეტულ/ლოკალურ ადგილს და არა მთლიან ფურცელს სივრცეს/ფართობს, ფურცლის სხვადასხვა დაზიანებული ადგილების კვლევა შემდგომი კვლევის საგანია.




სურ. 11 სინათლის პოლარული მიკროსკოპი (Primotec, Carl Zeiss)




სურ. 12 SEM სკანირების ელექტრონული მიკროსკოპში მოთავსებული ნიმუში 63x.

მაღალი გადიდების SEM, ფოტოები გვიჩვენებს ნიმუშების მოცულობით მორფოლოგიას (ბოჭკოვანი ქსელი, ბზარები, დაშორებული და შეკუმშული ბოჭკო, მონყვეტილი და დასუსტებული ბოჭკოები)



სურ. 13 რენტგენოფლურესენტული ანალიზის სპექტრი.




სურ. 14 რენტგენოფლურესენტული ანალიზის შედეგის დიაგრამა

ქიმიური ელემენტი	wt. %
C	61.3
O	29.8
Ca	6.3
S	1.1
K	0.9
Si	0.6

სურ. 15 რენტგენოფლურესენტული ანალიზის შედეგი.

რენტგენოფლურესენტული ანალიზის სპექტრის შედეგით კვლევამ აჩვენა, რომ მასალა შედგებოდა ძირითადი ქიმიური ელემენტებით: ნახშირბადი (C) – 61.3 %, ჟანგბადი (O) – 29.8 %, კალციუმი (Ca) – 6.3 %, გოგირდი (S) – 1.1 %, კალიუმი (K) – 0.9 %, სილიციუმი (Si) – 0.6 % (ცხრილი 1).

ქიმიური ელემენტები და პროცენტული შემადგენლობა წარმოდგენილია დიაგრამის სახით, რომელიც გრაფიკულად გამოხატავს გარკვეული სიდიდეების შეფარდებას.



სურ. 16 ინფრანითელი სპექტრი, პერგამენტი. (FTIR-სპექტროსკოპია)

რენტგენის ფლუორესცენციის (XRF) ანალიზი არის მარტივი, უაღრესად ზუსტი ტესტის მეთოდი, რომელიც გამოიყენება მასალის ქიმიური შემადგენლობის დასადგენად და ელემენტების შემადგენლობის რაოდენობრივი განსაზღვრისთვის.

რენტგენის ფლუორესცენციის (XRF) ელემენტარული ანალიზის ტექნიკა იყენებს მაღალი ენერგიის რენტგენის სხივებს ნიმუშის მასალის ალგზნებისთვის, შემდეგ განსაზღვრავს მასალის შემადგენლობას გამოსხივებული გამოსხივების საფუძველზე. პროცესი არსებითად მსგავსია სკანირების ელექტრონული მიკროსკოპის (SEM).

მიღებული ანალიტიკური შედეგები მტკიცედ მიუთითებს, რომ შესაძლებელია ფიზიკურ თვისებებს შორის კორელაცია მაკროსკოპულ და მიკროსკოპულ დონეზე. მახასიათებლები, როგორცაა ჟელატინიზაცია და ბოჭკოების და ნიმუშების სიმტკიცე, შეიძლება აიხსნას რამდენიმე შემთხვევაში ქიმიურ და თერმულ მონაცემებში დაფიქსირებული სპეციფიკური მახასიათებლებით. ზოგადად, საბოლოოდ, კომპლექსური დაკვირვებები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა პერგამენტის პრაქტიკული კონსერვაციისთვის, აღდგენისა და შენახვასთან დაკავშირებით.

ჟელატინიზაცია და ჰიდროლიზი არის გაუარესების ძირითადი მექანიზმები, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს ცალკე ან გამოიწვიონ სინერგია ერთმანეთთან ან სხვა პროცესებთან, როგორცაა ჟანგვითი დაშლა. ჟელატინიზაცია, რთული შესაფასებელია მარტივი ვიზუალური ანალიზით, შეიძლება ძალიან მოკლე დროში გამოიწვიოს პერგამენტის შეუქცევადი დაზიანება, თუ ინახება არასასურველ ტემპერატურასა და ფარდობითი ტენიანობის პირობებში (ტენიანობა უბრალოდ არის წყლის ორთქლის რაოდენობა, რომელიც იმყოფება ჰაერში და იზომება „ფარდობითი ტენიანობით“ (RH), რომელიც მოდის პროცენტულად 0-100%. რეკომენდებული ტენიანობის დონეა 45%-55%. 60%-ზე მეტი ტენიანობა იწვევს კონდენსაციას და ასტიმულირებს ობის, სოკოს, ნაცრის განვითარებას).

არაინვაზიური და არადესტრუქციული ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება პერგამენტის „ჯანმრთელობის“ მდგომარეობის განსაზღვრისთვის. მაღალი მგრძობელობის ტექნიკის კომბინაცია საშუალებას იძლევა მორფოლოგიური, სტრუქტურული და თერმოდინამიკური რაოდენობრივი პარამეტრებით შეფასდეს დაზიანების ხარისხი. კონსერვაციის სპეციფიკური მეთოდების შემუშავება, რომელიც გადაჭრის (წყვეტს) პერგამენტის სრული მთლიანობის შენარჩუნების დილემას. გაუარესების დახასიათება, ანალიტიკური მიდგომების შემუშავების მცდელობა, რომელიც დაფუძნებულია ილუსტრირებული მეთოდების შესაფერის კომბინაციებზე, დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ უნდა იყოს დაცული პერგამენტები უკეთესად.

ტექნოლოგიები. პერგამენტი, რომელიც საუკუნეების უძღვს, დროთა განმავლობაში, სავარაუდოდ, ტენიანობისა და ნესტიან გარემოში შენახვის შედეგად შეიძლება გარდაიქმნას ჟელატინად და დახვეული ფენები გაუხეშებული/მტვრევადი/მსხვრევადი ხდება. ძლიერ დაზიანებული, მყიფე გრაგნილების ფიზიკურად გაშლა და დაწერილი ინფორმაციის (ტექსტის) აღდგენა შეუძლებელია, მათი ფიზიკურად გაშლის ნებისმიერი მცდელობა გამოიწვევს პერგამენტის ზედაპირის დაშლას, რის შედეგადაც დაუშვებელ/მიუღებელ/გამოუსწორებელ შედეგს მივიღებთ. შესაბამისად, ახალი საშუალებების გამოყენებით შესაძლებელია პერგამენტების შესწავლა მათი ფიზიკური გაშლის გარეშე.

მეცნიერები მსჯელობენ და შეიმუშავენ ამ რთული ამოცანის, მყიფე პერგამენტის გრაგნილზე (რომლის გახსნა შეუძლებელია) დაწერილი ინფორმაციის (ტექსტის) აღდგენა არაინტერვენციული მეთოდების - რენტგენის (X-ray) მიკროტომოგრაფიის (XMT) სკანირების - საფუძველზე მათი ვირტუალური გაშლა. პირველი ნაბიჯი ტოპოლოგიურად სწორი სეგნებტაციის შექმნაა, რაც რთულია რადგან პერგამენტის ფენები მნიშვნელოვნად განსხვავდება სისქეში, შეიცავს არსებით შიდა ტექსტურებს და შეიძლება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, შენებებული იყოს. ეს ტექნოლოგია ბოლო წლების განმავლობაში კვლევის უკიდურესად აქტიური სფეროა (Liu, 2018).

ახალი ტექნოლოგიები, რის საშუალებითაც ხდება გაუხსნელი მყიფე, დაზიანებული, დაზიანებული გრაგნილების დანახვა და ტექსტის ნაკითხვა, შემუშავებულია ალგორითმით წარმოდგენილი სეგმენტაციის ახალი მეთოდი, რომელიც გამოყენებულია პერგამენტის ვირტუალურად

ლური გაშლისა და ვიზუალიზაციისთვის, შესაძლებელია ძალიან დაზიანებული ადგილების და ერთმანეთთან მჭიდროდ მიმაგრებული ფენების დამუშავება (Samko, et. al, 2011).

მათემატიკური გამოთვლების გასაადვილებლად, მეცნიერთა ჯგუფმა გამოიყენა კონცეპტუალური ცილინდრების მიახლოებითი მოდელი, რითაც ვარაუდობენ, რომ თანმიმდევრული რულონების რადიუსი და გარშემოწერილობა იზრდება წრფივად, მუდმივი სიჩქარით. ეკვივალენტური ნაბიჯ-ნაბიჯი (ეტაპობრივი) პროცედურით გამოეყვანათ ორიგინალური გრაგნილის სიგრძე მისი ყველაზე გარე შემოზრუნების წრენირიდან (Ratzon, 2020).

გრაგნილის უაღრესად დეტალური რენტგენის კომპიუტერული ტომოგრაფიის (CT) სკანირებით, რომელიც შემდეგ გადის რამდენიმე ეტაპს, წარმოქმნის დახვეული გრაგნილის ზედაპირის ბრტყელი სურათს (The Herculaneum scrolls 2023).

ქალაღი. საქართველოში XI საუკუნიდან ეტრატთან ერთად უფრო მოხერხებული და იაფი საწერი მასალა - ქალაღი გამოიყენებოდა. ქალაღის დამზადება უძველეს დროში ჩინელებმა დაიწყეს, ჩინელებისგან არაბებმა შეითვისეს, არაბებისგან კი - ევროპელებმა. ამ უკანასკნელებმა დიდად გააუმჯობესეს ქალაღის წარმოების წესი და მთელ მსოფლიოში დაიწყეს ქალაღით ვაჭრობა (პატარიძე, 1965:48; სურგულაძე, 1978:38).

ქალაღზე ნაწერი უძველესი, X საუკუნით დათარიღებული ქართული ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავშია დაცული (გადამწერი იოანე-ზოსიმე Sin.34). ცნობილია, რომ უძველეს ქალაღს ბომბიციანი ეწოდებოდა (დანელია, სარჯველაძე, 1997:267).

საქართველოში ადგილობრივი წარმოების არ იყო, იგი ნახევარფაბრიკატის სახით შემოჰქონდათ ანუ ხამი ქალაღის სახით, ხოლო საბოლოო დამუშავება და საწერ მასალად მომზადება, მისი გახამება და გაღვსვა ადგილზე ხდებოდა გადამწერის ან მისი დამხმარე პირის მიერ, რაც XVI საუკუნიდან დასტურდება, ხოლო XVIII საუკუნის ბოლოდან გვხვდება ფერადი (ლურჯი, მწვანე) ქალაღი, რომელიც უმეტესად რუსეთიდან შემოჰქონდათ (პატარიძე, 1965:48-49,56). როგორც ანდერძებიდანაა ცნობილი ოსტატს „მლესავი“ ეწოდებოდა. „... კერძო დიაკონი, რომლისა ჴელითა იღვებოდა ქალაღი ესე“ (A-186, XVII-XVIII სს.) (ჟორდანიას, 1903:198; მესხია, 1982:132; აღწერილობა I (2), 1976:558), საწერი მასალის დამზადების შემდგომ ხდებოდა ტექსტის გადანერა.

პროექტის ფარგლებში შესწავლილი ქალაღზე შესრულებული გრაგნილების 26 ერთეულიდან, დიდი ნაწილი XVIII-XIX საუკუნით დათარიღებული ავგაროზებია, გვხვდება ბაგრატიონების Q-158ა (1კეფი, XVIII ს.), თუმანიშვილებისა Q-158ბ, (1კეფი, XVIII-XIX ს.) და თაქთაქიშვილების Q-158გ (1კეფი, 1825 წ.). გენეალოგიური ნუსხა, ასევე კონდაკი Q-1069 (26 კეფი, 1720 წ.). გვხვდება დედაბრული ხელით ნაწერი Q-1556 (6 კეფი, XIX-XX ს.), Q-1556ა (31 კეფი, XIX-XX ს.).

ქალაღზე შესრულებული გრაგნილები სხვადასხვა რაოდენობისა და ზომის ქალაღის ნაწილებისგან/კეფებისგან შედგება და მდგომარეობა შემდეგნაირია: კეფები ერთმანეთზე დაახლოებით 1 სმ.-ითაა გადადებული და გადაბმულია წებოს გამოყენებით. საწერი მასალა წინასწარ არის დამზადებული, ვინაიდან გადაბმის/გადაწებებულ ადგილებში ზოგან ტექსტია ნაწერი, ზოგან კი ჩანახატები/ილუსტრაციებია. გადაბმის ამ პრინციპით შთაბეჭდილება რჩება თითქოს გრაგნილის მთელი სიგრძე ერთიანი ფორმატისაა და ერთ მთლიანობას ქმნის (H-62, (10 კეფი, XIX ს.), H-173 (8 კეფი, XIX ს.), H-505 (6 კეფი, XIX ს.), H-506 (4 კეფი, XIX ს.), H-779 (8 კეფი, 1849 ს.), H-911 (7კეფი, XIX ს.), H-1788 (9კეფი, XIX ს.), H-2076, (16 კეფი, XVIII ს.), H-2420, (4 კეფი, XIX ს.), S-3364, (5 კეფი, XVIII ს.), A-1644 (10 კეფი, XIX ს. ჭვირნიშანი), Q-265, (7კეფი, XIX ს.), Q-1069 (26 კეფი, 1720 წ., შესრულებულია ჭვირნიშნიან ქალაღზე) (პატარიძე, 1969:59-77; 1965:124-132; 1973:210), Q-1072 (9კეფი, XIX ს.), Q-1073 (8კეფი, XIX ს.), Q-1317, (9კეფი, XIX ს.), Q-1355 (9კეფი, XIX ს.), Q-1380 (9 კეფი, XIX ს.), Q-1449, 10 კეფი, XIX ს.), Q-1525 (1 კეფი, XIX ს.), Q-1534 (4 კეფი, XIX ს.), Q-1556, (6 კეფი, XIX-XX ს.), Q-1556ა, (31 კეფი, XIX-XX ს.), Q-1559 (15 კეფი, XIX ს.). (აღწერილობა, (H), IV, 1950:216; (H) V, 1949:43, 285; აღწერილობა, (S), V, 1967:46; აღწერილობა, (A), V, 1955:142; აღწერილობა, (Q), I, 1957:271; (კოლექცია Q), კატალოგი (501-1207)).

გრაგნილების ძირითადი ნაწილის ფორმატი სრულია. განსაკუთრებით პირველი და ბოლო კეფებია დაზიანებული, აღენიშნება მინიმალური მექანიკური დაზიანებები Q-1069 (26 კეფი,

1720 წ.), ბზარები Q-1355 (9კეფი, XIX ს.). ზოგიერთზე კიდევები ორივე მხარესაა სხვადასხვა ზომის ჩახეული, მოხეული, გახეული, ჩატეხილი, ჩაკეცილი ადგილები, ძლიერ დაზიანებულია და რომლის მოცილების/მოძრობის საშიშროებაა, ნაკლებია ფორმატიც H-505 (6 კეფი, XIX ს.), H-506 (4 კეფი, XIX ს.), S-3364 (აღწერილობა, (S), 1967:46), (5 კეფი, XVIII ს.), A-1644 (10 კეფი, XIX ს.), Q-158ა (1კეფი, XVIII ს.), გადაბმის ადგილებში ნებოს ლაქებია Q-1556ა, (31 კეფი, XIX-XX ს.). ზედაპირზე აღენიშნება მუქი ფერი ლაქები. გრაგნილის ზოგიერთ კეფზე კიდევები არასწორად/უსწორმასწოროდაა ჩამოჭრილი, ზოგიერთ კეფზე კი, კიდევები ორივე მხარეს, გაშავებული და დაზიანებულია, რამდენიმე ადგილას ჭიისგან მიყენებული დაზიანებაა (4r-v), მე-3 კეფის მარჯვენა მხარეს ჩახეული ადგილი ძაფით გაუმაგრებიათ, თუმცა ამ დროისთვის გახსნილია, შემორჩენილია მოყვითალო ფერის ძაფის ფრაგმენტები Q-1355(-9კეფი, XIX ს.).

ზოგიერთ რესტავრირებულ გრაგნილზე კეფების გადაბმის ადგილებში კიდევები მოცილებულია ერთმანეთს H-506 (4 კეფი, XIX ს.). გრაგნილების უმრავლესობა პაგინირებული არ არის, მხოლოდ ზოგიერთ რესტავრირებულ გრაგნილზე შესრულებულია პაგინაცია (დანომრილია) ფანქრით ზედა მარჯვენა კუთხეში (H-62, (10 კეფი, XIX ს.), Q-1069 (26 კეფი, 1720 წ.), Q-1073 (8კეფი, XIX ს.), Q-1534 (4 კეფი, XIX ს.). ცხრა კეფისგან შემდგარ გრაგნილზე პირველი და მე-2 კეფი პაგინაციის გარეშეა, შვიდი - პაგინირებულია, პაგინაცია იწყება მე-3 კეფიდან, სადაც ტექსტის მელნით მიწერილია „1“ Q-1317, (9კეფი, XIX ს.).

გრაგნილების ნაწილი კალიგრაფს ტექსტისავე მელნით გაუფორმებია სხვადასხვა ფორმის ორნამენტებითა H-2076, (16 კეფი, XVIII ს.) და ილუსტრაციებით, გრაფიკული ჩანახატებით (H-62, (10 კეფი, XIX ს.), ნმ.გიორგის გამოსახულებით (H-173 (8 კეფი, XIX ს.), S-3364, (5 კეფი, XVIII ს.), ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის, დავით და კონსტანტინეს ილუსტრაციები H-505 (6 კეფი, XIX ს.), ავგაროზში ჩახატულია ფერადებით, მდარედ შესრულებული მინიატიურებით: ქრისტესი, დავით და კონსტანტინესი, დიმიტრისა, წმ.გიორგისა (ეს უკანასკნელი დაზიანებულია, დარჩენილია ვეშაპი და მახვილი), ჯვრისა, H-779 (8 კეფი, 1849 ს.). ტექსტისვე მელნითაა გაფორმებული სხვადასხვა ილუსტრაციებით - ჯვარი, ღვთისმშობელი ყრმით, ღვთისმშობელი, წიგნი, ეკლესია გუმბათი-ანგელოზებით H-911 (7კეფი, XIX ს.). ფერადი თავკაზმულობებითა და მინიატიურებით გაუფორმებიათ: იესო ქრისტე, ღვთისმშობლის, წმ. გიორგის, წმ. დიმიტრის, წმ. თეოდერესი, წმ. დავით და კონსტანტინესი H-1788 (9კეფი, XIX ს.). კალიგრაფს ტექსტისვე მელნით გაუფორმებია სხვადასხვა ფორმის ორნამენტებით (6 ექვსი), სათაურები ასომთავრული ხვეული ასოებით, ოქროვარაყითა და სინგურით, ასევე 20 მინიატიურაა: იესო ქრისტე ღვთისმშობელი, ედესის მთავარი, მოციქულები, წმინდანები და მთავარანგელოზი H-2076, (16 კეფი, XVIII ს.); ტექსტის მელნით შესრულებულია მინიატიურები: იესო ქრისტე, ღვთისმშობელი ყრმით H-2420, (4 კეფი, XIX ს.); ტექსტის მელნით და სინგურით შესრულებულია მინიატიურები: ა. ღვთისმშობელი მარიამი ყრმა იესოსთან ერთად. ბ. თეთრ ცხენზე მჯდომი წმინდა გიორგი S-3364, (5 კეფი, XVIII ს.). მოხატულია არაკვალიფიციურის მიერ: პირველ კეფზე - იოანე ნათლისმცემელი, მე-2 კეფზე - იესო ქრისტე, წმ.გიორგი Q-1559 (15 კეფი, XIX ს.); ასევე არაკვალიფიციურადაა მოხატული/შესრულებული მინიატიურები: პირველ კეფზე - იოანე ნათლისმცემელი, მე-2 კეფზე - იესო ქრისტე, წმ.გიორგი, Q-1559 (15 კეფი, XIX ს.).

გაფორმებულია სხვადასხვანაირი ლაბირინთებით, ტოტების მსგავსი (გატოტილი) და ოვალური მონახაზებით Q-158გ (1კეფი, 1825 წ.). ჩვილენი ღვთისმშობელი, ანგელოზი, ჯვარი, კიდობანი, წმ. გიორგი და სხვ. Q-265, (7კეფი, XIX ს.). ტექსტის ბოლოში გვხვდება ხელრთვა „მღდელი იოსება“, ილუსტრირებულია იესო ქრისტე, ღვთისმშობელი ყრმით, წმიდა მონამე დიმიტრი, დიდი მონამე თეოდორე, ყოვლად მძლეო მონამენი დავით და კონსტანტინე, წმ. გიორგი, მტრედი, ვაზის მტევანი, ვარსკვლავი Q-1072 (9კეფი, XIX ს.).

პირველი კეფის r-ზე გამოსახული იესო ქრისტე (1r) შესრულებული ყავისფერი და წითელი მელნით, ზოგიერთი ადგილი გადაცრეცილია. მე-3 კეფის v-ზე წმ. მონამენი დავით და კონსტანტინე (3v) შესრულებულია წითელი და ყავისფერი მელნით, ზოგიერთი ადგილი გადაცრეცილია. მე-5 კეფის v-ზე წმ. მონამე დიმიტრი (5v) შესრულებულია ყავისფერი მელნით, გამაგრებულია საკონსერვაციო ქაღალდით. მე-10 კეფის r-ზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით (10r), დაზიანებული და გადაშლილია, Q-1449, (10 კეფი, XIX ს.).

გრაგნილის ერთი კეფი შედგება 48 უჯრისგან, ჰორიზონტალურად - 8, ვერტიკალურად - 6. დასაწყისში/პირველ უჯრაში ფანქრით შესრულებულია ღვთისმშობელი ყრმით, ხოლო ბოლოში/48-ე უჯრაში ასევე ფანქრით გამოსახულია ჯვარი Q-1525 (1 კეფი, XIX ს.).

გვხვდება ცდომილება კეფების რაოდენობასთან დაკავშირებით. აღწერილობაში მითითებულია 4 კეფი, რეალურად კი ექვსია (H-505 (6 კეფი, XIX ს.). აღწერილობაში მითითებულია 5 კეფი, რეალურად კი გრაგნილი შედგება 4 კეფისგან H-506 (4 კეფი, XIX ს.). ზოგიერთ გრაგნილზე აღწერილობაში არ არის კეფების რაოდენობა მითითებული H-779 (8 კეფი, 1849 ს.), 5 კეფისგან შემდგარი გრაგნილი აღწერილობაში აღნიშნულია როგორც 1 ფურცელი S-3364, (5 კეფი, XVIII ს.).

ზოგიერთ გრაგნილზე გადამწერის სახელია მითითებული - მღვდელი ესტატე: „ჩემთა წელთა, ივლისს აღიწერა ესე ავგაროზი ხელითა მღვდელი ესტატე“ (უკანასკნელი ორი სიტყვა დაწერილია ასოხვეულით) H-779 (8 კეფი, 1849 ს.). გადამწერი - შიო გიგიშვილი H-911 (7 კეფი, XIX ს.); გადამწერი გრიგოლ A-1644 (10 კეფი, XIX ს.). მღვდელ-მონაზონი ისაკ (2v), ა. „აღიწერა ჩვენ მიერ. მღვდელმონაზონი ისაკისითა“. „ჩყნდ წელთა დეკემბრის დ“. (1854 წ. 4 დეკემბერი). (2v). მხედრული, ხელრთვა ძნელი გასარჩევია, იკითხება: ისაკ[ისი]თა, ბ. „ნიკოლოზ ერისთავს“ (1v) [გვიანდელი მხედრული, განსხვავებული, მომწვანო ფერის მელანი] Q-1380 (9 კეფი, XIX ს.).

გრაგნილების ნაწილი რესტავრირებულია XX საუკუნის 80-იანი წლების მასალით - მიკალენტის, კონდენსატორისა და სარესტავრაციო ქაღალდით H-173 (8 კეფი, XIX ს.), H-779 (8 კეფი, 1849 ს.). აღდგენილია ფორმატი. დაზიანებული (გახეული) ადგილი უხეშად არის გამაგრებული r მხრიდან თეთრი ქაღალდით, რომელიც ტექსტს ფარავს H-505 (6 კეფი, XIX ს.). კიდევზე მთელ სიგრძეზე პატარ-პატარა ჩახვევები, ზოგიერთი უმნიშვნელო, გადაკეცვის ადგილებში წარმოქმნილი დაზიანებები გამაგრებულია უხეშად თეთრი ფერის სქელი ქაღალდით H-911 (7 კეფი, XIX ს.). მე-4 კეფის მარცხენა მხარეს ქვედა ნაწილში დაუზიანებელ ადგილას ძაფის ფრაგმენტია შემორჩენილი (სავარაუდოდ, ჩანიშვნის მიზნით) H-911 (7 კეფი, XIX ს.).

XX საუკუნის 60-80-იან წლებში უხეში ქაღალდით/მასალით რესტავრირებულ ერთეულებსაც აღენიშნება მინიმალური დაზიანებები, ჩახეული ადგილები H-1788 (9 კეფი, XIX ს.). ზოგიერთი ადრე მიკალენტის, კონდენსატორისა და ქაღალდის გამოყენებით რესტავრირებული გრაგნილი ხელნაწერები დახვევის ნაცვლად დაკეცილია მთელ სიგრძეზე რამდენჯერმე და მოთავსებულია ძველ საქაღალდეში H-2420, (4 კეფი, XIX ს.), Q-158ა (1 კეფი, XVIII ს.), Q-158 ბ, (1 კეფი, XVIII-XIX ს.), Q-158გ (1 კეფი, 1825 წ.), Q-1317, (9 კეფი, XIX ს.), Q-265, (7 კეფი, XIX ს.), Q-1072 (9 კეფი, XIX ს.), Q-1449, 10 კეფი, XIX ს.), Q-1525 (1 კეფი, XIX ს.), Q-1556ა, (31 კეფი, XIX-XX ს.), Q-1559 (15 კეფი, XIX ს.). გრაგნილების ნაწილი დაზიანებული და სარესტავრაციოა. დაზიანებები აღენიშნება ადრე რესტავრირებულ გრაგნილებსაც, რაც გამოწვეულია როგორც მისი ვიწრო ბუდეში განთავსებით, ისე მოხმარებით. რეკომენდაციის გათვალისწინებით აუცილებელია, გაიწმინდოს, ჩახეული, დაზიანებული, ნაკლები ადგილები შეივსოს, ჩაუტარდეს მინიმალური კონსერვაცია თანამედროვე სარესტავრაციო მასალით, A-1644 (10 კეფი, XIX ს.), S-3364, (5 კეფი, XVIII ს.), Q-1073 (8 კეფი, XIX ს.), Q-1355 (9 კეფი, XIX ს.), Q-1380 (9 კეფი, XIX ს.), Q-1355 (9 კეფი, XIX ს.), დახვეულია მჭიდროდ და მოთავსებულია ტილოსგან შეკერილ ვიწრო, გრძელ ბუდეში (23x5,3), Q-1534 (4 კეფი, XIX ს.) დახვეულია ვიწროდ/მჭიდროდ და მოთავსებულია პატარა ბუდეში. სასურველია დაიხვეს ფართო/განიერ დიამეტრის ხვეულზე და მოთავსდეს სპეციალურად მისთვის დამზადებულ ყუთში/საქაღალდეში მათი დაცულობის, განთავსებისა და პრევენციის გათვალისწინებით.

მიმდინარე კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესი ტარდება თანამედროვე საკონსერვაციო-სარესტავრაციო მასალით. არქეოგრაფიული აღწერილობისა და რეკომენდაციის გათვალისწინებით 2024 წელს გრაგნილების ნაწილს ჩაუტარდა კონსერვაცია: H-911 (7 კეფი, XIX ს.), Q-1069, (1720 წ.) - რესტავრატორი ლ.სიმონიშვილი, H-2076, (16 კეფი, XVIII ს.) - რესტავრატორი შ.თავაძე; Q-1559 (15 კეფი, XIX ს.).

სალიტერატურო შინაარსის გრაგნილთა არქეოგრაფიული აღწერილობისა და კონსერვაციის პროცესში ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საწერ მასალაზე (ეტრათი, ქაღალდი) შესრულებული წერილობითი სიძველეების პრევენციული კონსერვაცია გრძელვადიან შედეგს გვაძლევს იმ შემთხვევაში, თუკი იგი დაეყრდნობა

როგორც სარესტავრაციო დარგის თანამედროვე სტანდარტებსა და კვლევებს, ასევე ხელნაწერ სიძველეთა კოდიკოლოგიური შესწავლის შედეგებს.

მღვდელმან ლოცვაჲ ესე: მეუფეო ცათაო, სიბრძნისა წინამძღვარო და მეცნიერებისა მომნიჭებელო, უგულისწმობთა თანა მსწავლებელო და გლახაკთა ჴელისა ამპყრობელო, და განამტკიცენ და გულისწმიერ ყვენ გული ჩემი. მეუფეო, შენ მომეც მე სიტყუაჲ სიტყუაო²¹⁹ მამისო, რამეთუ ბაგენი ჩემნი არა დავიდუმნე ჴმობადა შენდამი. მოწყალეო, მოწყალე მექმენ შევრდომილსა²²⁰ შენსა.

მღვდელმან დაიბანოს ჴელნი და იტყოდის: დავიბანე უბრალობითა ჴელნი ჩემნი და გარემოვადგე საკურთხეველსა შენსა.

სმენად ჴმაჲ ქებისა შენისა.

მღვდელმან ლოცვაჲ ესე: უფალო, ღმერთო ჩუენო, გარდამომივლინე²²¹ ჩუენ ძალი მაღლით და განამაძლიერე მე მსხურებასა²²² ამას შენსა ზედა დაუსჯელად წარდგომად წმიდასა და საშინელსა და შესაძარასანუნებელსა საკურთხეველსა შენსა და შეწირვად შენდა უსუსხლო იგი მსხუტრპლი, რამეთუ შენი არს სუფევა.

რომელნი ქერასბინთა დასრაულობისა (sic).

ამ[ბ]ორს უყო უერთიერთასა.

დიაკონმან: მომიწსენენ, მეუფეო.

მღვდელმან: უფალმან მოგიწსენოს სასუფეველსა მისსა ყოვლადვე ან.

დიაკონმან: აღვასრულოთ ვედრებაჲ ჩუენი, უფალო. უფლისა მიმართ ვილოცოთ.

წინადაგებულთა²²³ ამათ .

წმიდისა ამის.

ჴსნადა ჩუენდა.

და ყოველთათჳს, რომელნი.

მღვდელმან ლოცვაჲ ესე: უფალო, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, მხოლოო წმიდაო, //5r რო-მელი შეიწირავ მსხვერპლსა ქებისასა მათგან, რომელნი გხადიან ყოვლითა გულითა მათითა, მიითუალე ჩუენიცა, ცოდვილთა, ვედრებაჲ და შეწირვა წმიდასა შენსა საკურთხეველსა და კმა-მეყვენ²²⁴ ჩუენ შეწირვად შენდა ძღვენთა და მსხუტრპლთა სულიერთა ჩუენ ცოდვილთა და ერისა უმეცრებისათჳს; და ღირს-მყვენ ჩუენ პოვნად მაღლსა შენსა; კეთილმითვალულ ყოფად შენდა მსხუტრპლი ესე ჩუენი დამკვდრებად სულისა მაღლისა შენისა წინამდებარეთა ამათ ძღვენთა ზედა და ყოველსავე ერსა შენსა ზედა.

დიაკონმან: შეგვენინენ, გუტხოვნენ, შეგვენყალენ და დაგკცვენ, ღმერთო, ყოვლითა მაღლითა.

დღე ყოველი სრულიად სინმიდით, მშჳდობით.

ანგელოზნი მშჳდო.

შენდობაჲ და მოტევებაჲ.

²¹⁷ ჩნ

²¹⁸ განაყოფილი

²¹⁹ სიტყოო

²²⁰ შევარდომილსა

²²¹ გრადამომივლინე

²²² მსახაურებასა

²²³ წინადაგებაულთა

²²⁴ კუმაჲ-მეყვენ

კეთილნი²²⁵ და უმჯ.

ქრისტეანობით აღსასრულნი.

შემდგომნი ჟამნი.

ყოვლად წმიდისა, უხრწნელისა.

წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა.

მღდელმან ამაღლება: მონყალებაათავს მხოლოდ შობილისა ძისა შენისა რომლისა თანა კურთხეულ ხარ, ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხოველმყოფელით სულით შენით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მღდელმან: მშკდობაჲ ყოველთა.

ერმან: და სულისაცა შენისა თანა.

დიაკონმან: ვდგეთ კეთილად²²⁶, ვდგეთ შიშით და კრძალვით. მოხედენ წმიდასა ამას შესანირაჲსა²²⁷ მშკდობით შენირჲად.

წყალობაჲ მშკდობაჲ. შესანირაჲვი ქებისა.

მღდელმან: მადლი უფლისა ჩუენისა იესუს ქრისტესი და სიყუარაული ღმრთისა მამისა²²⁸, და ზიარებაჲ სულისა წმიდისა იყვენ თქუენ ყოველთა თანა.

და სულისაცა შენისა.

მღდელმან: ზე გკქუნდეს გულნი.

ვამადლობთ უფალსა.

ერმან: გუაქუნდეს უფლისაჲ მიმართ.

ღირს - არს²²⁹ და მართალ.

მღდელმან ლოცვაჲ ესე: ღირს არს და მართალ შენდა ქებაჲ, შენდა კურთხევაჲ, შენდა გალობაჲ, შენდა მადლობაჲ, შენდა თაყუანისცემად ყოვლისა ადგილისა მეუფებისა შენისა რამეთუ შენ ხარ ღმერთი//**1v** გამოუთარგმანებელი, უხილავი, მიუწდომელი; მარადის ხარ შენ, ვითარცა-იგი ხარ; შენდა მხოლოდშობილი ძე შენი და სული შენი წმიდაჲ; არარსისაგან არსებაჲ მო[მ]იყუანენ ჩუენ, ყოველნი დაცემულნი, კუალად აღამადგინე და არსისგან ყოველივე ქმნად ვიდრემდის ზეცად აღამიყუანენ ჩუენ და მოგუმადლე სოფელი მერმისა ამის. ამა ყოველთათჲს გმადლობთ შენ და მხოლოდ შობილისა ძისა შენისა და სულისა შენისა წმიდისა ყოველთათჲს, რომელნი უწყნით და რომელნი არა უწყნით საჩინოთა და უჩინოთაჲ ქველისმოქმედებათა ჩუენდა მომართ ქმულთა. გმადლობთ შესანირაჲვისაცა²³⁰ ამისთჲს, რომელსა ჴელთა ჩუენთა შენირჲა ღირს იქმენ; დადაცათუ გარემოგადგენ შენ ათასეულნი მთავარანგელოზნი და ბევრეულნი ანგელოზნი, ქერაბინნი და სერაბინნი ექუს-ექუს ფრთენი მრავალ თუალნი აღაპყრობილნი ფრთებითა.

მღდელმან ამაღლება: ძღვევისა გალობისა²³¹ მგალობელნი. მჴმობელნი მალაღადებელნი და მეტყუელნი²³² იტყუს.

ერმან: წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ²³³.

მღდელმან ლოცვაჲ: ყოვლად ამათ სანატრელთა ძალთა ჩუენცა, მეუფეო კაცთმოყუარეო, ვჴმობდით და ვიტყვთ: წმიდა^o ხარ, წმიდაჲ ხარ და ყოვლად წმიდაჲ, დიდად შუწნიერი. დიდებაჲ შენ, რომელმან სოფელი შენი ესრეთ შეიყუარა, ვითარცა მიცემადმდე მხოლოდ შობილისა ძისა შენისა, რაჲთა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს, იგი არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნო. რამეთუ რომელი-იგი მოვიდა-რაჲ ჩუენთჲს და ყოველივე განგებულებაჲ სრულყო ღამესა მას, რომელსა მიეცემოდა, უფროსლა მისცემდა თავსა თჲსსა ცხორებისათჲს სოფლისა; მოილო პური წმიდათა და უხრწნელთა და უბინოთა ჴელთა, ჴმადლობდა²³⁴ და აკურთხა და წმიდაჲ-ყო, განტეხა და მისცა წმიდათა მისთა მონა[ა]ფეთა და მოციქულთა მეტყუელმან.//**2v**

²²⁵ კეთილნი

²²⁶ კეთილად

²²⁷ შესანირაჲსა

²²⁸ მამისა+ა

²²⁹ ღირს-არს

²³⁰ შესანირაჲსაცა

²³¹ გლობისა

²³² მეტყუელნი

²³³ საბოთ

²³⁴ მაჴდლობდა

ამაღლებად: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჯორცი ჩემი თქუენთჳს განატეხილი და მარავა-
ლთათჳს მისატევებელად ცოდვათა.

საიდუმლოდ.

ეგრეთვე სასუმელიცა²³⁵ შემდგომად სერობისა.

ამაღლებად: სჳთ ამისგან ყოვეთა. ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთაქუმისა თქუენთჳს და-
ნთხეული მრავათათჳს მისატევებელად ცოდვათა.

ერმან: ამინ.

მოსხენებულნი უკუე საცხორებელისა ამის მეცნიერებისანი [და ყოველთა] ჩუენთჳს ქმნუ-
ლთა ჯუარცუმისა, დაფლვისა სამ დღე, აღადგომისა ზეცად აღასალვისა მარჯუენით ჯდომი-
სა მეორისა და დიდებულისა კუალად მოსლვისანი.

მღღელმან: შენათანა შენთაგანი შენდა შემწირველნი ყოვლისათჳს და ყოველთა.

დიაკონმან: შენ გიგალობთ, შენ გაკურთხევთ,²³⁶ შენ გმადლობთ და გევედრებით შენ
ქრისტეო, ღმერთო ჩუენო.

მღღელმან ლოცვაჲ ესე: მერმეცა შევსწირავთ შენდა სიტყუკერსა ამას და უსისხლოსა
მსხუჭრპლსა; გხადით შენდა და გევედრებით, გარადამოუვლინე სული შენი წმიდაჲ ჩუენ ზედა
და წინამდებარეთა ამათ ძღვენთა.

მღღელმან ფეშუამსა ჯუარი დასწეროს. დაყავ პური ესე პატიოსანი, ჯორცი ქრისტე შენისა.

ბარძიმსა ჯუარი დასწეროს: ხოლო სასუმელი ესე, პატიოსანი სისხლი ქრისტე შენისა.

ორსავე ჯუარი დასწეროს: შესცუალე სულითა ყოვლითა წმიდითა.

მღღელმან: რაჲთა ექუმნას მიმღებელთა განსაფრთხილებელად სულისა, მისატევებელად
ცოდვათა, შესანდობელად ბრალთა, ზიარებად წმიდისა სულისა შენისა, სასუფელისა ცათასა,
დამკუდრებად, ნუ სასჯელად გინა დასასჯელად. მერმეცა შევსწირავთ შენდა სიტყუკერსა ამას
მს[ა]ხურებასა სარწმუნოებით განსუჭნებულთათჳს: პირველთა მამათმთავართა, წინასწარმე-
ტყუელთა, მოციქულთა, ქადაგთა, მახარებელთა, მონამეთა, აღამსრებელთა,²³⁷ მამარხუელთა
და ყოველთა სულთა სარწმუნო[ე]ბითა აღასრულებულთა.

მღღელმან: უმეტესად²³⁸ ყოვლად წმიდისა, უხრწნელისა და უფროსად²³⁹ კურთხეულისა
დედოფლისა ჩუენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულის მარიამისათჳს. ჰე, ყოვლად
საგალუბელო დედო ქრისტეს ღმრთისო.

დიაკონმან: გიხაროდენ, გიხაროდენ.

წმიდისა იოანე წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლის მცემელისა.

წმიდისა იოანე ოქროპირისა. წმიდისა დიდისა ბასილისი. წმიდისა გრიგოლისი. წმიდაჲ ათა-
ნასი, წმიდაჲ დიმიტრი, წმიდაჲ ნიკოლოზ, წმიდაჲ თე, წმიდაჲ გიორგი, წმიდაჲ სუმონ საქუ-
რველთმოქმედი და წმიდაჲ რომელსა დღეს ჳსენებასა²⁴⁰ აღავასრულებთ ყოველთა წმიდათა
შენთა ვედრებითა მომხედენ ჩუენ და მომიჳსენენ ყოველნი დაძინებულნი სასო[ე]ბითა აღა-
დგომისათა და განუსუჭნე სადა-იგი მიხედავს ნათელი პირისა შენისა.

აქა მიცვალებულნი მოიჳსენენჳსენენ, ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო, სული **გონიერის
ლებანიძისა და თანამეცხედრესა მამისდედს** შეუნდვენეს ღმერთმან ცოდვანი მათნი.

მღღელმან: მერმეცა გევედრებით შენ, მოიჳსენე, უფალო, ყოვლისა ებისკოპოზისა, მა-
რთლმადიდებელთა, მართმკუჭთელთა და ყოვლისა მღღელობისა ქრისტეს მიერ დიაკნობისა
და ყოვლისა სამღღელოსა და სულისაჲ.

მერმეცა შევასწირავთ სიტყუკერსაჲ და უსისხლოსა მსხუჭრპლსა სოფლისათჳს და წმიდა-
სა კათაოლიკე და სამოციქულოსა ეკლესიასათჳს უბრ[ა]ლოდ და ღირსებით მოქალაქეობისა
მქონებელთათჳს, მორწმუნეთა, ქრისტეს მოყუარეთა მეფეთა ჩუენთა და ყოვლისა პალატისა
და მჳედართა და ყრმებისა მათისათჳს. მიეც მათ, უფალო, მშუდობით მეუფებაჲ, რაჲთა ჩუენცა
მეუფებასა შინა ყმათასა დაწყნარებული და მყუდრო ცხორებაჲ გუაქუნდეს ყოვლითა კეთილ-
მსახურებითა და პატიოსნობითა.

²³⁵ სასუმელიცა

²³⁶ გავაკურთხევთ

²³⁷ აღამსრებელთა

²³⁸ ომეტესად

²³⁹ უფროსად

²⁴⁰ ჳსენებასა

დიაკონმან: და რომელიცა თ[კთ]ეულისა თვისა გონებასა აქუნადეს.

ერმან: ყოველთა და ყოველისათს.

მღვდელმან: პირველთა თანა მოიწესენენ, უფალო, მთ[ა]ვარებისკოპოზი ჩუენი სახელით. რომელი მომადლე წმიდათა შენთა ეკლესიათა მშუდობით, ცოცხლობით პატიოსნად, სიმრთ[ე]ლით, დღეგრძელობით, მართლმადიდებლობით მართლმკვთეობით, მართლგამომეტყველობით სიტყვისა შენისა ჭემმარიტისა.

ერმან: ამინ.

მღვდელმან: მოიწესენენ, უფალო, ქალაქსა ამას შინა, რომელსა ვასხემობთ და ყოველთა ქალაქთა და სოფელთა და ს[ა]რწმუნოებითა და მკვდ[ე]ლ[ე]რთა მას შინა;

მოიწესენენ, უფალო, მენავეთა, მოგზაურთა, სნეულთა, მშრომელთა, ტყუჴთა ჴსნისა და ცხორებისა მათისათს.

მოიწესენენ, უფალო, ნაყოფთა მომრთმეველნი და კეთილისა მყოფელნი წმიდათა შენთა ეკლესიათანი; მომწესენებელნი გლახაკთა თვსთა და მეგობართანი და ჩუენ ზედა მოწყალეზანი შენნი გარადამოუვლინენ.

მღვდელმან თაყუანისცეს ტრაპეზსა და თქუას: და მომეც ჩუენ, უფალო, ერთითა პირითა და ერთითა გულითა დიდებად, გალობად ყოვლად პატიოსანსა და დიდად შუწნიერსა სახლსა შინა მამისა, ძისა და წმიდისა სულისა ან და მარადის და უ.

და იყუნენ წყალობანი დიდისა ღვთისა მაცხოვრისა ჩუენისა იესუს ქრისტესი თქუენ ყოველთა თანა.

დიაკონმან: და სულისაცა შენისა თანა. ყოველთა წმიდათა მომწესენებელთა მერმეცა და მარადის მშუდობით უფლისაჲ .

შენირულთა ამათ და განწმედელთა პატიოსანთა ძღვენთაჲ უფალსა ღმერთსა ჩუენსა ვევედროთ. კვრიელჴსონი.

რახთა კაცთა მოყუარემან ღმერთმან, შემწირველმან ამათმან წმიდათა ზემთა ცათასა²⁴¹ საცნაურისა საკუთხეველისა მისისათს, უფლისა.

ნაცუღვად გარადამოგვივლინოს ჩუენ მადლი სული წმიდისა, უფლისა.

ჴსნად ჩუენდა და ყოველთათს, რომელნი ითხოვენ ღვთისაგან.

მღვდელმან ლოცვაჲ: შენ გევედრებით ყოველსა ცხორებასა და სასოებასა ჩვენ, მეუფეო კაცთმოყუ[ა]რეო, გხადით შენ და გევედრებით და შეგივარდებით ღირს- მყუჴნ ჩუენ მოღებად წმიდათა შენთა საიდუმლოთა წმიდისა ამის სულიერისა ტრაპეზისა წმიდითა სუნდისითა მოსატევებელად ცოდვათა შესანდობელად ბრ[ა]ლთა, სულისა წმიდისა ზიარებად, სასუფეველისა ცათასა დამკვდრებად, ნუ სასჯელად გინა დასასჯელად.

დიაკონმან: შეგვენიენ, გუაცხონენ.

დღე ყოველი სრულად სინმიდით.

ანგელოზნი მშუდობისა.

შენდობად და მოტევებად.

კეთილნი და უმჯო.

შემდგომნი ჟამნი.

ქრიატეანობილნი.

ერთობესა სარწმუნოებასაჲ.

მღვდელმან: და ღირს [მ]ყვენ ჩუენ, მეუფეო, კადნიერებითა დაუსჯელად კადრებად და ხადად შენდა ზეცისა ღვთისა მამისა მოწყ[ა]ლისა თქმად: „მ[ა]მაო ჩვენო“.

მღვდელმან ჴელნი აპყრნეს: რამეთუ შენი არს სუფევაჲ, ძალი და დიდებაჲ მამისა, ძისა და წმიდისა სულისაჲ.

მღვდელმან: მშუდობაჲ ყოველთა.

დიაკონმან: თავნი ჩუენნი უფალსა.

მღვდელმან ლოცვაჲ: მადლობთ შენ, მეუფეო უხილავო, რომელმან უზომოთა ძალითა შენითა ყოველნივე დაბადენ და სიმრთელითა შენითა წყალობათა შენთა არაარსისაგან არსად მომიყუანენ; ყოველნივე შენ უკუნისამდე, მეუფეო, ზეცით მოიხ[ი]ლე მათ ზედა, რომელთა მოუდრეკიან თავანი მათნი, რამეთუ არათუ ჴორციითა და სისხლითა მოუდრეკიან, არამედ შენ სა-

²⁴¹ ცჲ

შინელსა ღმერთსა²⁴² შენ უკუე, მეუფეო, ჩუენ ყოველთა წინამდებარენი კეთილ განსწრაფილნი თვითეულისა საჭუმარისაებრ მენავეთა თანა მენობ[ა]და, მოგ ზაურთაჲ თანა მოგ ზაურობ[ა]და, სნეული განკურნე, მკურნალო, სულთა და ჯორცთა ჩვენთაო.

ამაღლებაჲ: მაღლითა და წყალობითა და კაცთმოყუარობითა მხოლოდ შობილისა ძისა შენისათა, რომლისა თანა კურთხეულ ხარ ყოვლად წმიდით ს[ა]ხი[ე]რით და ცხოველს მყოფელით სულით შენით.

მღდელმან ლოცვაჲ: მოიხილე, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, წმიდით სამკვდრებელით, საყდრით დიდებისა და სუფევებისა შენისა, მოვედ წმიდა-ყოფად²⁴³ ჩუენდა, რომელი მამისა თანა მჯდომარე ხარ და აქა ჩუენ თანა მეუფობ და ღირს-ყუჴნ მტკიცითა ჴელითა შენითა მოცემად ჩუენდა უხრწნელი ჴორცი და პატიოსანი სისხლი შენი ჩუენ ზედა და ყოველსა ერსა შენსა ზედა.

დიაკონმან: მოჴედეთ.

მღდელმან აღამალოს წმიდა-იგი პური და თქუას: წმიდანი წმიდათა.

დიკონმან: ერთარს წმიდაჲ, ერთარს უფალი იესუ ქრისტე სადიდებელად ღვთისა, ამინ.

მღდელმან ლოცვაჲ: წმიდაო სამებაო, ერთარსებაო, მიუწდომელო ძლიერებაო, განუყოფელო მეუფებაო, ყოველთა კეთილთა მიზეზო, სათნო-მეყავ²⁴⁴ მე, ვითარცა ადამს, გ[ა]ნანათლენ გული და გონებაჲ ჩემი, რაჲთა მარადის გიგალობდეთ და ვიტყოდეთ: ერთარს წმიდაჲ, ერთარს უფალი იესუ ქრისტე სადიდებელად ღვთისა მამისა, ამინ

მღდელმან ლოვა ესე: გმადლობთ შენ, უფალო, ღმერთო ჩუენო, ყოველივე და ყოვლადვე და ყოველსავე შინა, რამეთუ ღირს-მყავ მე, ცოდვილი ესე და უღირსი მონა შენი, დღესა ამას ზიარებად ზეცისა საიდუმლოთა შენთა უხრწნელთა და უკუდავთა; შეგივარდები შენ, უფალო, ნუმცა მექუმნებთან მე სასჯელად, გინაჲ დასასჯელად სულისა და ჴორცთა, მოსატევეებლად ცოდვათა [...]ვი სუფებელად ყოვლისვე კაცობრივისა საეშმაკოსა ვნებისა, სასუფეველსა ცათასა დამკვდრებად, რამეთუ შენა ხარს სუფევა მამისა, ძისა.

დიაკონმან აღირქუას ბარძიმი და თქუას: სარწმუნოებით მოვიდოდეთ წინაშე შენსა, უფალო.

ერმან: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა.

მღდელმან აღირქუას სინმიდე და თქუას: ამალღდით ცათა შინა, ღმერთო, და ყოველსა ქუეყანასა ზედა არს დიდებაჲ შენი. აღავსე პირი ჩემი ქებითა შენითა, უფალო, რაჲთა //4v უგალობდეთ დიდებასა შენსა.

დიაკონმან: აღემართენით მიმლებელნი საღვთოსა უხრწნელთა და უკუდავთა საიდუმლოთა, ვმადლობთ უფალსა.

შეგვწყალებ. გუაცხოვნენ

დღე ყოველი სრულიად სინმინდით, მშკდობით, უცოდველად უფლისაჲ.

თავნი თვისნი ურთიერთარს და ყოველი ცხორებაჲ ჩუენი ქრისტესა ღმერთსა შ[ე]ვ[ე]დ[როთ]

მღდელმან: გმადლობთ შენ, მეუფეო კაცთმოყუარეო, ქველის მოქმედო სულთა ჩუენთაო, რამეთუ მონევანაულისა ამის დღისა ღირს ყვენ, ზეცათა შენთა საიდუმლოთა მართალ-მკუჴთელ ყვენ სლვანი ჩემნი და დაამტკიცენ შიშსა შინა შენსა ყოველნივე; დაიცვენ ცხორებაჲ ჩუენი უცთომელად²⁴⁵ ლოცვითა და ვედრებითა წმიდისა და დიდებულისა ღვთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა და ყოველთა წმიდათა შენთათა. რამეთუ შენ ხარ გ[ა]ნმედელი და წმიდა-მყოფელი ჩუენი, ქრისტე, ღმერთო ჩუენო და შენდა დიდებასა შევსწირავთ²⁴⁶ მამისა, ძისა და წმიდისა სულისა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

მღდელმან ლოცვაჲ გარეშე კ[ა]რთა საკურთხევისათა თქუ[ა]ს: რომელი აკურთხევე მაკურთხეველთა შენთა, უფალო, და წმიდა-ყვენ შენდა მომართ მოსვათა შენთა, აცხოვნე ერი შენი და აკურთხე სამკვდრებელი შენი სავსებაჲ²⁴⁷ ეკლესიისა შენისა დაიცუჴნ, წმიდაჲ ყვენ, რომელთა უყუარს შუენიერებაჲ²⁴⁸ სახელისა შენისა, შენ იგინი ნაცულად აღიდენ ღვთიებრი-

²⁴² ღმერთსა

²⁴³ წმიდა-ყოფად

²⁴⁴ სათნო-მეყავ

²⁴⁵ უცთომელად

²⁴⁶ შევსწირავთ

²⁴⁷ სავსებაჲ

²⁴⁸ შოენიერებაჲ

ვითა ძალითა შენითა. ნუ დამაგდებ ჩვენ, ღმერთო, მოსავთა²⁴⁹ შენთაჲ მშკდობაჲ სო[ფელსა] მოანიჭე, ეკლესიათა, მღდელთა, მეფეთა, მკვდართა და ყოველსა ერსა შენსა ზედა რამეთუ შენ მიერ არს ყოველივე მოცემა კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგადამომავალი და შთამავალი, რამეთუ შენ მიერ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დიაკონმან: იყავნ სახელი [უფლისა].

ვაკურთხოთ უფალი ყოველსა ჟამსა.

მღდელმან ლოცვაჲ: აღვსებაჲ სჯულისა და წინასწარმეტყუელთა შენ ხარ, ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელმან აღასრულე ყოველივე განგაბულებაჲ მამობ[რივი] მომავალი, აღასვსე სიხარულითა და [მხი]არულებითა გულნი ჩუენნი ყოვლადვე [...] ამდის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მღდელმან ლოცვაჲ: ძალითი [ძალად] [მო]სრულნი ჩუენ, ცოდვილნი და [უღირსნი] მონანი შენნი, უგალობდეთ მეუფებასა შენსა, ქრისტე, ღმერთო ჩუენო აღვასრულოთ საღვთო მსახურებაჲ მოსრულთა მეორესა ამას ტრაპეზსა შენსა და ან შენდა დიდებასა და მადლობასა და თაყუანისცემასა აღავლენითა თანა დაუსაბამოით სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენით [...] ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ, უფალო [...]²⁵⁰

[ლოცვა ზიარებისა იოვანე ოქროპირისა],

უფალო არა ღირს ვარ, რაფთა-მცა შემოხუ[ედ] [სარ]თულსა ქვეშე [სახლ]ისა ჩემისასა, [რამეთუ ყოვლით] კერძო და[ცემულ] არს და აოწრებულ, და [არა არს] და [...]ნალების ჩემ თანა ად[გი]ლი ღირსი, რაფთა-მცა მიიდრ[იკე] შენ, [არამედ] გარდამატებულ[ი]თა მით და [მიუთხრობ] ელითა წყალობითა შენითა დ[აი]მდაბლ[ე] თავი შენი ცხორებისათჳს კაცთასა. [ჯერ-]იჩნე ანცა შენ[ყნარ]ებაჲ ჩემი, უ[ღირსისა] ამის და უჭმარისა მონისა შენისა. [და ვითარცა] თავს-იდევე ქუაბსა შინა შობაჲ და ბაგასა პირუტყუთასა მიწვენაჲ, თავს-იდევე ანცა შემოსლვასა პირუტყუთაჲ მსგავსისა ამის სულისა ჩემისა და გუამისა ამის მრავალთა ცოდ[ვათა] [...] და ქუაბ ავაზაკი[...] [...] ვითარცა არა უღირს იჩინე შესულად [სერობად] სახლსა სვმონ კეთროვნისა, ეგრეთვე ნუ უღირს უჩინებ შესლვად სახლსა სულისა ჩემისასა და უსჯულობათა ჩუენთაგან ცოდვათა ნ[...]რუვანი და მკუდქმნული [...] გარე მიაქციე მს[გავსად] ჩემისა. ცოდვილი იგი მეძავი შეგივარდე[ბოდა] რამეთუ ყოვლად წმიდათა ფერჯთა შენთა, არა მ[...]დგებ მნიკულე-ვანი პირი მისი და [...] ნ[უ] გარე მიმაქციე და ნუცა მომიძაგებ არანმიდასა, არამედ მნიკულე-ვანსა პირსა შეგივებათა ამათ ბაგეთა და [...] ცოდვილსა, არამედ მე ქობ[...] [...] ჯორცისა და სისხლისა შენისა [...]ლებელი სულისა და ჯორცისა ამსუბუქებელად სიმძიმისა ცოდვათა ჩუენთასა და მცველად²⁵¹ ჩუენ ყოველთა [...] ჩუჭულებაჲ ჩუენ {... ...} საუკუნე სასუფეველი [...]//5v [...] ნებობისა კადნიერებისათა მოგვახლები შენ, არამედ გამოუთქუმელისა მის სახიერებისა შენისა. და არა განვეშორო მე ზიარებისაგან და სრულად მპოოს შიშუჭლი მვეცმან, სულთა განმხრწნელმან, და შთამთქუას, ამისთჳსცა შეგივარდები შენ, მეუფეო სახიერო, ტკბილო, ს[უ]ლგრძელო და მრავალმონყალეო, შემინდევე მე ყოველნი ცოდვანი ჩემნი ნეფსითნი და უნებლიეთნი ყოველნივე, ძვირუჭსენებელო და კაცთა მოყუარეო ღმერთო, აღაწოცენ და ღირს-მყვენ მე დაო[...]ლოდ მოღებად წმიდათა და უხრწნელთა საიდუმლოთა შენთა, წმიდაჲ-ყვენ [...] სულნი და ჯორცნი [...] და თირკმე[ლ]ნი და გონებანი და საცნობელნი ჩემნი ყოვლითურთ [...] განამა[...] დაძულებული [...] შინა ჩემთაჲ და [...] განშორებულ ყავ ჩუენ ზედა.

მ[...] და უწორცოთა და ზეცი[სა] ... [...] და მთა[...]ვე ზეციისა მწედრობათა;

მეოხებითა წმიდისა იოანე მახარებელისა და წმიდისა იაკობ ძმისა უფლისა;

მეოხებითა წმიდათა მღდელთმოდღუართა და წმიდისა მამათა მეუდაბნოვეთა;

მეოხებითა წმიდათა მამათა მთავართა და წმიდათა წინასწარმეტყუელთა;

ლოცვითა იოანე მახარებელისა და წმიდისა დიდისა [...]²⁵²

²⁴⁹ მოსვათა

²⁵⁰ თავსამკაულით გამოყოფილია

²⁵¹ მცველად

²⁵² კეფის დასასრულამდე ტექსტი გაუფერულებულია, არ იკითხება.

[მართალთა ლიტურგია]**დაზიანებული ფრაგმენტი (პალიმფსესტი)**

1 recto

[დიაკონმან]: [რაოდენნი] კათაკუმე]ველნი ხართ, [გან]ვედით, კათაკუმეველნი [გან]ვედით რაოდენნი კათაკუმელი ხართ, გან[ვ]ედით, ნუ ვინმე კათაკუმეველთაგანი.

არამედ რაოდენი მორწმუნენი ხართ, მერმეცა და მარადის მშკდობით უფლის.

[მღვდელმან:] გმადლობთ შენ, უფალო, ღმერთო ძალთაო, ღირს-მყოფელსა ჩუენსა წარდგომად ანცა წმიდასა შენსა საკურთხეველსა და შევრდომად შენთა მონყალე[ბათა] ჩუენთა ცოდვათათჳს და ერისა უმეცრებისა [მიითუალე, ღმერთო,] ვედრებაჲ ჩუენი. მყვენ ჩუენ ღირს-ყოფად შენირვად [შენდა ვე]დრებათა და ოხათა²⁵³ და მსხ[უ]ჭრპლთა უსისხლოთა და [კმა-მყვენ] ჩუენ, რომელნი დამსხენ მსახურებასა ამას შენსა ძალითა სულისა შენისა წმიდისაჲთა უბრალოდ, დაუბრკოლებლად, წმიდითა მონამებითა სკნიდისისა ჩუენისაჲთა, ხდად შენდა ყოველსა ჟამსა და ადგილსა, რაჲთა მსმენელი²⁵⁴ ჩუენი მწყალობელ ჩუენდა იყოს სიმრავლისა შენისა სახიერებისათა.

[დიაკონმან:] შეგვენიენ, გუაცხოვენენ.

სიბრძნით.

რამეთუ შ[უ]ჭნის შენდა ყოველივე.

ზეცით გარდამო.

წმიდისა ამის.

[მღვდელმან:] კუალა]დ და მრავალ გზის შენ შეგივრდებით და შენ გევედრებით, სახიერო და კაცთ მოყუარეო, რაჲთა მოხედვითა ვედრებასა ჩუენსა განსწმიდნე სულნი ჩუენნი და ჯორცნი ყოვლისგანვე შეგინებისა ჯორცთა და სულისა; [და მომეც] ჩუენ უბრალოდ, დაუსჯელა[დ] წარდგომად წმიდასა შენ[სა] საკურთხეველსა. მოჰმადლე, ღმერთო, ჩუენ თანა მლოცველთა წარმარ[თებაჲ ცხორებისა და] სარწმუნოებისაჲ და გულისჭმის-ყოფისა სულიერისა. მოეც მათ ყოვლადვე შიშით და სიყუარულით მსახურთა შენთა უბრალოდ, დაუსჯელად მოღებად წმიდათა შენთა საადუმლოთა და ზეცისა სასუფეველისა ღირს-ყოფად.

მღვდელმან ლოცვაჲ: რაჲ ვინ არს ღირსთა თანა შეკრული ჯორც[ი]ელთა გულისთქუმათა და გემოთა წარდგომად ანუ მიახლებად, გინა მსახურებად შენდა, მეუფეო დიდებისაო, რამეთუ მსახურებაჲ შენი დიდ არს და საშ[ინ]ელ თვთ მათ ზეცისა [ძალთაცა]. არამედ რაჲთა გამოუთქუმელისა [...]/1 v.

[დიაკონმან:] ვდგეთ კ[ე]თილად, ვდგეთ შიშით, მოხედეთ წმიდასა ამას შესანირვსა მშკდობით შენირვადსა.

წყალობა, მშკდობა, შესანირაჲ ქებისა.

[მღვდელმან:] მადლი უფლისა ჩუენისა იესუს ქრისტესი და სიყუარული ღმრთისაჲ და მამისაჲ და ზიარებაჲ ყოვლად წმიდისა სულისაჲ იყავნ ყოველთა თანა.

[ერმან:] და სულისაცა შენისა თანა.

[მღვდელმან:] ზე გუაქონდინ გულებ.

[ერმან:] გუაქუს. უფლისა მიმართ.

[მღვდელმან:] ვჰმადლობდეთ უფალსა.

[ერმან:] ღირს არს და მართალ.

[მღვდელმან ლოცვაჲ:] ღირს არს და მართალ შენდა ქებად, შენდა კურთხევაჲ, შენდა გალობად, შენდა [მადლობ]ად, შენდა თაყუანისცემად ყოველსა ადგილსა მე[უფებისა] შენისასა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი გამოუთარგმანებელი, [...], მიუნდომელი, უხილავი. მარადის ხარ, ვითარცა იგი ხარ. შენდაჲ მხოლოდ შობილი ძე ყოველი და სული ყოველი წმიდაჲ. შენ არაარსისაგან ყოფად მომიყვანენ ჩუენ და მოგუმადლე სასუფეველი მერმისაჲ. ამათ ყოველთათჳს გმადლობთ შენ, მხოლოდ შობილსა[ძესა] შენსა და სულსა შენსა წმიდასა ყოველთათჳს, რომელ

²⁵³ უხათა

²⁵⁴ მსმენელა

უნყნით საჩინოთა და უჩინოთა ქველისმოქმედებათა ჩუენდა მომართ ქმნულთა. გმადლობთ შენ შესაწირავისაცა ამისთვის, რომლისა ჴელთაგან ჩუენთა შეწირვა ღირს-იჩინე, დაღათუ შენ გარე მოგადგენ ათასეულნი მთავარანგელოზნი და ბევრეულნი ანგელოზთანი, ქერობინნი და სერაფიმნი ექუს-ექუს ფრთენი მრავალ თუალნი [აფყრობილნი] ფრთეებითა.

[ამაღლებათ]: ძღვევისა გალობისა [მგა]ლობელნი, მჭმობელნი, [მლაღა]დებელნი .

[ერმან]: წმიდა არს, წმიდა არს უფალი სა.

[ერმან]: რაჟთა და... დიდებაჲ [მამისა]²⁵⁵ ...

II ფრაგმენტი

1r ლდა მოლებად²⁵⁶ წმიდასა შენათა²⁵⁷ ს[ა]იდუმლოთა და ზეცისა ს[ა]სუფეველისა ღირს-ყოფად.

მღდლის ლოცვა: არა ვინა არსა ღირსთა ჴორციელი გულისთა ქმ[ნა]თა და გემოთა წარდგომად ანუ მლხინებელად, გინა მს[ა]ხურებად შენ[დ]ა. დიდ არსა, საშინელი²⁵⁸ თვისი მათა ზეცისა ძალთა და ცათა, არამედ გ[ა]მოუთქუმელთათჳს და [ა]ურაცხელისა და კ[ა]ცთა მოყვარებისა შენისა. უქცეველად, ნუ ცვალებულად კაცი იქმენა მღდელთა მთავრადა ჩენადა. გამოჩნდი და მს[ა]ხურებრვისა ამისა და უსისხლოსა მსხვერპლსა მღდელთა მოქმედება მომ[ა]ნიჭე ჩვენა, ვითარცა მე[უ]ფემან ყოველთამან, რამეთუ შენა, მხოლოო უფალო, ღმერთო ჩვენო, ჰმეუფება ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, ს[ა]ყდართა ქერომთა მჯდომ[ა]რი სერ[ა]ფიმთი უფალი²⁵⁹ და მეუფე ისრაჴლისა. მხ[ო]ლოო წმიდაო და წმიდათა შინა განსვენებულო, შენა უკუნისამდე გევედრებითა მხოლოსა ს[ა]ხიერსა და კეთილისა მსმენელსა, მოიხილე ჩვენ ზედა ცოდვილისა და უჭმრისა მონისა შენისა და განწმიდენა²⁶⁰ გულნი ჩვენნი²⁶¹ და სული ცნობისგან ბოროტთასა. და ღირსა მიჩვენე მე მადლი სულისა შენისა წმიდისათა, შემოსილი მღდე[ლ]ობისა მ[ა]ღლითა წარდგომად წინაშე წმიდისა ტრ[ა]პეზ[ი]ისა შენისა და მღდელთა მოქმედება წმიდისა და უხრწნელისა პ[ა]ტიოსნისა ჴორცისა და სისხლისა შენისა, რამეთუ შენადა მოვილტი მომდრეკელითა ქედისა ჩვენისა და გევედრები, ნუ გარე მიაქცევა პირისა შენისა ჩემგან და ნუცა განმეყოფიან მე მონათა შენათაგან, არამედ ჯერ-იჩინე შეწირვადა შენდა ჩემ ცოდვილისა და უღირსისა მონისა შენისა მიერა მსხვერპლისა ესე, რამეთუ შენა ხ[ა]რა შემწირველი და გ[ა]ნუყოფელი ჩ[ვ]ენი, ქრისტე ღმერთო ჩ[ვ]ენო, და შე[ენ]ადა დ[ი]დე[ბ]ა[ს]ა აღვაველენთა²⁶² დაუს[ა] ბ[ა]მოთა მათთა და ყოვლ[ა]და წმიდისა სახიერითა და ცხოველმყოფლითა სულითა წმიდითურთა²⁶³ ან და მარადისა და უკუნითი უკ[უნ]ისამდე, ამინ.

კ[ურ]თხეულ არსა მომავალი სახელითა უფლისათა.

ლოცვა: მეუფეო ცათაო, სიბრძნისო წინამძღვარო და მეცნიერებისა მომნიჭებელო²⁶⁴, უგულისწმოთა მსწავლელო და გლ[ა]ხ[ა]კთა ჴელისა ამპყრობელო, განამტკიცენა და გულისაწმიერ ყვენა გული ჩემი, მეუფეო, შენა მომეცე სიტყვა, სიტყვაო მამისო,²⁶⁵ რაჟთა ბ[ა]გენი ჩემნი არა დავ[ი]დუმენა ჴმობად შენდამი²⁶⁶. მონყ[ა]ლეო, მონყალე მექმენა შევრდომილსა შენასა.

დიაკონმან: მი[ი]წყალე.

[ხელთაბანისა]

მღდელმან: და[ვ]იბ[ა]ნენა უბრალობითა ჴელნი ჩემნი და გარემოვდგე ს[ა]კ[ურ]თხეველსა შენსა. სმენადა ჩემდა ჴმა ქებისა შენისა.

²⁵⁵ ბოლო სტრიქონები არ იკითხება

²⁵⁶ მოლებდა; აქ და ყველგან ვითარებითი ბრუნვის ფორმა სახელებსა და ზმნიზედებში ანალოგიური დაწერილობითაა წარმოდგენილი. ამიტომაც მცდარი ფორმა აღარ ჩამოგვაქვს სქოლიოში.

²⁵⁷ შენათაა

²⁵⁸ საშინილი

²⁵⁹ ოო

²⁶⁰ განწმიდენა; აქ და ყველგან გან- ზმნისნისა და -გან თანდებულში ხმოვანი გადასმულია. მცდარი ფორმა აღარ ჩამოგვაქვს სქოლიოში.

²⁶¹ ჩნი

²⁶² აღვაველენთა

²⁶³ წმიდითაურთა

²⁶⁴ მონიჭებულო

²⁶⁵ სიტყვათა მამისო

²⁶⁶ შენადმი

ლოცვა: უფალო, ღმერთო ჩვენი, გარდმოვივლინე²⁶⁷ მე ძალი მადლითა და განმადლიერე მე მსახურებასა ამასა შენასა ზედა დაუსჯელად წარდგომად წმიდასა და საშინელსა და შესაძრუნებელსა საკურთხეველსა შენასა და შეწირვად შენადა უსისხლო მსხვერპლი.

რამეთუ შენი არსა სუფევა.

დაინწყონა ქერობინთა.

მღვდელმან: უფალმან მოგვიწესნოსა. სასუფეველი მისი ყოვლადვე ან და მარადისა.

აღვსრულოთა²⁶⁸ ვედრება ჩვენი უფალსა; უფლისა მიმართა ვილ[ო]ცოთა.

წინადაგებულთა ამათა პატიოსანთა²⁶⁹ ძღვენათათჳსა უფალსა აღ-ცა-ჩენასა ევედრნეთა.

წმიდისა ამისა სახლისათჳსა²⁷⁰;

ჴსნასა ჩვენადა ყოვლისგანა ჴირისა და ყოელთათჳსა,²⁷¹ რომელნი ითხოვენა ღთისგანა შეწვენასა და შეწყნარებ[ა]სა მათთჳსა; უფლისა მიმართა ვილოცოთა.

მღვდელმან ლოცვა შეწირვისთვისა თქვასა: უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, მხოლოო, წმიდაო, რომელი შეინირავ²⁷² მსხვერპლსა ქებისასა მათგან²⁷³, რომელნი გხადიანა ყოვლითა გულითა მათითა, მი[ი]თვალე ჩვენიცა ცოდვათა ვერდრება და შეინირე წმიდასა²⁷⁴ შენასა საკურთხეველსა და კმა-მეყავ²⁷⁵ ჩვენა შეწირვად შენადა ძღვენთა და მსხვერპლთა სულიერთა ჩვენა ცოდვილთა და ერისა უმეცრებისათჳს; და ღირს-მყვენა ჩვენა პოვნადა მადლისა შენისა კეთილთა²⁷⁶ მითვლულ²⁷⁷ ყოფად²⁷⁸ შენადა მსხვერპლი ესე ჩვენი დამკვიდრებად სულისა მადლისა შენისასა წინამდებარეთა ამათა ძღვენთა ზედა და ყოველსავე ერსა შენსა ზედა.

დიაკონმან: შეგვენიენა, გვაცხოვნენა, შ ე და დაგვიცვენა.

დღე ყოველი სრულიად სინმიდითა, მშვიდობითა, უცოდველად.

ანგელოზნი მშვიდობისა სარწმუნო.

შენდობა და მოტევება ცოდვათა უმჯობესი.

კეთილნი და უმჯობესი სულთა ჩუენთა უფლისა მიმართა ვ[ი]თხოვ[ო]თა.

ქრიტეანობითნი აღს[ა]სრულნი ჟამნი ცხოვრებისა ჩუენისანი.

შემდგომნი ჟამნი.

ყოვლად წმიდისა, უხრწნელისა, უფროისად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა.

წმიდისა ღვთივა შემოსილისა მამის //2r ჩვენისა იოანე ოქროპირისა და ყოველთა წმიდათა მომწესნებელთა თავნი თჳსნი ურთიერთა[ს].

მღვდელმან აღება: მოწყ[ა]ლებ[ა]თათჳსა მხოლოდა შობილისა ძისასა შენისა, რომლისა კურთხეულ ხარა ყოვლად წმიდითა სახიერთა და ცხოველსამყოფ[ე]ლითა სულითა შენითა წმიდითურთა²⁷⁹ ან და მარადისა, უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მღვდელმან: მშვიდობა ყოველთა.

ერმან: და სულისცა შენისათა.

დიაკონმან: ვდგეთა კეთილა[დ], ვდგეთა შიშითა და კრძ[ა]ლვითა.

მოხედეთა წმიდასა ამასა შეს[ა]წირავსა მშვიდობითა შეწირვად.

წყალობა, მშვიდობა, შეს[ა]წირავი ქებისა.

მღვდელმან: მადლი უფლისა ჩვენიცა იჴსო ქრისტესა და სიყვარული ღვთისა მამისა და ზიარება სულისა წმიდასა იყვენა თქვენა ყოველთა თანა.

და სულისაცა .

²⁶⁷ გარდამოუვლინე

²⁶⁸ აღვარულოთათჳსა

²⁶⁹ პატიოსანთა

²⁷⁰ სახელისათჳსა

²⁷¹ ყოველთათათ

²⁷² შეწირვა

²⁷³ მთიგნა

²⁷⁴ წმიდა

²⁷⁵ კმა-მეყვე

²⁷⁶ კეთილთა

²⁷⁷ მითვლულ

²⁷⁸ ყოფდა; აქ და ყველგან ვითარებითი ბრუნვის ფორმანტში დასტურდება ბგერათგადასმა. გასწორებულია სქოლიოში ჩამოტანის გარეშე.

²⁷⁹ წმიდათურთა

მდღელმან: ზე გვაქვანადესა გულნი. ვამდლობდეთა²⁸⁰ უფალსა.

ერმან: გუაქვანადესა. უფლისა მიმართა.

ლოცვა: ღირს არსა, მართალა შენადა თაყვანისცემად²⁸¹ ყოვლისა ადგილისა მეუფებისა²⁸² შენისასა, რამეთუ შენა ხარა ღმერთი გამოუთარგმანებელი, უხილავი, მიუნდომელი, მარადისა ხარა შენა, ვითარცა-იგი ხარა შენა და მხოლოდა შობილი ძე შენი, და სული შენი წმიდაა. შენა²⁸³ არაარსისგან//**1v** არსებადა მო[გკ]იყვანენა ჩვენა ყოველნი დაცემულნი კუალად აღმ[ა]დგნე და რაათა ყოველსავე ქმნადა ღირსადესა ზეცადა აღმიყვანენა ჩვენა და მოგ[უ]მადლე [სა]სუფეველი მერმისა მისა.

ამათა ყოველთათჳსა გმ[ა]დლობთა შენა მხოლო შობილისა ძისა შენისა და სულისა შენისა წმიდისა, ყოველთათჳსა, რ(ომე)ლნი უწყნითა²⁸⁴ და რომელი არა უწყნითა, საჩინოთა და უჩინოთა ქველისა მოქმედებ[ა]თა ჩუენდა მომართა ქმნულთა, ჩვენადა ქმნულთა. ვამდლობთა შენა შეწირვასცა ამისთვისცა, რომლისა ჴელთაგან ჩვენათა შეწირვა ღირს-იჩინე, დალ[ა]ც[ა]თუ გარე მოგდგესა შენა ათასეულნი მთავარანაგელოზნი და ბევრეულნი ანაგელოზნი, ქერობინნი და სერაბინნი, ანგელოზნი [...]ნნი და სერ[ა]ბინნი ექვქსერულნი, მრავალ თვალნი, აპყრობილნი ფრთებითა.

მდღელმან: ძღვევისა გ[ა]ლობ[ი]სა მგ[ა]ლობელნი, მჴმობელნი, მღ[ა]ლ[ა]დებელნი²⁸⁵ და მეტყველნი იტყვიან:

„წმიდა არს, წმიდაა არსა უფალი საბაოთ,²⁸⁶ სავესე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა მისითა“.

მდღელმანა ლოცვა ესე თქვას: შემდგომად ამათა სანატრელთა ძალთა ჩვენაცა, მეუფეო, კაცთა მოყვარეო, ვჴმობთა და ვუტყვითა: წმიდა ხარა შენა, მხოლოდშობი/ლი **2v** ძე შენი წმიდა და ყოვლადა დიდებული, შუენიერ[...]. დიდება შენი, რომელმან სოფელი შენი ესრეთა შეიყვარე ვიდრე მიცემ[ა]მდე ხოლო- შობილი²⁸⁷ ძისა შენისა, რაათა [...ლსა შენასა აჰრწმენესა, იგი არა წარწყმედესა, აქვანადესა ცხორება საუკუნო, რამეთუ რომელი ან საუკუნო]სა მოვიდა, რაათა ჩვენათჳსა და ყოველივე განგება სრულ[ა]-ყო ღამესა მასა, რომელსა მასა მიეცემოდა უფროდსა²⁸⁸ [მი]სცემდა თავსა თვისსა ცხორებისთვისსა სოფლისა. მიილო პური წმიდა და უხრწნელთა და უბინოთა ჴელითა მ[ა]დლობ[ი]თა, აკურთხა, წმიდა-ყო, განტეხა და მისცა წმიდათა მისთა მონაფეთა და მოციქულთა მეტყველმან და ჰრქვა: [მიიღე]თა და ჟ[ა]მეთა, ესე არს ჴორცი ჩემი თქვენათჳსა განტეხილი მრ[ა]ვათათვისა მის[ა]ტევებელად ცოდვათა ამათა.

ეგრეთვე სასმელსაცა ყოვლად სერობისა მეტყველმან: სვითა ამისაგან ყოველთა ესე. ესე არსა სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისთვისა დათხეული მრავალთათვისა მისატევებელად ცოდვათა.

დიაკონმან ლოცვა: მომჴსენებელნი უკ[ა]თუ ს[ა]ცხორებელისა ამისა მცნებისანი და ყოველთა ჩვენთა [...] ქმნულთა ჯვარცმისა, დაფლვისა სამ დღე, აღდგომისა, ზეცადა აღსლვისა, მ[ა]რჴუენითა ჯდომისა მეორესა დიდებულითა კუალადა მოსლვისნი.

მდღელმან: შენთანა შენთაგანი შენადა შემწირველნი ყოვლისთვის და ყოველთათჳს მ[ა]დიდებელთათჳს

[ერმან]: შენ და შენთათჳს შენა გიგალობა, შენა გაკუ[რთხ]ევთა.

ლოცვა ესე თქუას: მერმეცა შევსწირავთა შენადა სიტყვიერსა ამასა [და უსისხ]ლოსა მსხვერპლსა, გხ[ა]დითა შენა, გევედრებითა, გარდამო[გვივ]ლინეთა სული შენი წმიდა ჩვენ ზედა და წინამდებარეთა ამათა ძღვენათა ზედა.

მდღელმან ფეშუმსა [ჯუარი] დასწეროს და თქვას: დ[ა]ყვენა პური ესე პ[ა]ტიოსანი ხორცი ქრისტესი შენისა. **ბარძიმა ჯუარი დასწეროსა:** ხოლო სასუმელი ესე პ[ა]ტიოს[ა]ნი სისხლი ქრისტესი შენისა.

²⁸⁰ ვამდლობდეთა

²⁸¹ თაყვანისცემდა

²⁸² მფისა

²⁸³ შენი

²⁸⁴ უწყნითა+და რომელი უწყნითა

²⁸⁵ მღალადებელნი+მღალადებელნი

²⁸⁶ სბოთა

²⁸⁷ წ შობილი

²⁸⁸ უფრო

ორს[ა]ვე ჯუარი დასწეროსა: შესცვალესა სულითა შენითა.

ლოცვა: რაჲთა²⁸⁹ ექმნას მიმღებელთა განსაფრთხელებად სულისა, მის[ა]ტყევებელად ცოდ-
ვ[ა]თა, შესანდობელად ბრალთა, ზიარებად წმიდისა სულისა შენის[ა]სა სასუფეველისა ცათასა
დამადრებად, ნუ ს[ა]სჯელადა გინა დასასჯელადა.

მერმეცა შევსწირავთა შენადა სიტყვიერსა ამასა მს[ა]ხურებ[ა]სა სარწმუნოებითა განსვე-
ნებულთათჳს,²⁹⁰ პირველთა მამათა მთავართა,²⁹¹ წინანარმეტყველთა, მოციქულთა, ქადაგთა,
მ[ა]ხარებელთა, მონამეთა, აღმსარებელთა²⁹², მმარხველთა და ყოველისა სულისა სარწმუნოე-
ბისა [ა]ლსრულეებულისა .

მღღელმან: უმეტესად²⁹³ ყოვლად წმიდისა უხრწნელისა და უფრო[ი]სად კურთხეულისა დე-
დოფლისა ჩვენისა ღვთისა მშობელისა და მარადისა ქალწულისა მარიამისთვისა.

დიაკონმან: ჰე, ყოვლად ს[ა]გ[ა]ლობელო დედო ქრისტესაო, გიხ[ა]რ[ო]დენა გ[ი]ხ[ა]რ[ო]
დენა.

წმიდისა იოანესა წინანარმეტყველისა, წინამორბედისა²⁹⁴ და ნათლისა მცემელისა;

წმიდისა იოანე ოქროპირისა და წმინდისა დიდისა ბასილისა;

წმიდისა გრიგოლისა, წმიდათა ათანასესი, წმიდა დიმიტრი, წმიდა ნიკოლოზი, წმიდა ათანა-
სე, წმიდა გიორგი, წმიდა სპირიდონ საკვირველთა მოქმედი და წმიდაჲ [...] რომლისცა დღეთა
წსენებისა აღვასრულებთა და ყოველთა [...] დღეთა შენათა [...] მოხედენ ჩვენა, ღმერთო, და
მომიწსენე ყოველნი [...] ყოვლითა აღდგომილთა და გ[ა]ნუსვენე მათა სადაჲ-იგი მხედვალნი
[...] პირისა [...].

აქა მიცვალეზულნი მოიწსენე: მოიწსენე [...] ვნისა არჩვალისა შენ დღესა ღმერთმანა [... ...]
მოიწსენე, უფალო, ყოველი ეფისკოპოზისა მათთა მშიდებაობითა ...²⁹⁵

²⁸⁹ რაჲთაჲ

²⁹⁰ განსვენებულთათჳს

²⁹¹ მათა მთავართა

²⁹² აღმსარებელთა+ ქადაგთა, მ[ა]ხარებელთა, მონამეთა, აღმსარებელთა

²⁹³ ომეტესდა

²⁹⁴ წინამორბედისა+მორბედისა

²⁹⁵ გრაგნილის 4v-5v გაუფერულეებულია, ალაგ-ალაგ არ იკითხება.

1r მოგვლინა მოციქული და [...] უზეშთაესი პირველთა მათ [...] ჰრომს, ქალაქსა ნმი-
დასა ღმრთისასა, ფრიად საკრველი და და [...] მცნებაჲ ესე ქრისტესი, რომელი უფროს²⁹⁷
იყო გონებათა და ზე იყო, რომელი არა სნთუებოდა არცა ცასა და არც ქუეყანასა. წერილი
იყო იგი ფიცართა ზედა მყინვარისათა. და დაუკრდა ყოველთა და ერთი მათგანი შერბიოდა
ეკლესიად, წინაშე ათანასე [პა]ტრიარქისა, მოიდრიკნა მუჭლნი და ჰრქუა მას: „მოძღვარო და
უფალო, გამოვედ და იხილე ს[ა]კრველი და უცნაური, რომელი არს ეკლესიასა ზედა დიდსა“.
ხოლო მან ჰრქუა: „შვილო ჩემო, ელოდე მცირედ, ვიდრემდის ჟამი იწიროს, რამეთუ ცოცხალნი
და მკუდარნი მას ელიან“.

და ვითარ იწირა ჟამი, მოიქცნეს და გამოვიდნეს ყოველნი კრებულნი, რომელნი იყვნეს
ეკლესიასა შინა, ნახეს და შიშმან შეიპყრნეს ყოველნი და მოსცეს სიტყუაჲ ყოველთა მას ზედა.
და შეკრბეს ეკლესიადვე ღმრთისად კრებულნი მრავალნი, მღდელნი და დიაკონნი ათას და
შკდნი, და ებისკოპოზნი ორას და თორმეტნი და ათანასე პატრიარქი თვთ ჰრომისა. და შეკრბეს
მორწმუნენი ერნი ორმოცდაშვიდი ათასი მოხუცებულნი, ჩჩკლნი და ჭაბუკნი და ქალწულნი,
ვიდრემდის არა დაშთა სახლსა შინა კაცი მორწმუნეთაგანი არცა ერთი, გარნა დედაკაცი წი-
დოანი, რომელი არა ღირს იყო შესლვად ეკლესიასა ღმრთისასა. და რაჟამს შეკრბეს ესე ყო-
ველნი, ითხოვეს ღმრთისაგან სათხოველი, ვითარ ჯერ იყო.

მაშინ ბრძანებითა ღმრთისათა მოიქცა დღე იგი და იქმნა ღამე. და იქმნა ბნელი ქუაყანასა
ზედა ჟამ ერთ. მაშინ იყო ტირილი და გოდებაჲ და ტყებაჲ ფრიად ღმრთისა მიმართ, უფლისა
ყოველთაჲსა. და ისმოდა მანდა ჳმაჲ წმიდათა მათ ებისკოპოსთა, რომელნი ტიროდეს მწარედ
და კუნესოდეს. და ჳმაჲ ესმოდა, რომელნი დგეს და ისმენდეს, მუნ ჳმაჲ, რომელი არა ვითარცა
ესმინა კაცისა ჳმისაებრ, ვითარ ჳმაჲ-იგი რაოდენთა ესმოდა და სთნდა. მაშინ ჳსნილად ერი იგი
ტირილით გოდებდეს ღმრთისა მიმართ, უფლისა ყოველთაჲსა.

მაშინ აღდგა ათანასე პატრიარქი ჰრომისაჲ, შეიმოსა სამოსელი თვისი და კრებულნი ყოველნი
შეიმოსნეს ბრწყინვალეებითა და განიწმიდნეს თავნი თვისნი დუხჭირისაგან ცოდვისა. და აღდგა
ათანასე პატრიარქი და დაუფინა საბეჭური თვისი და გარდამოჳდა წიგნი ესე და განისუჳნა მას
ზედა. მაშინ ცრემლით ტიროდეს და სულთქუემით გარდათარგმნეს იგი და წარიკითხეს ზედა
ყოველსა ერსა სამგზის. და რაჟამს იკითხვიდეს წმიდასა ამას მოვლინებულსა ღმრთისსა მო-
ციქულსა, მაშინ თქუჳს ერთობით: „წმიდა არს, წმიდაჲ არს, წმიდაჲ არს. უფალი ყოველთაჲ,²⁹⁸
რომელმან მოავლინა ჩუენ ზედა ნიშები და სასწაულები აღმართებად ერისა“. და ეწერა წიგნსა
ამას წმიდასა:

„ესე გარდამომივლენია თქუენ ზედა დაწერილი თითითა ჩემითა და დაწერილ შექმენით,
რომელი დამენერა ამას ქრონიკონსა აოცდა²⁹⁹ თხუთმეტსა და აწ მომივლენია ქორონიკონსა
ორას და ოთხსა. აწ მოიქეცით გზათაგან თქუენთა ბოროტთა და ენათაგან თქუენთა, რომელნი
ზრახვენ ურცხვნელად და რომელნი ზრახვენ მღდლისათვს და ეკლესი[ი]სა რაჟამს შესწირვი-
დეს ჟამსა, წყეულ იყვენ.“

აწ დაიმარხნით ენანი თქუენნი ტყუ[ი]ლისაგან და სიძვისა და დაიმარხეთ დღე, რომელსა
ენოდების კვრიაკე, დღე აღდგომისა ჩემისა და წმიდად პარასკევი და ორგზის და უმეტეს დღე
ჩემი წმიდაჲ კვრიაკე, შაბათი ცხრაჲ ჟამითგან ვიდრე ორშამათამდისა აღმოსლვამდე. და თუ
არა დაიმარხოთ დღე დიდი კვრიაკე, რომელი გამცენ თქუენ დამარხვად და არა დაიმარხოთ,
მოვავლინო თქუენ ზედა სენი კაცთანი, რომელთა დასთხინენ სისხლნი თქუენნი ქუეყანასა
ზედა. თუ არა მოიქცენ ჩემდა.

და კუალად მოვა//2r ვლინო თქუენ ზედა რისხვად გულისწყრომისაჲ ჩემისა, ქვაჲ და სეტყვაჲ,
მკალი და მუმლი და რისხვად ჩემი თქუენდა, რომლისა არა იყოს რიცხვი. რომელი მოვავლინო

²⁹⁶ გრაგნილი თავნაკლულია, 1v -ს 1-4 სტრიქონი გამუქებულია, არ იკითხება.

²⁹⁷ ოფროს

²⁹⁸ რომელთაჲ

²⁹⁹ აოცდა

თქვენ ზედა კვრიაკისა ჩემისათვის და რჩულისა, რომელი მე მიგეც თქვენ და განიშორეთ³⁰⁰ და ეკლესიათა კიდექცევისათვის. თუ არა ისმინოთ და არცა მოიქცეთ გულითა თქუენითა და არა ისმონოთ ჴმისა ჩემისა, რომელი გითხარ თქუენ, ნარგნყმიდნენ ყოველნი, რომელი ყოფად არს და იქმნების თქუენთვის.

ნუ ჰფუცავთ სახელსა ჩემსა დიდსა და მარჯუენასა ჩემსა ძლიერსა*, უკუჭთუ-მცა არა იყო ვედრება ანგელოზთა ჩემთა თქუენთვის, მო-მცა-ვაგლინენ თქუენ ზედა, ვითარცა დღენი ნო-ესნი დღეთათვის კვრიაკისა. მაშინ მოივლინა წყლითა რღუნაჲ ქუეყანასა ზედა და წარწყმიდნა ყოველნი და თქუენ მუნვე მი[ი]ქეცით საქმეთავე თქუენთა. ამისთვის თქუენი შობაჲ ასპიტისაჲ არს, რამეთუ ობოლნი და ქურივნი და გლახაკნი და დავრდომილნი ეკიდებიან კართა თქუენთა და არა ჰყოფთ მათ ზედა წყალობასა.

შობილნო ასპიტისანო, ებრაელთა მივეც სჯული და კურთხევაჲ ჴელითა მოსესითა მთასა სინასა** და მათ უმეტესად კარნი მათნი განწმინდნეს და მონაგები მათი განუყვეს გლახაკთა და უცხოთა შიშით და ძრწოლით მის[ც]ემდეს კრებული მათი ძალისაებრ მათისა. და თქუენ გამოსიეს ნათლისღებაჲ ჩემი წმიდაჲ და მოცემულ [ა]რს თქუენდა ჩემ მიერ სამებისა წმიდისა მადლი და იქმნენით თქუენ გარდამავალ და არამსმენელ და არცა ისმინეთ ჴმისა ჩემისა და მცნებანი ჩემნი არა დაიმარხენით და დღე ჩემი კვრიაკე.

ან უკეთუ გრწამს, მოიქეცით. თუ მე ვარ უფალი და იცით და მე თქუენდა, რამეთუ ჴელი ჩემი მაღალი არს და მკლავი ჩემი ძლიერი³⁰¹ არს. თუ არა მოიქცეთ თქუენ ჩემდა გზისა მის-გან ბოროტისა და არა ჰყავთ წყალობაჲ გლახაკთა ზედა და არა დაიმარხოთ დღე ჩემი წმიდაჲ კვრიაკე, მოვაგლინო თქუენ ზედა გუჭლი ფრთოანნი***, რომელი მოჰჭამდეს ძუძუსა დედათა თქუენთასა ამისთვის, რამეთუ ენანი თქუენნი ზრახვენ უსჯულო[ე]ბასა და ჴმა -ჰყავით ეკლესიასა შინა ცუდი.

ან, ამენ, ამინ, გეტყვ თქუენ: უკეთუ არა ისმინოთ ჩემი, სიტყუანი ჩემნი, თუ არა დაიმა-რხნეთ დღე ჩემი წმიდაჲ კვრიაკე ცხრა ჟამითგან ვიდრე ორშაბათ მზისა აღმოსლვამდე და დღესა პარასკევსა ვითხოვ ან მე თქუენგან. ან სანუთროსა ამას შურისგებაჲ არა ჯერ არს. ეკლესიასა ღვთისასა იყვენით მარხვითა და ლოცვითა აღმსარებელ.

ამენ გეტყვ თქუენ: რომელმან განიშოროს ცოლი თვისი და სხუაჲ შეირთოს, აჰა სისხლი იო-ანე ნათლის მცემლისა ჩემისა, ძისა ზაქარიაჲსი, თავსა მისსა ზედა იყვენ. უკეთუ არა მოიქცეთ ჩემდა და არა ისმინოთ სიტყუანი ჩემნი, რომელი გიჩუწნე თქუენ და მამათა თქუენთა უწინა-რეს, მოვაგლინო თქუენ ზედა სეტყუაჲ და წყალი მდულარე დავადნო თქუენ ზედა; მოვაგლინო სიკუდილი პირუტყუთა თქუენთა ზედა წინასა პარასკევსა სთულისა, რაჲთა სცნათ, თუ მე ვარ; მოვაგლინო თქუენ ზედა განსაცდელი, რომელი იხილოთ და შესძრწუნდეთ.

აჰა, აღვასრულო, რომელი ვთქუ. ოდეს არა ჰქმნეთ და არა დაიმარხეთ დღე ჩემი პარასკევი და დღე ჩემი დიდი კვრიაკე, რომელ არს დღე აღდგომისა ჩემისა. ან ვფუცავ აღდგომასა მკუ-დართასა და შრომასა ანგელოზთა ჩემთასა, არა განვაქარო თქუენგან, რომელი გრქუ თქუენ ყოფად. ან თქუენცა, ყოველმან კაცმან, მორწმუნენო, რომელმან შეწიროს ეკლესიასა მონაგე-ბისაგან თვისსა, მე ვარ გარდამჴდელი მისი სასუფეველსა ცათასა. და ანცა სანუთოჲსა ნაცვა-ლად ერთისა ნილ ოცდაათი, სამოცისა ნილ - ასი.

ანცა სანუთოსა დავწერო სახელი მათი სანუთოსა ცხორებისასა და უკეთუ ვინმე მისცეს ვეცხლი თვისი ახლითი-ახლად ნათესავსა თვისსა, რისხვაჲ ჩემი გარდამოჴდეს ზეცით მის ზედა და თავი მისი, ვითარცა ვეშაპისა იყოს****. და უკუეთუ ვისმე აქუნდეს საეჭუელი³⁰² მოყუსისა მიმართ, ნუ შევალს ეკლესიასა ღმრთისასა, ნუცა ეზიარების, უკეთუ არა ჰნებაჲს დაგებაჲ სი-ტყვათა ღვთისათა. უკეთუ ვინმე//3r თქუენგანი მივეც ჴელთა უსჯულოთაჲსა, განძი და ნაშ-რომი მისი წყევასა ქუეშე იყოს.

ყოველმან, რომელმან გულისწყრომაჲ მოიგონოს დღესა კვრიაკესა მოყუსისა თვისსა, ნუ შეენდობინ მას ცოდვაჲ მისი მრავალი. დღესა კვრიაკესა სიყუარულითა, სიტკბოებითა, სიხა-რულითა იყვენით ურთიერთას³⁰³, რამეთუ სული წმიდაჲ მხიარულ არს თქუენდამო.

³⁰⁰ განიშორერეთ

*ფს.47: 11; 79:16-17; 88:14; 120:5; ** გამოსვ. 32:15-16; ***გამოცხ. 12:3-4

³⁰¹ ძლირი

³⁰² საეჭუელი

****ფს.73,14 *****იოვ.1, 29, 36 (ადიში)

³⁰³ ურთიერთარს

განუყოფდით გლახაკთა და დავრდომილთა და ჰპო[ო]თ წყალობაჲ წინაშე საშინელსა სა-
კურთხეველსა, რომელნი წინაშე ჩემსა დგანან ყოველნი ქმნულნი ჩემნი სასჯელსა სიმართლი-
სასა, რამეთუ ჩემ წინაშე არა არს ქრთამი. უკ[ე]თუ ვინმე პატივ სცეს მღდელსა, რომელი განუ-
ყოფს კრავსა უმანკოსა ზედა ტრაპეზსა, რომელმან აიხუნა³⁰⁴ ცოდვანი სოფლისანი****, იყავნ
წყალობაჲ მას ზედა და ან საწუთროსა.

რომელმან კულა შეურაცხყოს მღდელი, აქა წყეულ იყავნ და მას დღესა არა შევჰრთო სა-
მწყოსა ჩემსა. რამეთუ იგინი არიან მარილნი სოფლისანი***** და დიაკონნი, რომელნი
იქმან ნებასა ღმრთისასა და ასწავებდენ განძსა წმიდისა ეკლესი[ი]სა ჩემისათა. და თუ აღარ
ისმინოთ, რომელი გარქუ თქუენ, მოვავლინო თქუენ ზედა სასტიკი საღმობაჲ, რომელი სტკი-
ოდის მწარედ და ეწუზბოდის უკურნებელი საღმობაჲ - კორძი, რომელი გამოვალს გუამისაგან
გამავალი, ცოცხალი და ფრიად მტკივანი, რომელსა ვერ დაითმენდეთ. და დაეყენოს ბრწყინ-
ვალეზაჲ მზისა თქუენ ზედა. განწმიდეთ ან წყლულეზაჲ თქუენგან.

და უკეთუ ისმინოთ სიტყუანი ჩემნი, შეინანოთ და მოიქცეთ და დაიმარხოთ დღე ჩემი
დიდი - წმიდაჲ კვრიაკე და ჰქმნათ, რომელი დამინერია თქუენდა, აღმოგიცენო თქუენ ყოველი
ნედლი ჯეჯილისაჲ და განვამრავლო ცუარი და წვმაჲ ქუეყანასა ზედა და მოვიქციო პირი ჩემი
თქუენდა და შეგიწყალნე თქუენ, და შკლნი თქუენ[ნი] ვაკურთხენ და ყოველნი ნათესავნი თქუ-
ენ[ნი], ვითარცა პირველ და აღგავსნე თქუენ ყოვლითა კეთილითა ზეცისა და ქუეყანისათა³⁰⁵.

ან უკეთუ ვინმე იკადროს და თქუას წერილისა ამისთჳს ჩემისა, თუ ძუჭლი არსო, და არა
ჰრწმენეს, წყეულ იყავნ³⁰⁶ შვილითურთ. ესე არა უწყით, საწყალობელნო, ვითარმედ ათასი
წელი წინაშე თუალთა³⁰⁷ ჩემთა, ვითარცა გუშინდელი დღე არს და ვითარცა წამი ერთი. ან
ყოველსა ჟამსა იკითხევდით და გარდაინერდით წერილსა ამას ჩემსა და დაიმარხეთ დღე ჩემი
წმიდაჲ კვრიაკე.“

და ჳმაჲ ისმა მუნთქუესვე ლოცვით: *“გურნამს, გურნამს, გურნამს წმიდაჲ კვრიაკე, დიდი და
შუენიერი“*.

და ხმისა მისგან სული მოვიდა სურნელებისაჲ, ჰამოჲ, რომელი არა ვის//4r ასმია ქუეყანასა
ზედა და ჳმაჲ გუჭსმა კუალად, რომელი იტყოდა: „კურთხეულ არს პატივი უფლისაჲ ჩუენისა
იესჳ ქრისტესი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა უკუნისამდე.“

მაშინ მე, პარტრიაქი, ოდეს ღირს ვიქმენ სმენად ბრძანებ[ა]სა უფლისა, ღვთისა ჩემისა-
სა პირველითგანსა, მაშინ კადნიერ ვიქმენ და ვიკადრე დაწერად ჳელთშეუხებელსა ამას და
წარცემად ყოველსა ქვეყანასა, ვიდრე მზისა აღმოსავალამდე. აჰა, ძმანო ჩემნო მღდელთმო-
ძღუარნო და ერნო მორწმუნენო, რომელსა უფლისა ჩუენისა იესჳ ქრისტესსა და სახელსა მის-
სა დიდებულსა წმიდისა სამეზბისასა და კრებულსა ანგელოზთასა და გუნდსა სერაბინთასა და
კურთხევასა ქერობინთასა, რომელნი ჰხადიან სახელსა უფლისა ჩუენისასა ყოველსა ჟამსა
ესრეთ: *წმიდა არს, წმიდა არს უფალი ძალთაჲ, მეუფე საუკუნოჲ, რომლისა დიდებისა არა არს
დასასრულ. და კუალად ვფუცავ ძალსა და მადლსა წმიდისა დიდებულისა პეტრესა და პავლე-
სასა და იოანესა, რომელი ზრახვიდა პირითა წინასწარმეტყუელთა, მოციქულთა წმიდათაჲსა.*

ვითარმედ არა და-არა-ინერა ესე ჳელითა კაცთაჲთა, არცა სიბრძნითა. ნუ ურწმუნო იქ-
მნებით წერილსა ამას და რომელთა თანა მოინიოს წერილი ესე, დასწერდით და წარსცემდით
ყოველთა სოფელთა, რაჲთა ცნან ყოველთა თარგმანებაჲ წიგნისა ამის. უკეთუ არა ისმინონ
სიტყუაჲ ღვთისაჲ და ბრძანებაჲ, იყავნ მათ ზედა რისხვაჲ ღმრთისაჲ განუქარვებელი და რო-
მელთა ჰრწმენეს, წყალობაჲ ღვთისაჲ იყავნ მათ ზედა.

ან, ძმანო ჩემნო, ვფუცავ თქუენდა მომართ კუალად ჳელსა მის[ს]ა მადალსა და მკლავსა
მისსა ძლიერსა. არცა ჳმაჲ ქუხილისაჲ³⁰⁸ იყო, არცა სლვაჲ ღრუბელთაჲ, არცა ფრთენი ელვი-
სანი, არცა შუჭნიერებაჲ მელქიზედეკისი****, არცა წინასწარმეტყუელეზაჲ უბრალოთაჲ,
არცა სიმდაბლე უმანკოთაჲ, არცა მარხვაჲ მართალთაჲ, არცა აღორძინებაჲ ზებედესი, არცა
სიმართლე იოზისი, არცა იგი მადლი, რომელი იხილეს მთასა სინასა არცა მოსესი, არცა აჰ-

³⁰⁴ ახუნა

³⁰⁵ აქყენისათა

³⁰⁶ იყვან

³⁰⁷ თლთა

****მათ.5,13

³⁰⁸ ხუქილისაჲ

რონისი, არცა ლოცვაჲ ოთხთა მახარებელთაჲ - მათე, მარკოზ, ლუკა და იოანესი, რომელთა ზედა აღეშენეს ეკლესიანი მორწმუნეთანი; არცა იგი ძლიერებაჲ, რომელი მიეცა იოანეს - ჴელი ზედა თავსა უფლისასა*****, არცა იგი გუამი, რომელსა ეტვრთა უფალი და იშვა მისგან, არცა ნიში ჴუარისა, რომელმან იტვირთა იგი, არცა სამარე, რომელსა დაიდვა იგი სამ დღე და აიხუნა ცოდვანი სოფლისანი და გამოვიდა რომლითა დადებითა, არცა სადღუმლოჲ თორმეტთა მოციქულთა, რომელი დაჯდა სერობასა მათ თანა, არცა დაფლვასა აბელის მართლისა, არცა აღდგომასა მას მართალთასა; არცა ძალი ბევრის ბევრეულთა³⁰⁹ ანგელოზთა, რომელნი დგანან წინაშე მისსა მსახურებად ამათ ყოველთა, რომელსა და განგებასა ვფუცავ და ვინამებ.

არცა დაინერა ძეთაგან კაცთაჲსა, არამედ თითითა უფლისა ღმრთისაჲთა და მოივლინა ჩუენ თანა, რაჲთა მოვიქცეთ გზათაგან ჩუენთა და ტყუვილისა, რომელთა ისმინონ და აღიღონ თარგმანებაჲ ესე და დადვან ეკლესიათა. და კვრიაკეთი კვრიაკედ წარიკითხვიდენ სიტყუაჲ. დადვას მღდელმან ერსა ზედა, რაჲთა ყოველთა ისმინონ და არა ჰრწმენეს, ვითარმედ უფალსა იესუ ქრისტესა მოუვლენია წერილი ესე. წყეულ იყავნ, და ნუმცა მოცემულ არს თესლი ყანასა მისსა და ჴეჯილი მისი ნუმცა უჭამია და შვილთა მისთა ნუმცა უხარის, თვთ წყეულ იყავნ აქაცა და მერმეცა წყეულ და ნუმცა მოცემულ არს თესლი ყანასა მისსა და ჴეჯილი მისი ნუმცა უხარის თვთ წყეულ იყავნ აქაცა და მერმეცა წყეულ იყავნ მამისა, ძისა და წმიდისა სულისა წმიდისა მიერი, რომელმან არა შეიყუაროს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე.

დაინერა წიგნი ესე ქორონიკონსა ორას და ერთსა, დღესა ხუთშაბათსა მარტკლისასა ჴელითა გალილიველ ცოდვილისათა//5r და კუალად ამას გეტყვ თქუენ, ძენო კაცთანო: დაიმარხეთ სახარებისა³¹⁰ ჩემისა სიტყუაჲ უკუნისამდე, არა იცითა, ვითარმედ ცანი და ქუეყანაჲ წარვდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარვდენ. იფქლი და ღვნიო შეჰმატა მარჯუენამან ჩემმან და არა დაიმარხეთ წმიდაჲ კვრიაკე - აღდგომაჲ ჩემი, მოგივლინო თქუენ მტერი ზღვთ, რომელთა დასთხიეს სისხლი თქუენი და არა გულისჴმა-ყავთ; მოგივლინო თქუენ შიმშილი და სისხლი საზარელი, ბნელი, სეტყუაჲ და კუამლი. მივცე საჭმლად მვეცთა პირ[უ]ტყვ თქუენი წმიდისათვს კვრიაკისა და თქუენ არა ირწმუნეთ, არამედ სხუასა უვარესსა შეხუჭდით. მოვიჴსენებ და ვფუცავ ყოვლად წმიდასა დედასა ჩემსა, რომელი მეოხ არს ერისათვს. არა მოვიქციო პირი ჩემი თქუენდა, თუ არა მოიქცეთ ჩემდა მცირედ და თქუენ უვარესსა მიექეცით, ვიდრემდის ობოლნი და და ქურივნი არა შეინყალენით, ვითარ ვყო წყალობაჲ ჩემი თქუენ ზედა, ძალწო უღმრთონო. არა უწყითა, ჴურიათა თანა ეზიარენით. მივეც მათ მთასა სინასა შჯული და დაიმარხეს იგი. და მე თვთ მოვეც ნათელის ღებაჲ ჩემი.

დაიმარხენით მცნებანი ჩემნი და წმიდაჲ კვრიაკე და საჴსენებელი წმიდათაჲ და აღდგომაჲ ჩემი. გეფუცები თქუენ მარჯუჴნესა ჩემსა და მკლავსა ჩემსა მაღალსა და საყდარსა ჩემსა უძლეველსა და ყოვლად წმიდასა დედასა ჩემსა და იოანეს ნათელის მცემელსა ჩემსა, თუ არა დაიმარხოთ კვრიაკე ცხრა ჴამითგან შაბათით ვიდრე ორშაბათ განთენებამდე და ოთხშაბათ-პარასკეთა სინმინდით დაიმარხევდით.

უკეთუ ესე არა ჴქმნათ, თუჴსა სეკტემბერსა პირველსა დღესა და ღამესა ვანუჴმო თქუენ ზედა ქვაჲ მჴურვალე და წყალი მფოფინარე. და დანუას მზის თუალმან ქუეყანაჲ და მოჴკუდეთ მწართა სიკუდილითა. თქუმად გიც დასასრულსა ამისა//1v³¹¹ ანგელოზთა ჩემთ[ა]თაჲ და ყოვლად წმიდისა დედისა ჩემისთვს, რომელთა იხუაჴნეს ერისათვს. და კუალად გეფუცები, თუ არა დაიმარხოთ წმიდაჲ კვრიაკე და საჴსენებელი წმიდათაჲ, მოვავლინო თქუენ ზედა მტერი საშინელი და მოვაქციო პირი ჩემი თქუენგან და არა ვისმინო ჴირი და არცა კუნესაჲ; და თუ ისმინოთ წერილისა ჩემისა და დაიმარხოთ, არა დაგაკლო კეთილი თქუენ.

სხუასა გ[ე]ტყვ თქუენ მარჯუენისა ჴელისა ჩემისათვს და მკლავისა ჩემისა მაღლისათვს და შემდგომად წმიდისა დედისა³¹² ჩემისათვს, უკეთუ არა და არა დაიმარხოთ წმიდაჲ კვრიაკე, არა შეხვდეთ ცხორებასა საუკუნოსა და საჴსენებელი თქუენი უკუნისამდე წარწყმდეს, დუხჭირისა მოქმედნო, დუხჭირსა უვარჴყოფთ, მოიძულენით ძმათაგან, საგმობელ იქმენით მიჩუჴნე მე, რომლითა სცხონდებით, [ჯუა]რისა მტკებნელწო. განსძლიერდით გლახაკთა ზედა

³⁰⁹ ბეურეულთა

³¹⁰ სახარებჴსა

³¹¹ კეფის ზედა ნაწილი გადარეცხილია, ტექსტი იწყება შუა კეფიდან სხვა ხელითა და ორთოგრაფიით

³¹² დედისა ჩემისა ჩემისათვს

კართა თქუენთა გლახაკნი ჩემნი გთხოვენ და იტყვიან, თუ [უფალი] მიქცეულ არს ჩუენგანო და არღარა გუნყალობსო. სისხლი მათი ბჭთა ზედა ვიძიო.// 2v

უკუეთუ³¹³ არა გაუტეოთ ბჭობა უსამართლოჲ, ბნელი ცოდვისა, შვილნი თქუენ[ნი] ჭამდენ მიწასა ქუეყანისასა. უსამართლონი, წყეულ იყავნ მამასახლისი, რომელი არა მოვიდოდის ეკლესიასა ღმრთისასა, ვითარცა ჯერ-არს და ღირს ეკლესიასა თჳსსა.

კუალად ვფუცავ დედასა ჩემსა ყოვლად წმიდასა და იოანეს, რომელმან ნათელ-მცა მე, არა დაინერა მოციქული ესე კაცთა ჳელითა. ვაჲ მღდელსა მეომარსა³¹⁴ და მამფოთებელსა; ვაჲ მას კაცსა, რომელსა სძულდეს ხუცესი; მას ეკლესიად ღვთისად სძულს. ვაჲ თქუენ, რომელნი ნათელის ცემასა იქმთ და არა შეიკრძალებთ. ვაჲ საზღვარისა განმრყუნელსა, ვაჲ ცრუ მონამეთა, რომელთა უსამართლოდ წამონ. წყეულ იყავნ, რომელმან წარიკითხოს და სიტყუად დამალოს სირცხვლით.

კურთხეულ არს, რომელმან წარიკითხოს მოციქული ესე. სხუასაცა სოფელსა, უკეთუ ჳქონდეს ცოდვანი უფლისა თჳსისაგან, მე აღუწოცნენ.

დუხჭირისა მოქმედნო და უწყალ[ონ]ო, განგინესენ ექუსნი დღენი საშრომელად თქუენდა და კვრიაკესა დღესა მისლვად ეკლესიასა ღვთისასა, აუარებდეთ ცოდვათა თქუენთა, სანყალობელნო.

გაჲსუენეთ, გაჲსუენეთ, გაჲსუენეთ.

მე ვშურები და თქუენ იქადით. უკეთუ-მცა არა-მცა მე არა მოვიყვანე წვიმად, თქუენ არა-მცა მოგცა³¹⁵ ქუეყანამან ნაყოფი. თქუენ არა იცითა, ზრუად განვადე, ერი განვიყვანე ჳმელად და ფარაო დავანთქი.*****.უკუეთუ გუნამს, ღმერთი თქუენ თანა არს. რად არა გეშინის ცოდვათა თქუენთაგან. უკუეთუ ჳევნი გავაჳმნე, სადა გეგულების დამალვად. წყეულნო საყდრისა ჩემისანო და მთავარანგელოზთაგან ჩემთა, რომელმან ქმნას მცირედიცა, რაჲცა რაჲმე საქმარი კვრიაკესა ცხრა ჟამით³¹⁶ შაბათისა ვიდრე ორშაბათ განთენებამდე.

გაუტევეთ გაუტევეთ გაუტევეთ საქმე, რომელი იპოვების ბედითი, მზრახუალნო, ღვთის მარისხებელნო. და თუ თქუას ვინმე, მოციქული ესე არა არს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, წყეულ იყავნ; ანუ კაცისა ჳელითა დანერილი არსო, დაიმკვდროს ცეცხლი უკუნისამდე. ჳმად იყო ზღვით სამგზის, რომელი იტყოდა:

„გრწმენინ³¹⁷, გრწმენინ, გრწმენინ ყოველთა შიშით მოციქულისაჲ და ისმინეთ“.

მაშინ დაეცა პირსა ზედა თჳსსა ათანასე პატრიარქი, ვითარცა ჩამოვრდომასა იტყოდა და ეგრევე აქა იტყვს: „ძლიერებითა იესუ ქრისტესითა და იოანე ნათლის მცემელისაჲთა არა დაინერა ესე მოციქული ქრისტესი კაცთა გონებითა, არამედ მამისა ჩუენისა და იესუ ქრისტესაგან. და ნუ ვინ ურწმუნო იქმნებით წმიდისა ამის მოციქულისათჳს. რომელმან არა წარიღოს სხუასაცა სოფელსა, მოვედინ რისხვად ღმრთისად სახლსა მი[ს]სა და შვილთა მისთა. და უკეთუ არა აქუს წერილი ესე მღდელსა, ნუ-მცა აქუს წყალობად ღმრთისაგან.

ვაჲ, მის მღდელისათჳს, რომელი საჳსენებლთა წმიდათასა არა ასრულებდეს. თუ იცით, პური ზეცით არს, მეუფე ზეცით არს. ვაჲ, ვაჲ, მღდელსა, ბედით მზრახსა და მოსარჩლესა. რა-ჟამს მოვიდეს ზეცით, უჩუწნოს ცეცხლისა უღელი მჳართა თჳსთა ზედა დაუცხრომელად მფოფინარე ცეცხლისაჲ. ვითარ-მცა არა დაინუას პირი მისი. არა თუ ჟამი ოდენ წიროს, არამედ სხუასაცა გმობასა იქმს. წყეულ იყავნ, რომელმან წარიკითხოს და დაუტეოს სიტყუად სირცხვილითა. რომელმან მოიყვანოს ჳელმწიფისა კაცი თავისა სოფელსა დღესა კვრიაკესა ბჭობად და შეჳრთონ ლალაი და შფოთი. არამედ არა იცითა, დღე კვრიაკე ნათელი არს ცეცხლის ფერი და ალი საყდრისა ღმრთისაჲ. და თქუენ არა დაიმარხავთ და საყდარსა მის[ს]სა საშინელსა და მკლავსა მისსა ძ[ლიე]რსა და ცდასა მისსა შურაცხჳყოფთ.

კუალად ვფუცავ ძალსა //3v მალლისასა, არა დაინერა მოციქული ესე კაცთაგან, არცა [მს] გავს[თ]ა კაცთა. ნუ ურწმუნო იქმნებით, მიითუალეთ, განისუწნეთ, რომელ ვასწავე ნინე-

³¹³ ოკეთო

³¹⁴ მეჳომარსა

³¹⁵ მოგცა

³¹⁶ იგულისხმება მეცხრე ჟამის მსახურება, რომელიც აღესრულება მწუხრის წინ და ემსახურება მაცხოვრის ჯვარცმის გახსენებას.

*****გამოს. 14,6

³¹⁷ გრწმენინი

ველთა, უქადაგე, დავიწსენ ქალაქი*****. ესე არს ბრძანებაჲ ღმრთისა, ცანთ ჟამსა ამას. იტყჳან მღდელნი და მამათმთავარნი: „ მძლე³¹⁸ სიკუდილისაო, მე მოვიდე, რაბი“. და თუ არა მოიქცეთ, ვსტყორცო რისხვა ჩემი, დაწუად მიც ყოველი ქუეყანაჲ, სადაცა მოვიდეს ესე მოციქული, სოფელთა და ქალაქთა, ამისთვის ნუ სცთებით. და თუ არა ირწმუნოთ, დამკვდრებად გიც ცეცხლი საუკუნოჲ. ვაჲ თქუენდა, მაჭირვებელნო! თქუენ აჭირვებთ გლახაკთა და სხუანი ბჭობენ უსამართლოდ. ვაჲ მათ, რომელნი გლახაკთა და ჭირულთა არა შეენიოს. ვაჲ მას, რომელმან წმიდასა ნათლისღებასა არა პატივსცეს, რამეთუ ქრისტიანებაჲ წმიდაჲ ნათლისღებაჲ არს. ვაჲ მათ ძეთ მამასა არა განამართლებნ. ღმერთსა ჰრწმენეს, რომელი წმიდამან მან თქუა: „აქუნდეს ცხორებაჲ“. და რომელი ურწმუნო იქმნას, [და]იმკვდროს ცეცხლი საუკუნოჲ. ხოლო, კაცნო, შეისმინეთ სიტყუანი ჩემნი თქუენ ზედა. თუ არა³¹⁹, მოვაგლინო თქუენ ზედა ძალლი ცოფი და სიკუდილი კაცისაჲ და ახსრას ნათესავი კაცისაჲ. აღვადგინო არტავაზ, რომელ ასრას ძირი კაცისაჲ და მოვაგლინო თქუენ ზედა მატლი, რომელი შჭამდეს კაცისა ჯორცსა. მე დამინერია ესე ფიცართა მყინვარისათა თითითა ჩემითა თქუენთვის, რაჲთა მოიქცეთ ჩემთვის.

ან რომელნი ღირს-ქმნულ³²⁰ ვართ სმენად წმიდასა ამას³²¹ ბრძანებასა ღმრთისასა, შევნიროთ ყოველთა ქებაჲ, პატივი, თაყუანისცემაჲ და მადლობაჲ მამისა, ძისა და წმიდისა სულისა ან და მარადის საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ.

³¹⁸ მძლე
***** იონ.3,5

³¹⁹ აარა

³²⁰ ღირს-ქმნულ

³²¹ ამსა

[საკვირაო]

H-520

გ[ან]ახუნეთ სამარენი მკუდართა[ნი],³²² ტირ[ი]ლითა და მნუხარებთა იტ[ყო]დეთ: ზ, საუ-
კ[უ]ნოთაგან³²³ დაძინებულნი [მკ]უდარნი, დაგუმალენითა და შე[გ]უწყალენით, რომელნი ვე-
ლარა გავს[...]. ებთ რისხვასა ღვთისასა და ხელი [...]. ასა ჯორცთა ჩვენთასა, შეშინდითა და მი[ი]
ქცითა პარასკევსა, მინ[ა]სა ნუ სძრ[ა]ვთა, ჩემისა ჯუარისა არს, რომელსა ზედა თქუენთს
მე ჯელნი განვიპყრენ; და ლოცვისა და მარხვისა ადიდებდითა. თუ არა მოიქცეთა და არცა
[...], ვფოცავ³²⁴ მშობელსა ჩემსა და ნმიდას[ვ]ე იოანეს ნათლისა მცემელსა და ნმიდათა ანგე-
ლოზთა ჩემთა, რომელნი გარემო³²⁵//2r ჩემსა დგანან და არწიუსა ჩემსა წითელსა, რომელსა
განოპყრიან ფრთენი თავსა³²⁶ ზედა ჩემსა საგრილობლ[ა]და, არაღარა მოვავლინო სხუად წიგნი
ჩემი ქ[უ]ეყანადა მამხ[ი]ლებ[ე]ლად³²⁷ თქუენდა და რომელნი გქ[ო]ნანა, იგინიცა მიგიხუნე³²⁸.

შეიჯერეთ და შეინანეთა, უწყ[ა]ლონი და უშიშნი³²⁹ და ურცხვინელნი,³³⁰ ძმათა მტერნი,
შვილთა მწვალებ[ე]ლნი, მსიძავნი³³¹, სვინკილოზსა შემცოდებ[ე]ლნი, კაცისა მკლველნი,
მტ[ე]რნი უფლისა ჩუენისანი, დასაჯრდით ქმ[ა]რი ცოლთა და ცოლნი ქმართა, დაიცვენით
თავნი³³² თქუენნი ყოვლისაგან ც[ო]დვისა და //3r არანმიდებესა. შეინახეთ ნმიდაჲ კვირიაკე.
რომელმან კვირიაკესა დღესა ეკლესიადა ლ[ო]ცვადა არა უნოდოსა, მასა ნაწილი წყ[ა]ლობისა
ჩემისაგან არა აქუნდესა და რომელი ლოცვად მივიდოდესა, მე აუჭოცნე³³³ ცოდვანი მისნი, რა-
ოდენნიცა ექმენ³³⁴. მოიქცით და შეინანეთა ყოველი ცოდვაჲ. თუ³³⁵ არა მოიქცეთ, გ[ა]ნვახუნე
ცანი და ვწვიმო ქვიშად და ცეცხლისა წყალი მფოფინარე.

და ფებერვ[ა]ლსა ვა[ნ]კიმი³³⁶ ქვიშად და ნაცარი; აპრილსა ათშვიდმეტსა განვქარო იფქლი
და ღვინ[ო]ჲ. და მოისრნეთ ჰავითა სენითა კვირიაკისა არა დაცვისათვის. და თთუესა³³⁷ ივლისსა
გ[ა]მოვავლ[ი]ნი მფრინველი წარმართი, რომელსა აქუნდესა თავი ლომისა, ფრთენი არწივი-
სანი, თმანი მდიდარნი დედაკ[ა]ცისანი და კუდი³³⁸ ცხენისანი³³⁹, რომელი გქ[ა]მდესა ჯორცთა
თქუენთა უწყ[ა]ლოდ³⁴⁰. და მზე გარდავაქციო ბნ[ე]ლად და დღე შეუცვალო³⁴¹ ღამედ ბნელად.
რომელი ჰჭხოცდეთ ერთმანერთსა უწყალოდა³⁴² და მივაქციო პირი ჩემი თქუენგან. სტირო-
დეთ//4r და არა შეგინყ[ა]ლო; მევერდებოდეთ და არა შევისმენდე თქუენსა. ვ[ა]ჲ მას კაცსა,
რომელნი ესე ბრძ[ა]ნებ[უ]ლი წიგნი ჩემი სხვასა სოფელსა არა თუ წაღოსა და არა უქად[ა]
გოსა.³⁴³ თუ უქად[ა]გოს³⁴⁴, მე აუჭოცო³⁴⁵ ცოდვანი მისნი ყოველნი. კვირიაკესა კაცსა ნუ აფი-
ცება, დედანოლობითა ლოცვად მიხვიდოდით. კვირიაკესა და პარასკევსა³⁴⁶ რასა სიტყვ[ა]სა

³²² მკოდართანი

³²³ საოკონოთაგან

³²⁴ ვფოცავ

³²⁵ გარემო

³²⁶ თოსა

³²⁷ მამხლებლდა

³²⁸ მიგიხუნე

³²⁹ ოშიშნი

³³⁰ ორცხვინელნი

³³¹ მსიძიანი

³³² თაონი

³³³ აოჭოცონე

³³⁴ ექმენ

³³⁵ თო

³³⁶ ვაკიმი

³³⁷ თოსა

³³⁸ კოდი

³³⁹ ცხენიშსანი

³⁴⁰ ოწყალოდ

³⁴¹ შეოცვალო

³⁴² ოწყალოდა

³⁴³ ოქადგოსა

³⁴⁴ ოქადაგოს

³⁴⁵ აოჭოცო

³⁴⁶ პარასკეოსა

მომავლებზე, ცოდვილნი, დღესა ბჭობისა ჩემ[ი]სა, თუ არა განიშოროთა საქმე ეშმაკისაჲ, და სამკვიდრებ[ელ]ად თქუენდა იყოს ცეცხლი უშრეტი და მატლი უძილი³⁴⁷ და ბნელი გარესკნ[ე]ლი.

და შვილნი თქვენნი ღარებოდესა და შიმშილ[ი]თა ივოცებოდენ, ვითარცა პირუტყუნი³⁴⁸ უმწყემსურნი. ვაფუცო უბინოდ³⁴⁹ მშობელსა ჩემსა და წმიდასა იოანესა ნა[თ]ლისა მცემელსა და წმიდასა სერაბინ-ქერაბინთ[ა].

ესე წიგნი არა არს დაწერილ კაცისა და არცა მოგონებული³⁵⁰ ძისა კაცისა, არამედ ბრძანებული მამისა ჩემისა ზეცათაჲსა. და ვინცა თქუას, თუ ესე წიგნი არა დაწერილი არს უფლისა ჩემისა³⁵¹ იესუ ქრისტესი, მისდა-მცა ნაწილად არს ც[ე]ცხლი ოშრეტი და ბნელი სატ[ა]ნჯველი და მე დ[ა]ვაქციო ცხორებაჲ მისი, ვითარცა სოდომი და გომორი და კრულ-მცა³⁵² არს იგი სიტყვითა ღვთისაჲთა და მიუთვ[ა]ლო იგი მრისხან[ე]ლთა ანგელოზთა, რომელნი მისცემდენა ცეცხლსა შემწულსა.

ვაჲ მასა ხოცესთა, რომელნი სიტყუანი ჩემნი არა ისმინნეს და ვაჲ მას ხოცესთა, რომელმან გ[უ]ლძვირად ჟამი წიროსა//5r ზ, ვითარ არა აღვანთე ჯორცნი მისნი არა მარტოა წირვისა, არამედ წმიდანი სერაბინ-ქერაბინნი ჰფ[ა]რვენ და სული წმიდაჲ გარემოჲსა მისისა დგას. და ვაჲ მას კაცსა, რომელმან ხოცესი აგინოსა. და ვაჲ გლახ ხოცესი უწ[ე]სოჲ, გ[უ]ლმწყრალი, მეშფ[ო]თესა, ამპარტავანსა. ვაჲ მას კაცსა, რომელმან ესე წიგნი სხვასა სოფლისა არა უქადაგოს; და ვინცა წაილოს და უქადაგოს, მე აღვჯოცნე ცოდვანი მისნი. და ვინცა გულითა არა მოისმინოს სიტყუანი ესე, ვაჲ გლახ მას კაცსა. ან თუ მოისმინოთ და მი[ი]ქცეთ და მოიქცით და წმიდაჲ კურიაკე დაიცვათ და წმიდაჲ სახელი ჩემი ადიდოთა, მე შიგინდვენ ცოდვანი მის ჟამისანი. თუ³⁵³ არა ისმინოს, სენითა ბოროტითა მოისრნეთ. ისმინეთ, მოიქცით, ილ[ო]ც[ე]ვდ[ი]თ ოთხშაბათი, პარასკევსა; ნუ შერევთ სვინდიკნოზსა და ნაეს[ა]ვსა, ნუ შეცოდებით ძმის ცოლთა და ცოლის დათა, შვილთა; სწორადა პატივ სცემდითა მოყვასთა და მეზობელთა, სიყ[უ]არ[უ]ლითა ექცეოდეთ ერთმანერთსა,³⁵⁴ თანა კაცთა ნუ³⁵⁵ შეამტერებთ ენითა თქუენითა, ძმათა ნუ ემტერებთ. და კ[უ]ალად, ვაჲ მას კაცსა, რომელმან დედა-მამასა არა პატივ სცეს და ვაჲ მას კაცსა, რომელი ძმი-ძმაჲსა (sic) ემტერებოდეს; ვაჲ გლახ შე[მ]ცოდესა ეკლესიათასა; ვაჲ შემამტერებელთა და არა მთქმელთა მართლსაჲთა (sic); ვაჲ შემამტერებელთა პატ[ა]რნა ყრმათასა; ვაჲ გლახ ყოველთა ჰავთა ენათადა ვინცა მტ[ე]რნი დააგინესა, მე ავჯოცნე ცოდვანი მისნი. ვაჲ მას, რომელმან გლ[ა]ხ[ა]კსა//6r ზედა რაჲცა ჰავ ქნას, ანუ ვინ მეზობელსა ემტერებოდესა, ანუ შურითა³⁵⁶ ფიცოსა უსამართლოდა³⁵⁷ და ვაჲ გლახ, ვინცა თქუას ამის წიგნისა, თუ კაცთა შექმნილი არისო, ნაწილიცა მისი იუდას თანა-მცა არს.

ძმათა და მეზობელთა დაემოყურენითა.³⁵⁸ თქუენდა მომიცემია³⁵⁹ არს ახალი სჯული და ნათლისა ღებაჲ, რომელი არს ბრძანებაჲ ჩემი. ისმინეთ³⁶⁰ წიგნისა ამისა ჩემისაჲ და ბრძანებაჲ ჩემი. თუ არა ისმინოთა, მარჯუენამან ჩემმამან მაღალმან და საყდარმან მამისა ჩემისამან, განვახუნოე ცანი და ვწუიმო³⁶¹ ქვაჲ მჯორვალე და მდ[უ]ლარე და დავნვა ყოველი კაცი ქუეყანასა ზედა. გ[უ]ბოროტნო³⁶², ოშიშნო, ოწყ[ა]ლონო, ცოდვილნო,³⁶³ ნათესავისა და

347 ოძილი

348 პირუტყონი

349 ობინოდ

350 მოგონებული

351 ჩ`დისა

352 კროლ-მცა

ხოცესთა

353 თო

354 ართანერთსა

355 ნო

356 შორითა

357 ოსამართლოდა

358 დაემოყურენითა

359 მუმიცემია+არს

360 ისამინეთ

361 ეწოიმო

362 გულბოროტნუ

363 ცორფილნო

სინადიკოლუზსა შემცოდებელნო, მოყურნენო, შემასამენ[ელ]ნო, მსიძავნო³⁶⁴, მეტყუანნო,³⁶⁵ უაჰრის-მყოფელნო, ვიდრემდის იქმთ ბოროტსა და არა შეინანეთა, ვიდრემდის არა მოიქცვით. ცუდნო და ჰავნო, არა იცით, რომელი მე ღმერთი მონყალე³⁶⁶ განგემორე ცოდვათა თქუენათჳს.

უგონურნო, მე ვშერები³⁶⁷ და თქუენ იქ[მო]დითა. თუ მე არა უბრძანო მინასა აღმოცინება და ზეცითა არა ვნუიმო, თქუენი რასა შრომითა³⁶⁸ ანუ რაათა დარჩებითა?! ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ზღვ[ა]თა და ჴმელთა. და მე ვარ და ერთიცა არაა დამეფარვისა თქუენ სადაათა³⁶⁹ //1v ნამიხვითთა და ანუ სადაათა დამემალვითა. შეინანეთა ყოველთა, ეშმაკისა საცთურთა³⁷⁰ ნუ მიჰყოებთ³⁷¹. ესეთი არს ეშმაკისა მანქანებაჲ, კაცთა თუ განიცინნესა, ეშმაკი გულსა შეუდაგების და დაემკვიდარებისა მას შინა, გულსა გაოფიცხებს და ყოველსა-ყოველსა ჰავსა³⁷² აქ[ნ]ევსა.

ჴ ძმანო³⁷³ ჩემნო, არასა არის ეშმაკი კაცისა კლვისა, სიძვისა, პარვისა, კაცისა ჰავისაგან მზრახი და მთრვალობისა, ტყოილსა ფიცისა, გ[უ]ლმწყრობისა, ძმათა მტრობითა, დედა-მამა-შვილთა გაყრისა, ამჰ[არ]ტავ[ან]ებისა, ცოლ-ქმართა გაყრისა, პარვისა, მეზობ[ელ]თა მოყურნეობისა,³⁷⁴ კვრიაკესა და და პარასკევსა³⁷⁵ ცისკრადა ძილისა შემექნელი, ეკლესიადა არშესლვისა, ლოცვისა დამშლელი³⁷⁶, მეგობართა გ[უ]ლმწყრობისა?!

შვილნო, ესე ყოველმან ანგელოზთა განაშორებენ კაცთაგან, სულითა წ[ა]რწყმედაჲ არს. სესხსა³⁷⁷ ნუ ვისა ნაოლებთ, სძესა და ღვინოსა და ხოარბალსა ნუ³⁷⁸ გააზავებთ, მმოიდობით და მოყოდრობით და სიყ[უ]არულითა ერთმანერთსაათა ღმერთისა მსახურებისა შინა იყვენით. ეკლესიათა გ[უ]ლმართლადა ჰმსახურებდით, მღვდელთა პატიოს ცემდით, ეკლესიად კვირიაკესა დედანოლ[ო]ბით თავადა მიხვ[ი]დოდით, სა[რ]ებასა მოი[ს]მენდით, //2v ეკლესიასა შინა საჩრელსა³⁷⁹ ნუ შეიქმთ, ლოცვისაგან კიდე სხვასა ნუ რასა იტყვით. ღირსებით და შიშით ილ[ო]ცვიდით დიდთა მარხვათა, ვითაცა ვის შეგეძლოსა, იმარხვიდით; მოძღუარსა აღუარებთ,³⁸⁰ რასაცა კანონსა გაგიჩნდესა, გარდაიწდითა, ზეთსა იკურთხევდითა³⁸¹, რამეთუნ ყოველთა ცოდვათა განმნმედეგი არს და ყოველთა ფიცთა და კორთებისაგან მჴსნელი არს.

და მერმე კუალად მასავე გამცნებ: იყვარებოდით და კვრიაკე სცვითა და უქმობითა დაიტევით ოთხშაბათსა და პარასკევოსა ნუ შერევეთა ჴორცისა დაწოლისაათა; შეიკრძლენით ესე ყოველმან, მცნებანი დაიმარხეთ და ბრძანებათა მათა ჩემთა ნუ შესცვალეებით, რაათა არა ცეცხლსა საოკონესა მიეცნეთა და ბნელსა განონათლებელსა, მატლსა დაოძინებელსა და ღრჴენასა კბილთათასა. ხოლო ესე ყოველთა უწყოდით,³⁸² ვითარმედ ცანი წარჴდეს და ესე სიტყუანი ჩემანი არა სადა წარჴდენ. ესე არა იცითა, ოგონორნო და ოშიშონო, ვითარმედ ესე აწ[ი]ნდეგი ყოფაჲ და ცხორებაჲ წარმვალს არს და იგი საუკუნოჲ ცხორებაჲ წარუვალს და მოუკლებელი არს;³⁸³ ესე ცხორებაჲ მომკუდავი, ხოლო იგი უკუდავი არს; აქა სიკუდილსა³⁸⁴ მოელითა, მანდა სოფევ[ა]სა მოველითა ვინცა ღირ[ს] იყოსა და ცოდვაჲ გ[ა]ნიწმიდოს აქავე სინანულ[ი]თა და

³⁶⁴ მსიძავნო

³⁶⁵ მეტყუანნო

³⁶⁶ მუნყალი

³⁶⁷ ვშორები

³⁶⁸ შრუმითა

³⁶⁹ სადაათა+ქრისტე. მინანერია არშიაზე სხვა ხელით.

³⁷⁰ საცთორთა

³⁷¹ მიჰყოებთ

³⁷² ჰვასა

³⁷³ ძამნო

³⁷⁴ მოყორნეობისა

³⁷⁵ პარასკევოსა

³⁷⁶ დამშლელი

³⁷⁷ სესხსა

³⁷⁸ ნო

³⁷⁹ სარჩელსა

³⁸⁰ აღოარებთა

³⁸¹ იკურთხევდითა

³⁸² ოწყოდით

³⁸³ არას

³⁸⁴ სიკოდილასა

თუ არა, მუნ³⁸⁵ არა არს სინანული. და ვ[ა] მას დედაკაცსა, რომელმან ანუ მუცლითა³⁸⁶ და ანუ ძუძუთა³⁸⁷ შვილი ნებასითა მოკლას, //3v რამეთუ მუნ³⁸⁸ გული სწოვოსა ძუძუთა³⁸⁹ მისათა მოუნყედალა.³⁹⁰

დაიმარხნეთა ესე ყოველნი მცნებანი³⁹¹ ჩემნი, დაიმკვიდრეთ³⁹² აქაურითა ცხ[ო]რებითა სამოთხე, სასუფეველი საუკუნო უკუნისამდე. მოიქეცით, შეინანეთა შეშინდით ბრძანებათა ამათა ჩემთა ზედა და სარწმუნოებასა³⁹³ ზედა დაემტკიცენით. და ოხ[უ]ებით³⁹⁴ მოგცე ყოველი კეთილი და მშვიდობა სნეულეებ[ა]თა თქუენთაგან, იფქლი და ღვინო³⁹⁵ და ზეთი და ნაყოფი, სახლი თქუენ[ი] აღვაავსო³⁹⁶ საუნჯითა³⁹⁷ და კეთილითა და ხოსტაგითა ღვთისა მსახორებისა³⁹⁸ და მაღლსა³⁹⁹ ქრწინესა შინა თქუენსა.

ხოლო საქმითა საეშმაკოთა ყოველივე განქარდებისა საცხორ[ე]ბელი კაცისა და ჩემთა სიტყვათა და ბრძანებათა დამტკიცებასა ზედა ყოველივე მო[უ]კლებ[ე]ლად და უხუებით მოგეცა, რამეთუ მე ვარ ღმერთი მოწყალე და კაცთა მოყვარე და ძკრუესენებელი⁴⁰⁰ მოწყალეებითა და შეწყნარებითა ყოველთა ცოდვისაგან განწმიდელთა და //4v მიუქცეველთა, რამეთუ მამასა შუენისა დიდება და ქება და ძალი და სული წმიდითურთა ანა და მარადის და უკუნისამდე.

ღვთისმშობლის მიმოსვლა

5v რამეთუ გწი ინება წმიდამან ღვთისა მშობელმან, რათა გამოეცხდნენა⁴⁰¹ სატანჯველნი საკვ[რველნი], რათა მოვიდა მათსა ზეცით მოხილვასა⁴⁰², ღალადებდა, თქუა:

„სახელითა მამისა[ქ]თა და ძისა და სულისა წმიდესათა გარდამ[ო]ვიდესა ზეცით მიქაელ დიდი, ყოველი მთავარანგელოზთა, რათა მიუთხრას ზეცისად ქუეყანისა“. და შემდგომად სიტყვსა გ[ა]რდამოწდა⁴⁰³ მთავარი გწი ანგელოზთა და ასითა ანგელოზითა და მოითხოვეს წმიდა ღმრთისა მშობელი. და ჰრქუა ღმრთისა მშობელმან: „გიხაროდენ, მ[ი]ქ[ა]ელ მთავარო, ერთა უხილავისა მამისა მზრახველო, დასისა წმიდისა გრძანებო⁴⁰⁴, [...] ძალისა ჩემისა მზრახველო და საყდართა მისთა წინაშე მდგომარეო⁴⁰⁵, რომელი ჰნოობ (sic) და არა ვისა დაივიწყებ. გიხაროდენ, რომელსა გეგულებს საყვრისა დაცემა და განღვძება ს[ა]უკუნოთაგან დაძინებულთა. გიხაროდენ, მთავარ ყოველთა ზეცისა ძალთაო.“ და ეტყოდა მწიდა ღმრთისა მშობელი: “მითხარ, მიქაელ, და მიჩუწენ სატანჯველნი, რომლითა კაცნი იტანჯებიან და ყოველნი ნათესონი “.

მაშინ აღალო ჯოჯოხეთმან პირი მისი და იხილა წმიდამან ღმრთისა მშობელმან ურიცხონი დედან-მამანი, რომელნი იტანჯებოდეს მას შინა და იყო დიდი ვაება და ჰკითხა: „ვინ არიან ესენი?“ „არიან, ყოვლად წმიდაო, რომელთა მამა, ძე და სული წმიდა არა ჰრწამს და აქა იტანჯებიან.“

³⁸⁵ მონ

³⁸⁶ მოცლითა

³⁸⁷ ძუძუთა

³⁸⁸ მონ

³⁸⁹ ძუძუთა

³⁹⁰ მოუნყედალა

³⁹¹ მცნებანი

³⁹² დაიმკვიდრეთ

³⁹³ სარწმუნებასა

³⁹⁴ ოხებით

³⁹⁵ ღვინო

³⁹⁶ აღვაავსო

³⁹⁷ საუნჯითა

³⁹⁸ მსახორებისა

³⁹⁹ მაღალსა

⁴⁰⁰ ძკრუესენებელი

⁴⁰¹ გამოცხადანენა

⁴⁰² მოხილვასა

⁴⁰³ გარდამოწდა

⁴⁰⁴ ბაძანებაუ

⁴⁰⁵ უნდა: მდაგომრეო

და იხილა სხვასა ადგილს//**6v** ბნელი დიდი და ჰრქუა: რაჲ არს ბნელი ესე დიდი ანუ⁴⁰⁶ ვინ არიან მას შინა?“ ჰრქუა მას მიქაელ: „მრავალნი სატანჯ[ე]ლნი არიან მას შინა.“ ჰრქუა ღვთისა მშობელმან:“ მნებავს, რაჲთა [...]ნვლოვ[...]სე სატანჯველთაჲ.“ რქუა მთავარანგელოზმან: „ვერ შემძლებელ არს, ყოვლად წმიდაო, რაჲთა იხილო სატანჯველი.“ მიუგეს ანგელოზთაჲ [მოციქულსა]: „გუაქუს უხლოსა მამისაჲ, რაჲთა არა იხილონ ამათა ნათელი, ვიდრე არა გ[ა]მობრუნდესა ძე შინა მ[...] გულისა წყრომითა აღავ[...] მათა, ვიდრემდის ღვთისა მშობელი და ა[...] ნა პირველნი მამასა ზეცად და ც[...] სულისა აღარე შენთა გ[...] რაჲთა იხილო⁴⁰⁷ სატანჯველი ეს[...].“

ნათელი, ვიდრე არა გამობრუნდესა ძე შინა მ[...].“ გულისაწყრომითა აღაემ[არ]თა ვ[...]ს ღვთისა მშობელი და აყ[...].ნა ღვთისა მამისა ზეცად და ც[...]. სულისა. აღაღე ბნელი გ[...] რაჲთა იხილო სატანჯველი ეს[...].“

⁴⁰⁶ ანო

⁴⁰⁷ იხილო

მირონის შემზადებისა და კურთხევის წესი

2r შემზადება ნმიდისა და ღმერთმყოფელისა მიჰრონისა, ვითარ-იგი სრულ-იქმნების მცხეთას ნმიდა კათოლიკე სამოციქულო დიდისა ღმრთისა ეკლესიასა ცხოველს მყოფელსა სუჭტსა ცხოველსა შინა, რომელი მოგუჭცა და და გუჭსწავა ნმიდათა მართლმადიდებელთა მამათა და კრებათა მიერ დამტკიცებით. ხოლო ესეცა საცნაურ არს, რამეთუ სხვსა არავის-გან შეიმზადების და არცა იკითხვის ნმიდად მიჰრონი, თვნიერ კათალიკოზისა მიერ. ხოლო ესეცა საცნაურ არს, ოდეს ენებოს კათალიკოზსა მოდულებად და კურთხევად მიჰრონისა, მაშინ შემოკრიბოს მიტრაპოლიტი და მთავარეფისკოპოსნი ცხრანი, გინად შვდნი, ანუ ექუსნი და ყოველთა ნივთთა ზედა დგომად მართებს მიტრაპოლიტსა ახტალისა და უკუეთუ მიტრაპოლიტი არ იყოს, მთავარეპისკოპოსისა ჯერ არს, და ყოველი სურნელი და მასალად ერთგან შეკრებული ქადაგსა ებაროს და ქადაგსა ეცვას მოყუნტუზული ჩაჩი.

სათანადო არს ცნობად, ვითარმედ მეოთხესა შვდეულსა ნმიდათა მარხვათასა, რომელ არს შუამარხვისა, რაჟამს-იგი თაყუანისცემელად წინამდებარე იყოს ცხოველსმყოფელი ნიში საუფლოესა ჯუარისა, დაინყების⁴⁰⁸ შემზადება ნარდსა მიჰრონისასა. ესე იგი არს ერთად შემოკრება სულნელთა და ნივთთა ყოველთა, რომელნი სახელდებით მოჭსენებულ არიან აქა, ხოლო დაინყების სამშაბათსა ამის შვდეულისსა წონად, ჭრად და გლად და წყვად მათი და სრულ-იქმნების პარასკევსა მისვე შვდეულისასა, ვიდრე შუადღემდე, რაათა ყოველითურთ მზად ჰქონდის ყოველი და არცა ერთისა რაასათვს უნდეს მიმოკუჭტებად. პარასკევსა ამის შვდეულისასა, პირველსა ჟამსა დღისასა, მოიხუნენ სამნი ესე ნივთნი ნმიდად განრცხილნი და დიდითა მოსწრაფებითა განწმენდილნი: ვრულილოკიპერი - ლიტრაჲ ლე (35), რაზდონრიზარინ - ლიტრა ე (5), კალამოკრინონ - ლიტრა ე(5). და სამნივე ერთბამად დაიჭრენ წურილად ერჯთა და ჩაიყარენ ჭურჭელსა რაჟამე ნმიდისა რვალისასა, გინა შეშისასა და დაესხას ზედა ღვწო ფეროანი და ფერ ნმიდად მეტრაჲ ერთი. და დალბენ ერთბამად სამნივე, ვიდრე მერვედ ჟამადმდე მის დღისად. ხოლო ქუაბი, რომელსა შინა იქმნებოდის **შეგბობა** ამათ ნივთთა, საწმარ არს, რაათა იყოს ყოველითურთ მრთელი და უზადოდ და სრულობით მოკალული შინაგან. და ქუეშჳ ფიცარი ფსკრისა მისისა იყოს ერთობილი და არა შედგმული და მოუნუსრველი, რაათა არა სადმე მიედგმოდის სარეველი. და რაათა დაიტევდეს თვნიერ სულნელთასა, და სანელებელთასა⁴⁰⁹ ზეთთა ოდენ, და ღვწოსა მეტრასა ოცდაორსა. და რაათა იყოს ზეთი ზეთისხილისა, მწუანე სრულებით, დაწმედილი და უხარჯო - მეტრა იე (15), ხოლო ღვწო ფეროვანი, იგიცა დაწმედილ სრულებით. დაწმედილი მეტრა ე (5). და ნაცვლად ორისა მეტრისა ზემოჭსენებულნი იგი ნამალნი, რომელთა შინა არს ერთობით სამთა ლიტრა ორმოცდახუთი. ვინაცა პარასკევსა ამის შვდეულისასა, მეცხრესა ჟამსა დღისასა, სრულ-იქმნეს-რაჲ მღდელთმთავრისა მიერ წესი ნმიდისა განახლებისა, ვიდრეღა-იგი ჯერეთ წინაშე ნმიდისა ტრაპეზისა მდგომარე იყოს მღდელთმთავარი და ეგულეობდის მიერ გამოსლვა. შევიდენ, რომელთა ეგულეობდის შემზადება მიჰრონისა ნმიდად საკურთხეველად. თაყუანის სცენ სამგზის აღმოსვლით და წყობით მდგომარეთა სწორად. და უპირატესმან მოძღუარმან მათმან დაანოს პატრუქი ნმიდა და შვდ ნათელსა კანდელსა და იცხოს მანცაჲ მუნით ევლოგია და მოყუასთაცა მისთა. ამისსა შემდგომად მოუჭდენ მღდელთმთავარსა მუნვე ნმიდისა ტრაპეზისა ზედა მდგომარეთა თაყუანის-სცენ და **ჰქუაჲს** უხუცესმან მათმან: „მეუფჳო, აკურთხე შემზადება ნმიდისა მიჰრონისა“.

ხოლო მღდელთმოძღუარმან თქუჲს: „ღმერთმან მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა ნმიდისა წინამორბედისა, ნმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთათა აკურთხენ შემზადება ეგევითარისა მის საქმისა“. ესრეთ გამოვიდენ მიერ, რომელთა-იგი ეგულეობდის შეზავება და მოინინენ მათთვს განმზადებულსა, ხოლო თანა-ჰყვეს ერთი ვინმე ხუცესთაგანი სამღდლოდ, რომელსა ჳელთა აქუნდენ საცეცხურნი და აკ ||

3r მიოს სამგზის ჯუარის-სახედ შინაგან ქუაბისა, რომელი დგეს სამირონედ განმზადებული მისთვს შეკაზმულსა მას ადგილსა და სამგზის აკმიოს წინაკერძო მისსა.

⁴⁰⁸ დაინყების

⁴⁰⁹ სალენებელთასა

და აკმევდის, რა იტყოდინ მდღლითურთ **ერთბამად** ყოველნი მუნ მდგომარენი „წმიდაო ღმერთოსა“ და „მამაო ჩვენოსა“ და დასდებელთა ამათ: „მინყალენ ჩუენ, უფალო, მინყალენ ჩუენ, რამეთუ ყოვლისავე სიტყვსა მიცემისაგან უღონონი ამას ვედრებაჲსა შენ მეფისა ცოდვილნი ესე შევესწირავთ: „მინყალენ ჩუენ, უფალო, მინყალენ ჩუენ. დიდება. უფალო, შეგვწყალენ ჩუენ, რამეთუ შენ გესავთ. ნუ განმირისხნები და ნუცაჲ მოიჴსენებ უსჯულოებაჲთა ჩუენთა, არამედ მოიხილე ანცა, ვითარცა მონყალემან, დაგვსნენ მტერთაგან ჩუენთა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი და ჩუენ ერი შენი, ყოველნი ქმნილნი ჴელთა შენთანი ვართ და სახელითა შენითა ვინოდებით“. „და ანაჲ მონყალეებისა წყაროჲ განმიღე ჩუენ, კურთხეულ ღმრთისმშობელო, რამეთუ შენ გესავთ ჩუენ, რაჲთა არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ შენ მიერ განსაცდელთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხორებაჲ ნათესავისა კაცთასა“.

ამისა შემდგომად თქუან ლიტონისა წმიდისა პანტელემონისი: „ლუანლით შემოსილო წმიდაო, ევედრე მონყალესა ღმერთსა, რაჲთა ცოდვათა შენდობაჲ მოჴმადლოს სულთა ჩუენთა. და შეუდგინონ კონდაკიცა მისვე წმიდისა. სატანჯველნი ფიცხელნი ახოვნებით შეურაცხ-ჴყვენ, სიმჴნე ზეცით შეინყნარე, ვითარცა მრავალმოღუანემან, თანამწყობრ იქმენ და სიქადულ მონამეთა, დიდებულო, და სარწმუნოებით მიიღე ღმრთისაგან სენთა კურნებისა მადლი“.

მერმე თქუან კონდაკი ყოვლად წმიდისა: „ზეშთამბრძოლისა მჴედართმთავრისა ძლევისა ძღუჴნსა, ვითარცა ჴსნილი ძვრთაგან სამადლობელსა აღსწერს, შენდა ქალაქი შენი, ღმრთისმშობელო, არამედ, ვითარცა მქონებელმან, ძლიერებაჲსა უბრძოლველსა ყოველთავე ჴირთაგან განმათავისუფლე მე, რაჲთა გიღაღადებდე შენ. გუაკურთხენ, სძალო უსძლოო“. ამისა შემდგომად კონდაკიცა ჴუარისა: „არღარაჲ მახჴლი მოტყინარე სცავს **ბჴესაჲ** ედემისასა, რამეთუ წინაგანენყო მას დიდებული ნიჴი ძელი ჴუარისა და მოულო სიკვდილისა ფლობაჲ ჴოჯობეთსა ძლევაჲ, რამეთუ მიინიე, მაცხოვარ, ჴოჯობეთისათა მიმართ და უღაღადე: „კუალად იქეცით მუნვე სამოთხედ“. „დიდება“ და „წმიდაჲ“; „შესავედრებელო და ძალო ჩუენო, და ძლიერო, შემწეო სოფლისაო ღმრთისმშობელო, მეოხებითა შენითა იჴსნენ მონანი შენნი ყოვლისაგან ჴირისა შენისა, მხოლოო კურთხეულო“. და კვრიელეისონი მ (40). დიდებაჲ. ა (ერთი) წმიდაჲ. სახელითა უფლისაჲთა გუაკურთხენით, წმიდაო, გუაკურთხენ მეუფჴო“.

და მღღელმან თქ̄ეს: „ღმერთმან მინყალენ ჩუენ და მაკურთხენ ჩუენ, გამოაჩინე პირი თჴსი ჩუენ ზედა და მინყალენ ჩუენ“. თაყუანის-სცეს სამგზის მუჴლმოდრეკით. მერმე მოიქცეს მღღელი და თქ̄ეს ლოცვაჲ განტევეებისა: „ქრისტემან, ჴემმარიტმან ღმერთმან, მეოხებითა ყოვლად წმიდისა უხრწნელისა დედისა თჴსისათა ძალითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჴუარისათა წმიდათა ზეცისა ძალთათა, წმიდისა და დიდებულისა წინანარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისათა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთათა, წმიდისა და დიდებულისა დიდისა მონამისა პანტელემონისითა და ყოველთა წმიდათათა შეინყალენ და აცხოვნენ სულნი ჩუენნი, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთმოყუარე“.

და სხუაჲთა მათ თქუან: ამინ.

მერმე **უკუჴ** აღვიდეს უმოძღურესი იგი შემზადებულთა მათ, და მოიღოს ჴელად სამი იგი ნივთი დამბალი ღვინთა და ჴქუაჲს მღღელსა: „აკურთხე, მეუფჴო, შთანყვაჲ ესე წმიდისა ამის საქმისა“. და მღღელმან თქუაჲს: „კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი ყოლაღვე, **ან[და]**⁴¹⁰ და მარადის“. და მან თქუაჲ: „ამენი“.

და ეგრეთვე შთაასხამს ქუაბსა მას შინა. ამისა შემდგომად მიუჴყრას ღვინოცაჲ და **მასცაჲ** დასწეროს ჴუარი მღღელმან. შთაასხმან მასვე ქუაბსა მეტრაჲ ე (5), ფეროვანი და სრულიად დანმედილი, და დაურიოს მისთჴს შექნილითა სარეველითა. მერმე შთაასხას ზეთი - მეტრაჲ იე (15). და კუალადცა ურიოს და ესრეთ დაბუროს ქუაბი იგი საბურველითა ფიცრისათა, გაზრახვთ შექმნილითა და კეთილად მოზავებულისა, და წარვიდეს თჴთეული სახედ თჴსად. ხუალისაგან, რომელ არს შაბათი, შუაჲ მარხვისაჲ, ვიდრე ცისკარი არღაჲ აჩენით იყოს, მოინინენ ა ||

4r დგილსაჲ მას. და პირველად საბურავი იგი მოჴჴადონ ქუაბსაჲ, მერმე შეუგზნან ცეცხლი წინაჲ დღითვე მომზადებულისა და ადვილად მნთებართა და ლბილითა შეშითა და ადულონ ძლიერად განგრძობასა სამისა ჴამისასა. ხოლო ეკიდოს კანდელიცა და მახლობელს სადმე ადგილსა ზედა კერძო მისსა. **გარნაჲ** არავე სრულიად დამართებით, რაჲთა არა ავსებ-

⁴¹⁰ ან~ღ

დეს ორთქლი და სამარადისოდ დღე და ღამე ენთებოდეს ეგრეთვე, და კერეონიცა⁴¹¹ ენთებოდის კელაპტრიტა, მარჯუნით კერძო ქუაბისა მშორებელად-რე, რაათა ყოვლითურთ არა ეხილოს, არცა ეცემოდის ორთქლი ქუაბისა, რომელსა ზედა ნუცა-მცა⁴¹² სხვსა ნათლისა მინთება, გინა, რაქსავე ცეცხლისა მიღება კადრებულ არს ოდესცა. ოდეს-იგი დუღდეს ქუაბი მახლობელად ორთქლისა მისისა ვინათგან, ვითარცა მალნინტნი რკინა, ეგრეთვე ორთქლი მისი მიიზიდავს სულსა ცეცხლისასა. და ერთბამად აღაგზებს ზეთსა სულნელთა და ღვინოსა, რომლისაგან დიდი კრძალვაა საჭმარ არის, რომელი თუ შეემთხვოს, სადა იხილე, თუ ვითარ გივს დავსება, რათა მგზებელმან შეშა და ცეცხლი გამოუყაროს ქუემჴ. ხოლო მგზებელმან აღილოს საბურავად შექნილი იგი და პირსა ზედა ქუაბისასა კეთილად მოვლენილი იგი ფიცარი და არა ანაზდათ დაჰბუროს მას, არამედ იწყოს ერთკერძოსა ბაგესა მისსა მოკიდებად ფიცრისა მის და ნელიად ზედ შეცურვებით დაჰბუროს. და ეგრეთ მეყსეულად დაავსოს ალი მისი. ხოლო დუღილად რა იწყოს, სამარადისოდ ზედამცა ადგს ერთ-ერთი მრეველი და ურევს ძლიერად და უწყინოდ. და ოდეს მას მოეწყინოს, სხუა გამოეცვალოს. ესრეთ ყოველსა დუღილსა მისსა ნუმცა აჰვდების თუალი და სული კაცისა. და ვითარცა სამი ჟამი იდულოს, ვითარცა პირველ ვიტყოდით, თანა-ჩაურთონ ფურცელი დაფნისა, მოდისა მეოთხედი ფურცელი დაფნისა, მოდისა მეოთხედი, და დენდროლვანონისა ფურცელი იგიცა, მეოთხედი მოდისა, და მურტისა ფურცელი ეგეოდენვე. და იდულონ ამათ ერთბამად⁴¹² სამი ჟამი სხუა. და ვითარცა სამი იგი ჟამი გარდავდეს, ჩაურთონ ნასარი, ლიტრაჲ ვ (6). შამჴარჴამი ჴმელი, ლიტრაჲ ბ (2) და ვარსამოფილლა, ლიტრა ბ (2). და იდულოს ამითურთ, ვიდრე სრულიად მიმწუხრებადმდე მის დღისა. ხოლო პირველსავე თანა დაწყებასა დუღილისასა, საჭმარ არს, რაათა დაადგინონ ორნი დიდროანი კურკუმნი ორისა მეტრისანი მასვე ცეცხლსა, იმიერ და ამიერ ქუაბისა, და დუღდენ იგინიცა. და ვითარცა ჩაიდულებდეს ქუაბი ნახევარ მეტრსა, ღვინოსა ზედა ჩაასხმიდენ ეგოდენსავე მდუღარსა მათ კურკუმათგან, ტარედითა რათმე ფილითა სპილენძისათა, რომელსა ბერძულად ჴქვან პერიპიტარინ. და მასვე საზომსა შემოჴყრიდენ ქუაბსა მას, სადაცა ყოფილიყოს დაწყებასა დუღილისასა, რაათა არა ჩაინუას ზეთი და სანთელნი. და ფრიადითა კრძალულებითა და უწყინობითა რევისათა, ზედა ადგენ სამარადისოდ, რაათა არა მიეწუნენ ფსკერსა სანთელნი იგი.

და სული შეილოს ნარდმან წმიდისა მიჴრონისამან. ხოლო წყლისა მდუღარისა შთასხმა ერთვე ესრეთ იქმნებოდის, ვითარცა დაგვწერია, რაათა დააკლდებოდის რა ნახევარ მეტრაჲ ღვინო, შთაისხმიდენ ნაცვალსა მისსა მდუღარსა. ხოლო ვითარცა შემწუხრდეს შაბათი იგი, დაავსონ ცეცხლი და გამოგაონ ქუემჴ წმიდად, რაათა ყოვლითურთ არა დარჩეს მუნ ნაწილი რაიმე ცეცხლისა. და ესე რაჲ ყონ, შთაასხან ზედა გრილი წყალი, მეტრაჲ ერთი, და დაბურონ საბურავითა მისითა. და დაბურონ საბურავითა მისითა და განისუჴნენ მადულებელთა. ხოლო დუღება⁴¹³ ესრეთ საჭმარ არს, რაათა ძლიერად ეგზებოდის ცეცხლი ქუემჴ, ვითარცა ზემოცა დაგვწერია, რაათა დუღდეს ფიცხლად ჴოჩინებით და||

5r არა ფუფუნებით, გარნაჲ ეს-მცა კრძალულებით იქმნების, რაათა აღვიდეს ათი და შთაიჭრეს ქუაბსაჲ შინა, არამედ რაათა წინაჲ დგეს ერთივე კაცი და გუჴრდით ედგას ტაშტითა წყალი. და ხედვიდეს რაჲ, რომელ ალი გამოვიდოდის, თევშითა, გინაჲ ჴურჴლითაჲ რაათმე აპკურებდეს წყალსა და ანელებდეს ალსა. ესრეთ უკუჴ ღამესა მას ყოველნი იგი წამალნი დასხდენ ქუჴ და დადგას ზეთი კერძო დაწმედილი სრულებით. და კვრიაკესა ცისკრად, კუალად მასვე ჴამსა უწინარეს ცისკრისა, კუალად აღდგენ, დანაყონ და უკუეთუ დიდად ცეცხლი იყოს, მიუშუან, ვიდრემდის გათენდეს. ხოლო ვითარცა დღე განთენდეს, და იგი დანივთდეს, მოიხუნენ ჴურჴელნი კეცისანი მოუფისავნი ვ(6), ანუ ჴ (7)-ნი, რომელნი დაიტევდენ მას; და ძაბრი რვალისა, და ყურედი იგი ფიალი, და დააგონ ძაბრი პირსა კოკათასა და აღმოიღებდენ ფიალითა მით, დაასხმიდენ მათ შინა, ვიდრემდის მოავსნენ იგინი. ხოლო აღმოიღონ მარტოდ ზეთი ოდენ დაწმედილი და იგი შთაასხან კოკათა მათ შინა. და ვითარცა მიილოს წამალთა მათ და ღვინოსა თანა და აღიმრღუჴოდის, არღარაჲ აღმოიღონ.

კუალად მოიღონ ვარცლი დიდი შეშისა, რომელი დაიტევდეს ჴ (8) მოდსა და დაჴკიდონ საშუალ მისა გოდორი, მტკიცედ დანინული უჴმარებელი ტკეცისა, რომელსა ჩავიდოდის მოდი

⁴¹¹ კერეონიცაჲ

⁴¹² ერბამად

⁴¹³ დოღებაჲ

და ნახევარი. და ჩაასხნენ სულნელნი იგი სრულებით ქუაბისაგან მუნ შინა და მიუშუნენ, რომელ დანრდენ. ხოლო ქუაბი წმიდად მოწმიდონ და განრცხან. და კვრიაკესა, პირველსა ჟამსა დღისასა, დაადგან იგივე ქუაბი მასვე მისთვის შეკაზმულსა ადგილსა და შთაყარონ მათ შინა ტრიფსიდი, ნულილად დანაყილი და გაცრილი ცხრილითა, ლიტრა ლე (35), პილპილი, დაფქვლი ჳელსაფქუავითა, ლიტრა იე (15), ღვინო ფეროვანი, მეტრა ე (5); და ზეთი იგი, პირველსა დღესა მოდულეული და დანმედილი, მათ კეცისა ჭურჭელთაგან კუალად შთაასხან ქუაბსავე შინა. და შეუგზნონ პირველ და ეგრეთვე უწყინოდ ურევდენ და ადულებდენ. და ვითარცა სამი ჟამი იდულოს, მოიღონ საკმელი ლადანაჲ, ლიტრაჲ იბ (12), და საკუმეველი ღოფიტი, ლიტრაჲ იბ (12). და დაჭრან ნულილად და შთაყარნენ შიგან. და დუღდეს ვიდრე მერვედ ჟამადმდე დღისა, ხოლო გოდორსა მას ორჯერ ზედა დაასხან თითო მეტრაჲ მდულარი და დაურიონ, რათა სრულებით გამოვიდეს ყოველი ზეთი და ძალი წამალთა. და მუნით გასრული იგი წყალი შთაასხან მათ კურკუმათა შინა და ადულონ და მას დაუგებდენ ქუაბსა ზედა, რაჲ ჩაიდულებდეს, ვითა ზემო დაგვწერიაჲ. ხოლო შემდგომად მერვისა ჟამისა ჩაყარონ ნიგოზი სანთელთა, ლიტრაჲ ერთი და ნახევარი, კარიოფილა, ლიტრაჲ ერთი და ნახევარი, ტატოსი, ლიტრა ბ (2), ქსიროზინზავირინ, ლიტრაჲ ბ (2), ლალანგან, ლიტრა ბ (2), კილამონისტური ახალი, ლიტრა ბ (2), ოსტორიზონი, ლიტრაჲ ბ (2), ჩარდოსტალზნი, ლიტრაჲ ბ (2).

ესე ყოველნი დარჩეულნი წმიდად და დანაყილნი წურილად და გაცრილნი ტრიფსიდსა თანა, ლიტრასა ჴ (8)-სა და პილპილსა, ლიტრასა ოთხსა, ეგრეთვე დანაყილსა და გაცრილსა ჩაურთნენ ქუაბსა მას შინა. და მათ თანა შთასხან ღვინო გრილი, მეტრა და ნახევარი, და იდულონ ამათ ყოველთა მერვით ჟამითგან დღისაჲ, ვიდრე პირველად ჟამადმდე ლამისა, ვიდრემდის **გარდაჯდესცა** პირველი ჟამი. ხოლო მდულრისა იგი **სხმაჲ**, ვითარცა⁴¹⁴ ჩაიდულებდეს, ნუმცა მიგცილდების და თანავე ურიდად რევად და კრძალულებით ზედა და წინადგომად.

ხოლო ვითარცა პირველი ჟამი ლამისა გარდაჯდეს, უხუცესი მოძლუარი მათ მდულელებთა აღვიდეს სიმრავლესა გუჭრდით კერძო ქუაბსა და ჳმად ყოს: „გუაკურთხენ, მეუფეჴო“. ხოლო ერთმან ვინმე ეკლესიისა მნეთად ანუ დიაკონთაგანმან მიუგოს: „კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი ყოვლადვე“ და სხუათა მათ თქუაან: ||

Gr „ამინი“. მაშინ სიმრავლესა მას მდგომარემან მან თქუაჲს: „მრავალ წელნი სახელით მეფესა ჩუენსა ბაგრატიანსა ყოვლისა საქართველოსა და სხუად რა“ ოდენიცა სამეფო აქუს თვთმპყრობელისა მრავალ წელნი. და ეგრეთვე სამგზის მიუგონ ქუჭმდგომარეთა ესევე სიტყუად სანატრელსა და ყოვლად წმიდასა კათალიკოზსა მცხეთისასა, ქართლისა, კახეთისა, ოვსეთისა და სამცხე-საათაბაგოსა, ყოვლისა საქართველოსა პატრიაქსა (სახელი) მრავალნი წელნი. [დ]ა⁴¹⁵ ეგრევე თქუაან ქუჭმდგომარეთა ესევე სიტყუად, ხოლო ამას ჟამსა იტყოდიან ჳმითა გარნაჲ ნელიად-რე⁴¹⁶ იგიცა და იგინიცა.

ამისა შემდგომად თქუაჲს მანვე რეცად წმიდისა მის საქმისა მიმართ, რომელ არს მიჴრონი, გვრგვნოსან იქმენ საქმე: „აჴა, ესერაჲ იკურთხე კაცთმოყვარისაგან და მონყალისა ღმრთისაჲ ჩუენისა“.

და ქუჭმდგომარეთა მიუგონ: „აჴა, ეგერა იკურთხე“.

კუალად მანვე თქუაჲს მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისათა: „აჴა, ეგერა იკურთხე“.

და ქუჭმდგომარეთა: „გვრგვნოსან იქმენ, საქმეო, აჴა ეგერაჲ იკურთხე“.

და მანვე მეოხებითა ყოველთა წმიდათათა: „აჴა, ეგერა იკურთხე“.

და კუალად ქუჭმთათვე: „გვრგვნოსან იქმენ, საქმეო, აჴა, ეგერაჲ იკურთხე“.

და მანვე: „წმიდისა მამისა ჩუენისა კათალიკოზისა და ყოვლისა საქართველოსა პატრიაქისა სახელით: „ აჴა, ეგერაჲ იკურთხე“.

და კუალად მათვე დამაშურალთა ამათგან შენთჴს: „აჴა, ეგერაჲ გვრგვნოსან იქმენ“.

და ქუჭმდგომთა სრულ იქმენ: „აჴა, ეგერა იკურთხე“.

ამისა შემდგომად მანვე თქუაჲს მღდელთმთავრისაჲ მიმართ: „მრავალ წელნი, მეუფეო⁴¹⁷“.

და ვითარცა ესე თქუაან, გამოუვსნენ ცეცხლნი ქუჭმჴ ვიდრემდის ნაბერწყალიმცა ერთი ნუ დარჩების ქუჭმჴ და ეგრეთ განისუჭნენ კაცთა მიმართ, ხოლო ხვალისაგან მეორესა ჟამსა

⁴¹⁴ ვითაცა

⁴¹⁵ დ-ონი არ წერია ტექსტში, ვფიქრობთ, სინგურით უნდა ჩაემატებინათ და გამორჩათ

⁴¹⁶ ნელიათ-რე

⁴¹⁷ მ-ფეო

დღისასა, ვითარცა სრულებით დანმდეს ზეთი წმიდისა მიჰრონისა და წამალნი ყოველნი ქუჭ დასხდენ. და **სცნა** რომელ არღარა და ცხელი იყოს. და ჭურჭელთა ვერღარაფს ავნებდეს, ვითარ-იგი პირველსა დღესა დაგვწერია. ეგრეთვე ანცა მათივე პირველთა ჭურჭელთა შინა შთაისხას ზეთი ოდენ წმიდად, ხოლო წუწნი, რომელ დადგეს ზეთისა და წამალთა შუა, შთა-ისხას ჭურჭელთა შინა კეცისასა, რომელსა იყოს გასადენელი წყლისა მახლობლად ფსკრისა და ეპყრას⁴¹⁸ ბროჭი, რომელსა ბერძულად ჰქვან ორკან⁴¹⁹ და მით დასწურო სხუად წუწნი გა-უბა და ქუჭ დაითხოს, ხოლო ზეთი, რომელი დარჩეს მათ ჭურჭელთა ზედა, მოუგო, ვინათგან მაშინ ცეცხლი **ჩაგესცა** საჭირო არს. რომელ ცეცხლი, რაჟამს დაგრძლდეს, **დანაკლულდეს-ცა**. და, თუ დამეტდეს, სხუაფსა რაფსმე ჭურჭელსა ჩაასხან კეცისასა და საჭურჭლესა შინა ეკლესიისასა დაჰმარხნენ იგი, ვიდრე დიდ ხუთშაბათადმდე. ხოლო ვითარცა დიდი ხუთშაბათი მოიწიოს, უწინარეს ჟამსა წმიდისა ჟამისწირვისასა, შევიდენ ერთი ხუცესი და ერთი დიაკონი საჭურჭლეს და შეიმოსნენ. და ვითარცა შეიმოსნენ, დიაკონ ჰრქუაფს მღდელსა: „გუაკურთხენ, მეუფწო“.

ხოლო მან თქუაფს: „კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი ყოველადვე ან“.

დიაკონი: „ამინი“.

და ეგრეთვე მივიდეს დიაკონი და აღილოს პირველსა წელიწადსა კურთხეულისა მიჰრო-ნისა ჭურჭელი სავსე მიჰრონითა, რომლისა და რაფთურით ჳელი არა შეხებულ იყოს, არამედ ეგრეთვე დგეს ჳელშეუხედ მითვე ჭურჭლითა, რომელსა შინა წინასა წელიწადსა კურთხეულ იყოს და მოჰგუაროს მღდელსა. ხოლო მღდელმანმან აღილოს სახედ დიდისა კოვზისა შექნილი ჭურჭელი ოქროსა, ანუ ვეცხლისა, და მოვიდეს მათ ჭურჭელთა, რომელსა შინა დგეს მაშინ შემზადებული იგი წმიდისა მიჰრონისა. და პირველსა მათგანსა თანა წარჰჳდეს. მეორისგან იწყოს და შთაასხას ორთა ანუ სამთა მათგანთა სამ-სამი კოვზი. და პირველსა კოვზსა ზედა თქუაფს: „სახელითა მამისათა“ . დიაკონ: „ამინ“; მეორესა ზედა: „სახელითა ძისათა“, დიაკონ: „ამინ“ ; მესამესა ზედა: „სახ||

7r ელთა სულისა წმიდისათა“. დიაკონ: „ამინ“.

და ესრეთ ყოს ყოველთა მათ ჭურჭელთა ზედა, **რაოდენტაცა** შინა შთაასხმიდეს. ხოლო სხუაფსი თანამდგომნი მათნი იტყვან წელიად: „სერობაფსა საიდუმლოსა შენისასა , ძეო ღმერთისაჲო, ზიარებად შემიწყნარე, რაფთა არა მხართა შენთა უთხრა საიდუმლო შენი, არცა ამბორს გიყო, ვითარცა იუდაჲ, არამედ ვითარცა ავაზაკმან გილაღადო: „მომიჳსენე მე, უფალო, ოდეს მოხვდე სუფევითა შენითა“.

ხოლო უკუეთუ მათ ორთა, ანუ სამთა ჭურჭელთა ზედა დაილიოს სამ-სამითა მით შთასხ-მითა კუალად მოურთოს მითვე, ვიდრემდის დაილიოს სრულებით მათ ზედა ოდენ. და ამას მეორესა მორთვასა შინა იტყვან იგიცაჲ. სერობაფსა საიდუმლოსა, ხოლო ვითარცა დასცალოს, წმიდად განრცხან ალაბასტრი იგი, რომელსა ჩუენ ტაკუკად ვიტყვო. და წარცხი მისი შთაასხან წმიდასა საფლველსა⁴²⁰ და ნამეტავსა შეწირულისა სინმიდისასა შთასდებდენ, რაჟამს დაჰმატ-დეს, ანუ რყუნილებაჲ რაფმე შეემთხვიოს ობისა მოკიდებითა.

ალაბასტრსა შინა ასხან პირველისა მის ჭურჭლისაგან, რომელსა შინა არა ჩაერთოს შა-რშაჲ კურთხეულისაჲ მიჰრონისაგანი, ვითარცა წელან ვიტყოდე თანანარსვლასა პირველისა ჭურჭლისასა. და აღავსონ მითა ალაბასტრი⁴²¹ და დადგან წმიდისა ტრაპეზისა მსგავსი ტრა-პეზი ფიცრისა, გაზრახვთ შექმნილი სამისოდ, და ზედა გარდააგონ სანანილითა წესისაებრ წმიდისა ტრაპეზისა, თვნიერ ხოლო ოდიკისა და დაჰკიდონ ზედა კერძო მისსა ქორკანდელი. ათერთმეტთა მქონებელი , წურილთა კანდელთა მნთებარეთა და დაუგნენ ამიერ და იმიერ ორნი დიდროანი კეროვანი კელაპტრითა და დადგან მას ზედა ალაბასტრი იგი წმიდისა მიჰ-რონისა დაბურვილი პერექელითა ძვრისა რაფსმე კასტორისაჲ სტავრისაჲთა, რომელსა ზედა ეწეროს ოქროქსოილად ხატი სამეუფოსა სერობისა, ანუ თუ ოქრო **პეტალითა** ოდენ⁴²² სიად-ვილისაჲთვს.

⁴¹⁸ ეპრას

⁴¹⁹ ორკან ჭურჭელსა მას ჰქვან, არათუ ბროჭსაჲ (გადამწერის შენიშვნა)

⁴²⁰ სფ ლვსა

⁴²¹ ალბასტრი

⁴²² ოდენ

ესე უკუშე ესრეთ ყონ საჭურჭლესაჲ შინა მახლობელად წმიდისა ტრაპეზისა, რომე-ლი-იგი დგას საჭურჭლესა შინა, რომელსა ზედა იქმნების პირველი წინადადებაჲ წმიდათა მსხუტრპლთა. მარჯუენით კერძო მისსა, ხოლო ვითარცა წმიდისა ჟამისწირვისა ჟამი მოი-ნიოს, არარაჲს უმეტესისა ქმნა საჭმარ არს მიჰრონისა ძლით. თვნიერ **ჩუჭულებისა** სამლ-დელთმოძღუროსა ჟამისწირვისაჲ დაწყებაჲ წესისაჲ წმიდისა ჟამისწირვისა მღვდელთ მემს-ხუტრპლეობისასა. და ვითარცა წესისაებრ მის დღისა, არამედ „უფალო ღალადყავისა“ იქმნას შესლვაჲ მღვდელთმთავრისა წმიდად საკურთხეველად. და წარიკითხნენ საკითხავნი ყოველნი და სახარებაჲ, ვითარცა მოსცემდეს სვნაქსარი მის დღისა. გან-რა-ვიდოდინ დიაკონნი და ხუ-ცესნი შემოყვანებაჲდ⁴²³ სინმიდეთა. მათ თანა განვიდეს პირველი მღვდელთა **პროტოპაპასი** და მი-რა-ინიოს სადიაკონედ, სადა-იგი მდებარე-იყოს წმიდაჲ მიჰრონი სხუაჲთა სინმიდეთა თანა. მოულოს პროტოპოპოსმან საცეცხური მთავარდიაკონსა. და დასწეროს წმიდა მიჰრონსა ზედა საცეცხურითა ჯუარი სამგზის, ეგრეთვე წინაშე მისსა და იმიერ და ამიერ. და მისცნეს მას მასვე და თაყუანისცეს თვთ წმიდა მიჰრონსა. ხოლო ლოცვისა თქუმა რაჲსაჲვე არავისგან სა-კადრებ||

8r ელ არს, არა ოდეს მას ზედა თვნიერ, ხოლო მღვდელთმთავრისაგან საკურთხეველსა ზედა, ვითარცა გეპოოს შემდგომად მცირედისა. და ვიდრე იგი აკუმევედა-ლა **პროტოპაპა**, მა-შინ დიაკონთა აღაღონ თითო სამწერობელი და დადგენ წინა კერძო **პროტოპაპისასა**, პირის-პირ ერთმანერთისა. ექუსნი იმიერ და ექუსნი ამიერ და თავნი სამწერობელთანი მიადგნენ ერ-თმანერთსა. და შექმნან საშუალ, ვითარცა დაბურვილი რაჲმე გზაჲ სამეუფო. და წინაკერძო მათსა დგენ ორნი მესანთლენი კერეონებითა იმიერ და ამიერ. და მთავარდიაკონი საცეცხუ-რითა დგეს შემდგომად მესასანთლეთა⁴²⁴. ესრეთ აღიქუას პროტოპაპასმან წმიდაჲ მიჰრონი საბერველითურთ მისით და მოიქცეს და იწყოს სლვაჲდ ქუჭუშე სამწერობელთა მათ მათ ი“ბთა (თორმეტთა) დიაკონთასა. და იგინიცა თანა უვიდოდინ ნელად და იგი ვიდოდის საშუალ ოდენ, ხოლო სწორადმცა იარებიან დიაკონნი მესამწერობელნი დამართებით ერთმანერთისა და თავთა სამწერობელთასა ნუ განაშორებნ ერთ-ერთას, არამედ, რაჲთა მწუტრვალნი მათნი მოეკიდნენ ერთი მეორისა და ორ-ორსა მათსა პირშეცეკვით ერთმანერთისამან მავალსა. და წინაკერძო მათსა ვიდოდინ მესასანთლენი, რომელთა მეყსეულად სხუაინიცა სინმიდედ თვ-სითა წესითა და განგებულებითა ყოვლითურთ უნაკლულო სანთლითა და სანერობლითა და ვიდოდინ შემდგომად მათსა. ხოლო ვითარცა მოინიოს პირველი მღვდელთა მიჰრონითურთ და მის თანა დიაკონებით კართა თანა საკურთხეველისათა, მუნ დადგეს იგი დამართებით წმიდათა მათ კართა, ხოლო დიაკონნი სამწერობელთა შევიდენ შინა და დაენყუნენ ეგრეთვე ექუს-ექუსი იმიერ და ამიერ პირისპირ ერთმანერთისა წმიდათა კართაგან, ვიდრე წმიდად ტრაპეზადმდე. და თავნი სამწერობელნი მიეყრდნენ ერთმანერთისადა, ხოლო კათალიკოზსა პირველვე მიე-რიდოს მათდა, ვითარ საკათალიკოზოსა ჟამისწირვისა განგებაჲსა შინა დაგვწერია: და დადგეს იგურდივ სუჭტსა საკურთხეველისა კუბოსასა მარცხენით კერძო, ხოლო **პროტოპაპასი** მუნვე კართა ზედა დგეს ჯერეთ. და ვითარცა დაენყუნენ დიაკონნი სამწერობლოსანნი ზემოთქმუ-ლითა მით წესითა, შეიძრას კათალიკოზი მუნით, სადა დგეს და აღმოვლოს უკანა კერძო და-წყებულთა მათ დიაკონთასა, შე-რა-ვიდეს წინაშე წმიდისა ტრაპეზისა და მუნით განვლოს სა-შუალ ათერთმეტთა მათ დიაკონთასა ქუჭუშე სამწერობელთა მეორისა მის ბურვილობისა⁴²⁵. და მიეგებოს წმიდასა მიჰრონსა. და, ვითარცა მიინიოს მახლობელად მისა, თაყუანისცემს მცირედ და ნელიად მოდრეკითა და მიიქუას ჳელთაგან **პროტოპაპასისთა** და იწყოს სლვაჲდ მასვე სამწერობელთა მიერ დაბურვილსა გზასაჲ წმიდად ტრაპეზად, სადა-იგი მო-რა-ინიოს მარცხენით კერძო მის ადგილისაჲ, სადა-იგი პირველსა ფეშხუმსა დასდგმიდენ დაბურვილი თვსითა მით საბურავითა. და თვთ მიიქცეს და დადგეს მუნვე გუტრდით მარცხენით კერძოსა მის სუჭტისა. და ეგრეთლა შემოყვანებულ იქმნან სხუაინი იგი სინმიდენი წესისაებრ თვსისა, ხოლო სინმიდეთა ყოველთა იგივე გზაჲ გავლონ ქუეშე კერძო დაწყებულთა მათ სამწერობელ-თაჲ. და ვითარცა დაანყონ ბარძიმ-ფეშხუმი ყოველი წესისაებრ თვსისა, წმიდაჲ მიჰრონი დგეს მარცხენით კერძო პირველისა ფეშხუმისა, ვითარცა ეგერაჲ გვთქუამს, დაბურნენ ყოველნი

⁴²³ შემოყვანებჲდ

⁴²⁴ მესასანთლეთასა

⁴²⁵ ბურვილობისა

წმიდათა მიჰრონიტურთ ყოველნი სინმიდენი. და შემდგომითი შემდგომად იწყონ წესი წმიდისა ჟამისწირვისა, ვითარ-იგი მოსცემდეს განგებაჲ საკათალიკოზოსა ჟამისწირვისა. ხოლო იბ“ნი (თორმეტნი)-იგი დიაკონნი მტვრთვ||

9r ელნი ათორმეტთა მათ წმიდათა სამწერობელთანი, ეგრეთვე დგენ მითვე წესითა მასვე ადგილსაჲ და ეგრეთვე ეპყრნენ სამწერობელნი ურთიერთას შეახლებითა მწუჭრვალთა მათ-თათა, ვიდრე გასრულებაჲმდე წმიდისა ჟამისწირვისა და ჰრქუას რაჲ დიაკონისა მიერ: „ვდგეთ კეთილად, ვდგეთ შიშით“. და აღეჯადოს საბურველი სინმიდეთა. მიჰრონი მითვე თჳსითა სა-ბურველითა დგეს დაბურვილად სრულსა ჟამისწირვასა, ხოლო ითქუას რაჲ ასამაღლებელი ესე კათალიკოზისაგან, და „იყავნ წყალობაჲ დიდისა ე“ნ⁴²⁶ და სულისა“, ვიდრე-იგი არა ქმნულ იყოს განხუმა კართა საკურთხევისათა, არცა ეწყოს დიაკონსა ჯერეთ საფასნეთა ზედა თქუ-მად კუჭრქესისა. მთავარდიაკონმან შინაგან საკურთხევისა თქუას: „მოხედეთ“.

ხოლო კათალიკოზი აღჯდეს კრიპიდსა ზედა და აღსძარცოს საბურველი თჳსი წმიდასა მიჰრონსა. ჯუარი დასწეროს სამგზის. და შთამოჯდეს მიერ. და მოდრეკით მდგომარემან იწყოს ლოცვაჲდ ესრეთ: „უფალო წყალობათაო და მამაო ნათლისაო, რომლისა მიერ მოე-ცემაჲ კეთილი, და ყოველი ნიჭი სრული მოეცემის, მოგუმადლე ჩუენ, უღირსთა ამათ, მა-დლი მსახურებაჲდ დიდისა ამის ცხოვლისმყოფელისა საიდუმლოსა, ვითარცა-იგი მოეც მადლი მოსეს სარწმუნოსა მას მსახურსაჲ შენსა, და მონასა შენსა სამოელს, და წმიდათა შენთა მოციქულთა. ეგრეთვე გარდამოავლინე სული შენი წმიდაჲ მიჰრონსა ამას ზედა და ყავ ესე საცხებელ სამეუფო, საცხებელ სულიერ საფარველ ცხორებისა, წმიდაჲ მყოფელ სულისა და ჯორცთა საცხებელ სიხარულისა და ზეთ მხიარულებისა, რომელი წარმოჩინე-ბულ-ჰყავ სჯულსა შინა. ხოლო გამობრწყინებულ ახალსა ამას შინა აღთქუმასა, რომლისა მიერ ცხებულ-იქმნეს მღდელნი, მღდელთმოდღუარნი და წინაწარმეტყუელნი, რომლისა მიერ თავადმან სცხე წმიდათა შენთა მოციქულთა და შემდგომითი შემდგომად ეპისკოპო-სთა და მღდელთა და მათ მიერ ყოველთა შობილთა საბანელისა მის მიერ მეორედ შობისა, ვიდრე დღეინდელად დღედმდე. ჰჰ მეუფჴოო, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, გამოაჩინე ესე დანერგვთა თაყუანის-საცემელისა სულისა შენისა წმიდისათა სამოსლად უხრწნელებისა და ბეჭდად სრულებისა მოქმედად სიმართლისა და გამომსახველად წმიდისა ნათლისდებისა შენისა საბანელსა შემწყნარებელთა შორის დიდებულისა მის სახელისა შენისა და მხოლოდ-შობილისა ძისა შენისა და წმიდისა სულისა შენისა, რაჲთა იყვენ იგინი წინაშე შენსა შესწავე-ბულ და საკუთარ და მოქალაქე და სახლეულ და მონებ და მჴევლებრ. და განწმედილ სულით და ჯორცით და განვლის უფლებულ ყოვლისაგან სიბოროტისა და გამომჴსნელ ყოვლისაგან ცოდვისა შემოსითა სამოსლად უხრწნელებისა დიდებისა შენისათა, რაჲთა იყვენ საცნაურ წმიდისა ამის მიერ სასწაულისა შენისა წმიდათა ანგელოზთა მიერ და მთავარანგელოზთა და ყოველთა ზეცისა ძალთა, რაჲთა იყვენ ყოველთა უკეთურთა და არაწმიდათა სულთა მაოტებელ და რაჲ იყვენ შენდა ერად მოგებულად სამეუფო და სამღდელო ნათესავ წმიდაჲ, აღბეჭდულ უხრწნელისა ამის საიდუმლოსა მიჰრონისა შენისა მიერ და აქუნდეს გულთა შინა მათთა ადგილი სამკვდრებელად ქრისტეს შენისა და შენ ღმრთისაჲ მამისა და წმიდისა სული-საჲ, ანაჲ ამაღლებაჲ, რამეთუ წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩუენო, და წმიდასა შინა განისუჴნებ და შენდა დიდებაჲსა შევსწირავთ მამისაჲ ||

10r და ძისა და წმიდისა სულისა ე“ნ (sic) ამინი⁴²⁷. კათალიკოზმან: „მჴვდობაჲ ყოველთა“. მთავარდიაკონმან: „თავნი ჩუენნი უფალსა მოუდრიკნეთ“. კათალიკოზმან ლოცვაჲ: „შეგწყა-ლენ, ღმერთო, ყოველთასა მეფისა ქედნი გულთა ჩუენთანი სამადლობელად მოგვდრეკიან ამისთჳს, რამეთუ უღირსნი ესე მსახურ-ყოფად, საღმრთოთა შენთა საიდუმლოთა ღირს-მყვენ და წყალობისა შენისა ქადაგ, რომელი მდიდრად მოჴფინე ჩუენ ზედა შეწყნარებაჲდ შენ მიე-რისა სინმიდისა, ვითარცა მიჰრონისა თავსა ზედა ნელსაცხებელი წარმოცალიერებულ არს სახელი მხოლოდშობილისა ძისა შენისა, ქრისტეს ღმრთისაჲ ჩუენისა, რომლისა მიერ ყოველი სოფელი სულნელ იქმნების რაჲოდენი რაჲ არს ხილული და უხილავი. და შენდა შუჴნის ყო-ველთა მიერ თაყუნისცემაჲ, მადლობაჲ მამისაჲ და ძისა ამაღლებაჲ, რამეთუ შენ ხარ თაყუა-ნის-საცემელი და სადიდებელი და შენდა დიდებაჲსა აღვა[ვლენთ]⁴²⁸ .

⁴²⁶ ე“ნ sic

⁴²⁷ ან“ი

⁴²⁸ აღვ

ამის შემდგომად კათალიკოზმან გამოსახოს ჯუარი მიჰრონსა მას ზედა და პერექელსა კუ-
ალად დაბურავს. და მაშინლა მიეცეს ჟამი საფასნეთა ზედა მდგომარეთა დიაკონსა თქუმად
კუერექსისა და ყოველთა წმიდათა მომწსენებელთა და იქმნას განხმა კართა და სრულ-იქ-
მნეს შემდგომად წესი საღმრთოჲსა ჟამისწირვისა. ხოლო ვითარცა აზიარნეს კათალიკოზმან
საკურთხევისანი ყოველნი და ერისაცა ზიარებისაგან მოიცალოს, რაჟამს-იგი სინმიდეთა
სადიაკვნედ მიაქცევდენ. ეგრეთვე პირველ სხუათა სინმიდეთასა განიყვნენ წმიდად მიჰრონი
ესრე სახედ. განვიდეს პირველი მღდელთა და დადგეს კართა ზედა საკურთხევისათა, პი-
რითა მხედველი აღმოსავალით კერძო, ხოლო დიაკონნი-იგი ი“ზნი (თორმეტნი) წესისაებრვე
მათისა დაენყუნენ იბ“ითა (თორმეტითა) მით სამწერობელითა წმიდით ტრაპეზით, ვიდრე კა-
რთამდე საკურთხევისათა. მაშინ კათალიკოზმან აღიქუას წმიდისა მიჰრონისა ალაბასტრი.
და განვლოს ქუეშჳ სამწერობელთა და მიჰგუაროს მუნვე **პროტოპაპსა** და მისცეს მას. ხოლო
თვთ თაყუანისცეს ნელიად და შემოიქცეს და წესისაებრ განვიდეს და შეიცვალოს სამღდლოდ
შემოსილებისაგან. ხოლო პროტოპაპსა გარემოადგენ ი“ზნი (თორმეტნი) იგი სამწერობელნი,
ვითარცა **შემოყვანებასა** და მითვე წესითა და სანთელთა წინაძღუანვითა მიაქციონ სადიაკ-
ვნედ, რომელსა მეყსეულად შეუდგენ სხუანიცა სინმიდენი, ხოლო შე-რა - იყვანოს **პროტოპა-
პასმან** მიჰრონი სადიაკვნედ და დადგეს იგი სამისოდ განკუთვნილსა მას ადგილსა პატიოსნად
და კრძალულებით. და მოჰჳადოს სტავრასა იგი საბურავი მისი და მას შინა შთაასხამს წმიდად
და იქმნების კურთხეული, დაჰბუროს ვეცხლისა, ანუ ოქროსა მოზავებული სარქველი.

და ყოველითურთ ნუმცა ვინ შეეხების მას, ვიდრე მეორედ დიდად ხუთშაბათადმდე. ხოლო
მომავალისა წელიწადისა დიდსა ხუთშაბათსა გამოიღონ იგი და ვითარცა ზემო დაგვწერა,
ეგრეთ წმიდად ყვენ მითა სხუანი იგი ჭურჭელნი, სავსენი მაშინდლისა მის წელიწადისა მიჰ-
რონითა ალაბასტრი იგი კუალად აღავსონ და შეიყვანენ საკურთხეველად ზემოთქმულითა
მით წესითა და აკურთხონ და დამარხონ მომავალისა წელიწადისათჳს.

სახელნი წმიდისა მიჰრონისანი

შეზავებულითა სულნელთა და წამალთანი სამითა ენითა: ბერძულითა, თაჯურითა და ქა-
რთულითა, ხოლო თაჯურად ამისთჳს დაგვწერიან, რომელ უმრავლესთა ამათ სახელთაგანთა
ჩუენცა მითვე ენითა ვიტყვთ და კუალად რომელთამე მათგანთა მანდა სარკინოზეთისა⁴²⁹ ქა-
ლაქთა შინა საჭირო არს სყიდა, რაათა არა უმეცრებითა სახელთათა იჭირვოდით. ამისთჳს აქა
სარკინოზულადცა დაგვწერიან სახელნი მათნი ყოველთანი და, რამეთუ ყოველნი სარკინოზნი
და სპარსნი ყოველთა წამალთა და სულნელთა სახელსა არაბულითა ენითაჲ ეტყვან, რომელ
არს თაჯური, გინაჲ სარკინოზული, რამეთუ ვითარ-ესე ჩუენ ბერძ||

11r ულისა და ბერძენთანი. ეგრეთვე იგი თაჯურისა და მის ენისა მოძღუართა მოკიდულ
არიან.

ჩუენ ოცდაოთხისა მეტრისა საწყევო დაგვწერია და **რაფზომნი** ნივთნი ოცდაოთხსა მეტ-
რასა ჩამავალსა სამიჰრონესა ქუაბსა ეჳმარებთან. თქუენ მას ზედა გამონახეთ და გამოჰმა-
რთეთ. თუ უფროსსა-რე გენებოს შექნა, ყოველსა ნივთსა სწორად უმატეთ და, თუ უმცროსსა,
ყოველსა სწორებით მოაკლეთ. ხოლო ამათ წამალთაგანი თუ არარაჲ-მე იპოოს ნაცვლად პო-
ვნილისა მის, რომელი გქონდის იეფად, იგი ჩაურთეთ მით საწონითა, გინა საწყევოთა, რომე-
ლიცა მისთჳს ეწეროს, რომელი არა ეპოვებოდის. კანდელსა დასდგმენ დიდსა პირფართოსა
და შინაგან შაჰყრიან შჳდთა უღელთა და შჳდთავე აღანთებენ და მას უწოდენ შჳდ ნათლად
კანდელად, ხოლო ამას ჰყოფენ **პირმარხვად** და აღანთებენ ლოცვისა ოდენ ჟამთა, ხოლო და-
სდგმენ მახლობელად სადმე წმიდისა ტრაპეზისა. არა სრულად პირთამდე ჳამს აღვსებაჲ ქუა-
ბისა, არამედ, რაათა ოთხი თითი ცალიერად დარჩეს ზედა კერძო ბაგეთაგან ქუაბისათა. ამათ
საწონთა და საწყევოთათჳს ესრეთ ჯერ-არს გულისწმის-ყოფაჲ, ვითარმედ ესე აქა ჳსენებული
ამათ ნივთთაგან წონილი ლიტრაჲ არს წონი დრაჰმისა⁴³⁰ სამეოცდაოთხთმეტისა ამით ლიტ-
რითა; მეტრაჲ არს ლიტრა ოცდაოთხთმეტი და მოდი - ლიტრა ორმოცი.

სათანადო არს უწყებაჲ, ვითარმედ წმიდა მიჰრონსა თანა, არცა ნარდსა თანა მიჰრონისასა
სხუაჲ, არარაჲ დარჩების არცა რასა ჳამს დატეობაჲ, თვნიერ ხოლო ზეთისა ოდენ წმიდისა,
არცა ღვნისა, არცა სულნელთა მათ და წამალთა, არამედ ზეთისა ოდენ და სულნელებითა

⁴²⁹ სასარკინოზეთისა

⁴³⁰ დარჰმისა

მით და ღვნითა გამომგებარისა, ხოლო ღვნიისა მის თანა ნაგბოლისა და ეგრეთვე ნამალთა მათ არცათუ დამარხვად საჭირო არს, არცალა რაჲდ საჭმარ არიან, არამედ მათდა მოჭდილი იგი ოდენ წმიდაჲ ზეთი და აღარარაჲ სხუაჲ ამათსა უმეტესი და უძკრესი ნივთი ერთოს ვითარ-იგი არს ბალასინი ზეთი და სხუაჲნი ძკრნი სულნელნი: მუშკ, ამბარ, ქაფურ, ალვაჲ და ეგევითარნი აქა ამას საკათალიკოზოსა ეკლესიასა შინა და სოფიანმიდისა მიჰრონსა თანა დასტურად. თუ კულა სხუაგნით სადათ-მე იერუსალჴმით ანუ სხუთ რითმე ეკლესიით იპოვოს სხუაგჴური რაჲმე შეზავებაჲ, ანუ უმეტესნი და უძკრესნი ნივთნი იგიცაჲ კეთილივე არს და შეწყნარებულ, თვნიერ ესემცაჲ ოდენ ნუ არს, რაჲთა წმიდისა მის ზეთისაგან კიდე სხუაჲ, რაჲცა იპოებოდა რაჲთურთით მიჰრონსა თანა, ანუ-მცა სქელი რაჲმე იყო და ლაბაჲვითა, რომელი ესე უცხო არს და განსაგდებელ.

ჯერ-არს უწყებაჲ, ვითარმედ ბალასინი ზეთი ეგვპტისაგან კიდე არასადა იპოვების სხუ-აგან პირსა ზედა ყოვლისა მიწისასა და იგიცა ერთსა შინა ნალკოტსა აზიზისასა ნისრს და ქუეყანაჲ ეგვპტისა სოფლოანი თვნიერ ქალაქსა იაკობიკი არს ყოველი და ვითარ-ესე იტყვან მუნნი: იგი იაკობნი თავიეთ მიჰრონსა თანა სხუესა არარაჲს ურთვენ თვნიერ ბალასინსა ოდენ ზეთსა სხუაჲსა რაჲსმე უცხოსავე და იფსა-რე ზეთსა და მოინათლვიან უფროსლა და იბნე-ლვიან და თვსთაცა ნათესავთა ||

12r და სარწმუნოებისა მათისა ზიართა ყოვლით კერძო წარსცემენ, რომლისათვს საგონე-ბელ არს, თუ მათითა მიზეზითა დაუდგაჲ კათოლიკე ეკლესიასა. თუ ნამდულ ჰქონება ოდეს წესვად რთვა ბალასინსა.

შეისწავე, ვითარმედ მას მას წელიწადსა საჭმარებელი და წარს[ა]გებელი⁴³¹ მიჰრონი ესე არს, რომელსა ზედა ან წინა წელიწადსა კურთხეული იგი მიჰრონი მოეგებვის მდღლისა მიერ და კურთხევა არცა საკურთხეველად შეღებაჲ სხუაჲსა არა რომელსა მყნა თვნიერ მას ოდენ ერთსა აღაბასტრსა, რომლისა-იგი განგებაჲ ესერაჲ ქუჴმით დაგვწერია, ხოლო სხუაჲთა მათ კურთხევაჲ არს კურთხეულისა მის მიჰრონისა თანა ჩართვა.

საჭმარ არს ცნობად, ვითარმედ კათოლიკე ეკლესიასათა შინა არა ხოლო აქა მცხეთას სუჴტსა ცხოველსა შინა, არამედ სოფიანმიდასა და ანტიოქიასცა და იერუსალჴმსა და ყო-ველთა სამიტრაპოლიტოთაჲ ეკლესიათა და დიდთა მონასტერთა, სადაცა სიმრავლისათვს ერისა მზიარებელისა დიადი იქმნების შეწირვაჲ წმიდისა მსხუჴრპლისა, ყოვლითგან მღვმენი არიან შექმნილნი, ორმონივითა შინაგან წმიდად მოგლესილნი და მოკაზმულნი, მახლობელად წმიდისა ტრაპეზისა, რომელი დგას სადიაკონესა შინა, სადა-იგი ჰყოფენ დაგებასა წმიდისა შესაწირავისასა უფროსლა ქუეშეჴ კერძო წმიდისა ტრაპეზისა და რაჴამს დაჴმატდეს შეწი-რული სინმიდე, ჴორცი გინა სისხლი, არღარაჲ იკადრებენ ნამეტავად ჴმევასა მისსა, არამედ ჴურიმელსა შინა შთაუსუჴნებენ, რომელსაცა საქმესა ამის გამო წმიდად საფლველად სახე-ლ-სდებენ, ვითარ-იგი არცაჲ ჴეშმარიტებით, ეგრეთვე უკუეთუ ობისა მოკიდებაჲ, ანუ შესუ-ლებაჲ რაჲმე შეემთხვოს ამისთვსცა ამასვე ჰყოფენ.

აღაბასტრი ჴურჴელსა ჰრჴვან კურთხეულისა და გასრულებულისა მიჰრონისასა. და უფროსლა რომლითა-იგი კურთხეულ-იყოს მიჰრონი და არა თვთ წმიდასა მიჰრონსა. პირვე-ლისა მის ჴურჴლისაგან აღავსონ რაჲ აღაბასტრი, ქუჴ რომელი დარჩეს, უფრო ჰატიოსანი არს სხვსა წარდისასა, ვინაჲცა მუნით მიეცემის წარდი ევლოგიად მეფეთა და დედოფალსა და თვთ კათალიკოზსა და სხუაჲთა დიდ-დიდთა მღდელთმთავართა. უწყებაჲ საჭმარ⁴³² არს, ვითარმედ ჴურჴელნი იგი სავსენი, რომელ დარჩენ წარდითა წმიდისა მიჰრონისათა, რომელთა ზედა არა მოეგოს პირველ კურთხეულისა მის მიჰრონისაგანი, მათი ეგრეთვე განუზავებელთა დამარ-ხვაჲ ჴერ-არს. სწეულთაჲთვს და უძღურთა და რომლითავე საღმობითა ტკივნეულთა, რაჲთა წარღლებდენ მნეთაგან ეკლესიისათა და იცხებდენ და ნუგეშინის იცემდენ, რომელი-ესე ყო-ვლითურთ უღონო არს საკადრებელად კურთხევითა გასრულებულისა მიჰრონისათვს. და რო-მელსა თანაერთოს კურთხეულისა მისგანი და კუალად უკუეთუ განზავებულთა მათ კოკათა შინა მოაკლდებოდის მიჰრონი, მათ ზედაცა მუნითვე საჭმარ-არს მოგებაჲ განუზავებელთა მათ ვიტყვ კოკათაგან. ხოლო ლიტონითა ზეთითა და რომელი არა ამათ სულნელთა მიერ ესე-ვითარად გამომგებარ იყოს, გინა წარდისა, ანუ თვთ წმიდისა მიჰრონისა განზავებაჲ და თანა

⁴³¹ წარსგებელი

⁴³² სამარ

რთვად ყოვლად უჯერო არს, ხოლო ნარდი და მიჰრონი ესრეთ განიყოფებიან ურთიერთას, რამეთუ უკურთხეველსა მას ნარდი ეწოდების, ხოლო რაჟამს იკურთხოს, ანუ კურთხეულითა განიზაოს, მაშინ მიჰრონი სახელ-ედების, რომელთაჲ სხუაჲ, არცა ერთი რაჲ აქუს განყოფილებაჲ.

ესთენ არიან ლოცვანი წმიდისა მიჰრონისანი და ესრეთ წესი კურთხევისა მისისა, ხოლო ჩუენ, ქართველთა, ესრეთ მოგუცემაჲ და გვისწავია სოფიანწმიდისა და იერუსალჴმისა და ანტიოქიელთა ეკლესიისაგან. ესთე ||

13 რ ნ არს წესი წმიდისა მიჰრონის კურთხევისა და ესთენ ლოცვანიცა და თქუან, ვინათგან მოგცემიათ⁴³³ და განსწესება ეკლესიასა თქუენსა ამისითა წესითა გიღირსთ კურთხევაჲ წმიდისა მიჰრონისა.

შეისწავე: „ვითარმედ კურიაკესა მენელსაცხებელთასა გარდამოიღონ ქუაბი მიჰრონისა მის კურთხეულისა და შთაასხან სპილენძისა კოკათა შინა და მისცეს კათალიკოზმან შემოსილსა თითოსა მღდელთმთავარსა და ეტკრთოს-რაჲ მღდელთმთავართა მათ წარმოვიდენ მუნ ქუაბითგან და იტყოდინ მგზავრ ოხითა, იბაკოჲსა მენელსაცხებელთა კურიაკისასა. და შემოუარონ გარემო სუჴტსა ცხოველსა და გალობდენ ოხითა იბაკოჲსა სუჴტის ცხოველისასა და მერმე დასდგან წინაშე მისსა კოკანი იგი, რომელი უტკრთავსთ მღდელთმთავართა და ოდეს დასრულდეს საღმრთოჲ ჟამისწირვაჲ წარიღონ კოკანი იგი და დაკრძალონ განმზადებულსა განკუთვნილსა ადგილსა და, ოდეს ვისმე ენებოს, მიეცინ“.

მოსეს მიერ მიჰრონი სარწმუნოებისა

სარწმუნოებისა მიჰრონი, რომელი მოსემ მოიღო ბრძანებითა ღმრთისაჲ მიერითა პირველად, რაჲთა ცხებითა მით დაადგენდის მღდელთმთავართა და მღდელთა ამისთვისცაჲ დავით იტყვს, ვითარცა თავსა ზედა გარდამომავალი წუჴრთა ზედა აჰრონისთა. რამეთუ ესეცაჲ არს მოუდუღებელი ოთხთა ფერთა წამალთაგან: ა. ზმირინის ყუავილი; ბ. კინამოს სულნელეებაჲ; გ. ირეოს კალამუ სულნელეებაჲ; დ. ზეთისხილის ზეთი.

უკუეთუ გენებოსთ სარწმუნოებაჲ, უწყოდეთ და, თუ გინდათ, საიდუმლოდ, უკუეთუ არავინ იყვნენ ფილოსოფოსნი კაცნი, ანუ სწავლულნი, ესენი არ მოდუღებებიან. ამისთვის მოსემ საიდუმლოდ უწოდა და **დაანესაჲ**. ჭურჭელი მიჰრონისა არს ალაბასტრი, ხოლო ალაბასტრი ბროლისა უნდა იყოს მთელი, რომ გაბზარული არსად იყოს.

⁴³³ მოქცემიათ

ლექსიკონი

ა

ალაბასტრი მირონისთვის გამოყოფილი ჭურჭელი: „ალაბასტრი ჭერჭელსა ჰრქვან კურთხე-
ულისა და გასრულეულისა მიჰრონისასა“; „ხოლო ალაბასტრი ბროლისა უნდა იყოს მთელი,
რომ გაბზარული არსად იყოს“ Q-1069 . იხ. ტაკუკი

ალვა სულნელი: „ძვრნი სულნელნი: ალვა“ Q-1069

ამბარი სულნელი: „ძვრნი სულნელნი... ამბარ“ Q-1069

ამნული აქ: გამგებლად დანიშნული: „რომელი არა უწყნითა საჩინოთა და უჩინოთა ქველისა
მოქმედებათა ჩუენდა მომართა ქმნულთა ჩვენადა ამნულთა“ H-2089; იხ. მნობა

აპყრობა, აღპყრობა: აღმართვა, აშვერა, გაშლა: „სერაბინნი ექვესერულნი, მრავალ თვალნი,
აპყრობილნი ფრთებითა“ H-2089

აპყრობილი იხ. აპყრობა

არაარსი არარსებული: „რომელმან არაარსისგან არსად მომიყუანე ჩუენ“ H-191, H-511

არსი მყოფი, არსებული: „რომელმან არაარსისგან არსად მომიყუანე ჩუენ“ H-191, H-511

ასამაღლებელი არის ხმამაღლა წარმოსათქმელი მოკლე ლოცვა: „ითქუაჲს ... ასამაღლებელი
ესე კათალიკოზისაგან“ Q-1069

ასპიტი გველი, იქედნე: „შობილნო ასპიტისანო, ებრაელთა მივეც სჯული და კურთხევა“ H-520

აუარება იხ. აღსაარება

აფპყრობილი იხ. აპყრობილი

აღეღების იხ. აღება, აღღება

აღება, აღღება ამაღლება, აწევა: „რამეთუ აღებულ არს ქუეყანით ცხორებაჲ მისი.“ H-511

აღმართება ამართვა, ამაღლება: „წმიდა არს უფალი, რომელმან მოავლინა ჩუენ ზედა ნიშები
... აღმართებად ერისა“ H-1328

აღმქუმელი აქ: მიმღები „თხოვათა აღსრულებისა აღმქუმელო“ H-191

აღსაარება აღთქმა, მადლობა, აქ: აღიარება: „აუარებდეთ ცოდვათა თქუენტა, საწყალო-
ბელნო“ H-1328

აღოცვა, აღწოცვა აღმოფხვრა, ამოშლა: „მე აუწოცონე ცოდვანი მისნი, რაოდენნიცა იქმნენ.“
H-520; „სხუასაცა სოფელსა, უკუეთუ ჰქონდეს ცოდვანი უფლისა თვისისაგან, მე აღუწოცნე“ H
-1328

ბ

ბალასინი ზეთი: „...ნივთი ერთოს ვითარ-იგი არს ბალასინი ზეთი“ Q-1069

ბარძიმი სასმისი, ზიარების ჭურჭელი: „ბარძიმსა ჯუარი დასწეროს“ H-191, H-511

ბარიმ-ფეშხუმი ბარძიმი და ზიარების დროს მასთან ერთად სახმარი ლითონის თევზი: „დაა-
წყონ ბარძიმ-ფეშხუმი ყოველი წესისაებრ თვისისა“ Q-1069

ბეღითი ამაო, ფუჭი: „გაუტევეთ საქმე, რომელი იპოვებისბეღითი“ H-1328

ბროჭი ონკანი: „ეპყრას ბროჭი, რომელსა ბერძულად ჰქვან ორკან“ Q-1069

ბჭობა გასამართლება, სჯა: „ოკუეთუ არა გაუტეოთ ბჭობა უსამართლოჲ, ბნელი ცოდვისა,
შვილნი თქუენ[ნი] ჭამდენ მიწასა ქუეყანისასა“ H-1328

გ

გამომგბარი მოხარშული: „ღვნითა გამომგბარი“ Q-1069

გამცენ (VO²) იხ. მცნება

განახუნეთ იხ. განხუმა

განხუმა გაღება, გახსნა: „განვახუნე ცანი და ვნკიმო ქვიშაჲ და ცეცხლისა წყალი მფოფინარც.“
H-520

განსუენება აქ: დაფენა, დაშვება: „გარდამოჭდა წიგნი ესე და განისუჭნა მას ზედა“ H-1328; აქ: დამშვიდება, მოსვენება: „აუარებდეთ ცოდვათა თქუენთა, სანყალობელნო. გაესუენეთ, გაესუენეთ, გაესუენეთ“ H-1328

განქარება აქ: გაქრობა: „და აპრილს ათშვიდმეტსა გავქარო იფქლი და ღვინო“ H-520

განწყობილება დანყობა, წესი: „რომელმან დაამტკიცენ ცათა შინა განწყობილებანი“ H-191

გარდამავალი დამნაშავე, კანონის დამრღვევი: „იქმნენით თქუენ გარდამავალ და არა მსმენელ“ H-1328

გარდამოჭდომა ჩამოსვლა: „გარდამოჭდა წიგნი ესე და განისუჭნა მას ზედა“ H-1328

გარემო, გარემო გარშემო, ირგვლივ: „რომელნი გარემო ჩემსა დგანან“ H-520

გატევება, განტევება გაშვება: „გაუტევეთ საქმე, რომელი იპოვების ბედითი“ H-1328

გეგულების იხ. გულება

გემო „სიტკბო, სიმწარე, სიმლაშე, სიმჟავე“(საბა): „არა ვინა არსა ღირსთა ჯორციელი გულისთა-ქმნათა და გემოთა წარდგომად“ H-2089

გლა დანაყვა: „დაინყების ...წონაჲ, ჭრაჲ და გლაჲ და წყვაჲ მათი...“ Q-1069

გოდორი აქ: მონწილი ჭურჭელი, რომელშიც ყრიდნენ მოდულებული ზეთის მასალას: „დაჰკიდონ საშუალ მისსა გოდორი“ Q-1069

გონება აზრი, ზრახვა: „უფროჲს იყო გონებათა“ H-520

